QUEER

QUEER

2023

FRIEDRICH NAUMANN FOUNDATION For Freedom.

ლიბერალიზმის პრინციპებზე დაყრდნობით, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის გთავაზობთ სამოქალაქო განათლებას გერმანიასა და მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში. სამხრეთ კავკასიის რეგიონში ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ სამოქალაქო საზოგადოების, აკადემიის, მედიისა და პოლიტიკის წარმომადგენლებთან. ჩვენ ერთად ხელს ვუწყობთ დემოკრატიის განვითარებას, ვიბრძვით დეზინფორმაციისა და ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ, მხარს ვუჭერთ ადამიანის უფლებებსა და კანონის უზენაესობას და ხელს ვუწყობთ ინოვაციურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც დაფუძნებულია სოციალური საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე. გარდა ამისა, ჩვენ ხელს ვუწყობთ დიალოგს სამხრეთ კავკასიაში.

ამ პუბლიკაციაში მოწოდებული QR კოდის სკანირებით, თქვენ გადახვალთ ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის სამხრეთ კავკასიის ვებ-გვერდზე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ეს ვებ-გვერდი არ არის დაკავშირებული პუბლიკაციის ავტორთან ან გამომცემელთან და პუბლიკაციაში გამოთქმული აზრები შეიძლება არ ემთხვეოდეს ფონდის პოზიციას, ასევე ვებ-გვერდის შინაარსი არ არის მოწონებული ან დამოწმებული პუბლიკაციის ავტორების მიერ. ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის ვებ-გვერდი მითითებულია მკითხველთათვის, რომლებიც შეიძლება დაინტერესებულნი იყვნენ ფონდის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად.

სარჩევი

წინასიტყვაობა 5

ტერმინის ისტორია 6

ქვიარობა - როგორც სტიგმის, დისკრიმინაციის შემცირების ინსტრუმენტი 7

მადლიერების გამოხატვა 7

ტერმინების განმარტებები 8

ქვიარი ამბობს 11

ანასტასია კარტოზია - მომწონს საკუთარი თავი, მომწონს ჩემი ქვიარობა და მელამაზება 11

გოჩა გაბოძე - უნდა იბრძოდე სხვებისთვისაც, ეს ბევრად აძლიერებს თემს 16

გიორგი ჟღენტი - ბისექსუალი ვარ და ჩემს იდენტობას სიამაყით ვიღებ 22

მე ვარ ამანდა - ტრანსგენდერი ქალი 28

ქვიარ ისტორია 34

60-იანი წლების ქვიარ წინააღმდეგობები - მოვლენები, რომელთა კულმინაციად სტოუნვოლი იქცა 34

ტრანსგენდერი ქალები, რომელთა სიცოცხლე ტრანსფობიურმა განწყობებმა და სისტემამ შეიწირა 42

ფემინისტური ბრაზი: მნიშვნელობა და შესაძლებლობები 46

ქვიარ ზრუნვა 52

შეუძლებელი სიყვარული 52

ჰომოფობიური ბულინგი სკოლაში - სტატისტიკის მიღმა 62

ჰომოფობია – შიში, ზიზღი, მითები და რეალობა.....70

ბედნიერების გასაგნება და გამოწვევები.....79

გვანცა - შვილები უპირობოდ უნდა გვიყვარდეს 84

დევიდ გაშის „სიძულვილით სავსე ქადაგების დასასრული“.....86

სიყვარული რა ფორმისაც არ უნდა იყოს ის, ცოდვა არაა 98

თანასწორი უფლებები..... 101

სტატისტიკური მონაცემები საქართველოში ლგბტქი თემის უფლებრივ მდგომარეობაზე 101

შეკრების წართმეული უფლება.....107

როგორია ლგბტქი ადამიანების ყოველდღიურობა ეთნიკურ უმცირესობაში 117

ქრისტი: აქ თავს ადამიანად გრძნობ - ბელგიაში ქართველი ემიგრანტის გამოცდილება 120

სპორტი 124

ვალიტა გორელჩანიკი - უძლიერესი ქალი საქართველოში 124

ხელოვნება..... 131

დაკარგული ბავშვობის ძიებაში - ინტერვიუ უტა ბექაიასთან 131

„ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“ - ინტერვიუ მიხეილ აბრამიშვილთან 140

იღლიები ამომივიდა სახეზე თითქოს - ინტერვიუ ანდრო დადიანთან.....148

თოლია, რომელმაც ფრენა შეძლო - ინტერვიუ ეკა ტყემალაძესთან....153

წინასიტყვაობა

ქვიარი

საქართველოში ლგბტქი+ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარი, ინტერსქესი) თემის უფლებების ადვოკატირების ისტორია სულ რაღაც 15-20 წელს ითვლის. ჩვენი ქვეყანა მხოლოდ ახლა გადის იმ გზას, რომელიც ევროპის ქვეყნების უმრავლესობამ და ზოგიერთმა სხვა ქვეყანამ, მაგალითად, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, გასული საუკუნის 60-იან, 70-იან წლებში გაიარეს. გზას, რომელიც ლგბტქი+ ადამიანების საჯარო სივრცეებში ხილულად ყოფნის უფლების მოპოვებით იწყება.

გამოცემა „ქვიარი“ შექმნილია და მიზნად ისახავს გააცნოს საზოგადოებას ლგბტქი+ ადამიანები, ამით ხელი შეუწყოს საქართველოში ქვიარ თემის მიმართ არსებული სტიგმისა და დისკრიმინაციის შემცირებას. ეს არის სივრცე, სადაც ჟღერდება ქვიარების და მათ მხარდამჭერთა ხმები, ზიარდება მეცნიერულ მტკიცებულებებსა და პრაქტიკაზე დაფუძნებული, მკითხველისთვის საინტერესო, ინფორმაცია და ცოდნა.

„ქვიარი“ გთავაზობთ ლგბტქი+ თემისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე პუბლიკაციებს ონლაინ გამოცემა https://queer.ge/ -ის და ახლა უკვე ყოველწლიური ბეჭდური ჟურნალის მეშვეობით. ინიციატივას უძღვებიან საქართველოში მცხოვრები ქვიარები, ხოლო რესპონდენტები არიან როგორც ქართველი, ისე მსოფლიო მასშტაბით ქვიარები და ასევე ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს ქვიარ თემს არ მიაკუთვნებენ.

ტერმინის ისტორია

ინგლისურ ენაში მე-16 საუკუნეში გაჩენილი სიტყვა ქვიარი (queer) „უცნაურს“, „თავისებურს“, „ექსცენტრულს“ ნიშნავდა და ხშირად შეურაცხმყოფელ კონტექსტში გამოიყენებოდა იმ ადამიანების მიმართ, ვინც რომანტიკულ სასიყვარულო ურთიერთობაში იმყოფებოდა იგივე სქესის მქონე ადამიანთან თუ ადამიანებთან. ამ სიტყვის შეურაცხმყოფელ კონტექსტში გამოყენების დამადასტურებელი პირველი ჩანაწერი 1894 წელს გაჩნდა, როდესაც ჯონ დუგლას ქუინსბერიმ საჯარო სასამართლო პროცესის მსვლელობისას საკუთარ შვილს - ალფრედ დუგლასს და მის სავარაუდო რომანტიკულ პარტნიორს ოსკარ უაილდს, „სნობი-ქვიარები“ უწოდა. ამის შემდეგ სიტყვა ქვიარის გამოყენება ამერიკულ ჟურნალ-გაზეთებშიც დაიწყეს, ძირითადად გეი კაცების შეურაცხმყოფელ ან დამცინავ კონტექსტში აღსანიშნავად. მალე ტერმინი გავრცელდა და ლგბტქი+ თემის სხვა ქვეჯგუფების აღსანიშნავადაც გამოიყენებოდა.

1960-იანი წლებში ნიუ-იორკში, სტოუნვოლის აჯანყების სახელით ცნობილი მოვლენების შემდეგ, ლგბტქი+ მოძრაობის ორგანიზატორებმა დაიწყეს მსჯელობა, თუ რომელი ტერმინები უკეთ მიესადაგებოდა თემის საერთო გამოცდილებას. არჩევანი „ქვიარი“-ს სასარგებლოდ გაკეთდა, რადგან ლგბტქი+ ჯგუფის ყველა წარმომადგენელს, მათი მრავალფეროვნების მიუხედავად, ჰეტერონორმატიული საზოგადოება უყურებდა როგორც „ქვიარს“. ასე გაჩნდა ნიუ-იორკში ორგანიზაცია Queer Nation, ტერმინი „ქვიარის“ გამოყენება კი დაიწყეს ლგბტქი+თემის ერთობის აღსანიშნად. სიტყვა „ქვიარის“ მნიშვნელობა დროთა განმავლობაში შეიცვალა და საერთაშორისო დონეზე იქცა ქოლგა ტერმინად, რომელიც აერთიანებს ლგბტქი+ ადამიანებს, ყველაზე ფართო სპექტრის მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

საინტერესოა, რომ საქართველოში ამ ტერმინმა კიდევ უფრო ფართო გაგება შეიძინა - ქვიარებად ხშირად იდენტიფიცირდებიან ლგბტქი+ თემის მხარდამჭერები, ასევე ადამიანები, ვისაც უბრალოდ არ სურს იყოს ჰეტერონორმატიული წესრიგის ნაწილი ან და განსაზღვროს საკუთარი სექსუალური ორიენტაცია, გენდერი, სქესი, ამ მიმართულებით დაიწესოს რაიმე ხისტი ჩარჩო, მოირგოს და შეასრულოს მკაცრად განსაზღვრული, ვიწრო სოციალური როლი.

ქვიარობა - როგორც სტიგმის, დისკრიმინაციის შემცირების ინსტრუმენტი

დღესდღეობით, საქართველოში ქვიარად ყოფნა ნიშნავს იმას, რომ შენი ფუნდამენტური საჭიროებების უმეტესობა ხილული ან აღიარებული, გათვალისწინებული და სათანადოდ დაკმაყოფილებული არ არის არც ოჯახში, არც განათლების, ჯანდაცვის, იუსტიციის, მართლმსაჯულების, სამართალდაცვის, ჯარის, სასჯელაღსრულების და სხვა სისტემებში, სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე, კულტურისა და ხელოვნების განვითარების პროცესში. ასეთ ვითარებაში რამდენიმე, თუნდაც სისტემური, ხარვეზის გამოსწორება არსებითად ვერაფერს შეცვლის, არამედ საჭიროა სისტემის ფუნდამენტური ცვლილება.

სხვა სოციალური ჯგუფისგან განსხვავებით ქვიარ თემი ფარული ჯგუფია. აქედან გამომდინარე, ლგბტქი+ იდენტობის პოლიტიკა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჯგუფის რეპრეზენტაციას და ხილვადობას ანიჭებს და მიიჩნევს, რომ ქამინგ აუთის, ანუ განსხვავებულობის აღიარების გარეშე, შეუძლებელია ჯგუფის უფლებების ადვოკატირება და ინტერესების დაცვა. ქვიარ პოლიტიკა სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ჩაგვრის საერთო მიზეზების აღმოჩენაზე, მათი გაერთიანებით, თანამშრომლობით დაძლევაზე, სისტემის ფუნდამენტურ ტრანსფორმაციაზეა ორიენტირებული.

ორივე მიდგომას აქვს თავისი ძლიერი მხარეებიცა და რისკებიც. ქვიარ აქტივისტებს შორის ხშირია კამათი თუ რომელი პოლიტიკა ჯობია, თუმცა ფაქტია, რომ ლგბტქი+ თემი, საკუთარი უფლებების ადვოკატირებისას, იყენებს ორივე მიდგომას, მათ შორის საქართველოშიც.

მადლიერების გამოხატვა

„ქვიარი“ ვერ იარსებებდა იმ ადამიანების, ორგანიზაციების თუ ფონდების გარეშე, რომელთა მხარდაჭერითაც შეიქმნა ინტერნეტ პლატფორმა, სხვადასხვა პუბლიკაციები და ვიდეოები, ფოტოები და ილუსტრაციები. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნით „ქვიარი“- ს რესპონდენტებს, მათი პირადი გამოცდილებების და ისტორიების გაზიარებისთვის.

ასევე დიდ მადლობას ვუხდით გამოცემის რედაქტორს - მარიამ პაიჭაძეს.

ტერმინების განმარტება

აგენდერი — ადამიანი, რომელიც არ აიდენტიფიცირებს საკუთარ თავს რომელიმე გენდერთან.

„აუთინგი“ (Outing ინგლ.) — ვინმეს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება, მისი თანხმობის გარეშე. აუთინგმა შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვიოს, იქნება ეს პერსონალური (ფიზიკური, ფსიქოლოგიური), ინტერპერსონალური (მაგ. კონფლიქტი ოჯახის წევრებთან) თუ ეკონომიკური უსაფრთხოების კუთხით (მაგ. სამსახურის დაკარგვა).

ასექსუალი — ადამიანი, რომელსაც სხვების მიმართ სექსუალური მიზიდულობა ნაწილობრივ ან საერთოდ არ აქვს.

არა-ბინარული — ადამიანი, რომელიც არ აიდენტიფიცირებს საკუთარ თავს როგორც კაცს ან ქალს. ხანდახან არაბინარული ადამიანები აიდენტიფიცირებენ საკუთარ გენდერს სადღაც შუაში ორ გენდერს შორის ან საერთოდ ბინარული კატეგორიების მიღმა. არა-ბინარული შეიძლება გამოიყენებოდეს, როგორც ქოლგა ტერმინი, რომელიც მოიცავს ისეთ იდენტობებს, როგორიცაა აგენდერი, ბიგენდერი, გენდერქვიარი და გენდერფლუიდი.

ბისექსუალი — ადამიანი, რომელსაც ემოციური, რომანტიკული ან/და სექსუალური მიზიდულობა აქვს როგორც ქალების, ისე კაცების და ერთ გენდერზე მეტი ადამიანების მიმართ. მიზიდულობა შეიძლება იყოს თანაბარი ან არ იყოს თანაბარი. ხანდახან ამ ტერმინს ანაცვლებენ პანსექსუალით.

ბიფობია — შიში, ზიზღი, არაკეთილგანწყობა, უარყოფითი წინასწარგანწყობა ან დისკომფორტი ბისექსუალი ადამიანების მიმართ.

გეი — ადამიანი, რომელსაც ემოციურად, რომანტიკულად ან/და სექსუალურად იზიდავენ იმავე სქესის ადამიანები. კაცები, ქალები და არა-ბინარული ადამიანები შეიძლება აღწერდნენ საკუთარ თავს ამ ტერმინით.

გენდერი — ადამიანის სქესის მიხედვით სოციალური როლების, გამოხატვის, წარმოდგენების, ქცევების მიმართ საზოგადოების მხრიდან არსებულ მოლოდინთა ერთობლიობა. გენდერის განსაზღვრა ხდება თავად ადამიანისა და საზოგადოების მიერ.

გენდერული იდენტობა — ადამიანის შინაგანი აღქმა, როგორც ქალის ან კაცის, ორივეს ერთად და არც ერთის - თუ როგორ აღიქვამენ ადამიანები და რას უწოდებენ საკუთარ თავს. გენდერული იდენტობა შეიძლება ემთხვეოდეს ან არ ემთხვეოდეს დაბადებისას მინიჭებულ სქესს.

გენდერული ექსპრესია — გენდერული იდენტობის გარეგნული გამოხატვა, როგორც წესი ქცევის, ჩაცმულობის, ხმის, სახელის, სხეულის მახასიათებლების და სხვა მახასიათებლების საშუალებით.

დაბადებისას მინიჭებული სქესი — ადამიანის დაბადებისას მისი სქესის შესახებ სამედიცინო შეფასება, როგორც ქალის, კაცის ან ინტერსქესის.

დრეგი (Drag ინგლ.) — ხელოვნების ფორმა, რომელიც მოიცავს მასკულინურობის ან ფემინურობის ექსპრესიის განზრახ გაზვიადებას, ჩაცმულობის, მაკიაჟის, ვარცხნილობის, სხეულის ენის, ცეკვის, სიმღერის და სხვა საშუალებებით. დრეგი გამოიყენება როგორც გენდერული თვითგამოხატვისთვის, ლგბტქ+ სიამაყის აღსანიშნავად და უფლებების ადვოკატირებისთვის, ასევე გართობის მიზნით.

ინტერნალიზებული ჰომოფობია/ბიფობია/ტრანსფობია - დისკომფორტი, შიში, არაკეთილგანწყობა, ზიზღი, რომელსაც განიცდის ჰომოსექსუალი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი,

ქვიარი, ინტერსექსი ადამიანი ლგბტქ+ ადამიანების მიმართ, საზოგადოებაში ამ ჯგუფის მიმართ არსებული ნეგატიური წინასწარგანწყობების ინტერნალიზების შედეგად, რა დროსაც ინდივიდი მიიჩნევს ასეთ წინასწარგანწყობებს როგორც საკუთარსა და ნორმალურს. ასეთ დროს ლგბტქი+ თემის წევრი, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, შეიძლება მიმართავდეს ლგბტქი+ ჯგუფისადმი ზიზღს საკუთარი თავის მიმართაც, რასაც შეიძლება მოყვეს მისი ჯანმრთელობისთვის ნეგატიური შედეგები. ამავდროულად ის შეიძლება გრძნობდეს საჭიროებას მოერგოს ჰეტერონორმატიულ წესრიგს და შეასრულოს საზოგადოებაში არსებული მოლოდინები.

ინტერსქესი — ქოლგა ტერმინია, რომელიც აღნიშნავს ადამიანებს, რომელთა სექსუალური და რეპროდუქციული ანატომია განსხვავდება იმ მახასიათებლებისგან, რომელთა მიხედვითაც ხდება ინდივიდის „ქალად“ თუ „კაცად“ განსაზღვრა. განსხვავება შეიძლება იყოს ქრომოსომების, ჰორმონების, ასევე რეპროდუქციული ორგანოების ანატომიის დონეზე. ინტერსქესი ადამიანები გაცილებით ხშირად გვხვდებიან, ვიდრე ეს მიიჩნევა მედიცინაში, რომელიც ძირითადად მხოლოდ ანატომიურ განსხვავებებს აფიქსირებს. დაბადებისას ინტერსქეს ადამიანს, ხშირად ყოველგვარი საჭიროების გარეშე, უკეთებენ ოპერაციას, რათა მოაქციონ „ქალის“ ან „კაცის“ კატეგორიაში. თავად ინტერსქესი ადამიანი საკუთარ თავს შეიძლება აიდენტიფიცირებდეს დაბადებით მინიჭებული სქესის მიხედვით ან საპირისპირო სქესის მიხედვით ან იდენტიფიცირდებოდეს, როგორც ინტერსქესი.

ლგბტქი+ — აკრონიმი, რომელიც მოიცავს შემდეგ ტერმინებს: ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ქვიარი, ინტერსქესი. ნიშანი „+“ ასახავს ადამიანებს, რომლებიც მიეკუთვნებიან ქვიარ თემს, თუმცა მითითებული აკრონიმი არ ასახავს მათ იდენტობას.

ლესბოსელი — ქალი, რომელსაც ემოციურად, რომანტიკულად ან/და სექსუალურად იზიდავს ქალები.

მხარდამჭერი ან მოკავშირე (Ally ინგლ.) — ადამიანი, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს ლგბტქი+ ადამიანებს. ამ ტერმინის ქვეშ მოიაზრება როგორც ჰეტეროსექსუალი, სისგენდერი მოკავშირე -ები, ასევე ლგბტქი+ თემის წევრები, ვინც ერთმანეთს აქტიურად უჭერენ მხარს (მაგალითად ლესბოსელი, რომელიც ბისექსუალთა თემის აქტიური მხარდამჭერია).

სექსიზმი — სქესის და გენდერული იდენტობის საფუძვლით წინასწარგანწყობები ან დისკრიმინაცია, ხშირად ვლინდება ქალების და გოგონების მიმართ. სექსიზმი ეფუძნება მსოფლმხედველობას, რომლის მიხედვით ერთი სქესი მეტად ღირებულია ვიდრე სხვა, ასევე იმას თუ რისი კეთების უფლება აქვთ ან არ აქვთ ბიჭებს და გოგონებს.

სექსუალური ორიენტაცია — ემოციური, სექსუალური ან/და რომანტიკული მიზიდულობის მყარი მოდელი. სექსუალური ორიენტაცია მოიცავს სამ კომპონენტს: ლტოლვა, ქცევა და თვითიდენტიფიკაცია. ყველაზე ხშირად სექსუალურ ორიენტაციას აღწერენ შემდეგნაირად: ჰეტეროსექსუალობა - მიზიდულობა საპირისპირო სქესის მიმართ; ჰომოსექსუალობა - მიზიდულობა იმავე სქესის მიმართ; ბისექსუალობა - მიზიდულობა სხვადასხვა სქესის თუ გენდერის მიმართ, ასექსუალობა - მიზიდულობის ან არ არსებობა ან ნაკლებად გამოხატული მიზიდულობა, არომანტიკულობა - რომანტიკული მიზიდულობის არ არსებობა.

სისგენდერი — ტერმინი გამოიყენება იმ პირთა მიმართ, ვისი გენდერული იდენტობაც შესაბამისობაშია დაბადებისას მინიჭებულ სქესთან.

ტრანსგენდერი — ადამიანი, რომლის გენდერული იდენტობა განსხვავდება დაბადებისას მინიჭებული სქესისგან.

ტრანსფობია — ტრანსგენდერი ადამიანების მიმართ ნეგატიური წინასწარგანწყობები და დამოკიდებულება, შიში, დისკომფორტი და ზიზღი.

ტრანზიცია — გენდერის საკუთარი, შინაგანი, განცდის მიხედვით გენდერული ექსპრესიის (მაგ. ჩაცმულობის, ვარცხნილობის, ხმის ტემბრის, სხეულის ენის), პიროვნების მაიდენტიფიცირებელ დოკუმენტებში სახელის ან/და გენდერის შესახებ ჩანაწერის ცვლილება, ზოგიერთ შემთხვევაში ასევე სასქესო ნიშნების ცვლილება ჰორმონალური თერაპიის, ქირურგიული ჩარევის საშუალებით.

ქამინგ აუთი (Coming Out ინგლ.) — პროცესია, რომელსაც გადიან ლგბტქი+ ადამიანები, საკუთარი სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის მიღების და სხვა ადამიანებთან გაზიარების გზაზე. თუ როგორ წარიმართება ეს პროცესი ძალიან ინდივიდუალურია ყოველი ცალკეული შემთხვევისთვის.

ქვიარი — ქოლგა ტერმინი, რომელიც გამოიყენება ლგბტქი+ ადამიანების აღსანიშნავად, ჯგუფის ყველაზე ფართო სპექტრის მრავალფეროვნების გათვალისწინებით.

ჰეტერონორმატიულობა — ისეთი წარმოდგენების, დამოკიდებულებების, რწმენების და ქცევების ნორმალიზება, რომელთა მიხედვით ყველა ადამიანი უნდა იყოს ჰეტეროსექსუალი, არსებობს მხოლოდ ორი საპირისპირო გენდერი (ქალის და კაცის), ხოლო სექსუალური ურთიერთობები, ასევე ქორწინება მხოლოდ საპირისპირო გენდერის მქონე ადამიანებს შორისაა მისაღები.

ჰეტეროსექსუალი — ადამიანი, რომელსაც ემოციური, რომანტიკული ან/და სექსუალური მიზიდულობა აქვს საპირისპირო სქესის ან გენდერი ადამიანების მიმართ.

ჰომოსექსუალი — ადამიანი, რომელსაც ემოციური, რომანტიკული ან/და სექსუალური მიზიდულობა აქვს თავისი სქესის ან გენდერის ადამიანების მიმართ.

ჰომოფობია — ნეგატიური წინასწარგანწყობები და დამოკიდებულება, შიში, დისკომფორტი, ზიზღი ლესბოსელი, გეი და ბისექსუალი ადამიანების მიმართ.

ანასტასია კარტოზია

მომწონს ჩემი ქვიარობა და მედამაზება

მე ანასტასია კარტოზია ვარ, იგივე ტასა, 19 წლის. ვსწავლობ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ვარ ქვიარი, აქტივისტი და ამბიციური ადამიანი.

ბულინგი

11 წლის ვიყავი, როდესაც მივხვდი, რომ გოგოები მომწონდა. არ მახსოვს, ზუსტად რას ვგრძნობდი იმ დროს, მაგრამ საკუთარი თავის მიმართ მიუღებლობა ან სირცხვილის გრძნობა არასდროს მქონია. ეს ამბავი ძალიან ბუნებრივად მივიღე და ვერაფრით წარმომედგინა, რა რეაქცია შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ ყველაფერს. საბოლოოდ, ამ რეალობას საკმაოდ მწარედ შევეჯახე.

ხშირად, როდესაც ასაკით ჩემზე უფროს ქვიარ ადამიანებს ვესაუბრები, მეუბნებიან, რომ ქვიარად ყოფნაზე ფიქრი და ქამინგაუთი გვიან დაიწყეს. მე კი, ზედმეტად ადრე მომიწია – მე-8 კლასში ვიყავი, როდესაც „დამააუთეს“ და ყველაფერს ერთდროულად შევეჯახე. იმ დროისთვის თანატოლებსა და კლასელებთან უკვე საკმაოდ დაძაბული ურთიერთობა მქონდა, ჩემი ქვიარობის ამბავი მაშინ არავინ იცოდა, მაგრამ უბრალოდ არ მოვწონდი - მაბულინგებდნენ გარეგნობის და იმის გამო, რომ „ზანუდა“ ვიყავი...

პირველი ქამინგაუთი ჩემი კლასელის უმცროს დასთან მქონდა, რომელსაც ძალიან ვენდობოდი. კარგად მიიღო და ამ პატარა კომფორტის ზონაში ყოფნამ ძალიან ბედნიერად მაგრძნო-

ბინა თავი. შემდგომ მოხდა ისე, რომ ამის შესახებ მთელმა სკოლამ გაიგო. 12 წელი ახალი შესრულებული მქონდა, რომ მეკითხებოდნენ როგორ მქონდა სექსი, მისვამდნენ რელიგიასთან დაკავშირებულ კითხვებს. გაშტერებული ვიყავი და ვერ წამომედგინა რა უნდა მეპასუხა. წამოვიდა როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური და სექსუალური ხასიათის ბულინგის უზარმაზარი ტალღა. ჩემი ყოველდღიური რეალობა ასეთი იყო - სკოლაში სიარული, რომელშიც ძალიან ნეგატიური გარემო მხვდებოდა. მაშინ ამასთან გასამკლავებლად არანაირი რესურსი არ გამაჩნდა და არც არავინ იყო ჩემ გარშემო, ვინც ჩემთვის მაგალითად გამოდგებოდა, ვიზეც ვიტყოდი, რომ ჩემნაირია და მაინც კარგი ცხოვრება აქვს, ამაყია საკუთარი თავით... ძალიან ცუდ დღეში აღმოვჩნდი. სხვათა შორის, ჩემს სკოლაში სხვა ქვიარებიც სწავლობდნენ, რომლებიც მაშინ „დაქამინგაუთებულები“ არ იყვნენ. დღეს, როცა მათთან ვსაუბრობ, საინტერესოა იმაზე დაკვირვება, თუ როგორ განსხვავდება მათი გამოცდილება ჩემისგან. იმ დროს სკოლისთვის ფენომენი ვიყავი, ჩემნაირი ბავშვები „აუთ“ არ იყვნენ და ნანახი არ ჰყავდათ. ამის გამო თავს იზოლირებულად ვგრძნობდი.

დროთა განმავლობაში, აგრესიული და გულჩათხრობილი გავხდი, მენტალურად ცუდად ვიყავი და საკუთარი თავის დაზიანებაც დავიწყე. შევწყვიტე სკოლაში სიარულიც. მთელი მერვე კლასის განმავლობაში, ვალაგებდი ჩანთას, სახლიდან გავდიოდი, მაგრამ სკოლაში არ მივდიოდი. ეს იცოდა, ყველამ, ვისაც პასუხისმგებლობა უნდა გამოეჩინა, მათ შორის, დირექციამაც. ზრდასრულმა ადამიანებმა, რომლებიც ამ ამბებს შეესწრნენ, არაფერი მოიმოქმედეს, პირიქით – მიჩქმალეს. ამ სკოლიდან გადასვლისას, დირექტორმა თავის კაბინეტში დამიბარა და მითხრა, რომ მიუხედავად მთელი წლის გაცდენებისა, ყველა საგანში მაინც 10-იანებს დამიწერდნენ. მაშინ ეს მისი მხრიდან კეთილ ჟესტად მივიღე, მაგრამ მერე მივხვდი, რომ, უბრალოდ, არ უნდოდა, მესაუბრა.

ოჯახი

მაშინ ამ თემაზე ოჯახთან არ მისაუბრია. ჩავთვალე, რომ ყველაფერი მარტოს უნდა ამეტანა და ამას დღემდე ვნანობ – ვნანობ, რომ დახმარება არ ვითხოვე და სიმართლე არავის ვუთხარი. ჩემი ოჯახისგან ვდისტანცირდი, ბევრი წელი არ ველაპარაკებოდი და ზედაპირული ურთიერთობა გვქონდა. მათთვის „ცოტა პრობლემური“ ბავშვი ვიყავი და ბოლომდე ვერ ხვდებოდნენ, რა ხდებოდა ჩემ თავს და ჩემ გარშემო.

დედაჩემმა ეს ამბავი მოგვიანებით მაინც გაიგო სხვებისგან და ძალიან მძიმედ მიიღო. არა იმიტომ, რომ ლესბოსელი ვიყავი, არამედ უფრო იმიტომ, რომ არ მივედი და დაველაპარაკე. მან იმ სიტუაციაში ვერაფერი გააკეთა და ვიცი, რომ ამას დღემდე ვერ პატიობს საკუთარ თავს, ამ წარსულს ვერაფრით შორდება. მე პატარა ვიყავი და ყველაფერი ჩემი ბრალი მეგონა, მივიჩნევდი, რომ თავად უნდა გავმკლავებოდი და არ მინდოდა მის თვალში ცუდი ადამიანი ვყოფილიყავი. ახლა როდესაც ვფიქრობ, თუ რას გააკეთებდა დედაჩემი სიმართლე რომ მეთქვა, ალბათ, პირველ რიგში, გარემოს შეცვლაში დამეხმარებოდა. როცა სკოლა და გარემო მართლა შევიცვალე, ჩემს ცხოვრებაშიც ბევრი რამ უკეთესობისკენ შეიცვალა – უკვე აღარ ვფიქრობდი, რომ იმ სკოლაში სამუდამოდ ვიქნებოდი გაჭედილი და ეს არასდროს დამთავრდებოდა.

პატარაობისას მთელი ოჯახისთვის ძალიან ბედნიერი, კარგი ბავშვი ვიყავი, ვგიჟდებოდი ლაპარაკზე, ფუსფუსზე, ყოველთვის პოზიტიურ ენერგიას ვასხივებდი. შემდგომ ისე დალაგდა, რომ თითქმის აღარ ვიცინოდი, უბედურად ვგრძნობდი თავს. თუ რამე წამართვეს, სწორედ ესაა – ბუნებრივი სილაღე. ახლა მგონია, რომ ნელ-ნელა ამ ტრავმების გაშვება დავიწყე, საკუთარ თავს ვიბრუნებ და მიხარია.

საკუთარი თავის ყველაზე დიდი მხარდამჭერი

ქვიარობის გამო არავინ დამიკარგავს. მეგობრებიც ღიად ქვიარობის პერიოდში გავიჩინე, მანამდე უფრო მარტოსული ვიყავი. ყველა ურთიერთობა, რომელიც წამოვიწყე, ამ მოცემულობაში წამოვიწყე. არ მინდა ჩემს ცხოვრებაში ისეთი ადამიანი არსებობდეს, რომელიც არ მიმიღებს ბოლომდე ისეთს, როგორიც ვარ.

რეალურად, ყველაზე რადიკალური, რაც შეიძლება გააკეთო, არის საკუთარი თავის შეყვარება, არა რაღაცების მიუხედავად, არამედ სწორედ ამ რაღაცებით, აბსოლუტურად ყველაფრით. ხალხისთვის რამის თქმა თუ მინდა, სწორედ ესაა. როცა ამ გზის გავლა მე მომიწია, როგორც დედაჩემი ამბობს, ავირჩიე, ეს გზა მარტოს გამევლო, გავხდი საკუთარი თავის ყველაზე დიდი მხარდამჭერი. ვამბობდი, თუ სხვას არ მოვეწონები, მე მაინც მომეწონება საკუთარი თავი-მეთქი. ზუსტად ამან გადამარჩინა – არავის მივეცი უფლება, ეკარნახა იყო თუ არა ჩემი ადგილი რომელიმე სივრცეში. დღეს მე თვითონ ვიქმნი საკუთარ ადგილს.

ჩემი ქვიარობის შესახებ ყველამ იცის და არავისთან ვმალავ, არავის გამო არ ვიკავებ თავს. ჩემი გამოცდილებებიც ამის გარშემო აეწყო – როდესაც ყველაფერი თავიდანვე მაგიდაზე დევს, ყველას ნამდვილი სახეც სწორედ მაშინ ჩანს. თან, საკმაოდ თავდაჯერებული ადამიანი ვარ, ჩაგრულის როლში ყოფნა არ მომწონს და მგონია, რომ ის სივრცე, სადაც ვარ, ჩემ გარშემო ეწყობა. მაგალითად, უნივერსიტეტის პირველ კურსზე რომ მივედი, თავად შევქმენი ისეთი გარემო, სადაც ჰომოფობია „არ მოსულა“ და ახლა ისეა, რომ თუ ვინმე რამე ჰომოფობიურს იტყვის, ეს სხვებისთვისაც უსიამოვნო იქნება. შესაბამისად, უნდა მოითხოვო, რომ შენ გარშემო სივრცე მყარი იყოს და გარეთ არ დარჩე.

სხვათაშორის, ხშირად ვაკვირდები, რომ უფროსი ასაკის ქვიარ ადამიანებს უფრო

უჭირთ თავის დამკვიდრება. მე, მაგალითად, არ მიყვარს კლუბური სივრცეები და კულტურა, არადა თითქოს როგორი რელევანტურია – ამბობენ, რომ ეს არის ერთადერთი სივრცე, სადაც შეგიძლია სრულად საკუთარი თავი იყო. მე ეს არ მომწონს, რადგან მინდა ყველგან საკუთარი თავი ვიყო.

სექსიზმი და ჰომოფობია

როცა ვფიქრობ, თუ რა ბარიერებს აწყდებიან ცხოვრებაში ქალები, უპირველესად, ოჯახში ძალადობა, სექსუალური ძალადობა და ეკონომიკური ჩაგვრა მახსენდება. მერამდენე საუკუნეა ეკონომიკური დამოუკიდებლობის საკითხი კვლავაც აქტუალურია, ჯერ კიდეც როდის წერდნენ ამაზე, არადა პრობლემას დღემდე ვხედავთ. დღესაც მყავს ნაცნობები, რომლებსაც ეუბნებიან, სად ჩააბარონ, ფეხმძიმე ქალი შეიძლება სამსახურიდან გააგდონ, ან სულაც არ დაასაქმონ და მრავალი მსგავსი შემთხვევა, რომლისგანაც წესითა და რიგით, კანონით ძალით ვართ დაცულნი. თუმცა, მნიშვნელოვანი

ისაა, რომ ხშირად ეს კანონები პრაქტიკაში არ ითარგმნება.

თავს ქალად არ ვაიდენტიფიცირებ, უბრალოდ, საზოგადოება ასე აღმიქვამს და გამოცდილებებიც შესაბამისი მაქვს. ოჯახში ძალადობასა და სექსუალურ ძალადობაზე ფიქრისას სულ იმაზე მეფიქრება, თუ როგორი განსხვავებულია ეს ჩვენს შემთხვევაში. სამყაროში, სადაც ქალობა ასე პირდაპირაა დაკავშირებული კაცებთან და მეტიც, სადაც ქალობა ვერ განისაზღვრება კაცების გარეშე, ჩვენი ცხოვრება კაცებს არ უკავშირდება. შენ შენს ქალობას კაცებისგან განყენებულად განიხილავ და ამის

პასუხად დიდ ბრაზს იღებ. თუ ლესბოსელი ხარ, აუცილებლად გკითხავენ გიცდია თუ არა კაცთან ურთიერთობა. მუდმივად კითხვის ნიშნებია, თუ როგორ ბედავ კაცები არ მოგწონდეს. სექსიზმისა და ჰომოფობიის ეს საინტერესო ნაზავი სულ იგრძნობა.

ქვიარების რეპრეზენტაცია

ძალიან ამბიციური ადამიანი ვარ და მინდა ამ ქვეყანაშიც ყველაფერი მქონდეს. რას ნიშნავს ჩემთვის თავისუფალი ცხოვრება? მქონდეს წარმატებული კარიერა თუნდაც პოლიტიკური, და ჩემს სექსუალურ ორიენტაციას ამაზე გავლენა არ ჰქონდეს; მყავდეს ოჯახი, ბავშვები; არ ვნერვიულობდე რომ ჩემს პარტნიორთან ერთად ქუჩაში გასვლისას, ვინმე რამეს მეტყვის ან და ვნებს; არ მქონდეს შიში, რომ პროფესიულ წარმატებას ვერ მივაღწევ, იმიტომ რომ ხალხი არ მიმიღებს.

გამოსავალი ქვიარ ადამიანების რეპრეზენტაცია მგონია. კონსტიტუციის კითხვისას ვხედავ, რომ აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, რელიგიის და „სხვა ნიშნების“ მიხედვით. მე არ მინდა, გავდიოდი „და სხვა“ კატეგორიაში. ამისთვის, უპირველესად, მყარი უნდა გახდეს ამ საკითხებზე სახელმწიფოს პოზიცია. თუმცა, სამწუხაროდ, პოლიტიკოსების უდიდესი ნაწილი პოპულისტია და მათთვის მე და ჩემნაირი ადამიანები ზედმეტი თავის ტკივილი არიან და ამ თემაზე საუბარსაც კი თავს არიდებენ. ქვიარ ადამიანებზე თავდასხმის არაერთი ქეისია, რომელიც ნორმალურად არც კი აღირიცხება, ან თუ აღირიცხება, სათანადო რეაგირება არ მოჰყვება ხოლმე. ამ საკითხს უფრო მკაცრად უნდა მიუდგნენ და არა თავდამსხმელების 100 ლარის სანაცვლოდ გამოშვებით. ასეთი შემთხვევები ჩემზე ძალიან მოქმედებს, ძალიან განვიცდი.

ქვიარ თემზე იმის თქმა მინდა, რომ ძალიან არ მომწონს, დაყოფილები რომ ვართ. ხშირად მესმის, რომ ვიღაცებს არ მოსწონთ ერთმანეთი, ერთმანეთის მიდგომა, ქვიარ პოლიტიკა და ა.შ. ეს ძალიან მაწუხებს. თემის შიგნით დაპირისპირებებს უნდა მოვეშვათ და ერთმანეთს მოვუფრთხილდეთ, დანარჩენი კი, ბუნებრივად მოვა. რასაც ვხედავ, ახალი თაობები ნაკლებად ეგუებიან სტიგმას, ბევრად უფრო მიმღებლურები, საკუთარ თავში მეტად გარკვეულები და თავდაჯერებულები არიან.

იმ ხალხმა, რომელიც ამბობს რომ ამას საქართველოში არ დაუშვებს, თავიანთი დრო მოჭამეს. ჯერ თუ არ არის ასე, მალე აუცილებლად იქნება. მოდის ახალი თაობა, რომლის ღირებულებებიც რადიკალურად განსხვავებულია. ეს ბუნებრივი პროცესია, რომელსაც ვერ შეაჩერებ ხელოვნური შეზღუდვებით.

„მხოლოდ გადარჩენა არ მინდა - მინდა, ვიცხოვრო“

ახლა ვცდილობ სხვა ახალგაზრდებს დავეხმარო არ გამოიარონ ის საშინელებები, რისი გამოვლაც და საიდანაც საკუთარი თავის ამოთრევაც მომიწია. მინდა მინიმუმ გავუადვილო მათ ამ პოზიციაში ყოფნა. გარდა იმისა, რომ საკუთარი თავი შევიყვარე, ჩემს ტრავმებთან გასამკლავებლად ისიც დამეხმარა, რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში უამრავ ახალგაზრდა ადამიანთან მილაპარაკია და არაერთს უთქვამს ჩემთვის მადლობა, რის გამოც ძალიან ვამაყობ საკუთარი თავით. რაც მე თვითონ არ მქონდა და მჭირდებოდა, ის მოვახერხე სხვებისთვის; ის ენერგია, რომელიც ბრაზისა და გაბოროტებისგან მქონდა, ჩავდე ისეთი რაღაცისკენ მივმართე, რაც სხვებს ეხმარება.

ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, ქვიარ საკითხები მაინტერესებს და ამაზე ვმუშაობ. ყველაფერს ვეჭიდები და საკუთარ თავს დანებების უფლებას ვერ მივცემ. ვერ დავჯდები და ხელს ვერ ჩავიქნევ. მე თუ არა, სხვა ვინ გააკეთებს ამ ყველაფერს?! კი, ძალიან ბევრი გარემო ფაქტორია, რომელიც გზღუდავს, მაგრამ, საბოლოოდ, თავის ცხოვრებაზე პასუხისმგებელი მაინც ინდივიდია და მას შეუძლია ცხოვრება იმ მიმართულებით წაიყვანოს, რა მიმართულებითაც უნდა.

უნდა იპოვო შინაგანი ძალა რომ გარემოს მიუხედავად, საკუთარ თავს ლიმიტები არ დაუწესო. მე მხოლოდ გადარჩენა არ მინდა — მინდა, ვიცხოვრო.

ჩვენი ცხოვრების ნარატივი

ყველაფერი ნარატივის საკითხია. ჩვენი ცხოვრების ნარატივს ჩვენ თვითონვე ვქმნით და მსხვერპლის ნარატივი მე არ მომწონს. კი, მართალია, რომ ვიჩაგრებით და ეს საკუთარ თავზე ძალიან მწარედ გამოვცადე, თუმცა მე მომწონს საკუთარი თავი, მომწონს ჩემი ქვიარობა, მელამაზება და ძალიან ბევრ მაგარ რაღაცას ვპოულობ მასში. მომწონს ქვიარ თემატიკის რეპრეზენტაცია ფილმებსა და ანიმაციებში, ნამდვილ ადამიანებში, მათ ისტორიებში, ქვიარ მოძრაობებში... შეიძლება რომანტიზებას ვახდენ, მაგრამ, ჩემი აზრით, ცოტა რომანტიზება ამასაც სჭირდება. მინდა, ადამიანები თავიანთ ქვიარობას შეხედონ არა როგორც რაღაც დამამძიმებელსა და ისეთს, რაც მათ უკან ხევს, არამედ პირიქით. მოვიტყუები თუ ვიტყვი, რომ არასდროს მიფიქრია, ნეტავ „სთრეითი“ ვიყო-მეთქი და არ დავფიქრებულვარ იმაზე, რა მარტივი იქნებოდა ჩემი ცხოვრება, მაგრამ დღეს საკითხს ასე ვსვამ – რას მმატებს ჩემი იდენტობა. ეს არის ჩემთვის მთავარი ხაზი.

ხშირად მიგრძნია, რომ ხალხისთვის ზედმეტად „ჩემი თავი“ ვარ. ყოველთვის მაგრძნობინებდნენ, რომ ცოტა უნდა დავმშვიდებულიყავი, ჩემი გამოხატვის სიმძაფრისთვის ჩამეწია, თორემ გარემოს ვერ მოვერგებოდი. მეც ვფიქრობდი ამაზე, მაგრამ ცოტა ხნის წინ თბილისი პრაიდმა ქვიარ შეკრებაზე გამიშვა და იქ ყველას ძალიან მოსწონდა ჩემი ეს გამოხატვის სიმძაფრე. ისე მინდა გამოვიყურებოდე, როგორც თავს ვგრძნობ – ჩემი გაკეთებული ძალიან დიდი სოკოს ქუდი მეხურა.

მინდა, ყოველთვის ამ დონეზე საკუთარი თავი ვიყო.

ინტერვიუს ავტორი: ნინო ურუშაძე

▶ გოჩა გაბოძე

უნდა იბრძოდე სხვებისთვისაც, ეს ბევრად აძღიერებს თემს

მე ვარ გოჩა გაბოძე, 32 წლის, ქვიარ აქტივისტი. ამჟამად ვმუშაობ პოლიტიკურ პარტია დროაში და ვარ სოციალური პოლიტიკის მდივანი.

მაინტერესებენ ადამიანები, განსაკუთრებით განსხვავებული ადამიანები.

ბავშვობა

ბავშვობა 90-იანი წლების თბილისში, იტალიური ეზოს ტიპის ბინაში გავატარე, სტანდარტულ უშუქობასა და უგაზობაში. თუმცა ის პერიოდი და მაშინდელი ურთიერთთანადგომა მაინც კარგად მახსენდება – სერიალები, მუსიკა, ძიების პროცესი... ბედნიერი ბავშვობა მქონდა, მიუხედავად იმისა, რომ თან ეკონომიკური სიდუხჭირე ახლდა.

ქვიარობა ადამიანის დაბადებითი მდგომარეობაა, უბრალოდ, სხვადასხვა ადამიანი, სხვადასხვა დროს არქმევს მას სახელს. ბავშვობაში მივიჩნევდი რომ ამის ხაზგასმა და აფიშირება საჭირო არ იყო, მიმაჩნდა, რომ ეს ისედაც ნათელია.

ჩემ შემთხვევაში გამოხატულება იყო, მაგალითად, ხმის ტემბრი, რომელიც ნაკლებად მასკულინური მქონდა. ეს ის ასაკია, როცა ადამიანები განსხვავებულობას განსაკუთ-

რებული სიმძაფრით აღიქვამენ, თუმცა ეს არ მაკომპლექსებდა. მყავდა ძალიან ახლო მეგობარი კლასელები და ისინი ყოველთვის მხარს მიჭერდნენ, ერთმანეთს ვეხუმრებოდით ხოლმე, თუმცა ამას ბულინგის სახე არ ჰქონია. მე თვითონაც ძალიან მიყვარდა საკუთარ თავზე სიცილი და ვფიქრობ საკუთარ თავზე ხუმრობა რომ შეგიძლია, კარგი თვისებაა. შეიძლება, ეს ერთგვარი ტაქტიკაც იყო. ახლა ამას აღარ ვიყენებ, არ მჭირდება, მაგრამ მაშინ, როცა ვხედავდი, რომ ადამიანები ჩემ გარშემო მხიარული გარემოს შექმნას ცდილობდნენ, მეც ვიწყებდი საკუთარ თავზე მხიარულებას და ეს ყოველთვის ამართლებდა.

ამავდროულად, ჩემი ინტერესები ყოველთვის იყო დაკავშირებული ხელოვნებასთან: ვხატავდი, მიყვარდა მუსიკა, ვუყურებდი ფილმებს, ვკითხულობდი ჟურნალებს, შემგროვებელი ვიყავი... ელტონ ჯონი, მადონა და მისი ქვიარ-მეგობრული შემოქმედება ჩემთვის დიდი მოვლენა იყო, ასევე, ინსპირაციის წყარო იყო ფრედი მერკური, ქვინი. ხელოვნება იყო ის მედიუმი, საიდანაც ვიღებდი პასუხებს იმ კითხვებზე, რომლებიც თინეიჯერობის ასაკში მქონდა. იმ პერიოდში ლათინოამერიკულ სერიალებში თუ შეხვდებოდი ქვიარ პერსონაჟებს, ახლა ნეტფლიქსი არსებობს, სადაც, ჩემი აზრით, ცოტა გადაჭარბებულად, მაგრამ მეტ-ნაკლებად სწორი ფორმით ხდება ქვიარების რეპრეზენტაცია და ამის ჩუმ-ჩუმად ყურება აღარ გიწევს.

თინეიჯერობის დროს, როცა მარტო რჩები და კითხვებზე პასუხებს ეძებ, მაინც გეფიქრება იმაზე, რატომ არ ხარ შენც სხვებივით. ამასთან დაკავშირებული დეპრესიები ალბათ ყველას აქვს, მაგრამ მე მხარდამჭერი ადამიანები მყავდა გვერდით – სამეგობრო, მასწავლებლები. ხშირია ისტორიები, როდესაც პირიქით ხდება, თუმცა მე კარგი გამოცდილება მაქვს. სკოლაში იყვნენ მასწავლებლები, რომლებიც ცდილობდნენ, მიუხედავად განსხვავებულობისა, ერთმანეთთან ურთიერთობა და პატივისცემა გვესწავლა, ეს დღემდე მოგვყვება. შეიძლება, ოჯახი არ აძლევდეს ადამიანს იმდენს, რამდენსაც სკოლა და სამეგობრო, ამიტომ მგონია რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საჯარო სკოლებს, მასწავლებლობა კი არის ის პროფესია, რომელიც უნდა ზრდიდეს მოქალაქეებს და ქმნიდეს საზოგადოებას, რომელიც სწორ ღირებულებებს დაეფუძნება.

ვარდისფერი სათვალე

ქამინგაუთი 20-21 წლის ასაკში მქონდა. როდესაც ადამიანები კითხვების დასმას იწყებენ, ან თამაში უნდა დაიწყო, ან პასუხი გასცე. ჩემს შემთხვევაში, პასუხი გავეცი. არასდროს მიყვარდა, როდესაც ზურგს უკან საუბრის თემა ჩნდებოდა. ამ ასაკში უკვე ბლოგი მქონდა, სადაც ისეთ თემებზე ვწერდი, რომლებიც დღემდე მაინტერესებს – ადამიანებზე, რომლებიც ამა თუ იმ ნიშნით განსხვავდებიან, ეს ყოველთვის იყო ჩემთვის ინტერესის საგანი. ჩემს ბავშვობისდროინდელ ნახატებსაც რომ ვუყურებ, იქაც არ არის ტიპური ქალი და კაცი, აბსტრაქციებს ვხატავდი, რომლებსაც სქესს თითქმის არასდროს ვანიჭებდი. ადამიანებს სქესი არ ჰქონდათ და მომწონდა ეს ნეიტრალურობა.

იმ პერიოდში სხვა ქვიარებიც გავიცანი. ფეისბუქი და ღია თუ ანონიმური ბლოგები არსებობდა, სადაც ქვიარები საკუთარ ამბებს წერდნენ და ეს ჩემთვის მათთან დამეგობრების საშუალებად იქცა. იყო სივრცეები, სადაც ვიკრიბებოდით, ამას ფსიქოლოგიური გაძლიერების ეფექტიც ჰქონდა და პარალელურად, ახალი ურთიერთობებიც ყალიბდებოდა – ახალ ადამიანებს იცნობ და ის შფოთვები, რომლებიც გაქვს, ქრება. ერთმანეთს ვაძლიერებდით, თუნდაც უთქმელად. ასეთი შეხვედრებიდან ბევრად განსხვავებული განწყობით გამოვდიოდით, ვიდრე სოციუმში ვიყავით ხოლმე. ვიყავით უფრო მხიარულები და ლაღები, თითქოს ადამიანები ნიღბებს გარეთ ტოვებდნენ და ის ჩარჩოები, რომლებსაც საზოგადოება სთავაზობდა, დროებით ქრებოდა.

ძირითადად თინეიჯერები ვიყავით, ვინც რაღაც ტიპის კონტენტს ვქმნიდით, ესეც თვალსაწიერის გაფართოების საშუალება იყო და იმ პერიოდში თითქოს ვარდისფერი სათვალეც მოვირგე. მაშინდელი მთავრობაც არატოლერანტული იყო, თუმცა იყვნენ ქვიარ-მეგობრული ადამიანებიც, რომლებიც საჯარო განცხადებებშიც ასე პოზიციონირებდნენ, ამიტომ მქონდა ილუზია რომ, კი, საზოგადოების რაღაც ნაწილში არსებობს პრობლემა, მაგრამ ეს მოგვარებადია. მეგონა, რომ ის, რაც ადამიანებში თუნდაც 2013 წლის 17 მაისს ვნახე, წარმოუდგენელი რამ იყო.

17 მაისი

რეალობას პირველად 2012 წლის 17 მაისს შევეჯახე, როდესაც სტაჟირებას რადიო თავისუფლებაში გავდიოდი და 17 მაისის მსვლელობას ვაშუქებდი. რომელიღაც ეკლესიის მრევლმა დაინახა მსვლელობა და ნახევარ

ფოტო 2021 წლის 6 ივლისის საპროტესტო ღვბტქი აქციიდან

საათში კონტრდემონსტრაცია დაორგანიზდა. ვხედავდი, როგორ ქრებოდნენ ერთი მეორეს მიყოლებით ქვიარ აქტივისტები – პოლიციამ, რომელსაც კონტრდემონსტრანტები უნდა გაენეიტრალებინა, ქვიარ აქტივისტების გარიდება სცადა. თუმცა მეორე დღეს მაინც მოხერხდა გარკვეული ტიპის აქციის გამართვა.

შემდეგ უკვე იყო 2013 წლის 17 მაისი, რომელიც დღემდე ტრავმად დამყვება. მაშინ, ფაქტობრივად, წამებმა გადაარჩინა ჩვენი სიცოცხლე. იქ როგორც აქტივისტი, ისე ვიყავი. ალბათ უფრო ორგანიზებულნი უნდა ვყოფილიყავით, მაგრამ ბოლომდე არ გვქონია გაცნობიერებული ის რისკები, რომლებიც იქითა მხარიდან გამომდინარეობდა.

მაშინ სახელმწიფომ და ეკლესიამ ძალის დემონსტრირება გადაწყვიტეს. ამ შემთხვევაში ქვიარები ამ ორი ხელისუფლების ურთიერთჯახის უბრალო გამტარებად და საბაბად ვიქეცით. მსგავს საბაბად სხვადასხვა ჯგუფი იქცევა ხოლმე, მაგალითად, 90-იან წლებში ასეთ ჯგუფს ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენდნენ და საზოგადოების ზიზღიც სწორედ მათკენ იყო მიმართული. მაშინ საქართველოს მოქალაქე ეთნიკური უმცირესობის ათასობით წარმომადგენელმა დატოვა ქვეყანა და უმძიმესი გზა გაიარა. შემდგომში ეს პროპაგანდა ქვიარებზე გადმოვიდა და ჩვენი სახით, ახალი დემონი შეიქმნა. დიქტატორულ რეჟიმებს სჭირდებათ მტრის ხატი, რომელიც ხშირად ცვალებადი და მასების სამართავი ინსტრუმენტია. არც ჩვენი მთავრობები არიან შორს ამისგან და სწორედ ასეთ პოლიტიკას ირჩევენ. იქ სახელმწიფომ არ დაიცვა უსაფრთხოება და ეს იყო გამიზნული, შეთანხმებული ქცევა.

იგივე მოხდა 5 ივლისსაც, ეს ყველაფერი კი, უშიშროების სამსახურის მიერ იმართება. როცა მსგავს აქტივისტურ ღონისძიებებში ვართ ჩართული, ყოველთვის ვგრძნობთ სუს-ის სუნთქვას თუნდაც ჩვენს ტელეფონებში, თუნდაც ამყოლ მანქანებზე და ამ პროცესებს მართავს უსაფრთხოების სამსახური, რომელიც მოძა-

ლადე ჯგუფების უკან დგას. ეს მოძალადე ჯგუფები ხან სკინჰედები, ხან ქართული მარშის წევრები და ხანაც ალტ-ინფო არიან. ჩვეულებრივი პროექტები, რომლებსაც სახელმწიფო მასების სამართავად და იარლიყების ასასხლეტად ქმნის და პროპაგანდისთვის იყენებს.

არა მხოლოდ ქვიარ აქტივიზმი

ქართული ქვიარ აქტივიზმი 2011 წლიდან ჩემ თვალწინ ვითარდებოდა. მანამდეც არსებობდა შეხვედრის სივრცეები, მაგრამ ეს ყველაფერი საჯარო 2011 წლიდან გახდა, როდესაც მტკვარზე ყვავილები გავუშვით. მას მერე ყველა აქტივობაში რაღაც ფორმით ვიღებდი მონაწილეობას.

ნაცვლად თემის კონსოლიდირებასა და მის გაძლიერებაზე მუშაობისა, ბევრ ისეთ საკითხზე რეაგირება გიწევს, რომელზე რეაგირებაც მხარდამჭერი სახელმწიფოს პირობებში არ მოგიწევდა. შესაბამისად, ახლაც თითქმის იმავე თემებზე ვსაუბრობთ, რაზეც პირველად, როდესაც ქვიარ ორგანიზაციაში მოვხვდი. უფრო სწორად, იმაზეც ვეღარ ვსაუბრობთ, რაზეც ადრე ვსაუბრობდით – ქორწინების თანასწორობაზე, შვილად აყვანის უფლებაზე, სხვა ქვეყნების გამოცდილებებზე ამ კუთხით. დღეს ეს თემები ქვიარ ორგანიზაციებისთვის ტაბუირებულია. არსებული რეალობიდან გამომდინარე, დღეს ქვიარებს მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებთან უწევთ გამკლავება და ეს ყველაფერი მეორე რიგის ამოცანებია. როცა საბაზისო საჭიროებებიც კი არ გაქვს დაკმაყოფილებული, თანასწორ უფლებებზე ვეღარ ოცნებობ.

ძალიან ხშირია ინტერნალიზებული ჰომოფობია. ვფიქრობ, ერთმანეთს გაძლიერებაში უნდა დავეხმაროთ და ამ ინტერნალიზებული ჰომოფობიის დაძლევის საუკეთესო გზაც საკუთარი გამოცდილების გაზიარებაა. ყველა ისტორია განსხვავებულია, შეიძლება ერთი ადამიანის გავლილი გზა მეორისთვის მაგალითად არ გამოდგეს – რეგიონებში, ეთნიკურ უმცირესობებში, შშმ პირებში, სხვადასხვა ოჯახებში სხვადასხვა გამოცდილებებია, თუმცა ამის გაზიარებას რაღაც შედეგი აქვს.

საზოგადოების მხრიდან სტიგმა არ მიემართება მხოლოდ ქვიარ ადამიანებს. როცა დავინახე, რომ სხვა ჯგუფებსაც მსგავსი ბარიერები ჰქონდათ, დავიწყე როგორც ჩემი, ასევე სხვა ადამიანების უფლებებისთვის ბრძოლა, სოლიდარობის გამოხატვა. წლების განმავლობაში სამუშაო და აქტივისტური ფორმით ვმუშაობდი შშმ პირთა საკითხებზე, რაზეც საკმაო ცოდნა დამიგროვდა. ვთვლი, რომ სოლიდარობა არის ის გზა, რაც საზოგადოებას, თემს ბევრად უფრო ძლიერს გვხდის. 17 მაისსაც მინახავს შშმ პირები დემონსტრაციებზე და მგონია, რომ სხვადასხვა ჯგუფების ეს ურთიერთსოლიდარობა,

ფოტო 2022 წლის 22 სექტემბრის ირანელი ქალების მხარდამჭერი აქციიდან.

ერთმანეთის გამოცდილების გაზიარება, ყველაზე მნიშვნელოვანია.

შეიძლება გამოცდილება განსხვავებული იყოს, მაგრამ პრობლემა ყოველთვის საერთოა. ჩემთვის ესეც აქტივიზმის ფორმაა, როდესაც არ მიიჩნევ, რომ მხოლოდ საკუთარი უფლებებისთვის უნდა იბრძოლო – უნდა იბრძოლო სხვებისთვისაც, ეს ბევრად აძლიერებს თემს და პიროვნულ ზრდაშიც გეხმარება.

დროა

ადამიანი არ შექმნილა იმისთვის, რომ სახელმწიფოს ემსახუროს, სახელმწიფოა შექმნილი იმისთვის, რომ ემსახუროს ადამიანს და ის ყველა ადამიანზე თანაბრად უნდა იყოს ორიენტირებული. არ უნდა არსებობდნენ პრივილეგირებული და ნაკლებად პრივილეგირებული ჯგუფები. როდესაც საქმე ადამიანის უფლებებს, სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ეხება, სახელმწიფო უნდა იყოს ადამიანების მიზნებისა და ოცნებების ასრულების ინსტრუმენტი.

მგონია რომ ქართული კულტურაც ტოლერანტულია, თუნდაც ვეფხისტყაოსანში, თუნდაც ქართულ თქმულებებში ბევრი ისეთი იდეის ნახვა შეგვიძლია, რომელიც ევროპისთვის მხოლოდ რენესანსის შემდგომ გახდა ღირებული. ჩვენი ღირებულებათა სისტემით არაფრით განვსხვავდებით განვითარებული ქვეყნების საზოგადოებებისგან. ის სტერეოტიპები, რომლებსაც დღეს ეროვნულ ღირებულებებად ასაღებენ, თავსმოხვეულია.

ქვიარობა არ არის განყენებული ცნება და ჩვენ ყველა საზოგადოებრივ აქტივობაში უნდა ვიყოთ ჩართულნი, მათ შორის, პოლიტიკაშიც. მივიჩნევ, რომ დღეს ქვიარ პოლიტიკა მნიშვნელოვანია და სწორედ ქვიარ პოლიტიკის დროა. ჩემთვის პოლიტიკური გაერთიანება დროა იყო ღირებულებათა სისტემის ერთობლიობა, რომელშიც საკუთარი თავი, შესაძლებლობები და ცვლილებების გზა დავინახე, რადგან ჩვენთვის მთავარი ადამიანია. დღეს, როგორც ამ პარტიის სოციალური პოლიტიკის მდივანი, ვმუშაობ სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებების შესწავლაზე, რასაც შემდგომ როგორც პარტიულ დოკუმენტებში, ასევე იმ საარჩევნო პროგრამებში ავსახავთ, რომლითაც ამომრჩევლის წინაშე წარდგომას ვაპირებთ.

გვსურს, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა გვქონდეს: ვეცნობით სხვადასხვა ორგანიზაციის კვლევებს, სახალხო დამცველის ანგარიშებს, ვაწარმოებთ გამოკითხვებსა და სიღრმისეულ ინტერვიუებს, რათა შემდგომ ამომრჩეველს, რომელთა შორისაც ქვიარ და შშმ პირთა თემი გვეგულება, გადაჭრის ჩვენეული გზები შევთავაზოთ. საარჩევნო პროგრამები ადამიანზე უნდა იყოს ორიენტირებული და ამომრჩევლებმა წინასწარ, კონკრეტულად უნდა იცოდნენ, როგორ გააუმჯობესებ მათ

ცხოვრებას, ეს აღარ უნდა იყოს დაყვანილი მხოლოდ სლოგანებზე. ეს სლოგანებიც ძალიან ხშირად მხოლოდ პოეზიაა, ნაკლები შინაარსით. ჩვენთვის მთავარი მამოძრავებელი ძალა არის ადამიანი და ამ ადამიანისთვის ახალი იდეების, რწმენის შეთავაზება.

პირველი ნაბიჯი აუცილებლად უნდა იყოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლა. ქვიარ ადამიანებს აქვთ განათლების მიღების ბარიერები, დასაქმების პრობლემები, მით უფრო, როდესაც ქამინგაუთი გაკეთებული აქვთ, ბევრი დამსაქმებელი თავს იკავებს მათი დასაქმებისგან. ასევე, შშმ პირს შეიძლება ჰქონდეს უმაღლესი განათლება, მაგრამ კომპანიამ მხოლოდ იმიტომ უთხრას უარი დასაქმებაზე, რომ ადაპტირებული საპირფარეშო არ აქვს. ადამიანებმა შეიძლება მრავალწლიანი შრომის რეალიზება ვერ მოახერხონ, რადგან არ არსებობს სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც სივრცეები იქნება ყველასთვის და არა მხოლოდ კონკრეტული ადამიანებისთვის. ავიღოთ თუნდაც ჯანდაცვის პოლიტიკა, სადაც ქვიარები მრავალ დისკრიმინაციას აწყდებიან. ნებისმიერი სერვისის მისაღებად კონკრეტულ ადგილებში უნდა მიხვიდე და მუდმივად ქვიარ-მეგობრულ ექიმს ეძებ, რაც წარმოუდგენელია. ადამიანები ქვეყნიდან გარბიან, ბევრი ჩემი მეგობარი ემიგრაციაში მიდის და ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე ემიგრაციის ამხელა ნაკადი ქვეყნისთვის დიდი პრობლემაა. საქართველო უნდა იყოს მიზიდულობის ცენტრი რეგიონში. ის უნდა იყოს თავისუფალი ქვეყანა, სადაც ყველა ადამიანი თავისი შესაძლებლობის რეალიზებას შეძლებს. სხვაგვარად ამ ქვეყანაში ცხოვრება შეუძლებელია.

ყოველ დღე არის ახალი შესაძლებლობა

ქვიარებს ვურჩევდი, არ დაკარგონ დრო იმაზე ფიქრში, რომ რაღაც არ გამოუვათ და მათი იდენტობა ბარიერი იქნება. კი, ყველას გვიწევს რთული ეტაპების გავლა, მაგრამ ეს უფრო ძლიერს გვხდის. საკუთარ თავზე უარის თქმა უფრო მძიმე პრობლემების წინაშე აყენებს ადამიანს, ვიდრე, თუნდაც პატარა ნაბიჯებით, საკუთარი თავის სიყვარულის სწავლა.

არ არის აუცილებელი, ერთ დღესაც ყველამ ხმამაღლა თქვას თავისი სექსუალური იდენტობის შესახებ, მაგრამ ყველას უნდა ჰქონდეს კომფორტულად ყოფნის სივრცეები. ადამიანებმა არასდროს უნდა თქვან უარი საკუთარ მიზნებსა და ოცნებებზე, ყოველი დღე კი, არის შესაძლებლობა ერთი ნაბიჯი გადადგა ამ ოცნების ასრულებისკენ.

ინტერვიუს ავტორი: ნინო ურუშაძე

▶ გიორგი ჟღენტი

ბისექსუალი ვარ და ჩემს იდენტობას სიამაყით ვიღებ

მე გიორგი ვარ, 20 წლის, ქალაქ ბათუმიდან.

გავიზარდე ბათუმის ყველაზე კოლორიტულ ნაწილში, ძველ ბათუმში, ე.წ. იტალიურ ეზოში. ზოგადად, ბათუმი გამორჩეულია ქალაქია თავისი კოლორიტულობითა და მრავალფეროვნებით, მაგრამ ქალაქის ამ ნაწილში განსაკუთრებით იგრძნობა ბათუმის სული, რომელიც წარუშლელად აისახება იქ მცხოვრებთა პიროვნულობაზე. იტალიური ეზო დასახლების ისეთი ტიპია, სადაც პირად და საჯარო ცხოვრებას შორის ზღვარი წაშლილია, სადაც კედლებიცა და კარიც კი პირობითია და მეზობლებმა ერთმანეთის შესახებ ყველაფერი იციან. ვერ ვიტყოდი, რომ ეს შემაწუხებელია, რადგან თავიდანვე ეჩვევი, რომ მეზობელი ოჯახის წევრია, შენზე ყველაფერი იცის, ერთმანეთზე ზრუნავთ; თუ გემრიელ კერძს მოამზადებს, აუცილებლად გაგასინჯებს, წვიმის დროს სარეცხს ჩამოგიხსნის და ავადმყოფობის დროს ათასგვარ წამალს შემოგაშველებს.

ბავშვობა შესანიშნავი იყო - მეგობრებთან ერთად ეზოში თამაში და წიგნები. მშობლები მაქსიმალურ თავისუფლებას მაძლევდნენ, არასდროს არაფერში მზღუდავდნენ და მაძლევდნენ საშუალებას, თავად მიმეღო გადაწყვეტილებები, ოღონდ პასუხისმგებლო-

ბაც ჩემ თავზე უნდა ამეღო. ამან ჩემს პიროვნებაზე ძალიან იმოქმედა, უამრავი საჭირო თვისება და დამოუკიდებლობაც შევიძინე.

ბავშვობის მოგონებებიდან ყველაზე დასამახსოვრებელი ჩემი კონსტრუქტორებია, რომლებითაც ქალაქებს ვაშენებდი, წარმოვიდგენდი, რომ მერი ვარ - ვქმნიდი ფულად ერთეულებს, ვაგებდი გზებს და ვოცნებობდი, რომ მომავალში ამას რეალურ ცხოვრებაშიც გადმოვიტანდი. იმ ასაკიდანვე ვიცოდი, რომ პოლიტიკოსობა მინდოდა და აზრი მას შემდეგ არც შემიცვლია.

ახლა თბილისში ვცხოვრობ, დედასთან ერთად, ვსწავლობ საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე. თავიდან აქაური „კორპუსული" ცხოვრება კომფორტულად მომეჩვენა. მეზობლები სახლში უკითხავად აღარ შემოდიოდნენ და პირადი ცხოვრებაშიც ნაკლებად ერეოდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში მივხვდი, რომ ბათუმური ეზო მენატრებოდა და რომ ჩემშიც არის ბათუმის დიდი კვალი.

სკოლა - ადგილი, სადაც სილაღეს კარგავ

ცუდი მოგონებები კი, სკოლას უკავშირდება. სამწუხაროდ, ქართული სკოლა საბჭოთა მემკვიდრეობის ნაწილია, სადაც ბავშვების სტანდარტიზებას და ინდოქტრინაციას პირველივე დღიდან იწყებენ. თითქოს სილაღეს კარგავ, გეკრძალება კითხვების დასმა და იჯერებ, რომ შენი მოსაზრება უმნიშვნელოა, რადგან ის არასდროს შეიძლება იყოს „სწორი" უფროსის მოსაზრებასთან მიმართებით. სკოლაშივე გასწავლიან მორჩილებას, შენი არსებობა კი, ათქულიანი სისტემით ფასდება.

შემდეგ ზრდასრულ ცხოვრებაში შენდაუნებურად იწყებ „უფროსების" ძებნას, რომლებიც მასწავლებლებს ჩაანაცვლებენ და უკვე მათი მოსაზრებების ჩრდილში აგრძელებ ცხოვრებას. ამ ყველაფერმა ჩემზეც იმოქმედა, თუმცა შედარებით ნაკლებად, რადგან სკოლაში არსებულ კონფლიქტურ სიტუაციებში დედა ყოველთვის მხარს მიჭერდა და შესაბამისად, არც მე მეშინოდა პროტესტის გამოთქმისა და უსარგებლო წესების დარღვევის. ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ სკოლაშიც იყვნენ ნათელი წერტილები, რომლებიც კრიტიკულ აზროვნებას გვაჩვევდნენ და ისეთ რაღაცებს გვასწავლიდნენ, რაც პიროვნულად გვზრდიდა, თუმცა ასეთი ადამიანები უმცირესობაში იყვნენ და არიან და მათი ძალისხმევა საერთო მოცემულობას ვერ ცვლის.

„მეშინოდა, რომ „ასეთი" მარტო მე აღმოვჩნდებოდი"

ჩემმა იდენტობამ და სექსუალობამ ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო გამოვლენა, როცა არც კი ვიცოდი ამ სიტყვების არსებობის შესახებ. რაღაც პერიოდი ბაღში გოგო მომწონდა, ამის შესახებ ბევრს ვსაუბრობდი და ეს ყველამ იცოდა. შემდეგ ბიჭი მომეწონა, თუმცა ამის შესახებ ხმას არ ვიღებდი, ვხვდებოდი, რომ ირგვლივ მყოფ ადამიანებს ამაზე იგივე რეაქცია არ ექნებო-

დათ. ბავშვი ვიყავი და მაშინ ვერ ვაანალიზებდი, რატომ იყო ასე და რა პრობლემებს შემიქმნიდა ეს მომავალში, უბრალოდ ვიღებდი ამას მოცემულობად და ვცდილობდი, მის მიმართ სიმპათია სხვებისგან ფარულად გამომეხატა.

ბაღის შემდეგ, თინეიჯერობამდე, ამ საკითხს აღარ მივბრუნებივარ. თითქოს თაროზე შემოვდე და გადავწყვიტე, დამევიწყებინა, რადგან ვერ ვიგებდი მის არსს, გამოხატვის დასაშვებ ფორმებს, მეშინოდა, რომ „ასეთი" მარტო მე აღმოვჩნდებოდი. მაშინ ეს ტრავმული არ იყო, რადგან ბავშვური გონება ამაზე არ ფიქრობდა და ვერ აანალიზებდა, უბრალოდ, ამ გადმოსახედიდან ვიხსენებ პატარა გიორგის ქცევებს, რომელიც მაშინ, ალბათ, ქვეცნობიერის კარნახით მოქმედებდა და მათ ასეთ ახსნას ვუძებნი.

თვითგამორკვევა და დამალვის მცდელობები

სირთულეები თინეიჯერობისას დაიწყო, როცა ისევ მომეწონა ბიჭი. მაშინ უკვე ზუსტად ვიცოდი, რომ ეს აკრძალული და დაუშვებელი იყო. შესაბამისად, ვცდილობდი ამ გრძნობების მიზეზი, განკურნების საშუალება მეპოვა. 18 წლამდე, როცა პირველად ვაღიარე საკუთარ თავთან ჩემი იდენტობა, მთელი არსებით ვცდილობდი მის გაქრობას, ვთხოვდი დახმარებას ღმერთს. უამრავჯერ მივიღე გადაწყვეტილება მთელი ცხოვრება დამემალა ეს ამბავი, მათ შორის, საკუთარი თავისთვისაც. მაგრამ როგორც უკვე ქამინგაუთის დროს დავწერე, იდენტობა ისეთი რამაა, რასაც ვერაფერი დათრგუნავს იმგვარად, რომ პატარა ნაპერწკალმა ვერ შეძლოს მისი უეცრად გაღვივება.

რაღაც მომენტში იდენტობისა და სექსუალობის თემაზე სტატიების კითხვა დავიწყე, ტელევიზიის მეშვეობით ჩემნაირი ადამიანები დავინახე და ნელ-ნელა დავძლიე ყველა ჩანერგილი ცრურწმენა, შიში, კომპლექსი და მივიღე საკუთარი თავი.

„ქამინგაუთი არის ყველაზე მძლავრი ქმედება, სოციალური და პოლიტიკური აქტი"

თემის წევრების მხრიდან ქამინგაუთთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციები მომისმენია. Facebook-ზე საჯარო ქამინგაუთის მერე, რამდენიმე დღის შემდეგ, ისიც მკითხეს, თუ რაში მჭირდებოდა და რას მარგებდა ეს. ყველა პოზიციას აქვს არსებობის უფლება. ჩემი გადმოსახედიდან, ადამიანი სოციალური არსებაა და მას აქვს ისეთი სოციალური მოთხოვნილებები, როგორებიცაა სიყვარული, მეგობრობა, პატივისცემა, თვითგამოხატვა და ეს ყოველივე შეუძლებელია, თუ შენი პიროვნების განმსაზღვრელი რამის დამალვა გიწევს. გარდა ამისა, შეუძლებელია პირადი ცხოვრება მუდმივად დამალული იყოს, რადგან ის მხოლოდ საძინებელში, დახურულ კარს მიღმა არ მიმდინარეობს და მის შესახებ სხვა ადამიანებიც იგებენ. ამიტომ დიდი არჩევანიც არ არის.

ქამინგაუთს ან თავად აკეთებ, ან ადრე თუ გვიან სხვა გამხელს და „აუთინგის" მსხვერპლი გახდები. მესმის, რომ ყველას განსხვავებული

სიტუაცია აქვს, ზოგისთვის ქამინგაუთი პირდაპირ სასიცოცხლო რისკებთან არის დაკავშირებული, მაგრამ როგორც მოვლენა, ქამინგაუთი არის ყველაზე მძლავრი ქმედება, სოციალური და პოლიტიკური აქტი, რომელიც არსებულ რეალობას უკეთესობისკენ ცვლის.

პირველად ქამინგაუთი ერთ-ერთ საუკეთესო მეგობართან გავაკეთე, რომელიც ასევე დაქამინგაუთდა, ორმაგი ქამინგაუთი გამოგვივიდა მეგობრებს, რომლებიც წლების განმავლობაში თურმე საერთო პრობლემის წინაშე ვიდექით და ერთმანეთსაც კი ვუმალავდით. ეს უდიდი შვება იყო. ემოციურად ეს საჯარო ქამინგაუთს არც შეედრება — პირველი სულ სხვაა, მაშინ ჯერ კიდევ გგონია, რომ რაღაც გარყვნილს ჩადიხარ და ვერავინ გაგიგებს, ამიტომ მიღებაც უფრო ფასობს.

ქამინგაუთის გამო არავინ დამიკარგავს, ამ ქმედებამდე ყველა ის ადამიანი, ვინც ვფიქრობდი, რომ არ მაღიარებდა, ბუნებრივად ჩამოვიცილე და მათთან ემოციური კავშირი გავწყვიტე, ხოლო ყველა სხვამ მიმიღო და მხარს მიჭერს, რაც უმნიშვნელოვანესია, რადგან ანეიტრალებს იმ ტრავმებსა და კომპლექსებს, რომლებიც ბავშვობასა და თინეიჯერობაში საზოგადოებამ დამიტოვა.

დედამ სოციალური ქსელებიდან გაიგო, რადგან პირისპირ ამის თქმა ვერ გავბედე. ბევრჯერ მიფიქრია იმაზე, თუ როგორი რეაქცია ექნებოდა, ვიცოდი, რომ ჩემზე უარს არ იტყოდა, სახლიდან არ გამაგდებდა, მაგრამ მეშინოდა, რაიმე ჰომოფობიური არ ეთქვა, რაც მთლიანად ჩამოშლიდა ჩემს წლების განმავლობაში ნაშენებ თვითშეფასებას, იმედს და ბოლომდე გამანადგურებდა. თუმცა მისი რეაქცია გასაკვირად სწორი და ეთიკური იყო. მეორე დღეს შევხვდით და ვისაუბრეთ, ზოგადად, ჩვენს ურთიერთობებზე. მითხრა, რომ ჩემი პირადი ცხოვრება ჩემი საქმეა, რომ ვუყვარვარ და საკუთარ შვილზე უარს არასდროს იტყვის.

ჩემი საჯარო ქამინგაუთიდან დიდი დრო არ გასულა, ამიტომ ნათესავებისა და მეზობლების რეაქციები ჯერ უცნობია. ვიცი, რომ გარკვეულ დისკომფორტს ჩემი ოჯახის წევრებიც იგრძნობენ და ეს ყველაზე ტრავმატულია ჩემთვის, რადგან თავად მიჩვეული ვარ ჰომოფო-

ბიას, მაგრამ ჩემ გამო საზოგადოების ზეწოლა ოჯახზე განსაკუთრებით მძიმე იქნება და ეს ახალი ეტაპია, რომელიც მათთან ერთად უნდა გავიარო. ამის გამო თავს დამნაშავედ ვგრძნობ მაგრამ არ მივცემ ამ გრძნობას საშუალებას, შიგნიდან დამამარცხოს. საზოგადოების ჰომოფობიურ ნაწილის ეს ბერკეტი ხელიდან ოდესმე უნდა გამოვაცალოთ.

გადაწვეტილება ქვეყანაში დარჩენის შესახებ

უამრავ ქვიარს ვიცნობ, რომელმაც ჰომოფობიის გამო ქვეყანა დატოვა. მათ ვერაფერში ვამტყუნებ, ბრძოლა და გმირობა ადამიანმა მხოლოდ საკუთარ თავს უნდა მოსთხოვო. ევროპაში წასვლაზე დედამაც მითხრა, მაგრამ მე ემიგრაციაში წასვლას არ ვაპირებ. აქაურ ჰომოფობიაზე მეტად იმ გრძნობების მეშინია, რომლებიც წასვლის შემთხვევაში დამეუფლება - სისუსტის და დამარცხების. პატრიოტობაც მგონი ეს არის, როცა რჩები იქ, სადაც შესაძლოა, საუკეთესოდ არ გრძნობ თავს, მაგრამ იმედს არ კარგავ, რომ სიტუაციის გაუმჯობესებაში შენს წვლილს შეიტან. თანაც, გაღებული მსხვერპლი უკვე იმდენად დიდია, იმდენი ქვიარი მოკლეს, რომ წასვლის უფლებას მორალი არ მაძლევს.

ქვიარ ურთიერთობების სირთულეები საქართველოში

ქვიარ ადამიანებისთვის ურთიერთობები დამატებითი ტრავმაა, რადგან ჯანსაღი ურთიერთობების აშენება რთულია, როცა იმალები და არ გიღებენ. გარდა ამისა, ბევრჯერ საკუთარ თავშიც და სხვა ქვიარებშიც შემიმჩნევია კომპლექსები, შიშები, ტრავმები, რომლებიც არ იძლევიან საშუალებას ურთიერთობები ისე წარმართო, რომ ეს ორივესთვის სასიამოვნო და სასარგებლო იყოს. ურთიერთობის წარმართვა ჩემთვის განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს, რადგან არასდროს მინახავს ჯანსაღი როლური მოდელი. ხშირად ვერ ვუმკლავდები რაღაც მომენტებს და ტოქსიკურად ვექცევი საკუთარ თავს. ვფიქრობ, ეს პრობლემა ჰეტეროსექსუალ ადამიანებსაც აქვთ, რადგან საქართველოში ნებისმიერი სოციალური კავშირი ხშირად არაჯანსაღია.

მინდა, ქუჩაში გავიდე და ვიყვირო ჩემს ბისექსუალობაზე. არა იმიტომ რომ ვინმეს დაინტერესება გამოვიწვიო, არამედ მინდა ეს იმდენად ჩვეულებრივ ამბად იქცეს, რომ არავინ მომაქციოს ყურადღება. იდეალური გარემოც ასე წარმომიდგენია — როცა საჯაროდ ქამინგაუთის საჭიროება აღარ იქნება, ადამიანები ისე მიიღებენ იდენტობას და სექსუალობას, როგორც ხვეულ თმას, ცისფერ თვალებს ან სხვა ნებისმიერ მახასიათებელს.

საქართველოში საზოგადოების დამოკიდებულება ლგბტქი+ თემის მიმართ შეცვლილია. ეს ყველა იმ ორგანიზაციის დამსახურებაა, რომელიც წლების განმავლობაში თემის ხილვადობას და ამასთან ერთად, მიმღებლობას ზრდიდა. ყველა იმ ადამიანის დამსახურებაა, რომლებიც ქამინგაუთს არ შეუშინდნენ მაშინ, როცა ეს კიდევ უფრო რთული და საშიში იყო. მათი ძალისხმევის წყალობით, საზოგადოებაში ნელ-ნელა იზრდება მიმღებლობა.

„ბრძოლა უნდა გავაგრძელოთ“

კარგად ვიცი, რას გრძნობენ ადამიანები, რომლებიც თვითგამორკვევის პროცესში არიან. მათ ვურჩევდი, რომ არასდროს დაკარგონ უკეთესი მომავლის იმედი და იბრძოლონ მისთვის. გაიაზრონ, რომ ცხოვრება ერთია და არავინ და არაფერია საკუთარ ბედნიერებაზე მნიშვნელოვანი. გამოიყენონ ყველა შანსი და მიიღონ კარგი განათლება, რადგან მხოლოდ ეს არის გარანტი იმისა, რომ დამოუკიდებლობას მოიპოვებენ. იცოდნენ, რომ თუ ოჯახის წევრებს არ ირჩევენ, მეგობრების შეცვლა შესაძლებელია და მოძებნონ ისეთი სივრცე, სადაც დამალვა

არ მოუწევთ — ასეთი პატარა სივრცეები ეხმარება ადამიანს, გადაიტანოს რთული პერიოდი და დაელოდოს მომენტს, როცა ბოლომდე მიიღებს საკუთარ თავს, საკმარისად დამოუკიდებელი გახდება და დამალვაც აღარ იქნება საჭირო.

ქართული ქვიარ აქტივიზმი არის ძალა, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი შეაჩერებს, რადგან სიყვარული შეუძლებელია იყოს დანაშაული. ნებისმიერი დევნა უფრო აძლიერებს ჭეშმარიტებას და გადამწყვეტ მომენტში ამას ყველა აღიარებს. იმ მომენტამდე ქვიარ ადამიანებმა ბრძოლა უნდა გავაგრძელოთ. უმნიშვნელოვანესია, პოლიტიკურ სპექტრს ვაჩვენოთ ჩვენი ელექტორალური ძალა, რათა მათ გაუჩნდეთ მოტივაცია, იმოქმედონ ჩვენი უფლებების დასაცავად. არ ვართ ცოტანი, საარჩევნო უფლება ფარულია, ამიტომ საჯარო ქამინგაუთის გარეშეც შესაძლებელია გავლენა მოვახდინოთ პოლიტიკურ ცხოვრებაზე და რეალობა უკეთესობისკენ შევცვალოთ.

10 წლის შემდეგ საკუთარ თავს ვხედავ ბათუმში, საიდანაც ვგეგმავ პროფესიული კარიერის დაწყებას. სასიამოვნო მზიან ამინდში, სამსახურიდან გამოვდივარ და მივდივარ ბათუმის პირველ პრაიდზე.

ინტერვიუს ავტორი: ნანა გობეჯიშვილი

▶ **ამანდა**

ტრანსგენდერი ქალი

მე ვარ ამანდა, ტრანსგენდერი ქალი.
იძულებითი სექსმუშაკი და მხატვარი.

ბავშვობა, ბებია და ოჯახი

ბავშვობაში ძალიან მშიშარა და ნაზი ვიყავი. ფრენბურთი მიყვარდა და წრეზეც დავდიოდი, ოღონდ ჯგუფში სულ გოგოები იყვნენ და ბიჭი მარტო მე ვიყავი.

ყველაფრის მეშინოდა. სულ მეშინოდა, რომ ვიღაც დამარტყამდა. მაშინაც მეშინოდა, როცა მამაჩემი სახლში მთვრალი მოდიოდა და დედაჩემზე ხელს წევდა ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევის დროს, დანა დავიჭირე და მამაჩემს ვუთხარი, მე დამარტყი, ოღონდ დედას არ შეეხო-მეთქი. ამის შემდეგ დედასთვის ხელი აღარ დაუკარებია.

ჩემი ბავშვობის ყველაზე პოზიტიური მოგონებები და ბედნიერი წლები ბებიაჩემს უკავშირდება. სანამ ბებია ცოცხალი მყავდა, იდეალური ცხოვრება მქონდა. ის იყო ჩემთვის ყველაფერი – ბებიაც, დედაც, მამაც... ბებია იყო ჩემთვის ღმერთი და მისი სიტყვა – კანონი. თავიდანვე შეამჩნია, რომ განსხვავებული ვიყავი, ყოველთვის იბრძოდა და მიცავდა. როცა გარდაიცვალა, თავზე ცა ჩამომექცა და ცხოვრების ეს ეტაპი დასრულდა. ბებიასგან რამდენიმე თვისება გამომყვა – ყოველთვის სამართლიანი იყო, ცოტა მკაცრიც და თავს არასდროს დახრიდა. არც მე დავხრი – ათი კა-

ციც რომ მირტყამდეს და მაგრადაც რომ მცემონ, არ დავთმობ და ბოლომდე ვიბრძოლებ, თუნდაც, ჩემს მეგობრებს მივყვე, რომლებიც ცოცხლები აღარ არიან.

დღეს ოჯახთან არ ვცხოვრობ, თუმცა კონტაქტი დედასთან, დასთან და მამასთანაც მაქვს. ფული რომ დამჭირდეს და დედაჩემს დავურეკო, მკითხავს რამდენი მინდა და თუ მას არ აქვს, აუცილებლად იშოვის. დედაა მაინც. სა-

დაც არ უნდა წახვიდე, ვინც არ უნდა გაიცნო და შეიყვარო, მშობლის ფასი მაინც არავინაა. ოჯახს სულ სხვა ადგილი უკავია ადამიანის ცხოვრებაში და ეს სამუდამოა.

გარდატეხა და სექს-სამუშაო

12 წლის ვიყავი, როცა გავიაზრე, ვინ ვიყავი. პირველი სიგარეტიც მაშინ მოვწიე. მანამდე სკოლაში ფრიადოსანი ვიყავი, ამ ასაკში კი ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა – მასწავლებელი მეუბნებოდა, შენ ის ბავშვი აღარ ხარ, შეგცვალესო. მაშინ მქონდა პირველი სქესობრივი კავშირი კაცთან, მისი ინიციატივით. ძალა არ დაუტანებია, მაგრამ ჩემზე უფროსი იყო – 19 წლის, რაც დღევანდელი გადმოსახედიდან პედოფილიაა. დედაჩემის დაქალის შვილი იყო და დედაჩემი დღესაც ყველაფერს საკუთარ თავს აბრალებს, მაშინ რომ გადამერჩინე, დღეს ასეთი არ იქნებოდიო.

12 წლის ჩავერთე სექს-სამუშაოშიც. პედოფილია დღეს ხომ ყვავის და მაშინაც არანაკლებ ყვაოდა – როცა იგებდნენ, ბავშვი ვიყავი, სამმაგს და ოთხმაგს მიხდიდნენ, ოღონდ გავყოლოდი. პატარა ვიყავი, დავინახე, რომ იოლი ფული იშოვებოდა და მაშინ ეს ყველაფერი მომწონდა. დროთა განმავლობაში ეს თვითგადარჩენად და ერთგვარ სამსახურად იქცა და მაშინ მივხვდი, რომ რაღაც ძალიან ცუდში შევტოპე.

საკუთარი თავის დაცვა და ციხე

ზოგადად, ყოველთვის ვეცლები იმ გარემოს, სადაც აგრესიაა, მაგრამ მე ან ჩემს მეგობრებს თუ ფიზიკურად გვეხებიან, ამ დროს სხვა, რადიკალურად განსხვავებული ამანდა იღვიძებს საბრძოლველად. ხანდახან გზის მეორე მხარეს დგანან და მიყურებენ, რამე თუ გინდა, მოდი-მეთქი, დავუძახებ, მაგრამ ეშინიათ.

პირველად ჩემი უფლების დაცვა პატრულთან, 2004 წელს მომიწია. მე და ზიზი, რომელიც ცოცხალი აღარ არის, ცირკთან ვიდექით. პატრული მოვიდა და მითხრა, აქ ვერ იდგებიო. შენი ხელფასის ნახევარი მომეცი და აღარ დავდგები-მეთქი, ვუპასუხე. რატომ უნდა მოგცეო და აბა, მე რატომ უნდა დავტოვო ეს ტერიტორია-მეთქი. ავტეხე განგაში, მაშინ ისეთი დრო იყო, ცირკთან ხალხს კლავდნენ და არავის ადარდებდა ეს ამბები. მაგ პერიოდში საქართველოში უხუცეს ტრანსგენდერ ქალს, მაკა მამუკას, ყელი გამოჭრეს. ასევე, ძალიან გახმაურდა ამბავი, როდესაც ოთხმა ბიჭმა მცემა და აღმოჩნდა, რომ ოთხივე პოლიციელი იყო. იმის შემდეგ, თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები, ჯარისკაცები დამესხნენ თავს ორთაჭალის სადგურში. ამ დღეს სას-

წრაფოს ექიმებიც კი ისეთი ჰომოფობები შემხვდნენ, პირველადი დახმარება არ გამიწიეს. შემდეგ როცა ჟურნალისტები მოვიდნენ და დაინახეს რომ დასისხლიანებული ვიყავი, ამათ დანახვაზე დაფაცურდნენ.

საკუთარი თავისა და უფლებების დაცვის გამო, ცხოვრების გარკვეული პერიოდი ციხეშიც გავატარე. სამუშაოდ ვიყავი გამოსული, როცა უცხო ადამიანი მოვიდა და მომსახურება მოითხოვა, ფასზე შევთანხმდით. ფული რომ უნდა მოეცა, შემაგინა. ამაზე ამასხა, ვცემე, ჩემი კუთვნილი თანხა წავართვი, 10-20 ლარი ჰქონდა ზედმეტად და ისიც არ დავუტოვე. წავიდა და ძარცვაზე მიჩივლა. ყველაფერი გაჩალიჩებული იყო. მაშინ რამდენიმე ტრანსი ვბუნტაობდით, არ აწყობდათ და მომქესტეს. ციხეში შვიდი წელი ვიჯექი. ვერ ვიტყვი, რომ ცუდად ვიყავი. ერთგვარი სკოლა იყო და ბევრი რამეც ვისწავლე – მოთმინება, ადამიანების ამოცნობა, თავის დაცვა... მარტო ვიყავი ოთხ კედელში გამოკეტილი. მოვითხოვე ბიბლიოთეკა, წიგნები მოჰქონდათ, ვიჯექი და ვკითხულობდი. ჩემი სამყარო შევქმენი და იმ სამყაროში ვიყავი, მაკიაჟიც მქონდა და ყველაფერიც. ციხეში ყოფნის დროს ყველაზე რთული პირველი და ბოლო წელი იყო. პირველი წელი, შეჩვევის და ბოლო – მოლოდინის. ის ხუთი წელი ისე გაფრინდა, საერთოდ ვერ მივხვდი.

თანასწორობა, ქალები და ქვიარ ქალები

ტრანსგენდერი ქალის ცხოვრება სხვა ქალების ცხოვრებისგან განსხვავდება, თუმცა ჩვენს ქვეყანაში ქალების და ტრანსგენდერი ადამიანების ცხოვრებას თითქმის ერთი ფასი აქვს. ქალებს არ აფასებენ. ესაა ქვეყანა, სადაც 112-ში შესული ყოველი მეათე ზარი ქალზე ძალადობას ეხება.

თან, გვეუბნებიან, რომ თანაბარი უფლებები გვაქვს. როგორ შეიძლება მქონდეს თანაბარი უფლებები ვინმესთან, როცა საზოგადოებრივ ტრანსპორტში ასვლისას შეიძლება ვიღაცამ ჩამქოლოს. სხვებთან თანასწორი მხოლოდ იმაში ვარ, რომ მეც ისევე ვიხდი გადასახადებს, როგორც სხვები. პატრული ჩემი გადასახადებით ნაყიდ მანქანაში რომ ზის, ხომ უნდა დამეხმაროს?!

თავისუფლება ჩემთვის მშვიდ გარემოში ცხოვრებაა, სადაც ჩემი განსხვავებულობის გამო არ გამკიცხავენ. იდეალურ ცხოვრებას არ ვეძებ. სირცხვილია, როცა მთელი მსოფლიო მყარად დგას ფეხზე, ჩვენ კი ჯერ არც კი წამოვდგარვართ. სირცხვილია, როცა ადამიანს იმის გამო არ აძლევენ სამსახურს, რომ დაქამინგაუთებული გეი ან ლესბოსელია. ტრანსგენდერი ადამიანები ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია, იმიტომ რომ თავისი იდენტობის დამალვას არ ცდილობს. გეი შეიძლება შეინიღბოს, ლესბოსელმა მოითმინოს, მაგრამ ტრანსგენდერი ქალი ვერ მოითმენს. ტრანსგენდერის შემთხვევა სულ სხვაა. ბიჭივით რომ მეცხოვრა, არაფერი დამაკლდებოდა – მექნებოდა კარგი სამსახური და სახლ-კარიც ჩემი იქნებოდა, მაგრამ ასეთი ვარ და მინდა, ასეთი მიმიღონ.

მტრულ გარემოში მცხოვრებ ქვიარ ქალებს ვეტყვი, რომ ძლიერები იყვნენ, არ დანებდნენ, ყოველთვის აკეთონ ის, რაც სწორად მიაჩნიათ. ნუ შეეშინდებათ, მართლა ძალიან ბევრნი ვართ. ვურჩევ, რომ ყოველთვის ხმამაღლა ამბობდნენ თავიანთ სათქმელს, რათა ყველას ესმოდეს.

ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობა

თუ ჯანმრთელობის პრობლემა მაქვს და ფინანსური დახმარება მჭირდება, იმ ორგანიზაციებს მივმართავ, რომლებიც ამ თემებზე მუშაობენ და ისინი მამისამართებენ. მათ იციან ექიმები, რომლებსაც შეუძლიათ მომსახურების გაწევა და კონსულტაცია. ასევე, ჰყავთ ფსიქოლოგებიც და თუ დაგვჭირდა, ორგანიზაცია იქაც თავისი ხარჯებით გვიშვებს.

ტრანსგენდერი ქალების პრობლემა ჰორმონალური თერაპიის დაფინანსებაა, ძალიან ძვირი ჯდება და ჯერჯერობით, არ ფინანსდება. საჭიროა, ყველამ, ვისაც ამისი სურვილი აქვს, ტრანზიცია გაიაროს.

მოტივაცია, თანადგომა და იმედი

საქართველოში ტრანსგენდერი ქალი ისე ესმით, თითქოს აუცილებლად სექს-სამუშაოში უნდა იყო ჩართული. თუმცა მოდის ტრანსგენდერი ქალების ახალი თაობა, რომლებიც სექს სამუშაოში არ ჩართულან, არც აპირებენ და ძალიან მიხარია. მათ აქვთ თანადგომა ოჯახებიდანაც. როცა შენი შვილი ასეთია, არ აქვს აზრი რამე დაუშალო, პირიქით, ხელი უნდა შეუწყო. ადრე ასეთი შვილების გამო რცხვენოდათ. ბრძოლის მოტივაციასაც ეს ჭკვიანი და ძლიერი მომავალი თაობა მაძლევს და იმედი მაქვს, უფრო თავისუფალ ქვეყანაში იცხოვრებენ, ვიდრე ახლა ჩვენ ვცხოვრობთ.

2021 წლის 6 ივლისის საპროტესტო ღვბტქი აქცია საქართველოს პარლამენტთან/ ფოტო: Tbilisi Pride Facebook

მიუხედავად ყველაფრისა, რაც გამოვიარე, ამ პერიოდში ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე და ბევრი ადამიანის თანადგომაც ვიგრძენი. განსაკუთრებით, 6 ივლისს გამოვყოფ, რომლის გახსენებაზე ახლაც ჟრუანტელი მივლის. იმ დღეს ბევრი ისეთი სახე ვნახე, რომლებიც სულ არ არიან ტრანსგენდერები, გეები, ლესბოსელები, მაგრამ დავინახე, რომ იქ იდგნენ, ჩვენ გვერდით. ჩვენთან ერთად საქართველოს ჰიმნს მღეროდნენ დროშის ქვეშ და უცებ ეს ემოცია და სიყვარული ერთ მუშტად შეიკრა, გულში შევიდა, გამოვიდა, შევიდა, გამოვიდა.... ძალიან ამაღელვებელი იყო.

რა გავაკეთოთ? როგორ გადავრჩეთ?

ამ გარემოს შესაცვლელად ხალხმა მეტი განათლება და ინფორმაცია უნდა მიიღოს ამ საკითხზე. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი გაუნათლებელი ადამიანი ცხოვრობს, თუმცა ეს თვითონ საზოგადოების კი არა, სახელმწიფოს ბრალია, ვინაიდან თავიანთი ამომრჩევლები მარტო არჩევნების დღეს ახსენდებათ, სხვა დროს კი მათი საჭიროებებით არ ინტერესდებიან.

მგონია სანამ ეს მთავრობა გვეყოლება, არაფერი გვეშველება, სიძულვილის დათესვის მეტს არაფერს აკეთებენ. იქ, სადაც ეკლესია გამოდის და ამბობს, ქრისტეს სახელით მოკალითო, რაზე უნდა იყოს ლაპარაკი?! სანამ ასე იქნება, ადამიანები კვლავ დაიჩაგრებიან განსხვავებულობის გამო.

მგონია, რომ ყველა ტრანსგენდერმა საზოგადოებას თავი სხვა კუთხითაც უნდა გააცნოს, როგორც მხატვარმა, მომღერალმა, მოცეკვავემ, სპორტსმენმა და ა.შ. მახსოვს, ჩემთვის ყველაზე დიდი გაოცება იყო, როცა შევიტყვე, რომ ბარაკ ობამამ ტრანსგენდერი ქალი თეთრ სახლში დაასაქმა. ყველა ადამიანი თანასწორია და უნდათ თუ არა, ოდესმე მოუწევთ ამისი აღიარება.

მომავალი

მალე საქართველოდან წასვლას ვაპირებ. რატომ მინდა წასვლა? იმიტომ, რომ აქ ვარსებობ და იქ ვიცხოვრებ. სხვა ოცნებები და გეგმები მაქვს – მინდა სექს-სამუშაოს თავი დავაღწიო, სამხატვრო აკადემია დავამთავრო და ცნობილი მხატვარი გავხდე. ცნობილი ტრანსგენდერი ქალი მხატვარი.

ახლა ერთ ადგილას, დისტრიბუციაში ვმუშაობ, სადაც უფროსმა იცის, რომ ტრანსგენდერი ადამიანი ვარ, მაგრამ იმ პირობით, რომ ამას სამსახურში არ გავამჟღავნებ. ვუთხარი, რომ საქართველოდან წასვლას ვაპირებდი და ფულის შეგროვება მინდოდა. თანამშრომლებმა ჩემზე არაფერი იციან, არ ვაძლევ საშუალებას ამ თემაზე მელაპარაკონ. ერთი ქალია, რომელსაც ძალიან დიდ პატივს ვცემ, „ჩემო გოგო“ მეძახის. ხვდება, ვინც ვარ და ასე რომ მეძახის, ძალიან მიხარია.

ხატვა

ძალიან ადრეული ბავშვობიდან ვხატავდი, განათლება არ მაქვს, თვითნასწავლი ვარ. ხატვის ტექნოლოგიებს ინტერნეტის საშუალებით დავეუფლე, ვუყურებდი ვიდეო-ინსტრუქციებს, როგორ იხატება ადამიანი, ცხოველები, სხვადასხვა ფიგურები თუ ნივთები, მიღებულ განათლებას კი, ჩემი ხედვა და სტილი შევმატე. ხატვას სერიოზულად 2012 წელს შევუდექი, როცა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის დაკვეთით მომიწია ხატვა, ამის შემდეგ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ხატებს ვწერდი და თავს ამით ვირჩენდი, სხვა პატიმრები ჩემს ხატებს ყიდულობდნენ და მცირე შემოსავალი მქონდა. შემოსავალთან ერთად, ამან ძალიან დიდი გამოცდილებაც მომცა.

ჩემი დახატული ქალები ჩემი ცხოვრების კონკრეტულ მომენტებს ასახავენ, ამ ქალების ხატვით საკუთარ შინაგან მდგომარეობებსა და იმ ეტაპებს გამოვხატავ, რომლებიც გამოვიარე. ამ პერსონაჟი ქალების ხატვით, მინდა საზოგადოებას შევახსენო, რომ ჩვენ, ქალები, არ ვაპირებთ გაჩერებას; რომ მართალია, ჩვენთვის ბრძოლა არავის უსწავლებია, მაგრამ მზად ვართ, ჩვენი უფლებებისთვის ისე ვიბრძოლოთ, როგორც ამას კაცები აკეთებენ. მორჩა ის დრო, როცა ქალები ჩაგრულ ჯგუფთან ასოცირდებოდნენ, ჩვენს ქვეყანაში და ზოგადად, მსოფლიოში, ეს დიდი ხნის წინ დასრულდა, ქალების მონობას წერტილი დაუსვა ჩვენი ქალი მეფის, თამარის მმართველობის წლებმა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ადამიანებს არ ახსოვთ და მინდა საზოგადოებას ეს ჩემი ნახატებით შევახსენო.



ჩემს ნახატებში ბევრი სათქმელისა და იდეის ჩატევა მსურს ხოლმე, თუმცა რასაც ყველაზე მეტად გამოვარჩევდი მესიჯებს - არა სიძულვილს, არა ძალადობას, არა ტრანსფობიას

და არა ადამიანების ჩაგვრას განსხვავებული სქესის, რელიგიის თუ სექსუალური ორიენტაციის გამო. ჩვენს თემშიც ხშირია, სხვადასხვა სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანების მხრიდან ერთმანეთის მიუღებლობა, არ აძლევენ საშუალებას ერთმანეთს განვითარდნენ, გაძლიერდნენ. ჩემი ნახატებით სწორედ ამ ადამიანებს მინდა მოვუწოდო, გამოიჩინონ მეტი მიმღებლობა, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ საზოგადოებას, მინდა ვაჩვენო, რომ არ აქვს მნიშვნელობა, ქალი ხარ თუ კაცი, ტრანსგენდერი თუ გეი, შავკანიანი თუ თეთრკანიანი; ჩემი ნახატების საშუალებით ვცდილობ, წავშალო ის საზღვრები, რომლებიც ადამიანებს შორის არის დაწესებული და ჩემს პერსონაჟებს არ გააჩნდეთ ის მახასიათებლები, რის გამოც ასეთი ხშირია სიძულვილი და დაპირისპირება.

ბავშვობაში ბებიაჩემი მეუბნებოდა, რომ ცხოვრება უზარმაზარი ტორტია, და უზარმაზარი ტორტიდან ყველას ეკუთვნის თითო ნაჭერი, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც თავისი წილი არ გააჩნია, მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებიც სხვისი ტორტის ნაჭრების მითვისებას ცდილობენ. ჩემი შემოქმედებაც ბებიაჩემის ამ სიტყვებზე დგას, მინდა ჩემი ნახატებით ყველას ვუთხრა, რომ იკმარონ თავიანთი წილი, არავის წაართვან და თან, არავის მისცენ საშუალება, სხვას მოსტაცოს.

ჩემი ერთადერთი ოცნება ისაა, დავამთავრო სამხატვრო აკადემია. ბელგიაში, გერმანიასა და ჰოლანდიაში მეგობრები მყავს, მპირდებიან, რომ უნივერსიტეტში ჩაბარებაში დამეხმარებიან. მინდა, უფრო მშვიდად ვიცხოვრო, მეტი დრო დავუთმო ხატვას და შევქმნა ისეთი ნახატები, რომლებითაც სიამოვნებას მივანიჭებ საკუთარ თავსაც და ჩვენ გარშემო ადამიანებსაც. გაჩერებას არ ვაპირებ, ხოლო რაც შეეხება ქვიარ არტისტებს, ყოველთვის ვამბობ და მოვუწოდებ ადამიანებს – გაიღვიძეთ, რაც მოგწონთ, ის აკეთეთ! მღერი? – იმღერე. ხატავ? – დახატე! თუ რამე სათქმელი გაქვს, აუცილებლად თქვი, იპოვე შენი მედიუმი, ერთად შევცვალოთ ადამიანების დამოკიდებულებები ლგბტ საზოგადოების მიმართ!

სტატიის ავტორი: ნინო ურუშაძე

60-იანი წლების ქვიარ წინააღმდეგობები

მოვლენები, რომელთა კულმინაციად სტოუნვოლი იქცა



ახალგაზრდა ადამიანების ჯგუფი ბართან Stonewall Inn 1969
ფოტო: Fred W McDarrah Getty Images

1969 წლის 28 ივნისს, გამთენიისას, პოლიციამ ნიუ-იორკში მდებარე გეი ბარის, Stonewall Inn-ის, დარბევა დაიწყო, რასაც ადგილზე მყოფი ქვიარ ადამიანების წინააღმდეგობა მოჰყვა. ლგბტქი უფლებებისთვის ბრძოლის ისტორიის ეს ყველასთვის კარგად ნაცნობი მომენტი ერთგვარი შემობრუნების წერტილია, რომელმაც გავლენა იქონია არამხოლოდ გასული საუკუნის აშშ-ის ლგბტქი გამათავისუფლებელ მოძრაობაზე, ასევე მსოფლიოს სხვა ქვეყნებზეც. საერთოდაც, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, როგორი იქნებოდა ქვიარ ადამიანების ყოველდღიურობა დღეს, რომ არა სტოუნვოლის აჯანყება თუ წინააღმდეგობა.

მშვიდობიანი პროტესტით დაწყებულ ამ აჯანყებას, რომელმაც აშშ-ში გეი უფლებებისთვის ბრძოლის მოძრაობას ჩაუყარა საფუძველი, ხშირად სპონტანურს უწოდებენ. გარდა იმისა, რომ ეს მოსაზრება ფაქტობრივად არასწორია, ამის მტკიცება ამერიკის შეერთებულ შტატებში 1969 წლამდე არსებული წინააღმდეგობების, ქვიარ ადამიანების პროტესტებისა და მოძრაობების უგულებელყოფაც არის.

მსგავსი დარბევა პოლიციის მხრიდან სისასტიკისა და დამამცირებელი მოპყრობის პირველი შემთხვევა არ ყოფილა და ეს არც ქვიარ წინააღმდეგობის საწყისია. სტოუნვოლის აჯანყება, შეიძლება ითქვას, კულმინაციაა, რომელსაც წინ ლგბტქი ადამიანების ხანგრძლივი, შეთანხმებული, ზოგიერთ შემთხვევაში კი, სპონტანური ამბოხი უძღოდა.

ლგბტქი მოძრაობების ისტორია მე-19 საუკუნის მიწურულიდან იწყება, თუმცა ჩანასახოვან ეტაპზე ქვიარ წინააღმდეგობებისთვის თვალის მიდევნება საკმაოდ რთულია. ერთი რამ კი ცალსახაა — აშშ-ში სტოუნვოლამდე განვლილი ათწლეული მზარდი შეუგუებლობის, ბრაზის მომწიფების, სულ უფრო ხილული ბრძოლის პერიოდია, რომელიც მუდმივი ჩაგვრის, დამცირების, სიცოცხლისთვის საშიში მოპყრობის დაგმობის აუცილებლობამ განაპირობა.

Cooper Do-Nuts - პირველი თანამედროვე აჯანყება აშშ-ის ისტორიაში

კადრი კენტ მაკენზის ფილმიდან — The Exiles (1961)

Cooper Do-nuts ლოს ანჯელესში, გეი ბარებს შორის მოქცეული სადონატე იყო, რომელსაც ტრანსგენდერი ქალები, დრეგ ქვინები, ლესბოსელი ქალები თუ გეი კაცები ხშირად სტუმრობდნენ. ინკლუზიური ადგილი ქვიარების, სექს-მუშაკებისა და ფერადკანიანი ტრანსგენდერი ადამიანების თავშეყრის ადგილი იყო. ლოს ანჯელესის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები ადგილზე შეკრებილებს გამუდმებით შეურაცხმყოფლად ექცეოდნენ, უსაფუძვლოდ აჩერებდნენ და ოფიციალურ დოკუმენტებს უმოწმებდნენ, რათა საბუთებში აღნიშნული გენდერისა და ვიზუალური მახასიათებლების თანხვედრა გადაემოწმებინათ.

1959 წელს, მწერალი ჯონ რეჩი და მისი მეგობრები პოლიციამ გააჩერა, დოკუმენტების წარდგენა მოსთხოვა და უსაფუძვლოდ დააკავა. ადგილზე მყოფებმა პროტესტი წამოიწყეს და პოლიციას დონატები და ყავის ჭიქები დაუშინეს. პოლიციამ დამხმარე ძალა გამოიძახა და წინააღმდეგობის არაერთი მონაწილე დააკავა. აღნიშნული ისტორია მეტწილად ჯონ რეჩის მონათხრობს ეყრდნობა. მწერალმა ჯერ 1963 წლის ნაწარმოებში – „ღამის ქალაქი“ - გააკეთა მინიშნება რამდენიმე წლით ადრე მომხდარ აჯანყებაზე, 2005 წელს კი ინტერვიუში უფრო მეტი დეტალი გაიხსენა. ისტორიკოსთა ნაწილი Cooper Do-nuts-ის აჯანყების შესახებ არსებული ფაქტების სიმწირისა და რეჩის მიერ მოთხრობილი ფაქტების უზუსტობათა გამო მიიჩნევს, რომ, სავარაუდოდ, იმ პერიოდში წინააღმდეგობას მართლაც ჰქონდა ადგილი, თუმცა 46 წლის დაგვიანებით მოყოლილ ამბის ბოლომდე ნდობა არ შეიძლება. ისტორიკოსთა მეორე ნაწილის აზრით კი, აღნიშნული მოვლენა აშშ-ის ლგბტქი ისტორიაში პირველი თანამედროვე აჯანყებაა.

დაპირისპირება გეი ბარში - The Black Nite

ფოტო: Wisconsin LGBT History Project

გეი ბარი Black Nite ქვიარ ადამიანების თავშეყრის ადგილად 1959 წელს, მას შემდეგ იქცა, რაც მისი მართვა მილოუკიში მცხოვრებმა ფინანსისტმა, ჰარი კამინსკიმ დაიწყო. ამ ადგილას არსებული ტავერნის მეპატრონე მეზობელი გასართობი ადგილებიდან ქვიარ მომხმარებლების შემოდინების წინააღმდეგი იყო. თუმცა კამინსკი მოიხიბლა იმ ფინანსური სარგებლით, რომელსაც იმ ადამიანებისთვის მომსახურების შეთავაზება მოუტანდა, რომელთაც წასასვლელი არსად ჰქონდათ, ამიტომ ტავერნის მფლობელს განუცხადა — „თუ ვერ დავამარცხებთ, შევუერთდეთ“. ამ დღიდან ტავერნა ქვიარ ადამიანების თავისუფალი გამოხატვის სივრცედ იქცა — ეწყობოდა დრეგ შოუები, კარი ღია იყო ნებისმიერი სექსუალური და გენდერული გამოხატვის ადამიანისთვის.

1961 წლის 5 აგვისტოს ღამეს, მეზობელი ბარიდან გამოსულმა ოთხმა საზღვაო ფლოტის მსახურმა კაცმა გეი ბარში შესვლა გადაწყვიტა, რაზეც უარი მიიღეს. ფლოტის მსახურები დრეგ შემსრულებლის, ჯოსი კარტერის ქმარს ლუდის ბოთლებით დაესხნენ თავს. კარტერმა წინააღმდეგობის გაწევა დაიწყო, შედეგად თავდამსხმელთაგან ორი მამაკაცი საავადმყოფოშიც გადაიყვანეს. მალევე ადგილზე საზღვაო ფლოტის სხვა ჯარისკაცებიც მოვიდნენ, რასაც საპასუხო შეტევა მოჰყვა. მოძალადეების წინააღმდეგ 70-ზე მეტი ლგბტქი ადამიანი გამოვიდა. ბარის ინტერიერი მნიშვნელოვნად დაზიანდა, სამი ადამიანი კლინიკაში გადაიყვანეს. აღსანიშნავია, რომ პოლიციამ ადგილზე მყოფი ლგბტქი ადამიანები არ დააკავა, რაც იმდროინდელი სამართალდამცავების მხრიდან იშვიათობა იყო და საპატიმროში მხოლოდ ბარზე თავდამსხმელები გადაიყვანა. 1961 წლის 5 აგვისტო, როცა ლგბტქი ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ვიხილეთ, Black Nite-ის აურზაურით არის ცნობილი.

60-იანი წლების პიკეტირებები

ფოტო: Kay Tobin Lahusen / NYPL

60-იან წლებში, უფრო ზუსტად კი, 1964 წლიდან, იწყება ოფიციალური უწყებების, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებების პიკეტირებების პერიოდი. ორგანიზებული წინააღმდეგობა, რომელიც მეტწილად ახალგაზრდებისგან შედგებოდა, ლგბტქი ადამიანებთან დაკავშირებულ საკითხებზე ხელისუფლების პოზიციას აპროტესტებდა.

1964 წელს, აქტივისტმა რენდი უიკერმა აშშ-ის სამხედრო ძალების მხრიდან გეი ადამიანების მიმართ უთანასწორო მოპყრობის გასაპროტესტებლად ვაითჰოლ სთრითზე მდებარე ახალწვეულთა ცენტრის პიკეტირების ორგანიზება გადაწყვიტა. ეს მომენტი აშშ-ში გეი უფლებების დაცვის პირველ დემონსტრაციად ითვლება. იმავე წლის დეკემბერში, აქტივისტებმა ჩაშალეს ფსიქოანალიტიკოსის ლექცია, რომელიც ჰომოსექსუალობას მენტალურ აშლილობად განიხილავდა. 1965 წელს კი, მოხდა თეთრი სახლისა და გაეროს შენობების პიკეტირება — აქტივისტები კუბაში ჰომოსექსუალების შრომით ბანაკებში გაგზავნას აპროტესტებდნენ.

1965 წელს დაიწყო ECHO-ს მიერ ორგანიზებული პიკეტების სერია. აქტივისტები ლგბტქი უფლებრივი უთანასწორობის გასაპროტესტებლად სახელმწიფო უწყებებს აქცევდნენ ალყაში. პიკეტირებების სერია 1969 წლამდე გაგრძელდა.

The Mattachine Society-ის პროტესტი ალკოჰოლის მოთხოვნით

ფოტო: Fred W. McDarrah / Getty Images

აშშ-ის ერთ-ერთი პირველი ლგბტქი უფლებადაცვითი ჯგუფის, The Mattachine Society-ის, წევრები დიკ ლიჩი, კრეიგ როდველი და ჯონ ტიმონსი ნიუ იორკის რეგულაციას ეწინააღმდეგებოდნენ, რომლის მიხედვითაც, გაცხადებული ჰომოსექსუალებისთვის ალკოჰოლის მიყიდვა იკრძალებოდა. ამიტომ, აქტივისტებმა ბარების შემოვლა, საკუთარი ორიენტაციის გაჟღერება და ალკოჰოლის მოთხოვნა გადაწყვიტეს.

The Mattachine Society-ის წევრებს ბარ Julius-ში მომსახურებაზე უარი უთხრეს. ლიჩმა ადგილობრივ ალკოჰოლის კონტროლის სამსახურს საჩივარი გაუგზავნა, რასაც შედეგი არ მოჰყოლია, თუმცა დიდი გამარჯვებად იქცა ქალაქის ადამიანის უფლებათა კომისიის განკარგულება, რომლის თანახმადაც, მსგავსი დისკრიმინაცია დაუშვებელი იყო და არ უნდა გაგრძელებულიყო.

ღირსების მარში მოტოების კოლონით

ფოტო: Feature Shoot

1970 წლის 28 ივნისს, სტოუნვოლის აჯანყებიდან ერთი წლის თავზე, ლოს ანჯელესში და ჩიკაგოში მსვლელობა, კრისტოფერ სთრიითის გამათავისუფლებელი დღე მოეწყო და ეს ლგბტქი ღირსების პირველ მარშად ითვლება. ამ გარდამტეხ დღემდე 4 წლით ადრე, 1966 წელს, ლგბტქი ადამიანების მხარდამჭერი ორგანიზაციების კოალიციამ შეიარაღებული ძალების დღესთან დაკავშირებით რამდენიმე თანადროული დემონსტრაცია გამართა. ლოს ანჯელესის ჯგუფმა მოტოების კოლონით ჩაიარა, სხვა ქალაქებში კი პიკეტები მოეწყო. მცირე მასშტაბის ეს დემონსტრაცია, შესაძლოა, აშშ-ის ისტორიაში პირველ ქვიარ მარშად ჩაითვალოს.

კომპტონის კაფეტერიის ამბოხი

გასული საუკუნის სამოციან წლებში, აშშ-ში გავრცელებული იყო დაპატიმრებები „ქალის განსახიერებისთვის“. ხშირად, კაფეებისა და ბარების მეპატრონეები ქვიარ მომხმარებლების თავიდან მოშორების მიზნით პოლიციას ურეკავდნენ და „მართლსაწინააღმდეგო ქმედების“ შესახებ ატყობინებდნენ.



Compton cafeteria riots

1966 წელს, კომპტონის კაფეტერიის თანამშრომელმა პოლიციაში დარეკა და დაწესებულებაში მყოფი ტრანსგენდერი ქალის მხრიდან წესრიგის დარღვევის ფაქტის შესახებ განაცხადა. ადგილზე მისულმა პოლიციელმა ტრანსგენდერი ქალის დაპატიმრება სცადა. ქალმა პოლიციელს ყავის ფინჯანი ესროლა. მოწმეების მონათხრობის მიხედვით, ადგილზე შეკრებილები ფანჯრებსა და პოლიციელებს ჭურჭელს ესროდნენ, მაგიდებს აყირავებდნენ. პოლიციელებმა დამხმარე ძალის გამოძახება სცადეს, რასაც ქუჩაში დაპირისპირება მოჰყვა. აჯანყებულებმა სამართალდამცავი უწყებების მხრიდან განსაკუთრებული სისასტიკის საპასუხოდ პოლიციის მანქანა დააზიანეს და ახალი ამბების ჯიხურს ცეცხლი წაუკიდეს.

მომდევნო დღეს პროტესტს კიდევ უფრო მეტი ტრანსგენდერი ადამიანი, სექს-მუშაკი და ქუჩის მაცხოვრებელი შეუერთდა. მათ კომპტონის კაფეტერია ალყაში მოაქციეს. დღესდღეობით ეს ადგილი სან ფრანცისკოელი ტრანსგენდერი ადამიანების წინააღმდეგობის საწყის წერტილად ითვლება.

The Black Cat-ის აჯანყება

ONE National Gay and Lesbian Archives / USC Libraries

1966 წელს, ლოს ანჯელესში ტავერნა The Black Cat გაიხსნა და თავიდანვე ქვიარ ადამიანების სოციალიზაციის ადგილად იქცა, რაც, უკვე ნახსენები წინააღმდეგობების ისტორიის გათვალისწინებით, უსაფრთხო არ იყო. იმავე წელს, ახალი წლის წინა დღეს, პოლიციელები ბარში ფორმის გარეშე შეიპარნენ, შუაღამემდე მოიცადეს და დამხმარე ძალების მეშვეობით დაწესებულებას თავს დაესხნენ. უამრავი ქვიარ ადამიანი სასტიკად სცემეს. დაპირისპირება და ძალადობა მეზობელ ბარებშიც გაგრძელდა, რაც სიახლეს არ წარმოადგენდა.

თუმცა, ახალი წლის ღამეს დაწყებული წინააღმდეგობა ბევრად მძლავრი აღმოჩნდა. ბარის ერთგულმა სტუმრებმა, ახალდაარსებული ჯგუფის, PRIDE-ის წევრებმა, 1967 წლის თებერვალში საპროტესტო ტალღა წამოიწყეს, რომელსაც ასობით ადამიანი იზიარებდა. მიზანი „პოლიციის უკანონობის“ დაგმობა იყო. მშვიდობიანი პროტესტის საპასუხოდ პოლიციის შეიარაღებული ოფიცრების ბატალიონი გამოვიდა. წინააღმდეგობამ მშვიდობიანად ჩაიარა, მაგრამ ორი მამაკაცი საჯარო სივრცეში კოცნისთვის დააპატიმრეს.

ლგბტქი ისტორიაზე ერთი თვალის გადავლებით, მხოლოდ განსაკუთრებით მძლავრი, გარდამტეხი მომენტების მოხელთება შეგვიძლია, მაგრამ ლგბტქი უფლებებისთვის ბრძოლის ნებისმიერი ქვაკუთხედი მრავალწლიანი წინააღმდეგობის, ორგანიზებული პროტესტის , თუნდაც იმ სოციალურ სივრცეებზე უფლების ჩამორთმევის საპასუხოდ არდანებების შედეგია, რამაც საბოლოოდ ბევრად ძლიერი მოძრაობების ფორმირებას შეუწყო ხელი.

სტატიის ავტორი: გიორგი ბასხაჯაური

ტრანსგენდერი ქალები, რომელთა სიცოცხლე **ტრანსფობიურმა განწყობებმა და სისტემამ შეიწირა**

ტრანსგენდერი ადამიანების ხსოვნის დღე / ფოტო: პირველი არხი

20 ნოემბერი ტრანსგენდერი ადამიანების ხსოვნის საერთაშორისო დღეა, რომელიც 1999 წლიდან აღინიშნება და პატივს მიაგებს ტრანსფობიური გარემოსა და სისტემის გულგრილობის გამო გარდაცვლილი ადამიანების ხსოვნას.

ბოლო ათწლეულში საქართველოში არსებულ ტრანსფობიურ განწყობებსა და სისტემურ გულგრილობას არაერთი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მკვლელობის შემთხვევების გამოძიების გაჭიანურებული პროცესი, ჯანდაცვის სისტემის გულგრილობა და ტრანსგენდერი ადამიანების წინაშე არსებული ფინანსური გამოწვევები არაერთ ადამიანს უქმნის გაუსაძლის, სიცოცხლისთვის საშიშ გარემოს, რომლის გამოსასწორებლადაც ქმედითი ნაბიჯები არ იდგმება.

სტატიაში კიდევ ერთხელ გავიხსენებთ გარდაცვლილ ტრანსგენდერ ქალებს, რომელთა სიცოცხლე სახელმწიფო ნების არარსებობას შეეწირა.

საბი ბეhიანი/ფოტო IPRESS.GE

საბი

ტრანსგენდერი ქალი, საბი ბერიანი 2014 წლის 11 ნოემბერს, საკუთარ ბინაში, შსს-ის ინფორმაციით, შელაპარაკების ნიადაგზე მოკლეს. 2015 წლის 7 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლომ საბი ბერიანის მკვლელობაში ბრალდებული ლევან კოჭლოშვილი ნაწილობრივ გაამართლა და სხვისი ქონების დაზიანებისთვისა [ბრალდებულმა საბი ბერიანის ბინაში ხანძარი გააჩინა] და ტრანსგენდერი ქალის, ბიანკა შიგუროვას ცემისთვის თავისუფლების 4 წლით აღკვეთა მიუსაჯა.

2016 წლის 25 მაისს, სააპელაციო სასამართლომ საბი ბერიანის მკვლელობასთან დაკავშირებით საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. 2016 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის მოთხოვნა, ლევან კოჭლაშვილი დამნაშავედ სცნო და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ბიანკა შიგუhოვა/ფოტო ITAR.GE

ბიანკა

2016 წლის 4 თებერვალს, 22 წლის ტრანსგენდერი ქალი, ბიანკა შიგუროვა საკუთარ ბინაში გარდაცვლილი იპოვეს. შსს-მ მიზეზად გაზის გაჟონვა დაასახელა და გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო.

ზიზი შეყიღაძე/ფოტო DRONI.GE

ზიზი

2016 წლის 16 ოქტომბერს, ზიზი შეყილაძეს თავს დაესხნენ და ყელისა და თავის არეში დაზიანებები მიაყენეს. მისი მდგომარეობა მძიმე იყო და კომაში იმყოფებოდა. 23 ნოემბერს, მიღებული დაზიანებების შედეგად, ზიზი გარდაიცვალა.

2017 წლის 3 თებერვალს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალდებულს განზრახ მკვლელობისთვის და სხვა დანაშაულისთვის დაკისრებული მსჯავრის შეკრების პრინციპის გათვალისწინებით, 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქმეში სიძულვილის მოტივი არ ფიგურირებდა და დანაშაული შეფასდა, როგორც ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მომხდარი დანაშაული.

ღიკა /ფოტო - ჟუჩნაღი სახკე

ლიკა

24 წლის ტრანსგენდერი ქალი, ლიკა 2018 წლის 19 ივლისს ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის ცენტრში გარდაიცვალა. ლიკას აივ-ინფექცია/შიდსი და ტუბერკულოზის ისეთი ფორმა ჰქონდა, რომელიც გადამდები არ არის. გარდაცვლილის ბებიის თქმით, არსებობდა „გარდაცვლილისგან ბაქტერიების გავრცელების საშიშროება“, ამიტომ ის ექსპერტიზის ბიუროს შენობიდან გააასვენეს და დაკრძალეს, თუმცა ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და ტუბერკულოზის საავადმყოფოს ფიზიო-პულმონოლოგიური

დეპარტამენტის უფროსმა, დიმიტრი ცეცხლაძემ იმ დღეებში რადიო თავისუფლებასთან საუბრისას განაცხადა, რომ ბაქტერიების გავრცელების საშიშროების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

ტრანსგენდერ ქალზე სიცოცხლის ბოლო დღეებში ბაბუა ზრუნავდა. აქტივისტების თქმით, ლიკას გარდაცვალება სისტემური გულგრილობის შედეგი იყო.

„იმის გამო, რომ სისტემა მათ საჭიროებებს სათანადოდ ვერ ხედავს, ეს ადამიანები ჯანმრთელობის მრავალი პრობლემის წინაშე რჩებიან და ვერ ახერხებენ სათანადო ჩართულობას იმ პროგრამებშიც კი, რომლებიც მეტნაკლებად ხელმისაწვდომია ადამიანებისთვის. მკურნალობის მიღებისას მრავალი ხილული თუ უხილავი ბარიერი იქმნება ხოლმე, რის გამოც ხშირად ადამიანები მკურნალობას წყვეტენ და სისტემა მათ იმ დრომდე ვეღარ ხედავს, სანამ ისინი სტაციონარში არ მოხვდებიან. რის შემდეგაც მათ სათანადოდ არ მკურნალობენ, რის გამოც ფატალური შედეგებიც დგება ხოლმე. ტრანსგენდერ ადამიანებს იმ სერვისებშიც კი უწევთ თანხის გადახდა, რაც უფასოდ ეკუთვნით, რადგან სწორი პროფილით გადამისამართება არ ხდება ხოლმე და ყველამ არ იცის, რისი უფლება აქვს და რა უნდა მოითხოვოს ჯანდაცვის კონკრეტული უწყებებისგან“, — აღნიშნავდა გოჩა გაბოძე რადიო თავისუფლებასთან საუბრისას.

ფოტო: ინტერნეტ გამოცემა “ახალი თაობა”

ტრანსგენდერი ქალი ტაილანდიდან

2021 წლის პირველ ნოემბერს, ვერაზე, მასაჟის სალონში ტაილანდის მოქალაქე ტრანსგენდერი ქალი მოკლეს, მეორე ქალი კი დაჭრეს. მათი სახელები არ გასაჯაროვებულა. გამოძიების ვერსიით, მოკლულსა და ბრალდებულს შორის დაპირისპირება მას შემდეგ მოხდა, რაც მომხმარებელმა მასაჟის სპეციალისტს, მასაჟის გარდა, დამატებითი სექსუალური ხასიათის მომსახურება მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. პოლიციამ მკვლელობაში ბრალდებული 23 წლის კაცი ცხელ კვალზე დააკავა და ბრალი განზრახ მკვლელობის მუხლით წარუდგინა.

სტატიის ავტორი: გიორგი ბასხაჯაური

ფემინისტური ბრაზი:
მნიშვნელობა და შესაძლებლობები

2014 წლის 27 მაისის აქცია ქალების მიმართ ჩადენილი დანაშაულებების სათანადო გამოძიების მოთხოვნით
ფოტო: netgazeti

დეფინიცია და მიზნები

ბრაზის განმარტება მრავალწახნაგოვანია, თუმცა იგი ყველაზე ხშირად განისაზღვრება, როგორც უსიამოვნების მძაფრი შეგრძნება, მტრული დამოკიდებულება, ან საერთოდაც – აგრესია, ობიექტის მიმართ. ამიტომ, უმეტესად, ბრაზზე, როგორც ინდივიდუალურ ემოციაზე, ისე ვსაუბრობთ და მას იმ ქცევასთან ვაიგივებთ, რომელიც პერსონალურ დისკომფორტს უკავშირდება. ასეთი შეიძლება იყოს ნებისმიერი ინტერპერსონალური ურთიერთობით გამოწვეული ბრაზი თუ გაღიზიანება, კონფლიქტი მეგობრებთან თუ პარტნიორთან და სხვა.

თუმცა, ამასთანავე, ბრაზი შესაძლოა, კოლექტიური, სოციალური და კრიტიკულად მნიშვნელოვანი დადებითი მუხტის მატარებელი ემოციაც იყოს, რომლის მიზანსაც პოლიტიკური პრობლემების გადაჭრა წარმოადგენდეს. ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ პოლიტიკური ბრაზი ხშირად უსამართლობის, დამცირებისა და მოყენებული ზიანის შესა-

ხებ გვაფრთხილებს და სოციალურ ველში საჭირო ცვლილებების შესახებ გვკარნახობს. შესაბამისად, იგი პასუხისმგებლობასთან, პოლიტიკურ სამართლიანობასა და ხშირად თანასწორობასთანაც შეიძლება დავაკავშიროთ.

ამ სტატიაში იმ ბრაზზე ვისაუბრებთ, რომელიც ინდივიდუალურთან ერთად, სოციალურადაც განიცდება. ეს ბრაზი იმ ზიანს უკავშირდება, რომელსაც კონკრეტული ჯგუფის ადამიანები გამუდმებით იღებენ სხვადასხვა ინსტიტუციებისა თუ სხვა ჯგუფების ადამიანების მხრიდან. მთავარი ფოკუსი, რომელშიც ამგვარ კოლექტიურ ბრაზს განვიხილავთ – ფემინიზმია. ვინაიდან ფემინიზმის უამრავი განსხვავებული განმარტება არსებობს, საჭიროა, აქვე მოვხაზოთ ჩვენი მსჯელობის საზღვრები და ვთქვათ, რომ ამ სტატიაში ფემინიზმი განხილული იქნება თავისი ყველაზე ზოგადი დეფინიციით, როგორც ფილოსოფია და მოძრაობა, რომლის მიზანსაც სხვადასხვა გენდერული იდენტობის მქონე ადამიანების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული თანასწორობა წარმოადგენს.

2017 წლის 8 მარტის აქციის მონაწილეები იკრიბებიან ფიღარმონიის საკონცერტო დარბაზის წინ/ ფოტო: გუკი გიუნაშვილი netgazeti

ბრაზიანი ფემინისტის სახე

ბრაზიანი ფემინისტის სახე მყარი სოციალური კლიშეა, რომელიც თავისი ნეგატიური კონოტაციებით ადამიანების ნაწილს ხშირად უბიძგებს საკუთარი თავი არა ფემინისტურ, არამედ სხვა პოლიტიკურ ჯგუფებთან გააიგივონ. მაგალითად, ხშირად გვესმის, რომ ფემინისტები არიან რადიკალურები, მუდმივად ბრაზობენ, არაფერს თმობენ, მათთან ლაპარაკი შეუძლებელია, რადგან უბრალოდ ყველაფერი სძულთ და არაფრით არიან კმაყოფილები. სამწუხაროა, რომ ადამიანთა ნაწილი, რომელთაც პოლიტიკურად ფემინისტური შეხედულებები აქვთ, სწორედ ამ სახე-ხატის გამო იკავებს თავს ფემინისტურ მოძრაობასა თუ აქტივიზმში ჩართვისგან.

საინტერესოა, რატომ არის ამდენად დამაბრკოლებელი თუ შემაწუხებელი გაბრაზებული ფემინისტის, ან სულაც გაბრაზებული ქალის, დანახვა და რა დისკომფორტებთან ასოცირდება ეს. ისტორიულად ქალებს ხშირად მიეწერებოდათ ისეთი მახასიათებლები, რომლებიც „ზედმეტ ემოციურობას“ მოიაზრებდა, მათ შორისაა, ისტერიულობა, ირაციონალობა, სიგიჟე და მრავალი სხვა. ეს სახელმდები ტერმინები ხშირად იმისთვის გამოიყენება, რომ ქალებმა ნაკლები ადგილი დაიკავონ სოციალურ ველში, ნაკლებად ხმაურიანები და მომთხოვნები იყვნენ და შესაბამისად, მასკულინობის შეუპოვრებას საფრთხე არ შეუქმნან. მრავალი კვლევა ცხადდყოფს, რომ მამაკაცი პოლიტიკური ლიდერები ბრაზისა ან ნებისმიერი სხვა მძაფრი ემოციის გამოხატვისას სოციალურად და პოლიტიკურად ჯილდოვდებიან და ხშირად ქარიზმატული ლიდერის სტატუსაც მოიპოვებენ. თუმცა, მეორე მხრივ, ქალი პოლიტიკოსების მიერ იმავე ემოციების გამოხატვა ხშირად ისევ ისტერიულობასა და არაპროფესიონალიზმთან კავშირდება.

გარდა არაერთი პოლიტიკური მაგალითისა, შეგვიძლია ლიტერატურული მაგალითების გახსენებაც, რომელთა შორისაც აუცილებლად მოხვდება მედეა, რომელმაც ჯერ შვილები მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა; ანტიგონე, რომელმაც თავისი მოღალატე ძმა ქალაქის წესების საწინააღმდეგოდ მაინც დაკრძალა და

შესაბამისად, საფრთხე შეუქმნა მეფის, კრეონის, ავტორიტეტს; შეგვიძლია, გავიხსენოთ უფრო გვიანდელი ტექსტებიც, მაგალითად სილვია პლათის „ზარხუფი“, რომელშიც თვითმკვლელობის არაერთი მცდელობა და ღრმა დეპრესიაა აღწერილი; ფილმები „Gone Girl“, „Midsommar“, „Hereditary“, „Promising Young Woman“ და მრავალი სხვა. მთავარი ნიშანი, რომელიც ჩვენ მიერ ჩამოთვლილ ტექსტებსა თუ ფილმებს აერთიანებს ისაა, რომ თითოეულ მათგანში ქალები თავიანთი აგენტობის განმტკიცებას სხვადასხვა ინსტიტუციის შიგნით ცდილობენ და იმავე ტექსტებში (და სხვა სახის მედიუმებში) სხვა პერსონაჟების მიერ (რომლებიც უმეტესად წარმოადგენენ კიდეც ინსტიტუციურ სახეს) სახელდებულები არიან როგორც ირაციონალურები, შეშლილები, გაუწონასწორებლები ან უბრალოდ სრულიად აცდენილები თავიანთი რეალობის კონტექსტებს. მაგალითისთვის, გავიხსენოთ „ზარხუფში“ აღწერილი მკურნალობის მეთოდები ფსიქიატრიულ კლინიკაში და ესთერის, მთავარი პერსონაჟის, საუბრები ფსიქიატრ კაცთან.

ბრაზიანი ან ემოციური ქალისა თუ ფემინისტის სახეს ხშირად ვხვდებით პოპ-კულტურასა თუ თანამედროვე ულტრანაციონალისტურ, მიზოგინურ დისკურსში, სადაც ძალადობის მსხვერპლ ქალებს ბრალს სდებენ თავიანთი ქცევის, ჩაცმულობის, ან საერთოდ, ამ ძალადობის შესახებ ხმის ამოღების გამო. ისეთი დიდი პოლიტიკური მოძრაობებიც კი, როგორიც მაგალითად იყო #MeToo, საზოგადოების ნაწილის მიერ უბრალოდ ათვალწუნებულია სიჩუმის ზედმეტად დარღვევის, ბრაზის თუ ტკივილის საჯარო გამოხატულების გამო. შესაბამისად, მარტივად რომ შევაჯამოთ, ქალების გრძნობების ვილანიზაციას (დემონიზების – რედ.) უზარმაზარი ისტორია აქვს, თუმცა მაინც გვჯერა, რომ ეს გრძნობები ვალიდურია და ბრაზი ინსტრუმენტული, უდიდესი მუხტის მატარებელი და რეალური ცვლილების გამომწვევი შეიძლება იყოს.

ემოცია და საპროტესტო მოძრაობები

2017 წლის 8 მარტის აქცია საქართველოს პარლამენტთან/ ფოტო: გუკი გიუნაშვილი netgazeti

მანამ, სანამ ფემინისტურ კვლევებში ბრაზის მნიშვნელობაზე უფრო ღრმად ვისაუბრებთ, უნდა ავხსნათ ემოციების ზოგადი როლი კოლექტიურ, კონკრეტულად კი, საპროტესტო მოძრაობებში. ბერკლის სოციოლოგიის პროფესორი, ჯეიმს ჯასპერი, თავის კვლევაში საპროტესტო მოძრაობებში ემოციების მნიშვნელობის შესახებ წერს: „ბოლო დეკადაში, პოლიტიკასა და პროტესტში ემოციების კვლევა დაიწყო იმ ცხადი პროცესის გააზრების შედეგად, რომ სხვადასხვა სახის ემოცია იწვევს პოლიტიკურ მოქმედებას“ (Jasper 611).

ხოლო ბრაზთან დაკავშირებით ვკითხულობთ: „ბრაზი და გაღიზიანება, განსაკუთრებით კი, მორალში დაფუძნებული ბრაზის ფორმა (მორალური ბრაზი), არსებითად მნიშვნელოვანია პროტესტის მრავალი ასპექტისთვის. ეს ემოციები არამხოლოდ კარნახობენ ადამიანებს მონაწილეობის მიღების საჭიროების შესახებ, არამედ ბრალეულობას სოციალური პრობლემებისკენ მიმართავენ, რომლითაც პროტესტის მონაწილეთა შორის სიმპათია და ურთიერთპატივისცემა ჩნდება, რაც, თავის მხრივ, სტრატეგიული გადაწყვეტილე-

ბების განმაპირობებელი შეიძლება გახდეს. მიუხედავად ამისა, ბრაზი ხშირად მოუხელთებელია და ჩვენს თანამედროვე საზოგადოებებში აგრესიასაც უკავშირდება“ (Jasper 208).

ჯასპერის კვლევაზე, და არა მხოლოდ, დაყრდნობით, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ნებისმიერ საპროტესტო მოძრაობას აქვს თავისთვის დამახასიათებელი ემოციების რეზერვუარი, რომლის გამოც პროტესტის მონაწილეები როგორც ერთმანეთის, ისე პროტესტის ობიექტის მიმართ შეიძლება უამრავ განსხვავებულ ან მსგავს ემოციას განიცდიდნენ. ამის არაჩვეულებრივი მაგალითია მეოცე საუკუნის ბოლოს ამერიკის შეერთებულ შტატებში დაწყებული ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელში მონაწილე პროტესტანტებს შორისაც არსებითად გაიყო დამოკიდებულება ქვიარ ადამიანების ფემინისტურ მოძრაობაში ჩართვის საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, ემოციები და ბრძოლის ტაქტიკები ერთანეთისგან განსხვავდება, რამაც ხშირად ჯგუფის შიგნით დაყოფაც შეიძლება გამოიწვიოს, თუმცა ის, რომ მოძრაობების აბსოლუტური უმრავლესობა აფექტურად განცდილ, კოლექტიურ ემოციებზეა დაფუძნებული, შეგვიძლია მართებულად მივიჩნიოთ.

ბრაზის მნიშვნელობა ფემინიზმისთვის

რატომ არის მნიშნველოვანი ბრაზი და ემოცია ფემინიზმისთვის და რა არის ის გამოწვევები თუ სიკეთეები, რომლებსაც მსჯელობის ეს რაკურსი გვკარნახობს? უპირველესად, გავიხსენოთ ბრაზიანი ფემინისტის სახე რომელსაც გენდერისა და ქვიარ თეორიის ერთ-ერთი გამორჩეული თანამედროვე მკვლევარი, სარა აჰმედი, ფემინისტ სიხარულის მკვლელს უწოდებს (Feminist Killjoy). ამ სუბიექტის მთავარი მახასიათებელი ისაა, რომ იგი ზედმეტად ხმამაღალია, აფიქსირებს თავის აზრს ყველგან და მაშინ, როცა ადამიანების უმრავლესობა მშვიდად მუსაიფობს ვახშამის თანხლებით, ნებისმიერ სიხარულს, რომელიც მარეპრესირებელი დისკურსიდან შეიძლება ვითარდებოდეს, ადგილზევე კლავს. მაგალითად, ასეთი შეიძლება იყოს ნარატივები ჰეტერონორმატიულობისა და სექსიზმის შესახებ, რომელსაც ფემინისტი სიხარულის მკვლელი მომენტალურად შეეწინააღმდეგება.

ტექსტში „ფემინისტურად ცხოვრება“ აჰმედი წერს, რომ „სიხარულის მკვლელს ხშირად აკრავენ ემოციურის, ზედმეტად ემოციურის, იარლიყს; ამბობენ, რომ გრძნობები განსჯაში გვიშლის ხელს. სინამდვილეში კი გრძნობები ამბოხის ველია.“ (Ahmed, 246) ამბოხის ველი ისევდაისევ იმ ველთანაა კავშირში, რომელიც მხოლოდ პოლიტიკური შეიძლება იყოს, ან ისევ ფემინისტურ დისკურსს თუ მოვიშველიებთ, ინდივიდუალურობის შემთხვევაშიც კი პოლიტიკურია.

აჰმედი საუბრობს იმაზეც, რომ ეს ემოციები სექსისტურ დისკურსში ხშირად ზედაპირულად, ბავშვურად და ნაივურად მოიაზრება: „მე ყოველთვის ვეწინააღმდეგებოდი იმ მოსაზრებას, რომ ფემინისტი სიხარულის მკვლელები ზრდასრულები გახდებიან, გაიზრდებიან, და ეს ზრდასრულობა ნაკლებ ინტენსიურობასაც იგულისხმებს. ამ კონტექსტში, ზრდასრულობა

ცალსახად არასწორი ტერმინია. ეს წარმოდგენა კი, რომ ზრდასრულობა ფემინისტი სიხარულის მკვლელს დაატყდება თავს, გულისხმობს ან იმედოვნებს, რომ ფემინიზმიც – ის ფემინიზმი, რომელიც ყოველთვის ფემინისტურ განცხადებებს აკეთებს და ისიც, რომელიც გაბრაზებული და კონფრონტაციულია – უბრალოდ ფაზაა, რომელიც ასევე გაივლის." (Ahmed, „Killjoy in Crisis") თუ გავიხსენებთ ქალების გრძნობების ვილანიზაციის ისტორიას, არ გაგვიჭირდება იმის დანახვაც, რომ დისკურსი, რომელზეც აჰმედი საუბრობს, ფემინისტური ემოციების ინფანტილურობას, რაციონალობის სიმცირესა და არასანდოობას უკავშირდება.

არაჩვეულებრივი ამერიკელი შავკანიანი ლესბოსელი აქტივისტი, მწერალი და პოეტი, ოდრი ლორდი, თავის სიტყვით გამოსვლაში - „ბრაზის შესაძლებლობები" - რასიზმისა და თეთრკანიანი ფემინიზმის კავშირზე საუბრობს. ამ გამოსვლაში ლორდი ახსენებს, რომ ხშირად თეთრკანიანი ქალები ნებით თუ უნებლიეთ უგულებელყოფენ თავიანთი შავკანიანი „დების" ჩაგვრას. ამ მდგომარეობაზე საპასუხოდ კი, ბრაზი, ლორდის აზრით, ერთ-ერთი ყველაზე ლოგიკური და ინსტრუმენტული ემოციაა.

ლორდი წერს: *„თითოეულ ქალს აქვს ბრაზის დიდი მარაგი, რომელიც შესაძლოა გამოსადეგი გახდეს იმ პერსონალური თუ ინდივიდუალური ჩაგვრის წინააღმდეგ საბრძოლველად, რომელმაც თავისთავად გამოიწვია ამ ბრაზის არსებობა. თუკი მას სიფრთხილით დავაკვირდებით, იგი შესაძლოა ენერგიის მნიშვნელოვან წყაროდ იქცეს, რომელიც პროგრესსა და ცვლილებას შეუწობს ხელს. და როცა ცვლილებაზე ვსაუბრობ, არ ვგულისხმობ მარტივ ცვლილებას პოზიციებს შორის, ან დაძაბულობების დროებით შემსუბუქებას, არც იმის უნარს, რომ გავიღიმოთ ან უკეთ ვიგრძნოთ თავი. მე ვსაუბრობ ფუნდამენტურ და ყველა იმ დაშვების რადიკალურ ცვლილებაზე, რომელიც ჩვენს ცხოვრებას განაპირობებს." (Lorde 8)*

როგორც ვხედავთ, ამ მონაკვეთში ლორდი, ერთი მხრივ, ბრაზის გამომწვევ მიზეზებზე, მეორე მხრივ კი მის პოტენციალზე საუბრობს – თუკი ბრაზი სისტემური ჩაგვრით არის გამოწვეული, მისი მიმართვა შესაძლებელია ამავე სისტემისკენ იმგვარად, რომ არსებითი, გრძელვადიანი შედეგები მივიღოთ და არა დროებითი ტკივილგამაყუჩებლები. იმავე გამოსვლაში ლორდი ერთმანეთისგან განასხვავებს ბრაზსა და სიძულვილს, რაც, ვფიქრობ ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი მსჯელობისთვისაც. იმის გამო, რომ ბრაზს ხშირად აკავშირებენ აგრესიასთან, შესაძლოა, იგი გაიგივდეს სიძულვილთანაც:



ოდრი ჯეჰაღინ ლორდი - ამერიკელი პოეტი, მწერალი, ფემინისტი და სამოქალაქო აქტივისტი (1934-1992)

„მაშინ, როცა ერთმანეთის ბრაზის მტკივნეულ სახეებს განვსჯით, გთხოვთ, გავიხსენოთ, რომ ჩვენი ბრაზი არ გაიძულებთ ჩაკეტოთ კარი ღამით, და არც ჰარტფორდის ქუჩებში მარტო სიარულს გაიძულებთ. ის, რაც ამ ქუჩებში დაძრწის, სიძულვილია – სურვილი, რომ ყველა ჩვენგანი განადგურდეს. (...) თქვენი სიძულვილი და ჩვენი ბრაზი ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან. სიძულვილი იმათი მრისხანებაა, ვინც ჩვენს მიზნებს არ იზიარებს და რომელთა მიზანსაც სიკვდილი და ნგრევა წარმოადგენს. ბრაზი გლოვაა და მის მიზანს ცვლილება წარმოადგენს." (Lorde 8)

უფრო მარტივად რომ ავხსნათ, ლორდი გულისხმობს, რომ სიძულვილის მიზანი ჩაგვრა, ნგრევა და განადგურებაა, ბრაზი კი მხოლოდ პასუხია ამ სიძულვილზე. სწორედ ამის გამო, იგი ამბობს: *„ჩვენ ვერ დავრთავთ ბრაზის შიშს უფლებას, რომ გვაცდუნოს, ბრუტალურ სიმართლეზე ნაკლებს დავთანმხდეთ. ჩვენ ძალიან სერიოზულად უნდა მივიღოთ ეს ემოცია და ბრაზები, რომლებიც მასთან არის დაკავშირებული, რადგან, ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი ოპონენტები ძალიანაც სერიოზულები არიან ჩვენსა და იმის სიძულვილში, რის გაკეთებასაც [პოლიტიკურად] ვცდილობთ.“ (Lorde 8)*

მოკლედ რომ შევაჯამოთ, ბრაზი, ისევე როგორც ნებისმიერი ემოცია, რომელიც კოლექტიურად განიცდება, არსობრივად ინსტრუმენტული შეიძლება იყოს, რაშიც მისი დახმარებით ჩაგრული ჯგუფების გაერთიანება და საერთო ამბოხის სურვილის აღმოცენება მოიაზრება, ამიტომ მიუხედავად მისი მრავალი ფორმისა, იგი [ბრაზი] შესაძლოა, ძალიან დადებითი მამოძრავებელიც გახდეს. თუკი რაიმეს შეცვლა გვინდა, უნდა გავბრაზდეთ, მაგრამ ამას ჩვენი მთლიანი იდენტობა არ უნდა დავაკავებინოთ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბრაზით შეკავშირება სეპარაციის გამოწვევასაც გულისხმობს, რის თავიდან ასარიდებლადაც ძალიან მნიშვნელოვანია, ერთმანეთის განსხვავებებისა და ჩაგვრის ინტერსექციულობისა თუ ინსტიტუციურობის დანახვა.

სტატიის ავტორი: მეგი თედორაძე

მაია ცირამუა - ფსიქოთერაპევტი, მწერალი

შეუძლებელი სიყვარული

დიდი ხნის წინ ჩემთან ვიზიტზე 16 წლის გოგონა მოვიდა. როცა იმ ოთახის კარი უნდა შემეღო, სადაც მუშაობას ვაპირებდით, სულ რამდენიმე წამით შეყოვნდა, თითქოს ამოწმებდა მზად იყო თუ არა საუბრისათვის, ვერ გადაეწყვიტა, უკან გაბრუნებულიყო თუ დარჩენილიყო. საბოლოოდ, მაინც გაბედა შემოსვლა. სავარძლის კიდეზე ჩამოჯდა და სახელურს ჩაებღაუჭა. ძალიან გაუჭირდა საუბრის დაწყება. ხმადაბლა და გაუბედავად ლაპარაკობდა. თვალები ჩამქრალი ჰქონდა და მზერას მარიდებდა. თითქოს მისი გონება სახეტიალოდ წასულიყო და ჩემს წინ კაფანდარა, სეზონისთვის შეუფერებელ თბილ ტანსაცმელში გამოწყობილი სხეულიღა რჩებოდა. გამიჭირდა დამესვა სტანდარტული კითხვები: *რისთვის მოხვედი? რა არის შენი მიზანი? რით შემიძლია დაგეხმარო? რას გრძნობ?* ეს უადგილოდ მეჩვენებოდა, რადგან მისი სხეული ისედაც ყველაფერს პასუხობდა.

„მოდით, იპოვეთ ერთი სიტყვა, რომელიც თქვენს მდგომარეობას გამოხატავს, დაარქვით მას სახელი.“

დიდხანს არ უფიქრია, თითქოს მზად იყო ამ შეკითხვისათვის.

„ორი სიტყვა რომ იყოს?“

„დიახ, ცხადია. ორიც შეიძლება და მეტიც“

„შეუძლებელი სიყვარული!“ – მითხრა და თვალები ცრემლებით აევსო.

გულზე მომეშვა. ეს ცრემლები ნდობისა და პროცესის დაწყების ნიშნად მივიღე. ალბათ სიყვარულის ტრავმაა, დანაკარგით გამოწვეული მდგომარეობა – გავიფიქრე და „მდინარეში შესაცურად“ მოვემზადე. ეს ჩემი მეტაფორაა, სწორედ ასე ვხედავ ხოლმე თერაპიის პროცესს.

„ახლაღა მივხვდი რა ჰქვია ჩემს მდგომარეობას“ – დაამატა გოგონამ. „სახელი მაინც მაქვს.“

აღარ მოვყვები მთელი პროცესი როგორ წარიმართა. მაგრამ იმის ხაზგასმა კი მნიშვნელოვანია, რომ ჩემთვის მთავარი განსაცდელი ჯერ კიდევ წინ იყო. გოგონა წყვეტილად და გაჭირვებით, მაგრამ მაინც ყვებოდა თავის განცდებზე: თუ როგორ სტკიოდა, როგორ უყვარდა და როგორ რაზავდა ამ გრძნობას სადღაც წარმოსახვით ყუთში; რას გრძნობდა, როცა სიყვარულის ობიექტს ხედავდა. რატომაა შეუძლებელი?! - ვფიქრობდი ჩემთვის. რატომ უნდა დამალო, როცა ასე გიყვარს?! ვერც დამალავ. აი, ამ სისულელეებზე ვფიქრობდი და ფიქრებს აბეზარი ბუზივით ძლივს ვიგერიებდი. მისი მდგომარეობა ღია ჭრილობას ჰგავდა, რომლიდანაც სისხლი წვეთ-წვეთად მოედინება და ძალას გაცლის, გფიტავს, გასუსტებს და სიცარიელედ გაქცევს. მესამე შეხვედრაზე საყვარელი ადამიანის სახელიც ახსენა. დიახ, არ შეცდით და ზუსტად მიხვდით – მას თავისივე სქესის ადამიანი უყვარდა. და რა მერე?! იტყვით თქვენ. იმ მომენტში ჩემთვის ეს მოულოდნელი და კატასტროფულად შიშისმომგვრელი ინფორმაცია აღმოჩნდა. ახლა რა უნდა ვქნა? რა უნდა ვიცოდე მე ასეთი სიყვარულის შესახებ? შევძლებ მის დახმარებას? მან ხომ უკვე ორჯერ ახსენა რომ სიცოცხლე აღარ უნდა. და მე თვითონ რას ვფიქრობ ამგვარი სიყვარულის შესახებ? ასეთ სიყვარულს მეც შეუძლებლად მივიჩნევ? თუკი ასე მგონია, მაშინ პატიოსნად უნდა მოვიქცე და ამ სასოწარკვეთილ გოგონას ვუთხრა, რომ მისი დახმარება არ შემიძლია, ან რომ საერთოდ არ მესმის როგორ შეიძლება შენი სქესის ადამიანი გიყვარდეს?!

ვინ იცის რამდენი მსგავსი შეკითხვა დავუსვი საკუთარ თავს, რამდენ ჯურღმულში გავატარ-გამოვატარე; რამდენჯერ ამიკანკალდა ხელი იმის შიშით, რომ „რამე არ მევნო“. ლამის ,,ეშმაკის ადვოკატად“ ვიქეცი, სანამ არ დავრწმუნდი, რომ ჩემში არაფერი შეცვლილიყო და მისი დახმარება კვლავ შემეძლო. შემდეგ შეხვედრაზე მოსვლისას თავისი შიში გამიზიარა, მეგონა აღარ მიმიღებდითო. მას შემდეგ კიდევ უფრო ღრმა ტკივილებზე დავიწყეთ მუშაობა.

ეს დაახლოებით 12 წლის წინ მოხდა. ის გოგონა ახლა საქართველოში აღარ ცხოვრობს. ბედნიერია, მაგრამ აქ, ამ ქვეყანაში, ეს ვერ მოახერხა. სანამ ამ ამბავს მოგიყვებოდით, ვკითხე შემეძლო თუ არა ლგბტქი თემის წარმომადგენელთან ჩემს პირველ სამუშაო გამოცდილებაზე მომეყოლა. დამთანხმდა და მეც გავბედე თქვენთვის გამეზიარებინა.

როდესაც ამ სტატიის დაწერა შემომთავაზეს, უამრავი კითხვა დამისვეს:

როდის და როგორ ხვდება ხოლმე ლგბტქი თემის წევრი, რომ მას გარშემომყოფებისგან განსხვავებული ორიენტაცია თუ გენდერული იდენტობა აქვს? რაზე ეფიქრება ამ დროს?

თუ არსებობს თვითგამორკვევის პერიოდი და რა ხდება ამ დროს, რა პროცესები მიმდინარეობს ადამიანის ცნობიერებაში? რა ნიშნებით ხასიათდება საკუთარი თავის მიღება?

რატომ შეიძლება გაუჭირდეს ადამიანს საკუთარი ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის მიღება და ვერმიღების შემთხვევაში რაში ვლინდება ეს, რა შედეგებს იწვევს?

რატომ გვიჩნდება ქამინგაუთის სურვილი? ყველაზე ხშირად ვისთან ან/და რა ასაკში ვაკეთებთ ქამინგაუთს? ხომ არ არსებობს რაიმე კვლევები ამასთან დაკავშირებით?

ამ კითხვებზე დასაფიქრებლად და მით უფრო, პასუხების გასაცემად, ბევრი რამის გახსენება და გადაკითხვა დამჭირდა. განსაკუთრებული გულისყურით კი, ჩემს ჩანაწერებს მივუბრუნდი, რომლებსაც ყოველთვის ვაკეთებ ხოლმე. ამ დროს უცნაურ დამთხვევასაც ჰქონდა ადგილი, სწორედ მაშინ, როდესაც ამ თემებზე რეფლექსიას ვცდილობდი, გადავაწყდი სალომე ასათიანის პოდკასტს ტონი მორისონზე, ვუსმენდი და თან ჩემს ჩანაწერებს ვათვალიერებდი. „თუ მხოლოდ მაშინ შეგიძლია იყო მაღალი, როცა სხვა მუხლებზე დაჩოქილი დგას, მაშინ სერიოზული პრობლემა გაქვს“ - ამ ფრაზამ მეც ისევე შემძრა, როგორც პოდკასტის ავტორი. ტონი მორისონი რასიზმს თეთრკანიანთა პრობლემად განიხილავს, ისევე როგორც ჰომოფობია ჰეტეროსექსუალთა პრობლემად შეიძლება აღვიქვათ. არაერთხელ შემრცხვენია იმ ადამიანების ნაცვლად, რომლებიც ასეთ ძლიერ ფიზიკურ და სულიერ ჭრილობებს აყენებენ „სხვას“. მძიმეა იმ ადამიანთა ხვედრი, ვინც ორიენტაციის გამო გარიყეს, ვისაც მუდმივად დევნიან, საკუთარი ოჯახის წევრებიც კი უარყოფენ და სიყვარულის ნაცვლად ზიზღით პასუხობენ - მათ არყოფნას, გაქრობას, მარტოობაში გამოკეტვას ცდილობენ. მუდმივად მიჩნდება კითხვა: რატომ? ვინ დაადგინა და გადაწყვიტა ასე? მთავარი პრობლემა ხომ ისაა, რომ ჩვენ, ადამიანებს, არ გვყოფნის ნებისყოფა გავუმკლავდეთ ყველაზე დიდ ადამიანურ სისუსტეს - სხვაზე უპირატესობის ქონის განცდას. ვინ დაადგინა ეს სტანდარტები და გამოიგონა უპირატესობები?! ჩვენ ხომ არა?! ეს ხომ ილუზიაა! ღმერთო, რამ შეიძლება გაუჩინოს ადამიანს სხვაზე უპირატესობის ქონის შეგრძნება, რა შეიძლება იყოს ასეთი?!

ახლა მინდა ისევ მაღლა დასმულ შეკითხვებს დავუბრუნდე. როგორ ყალიბდება განსხვავებული ორიენტაცია? როგორია ეს გზა? მაგრამ მანამდე აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ არსებობს უმცირესობის სტრესის ფენომენი, რომელიც არ არსებობს განყენებულად და ის სოციოლოგიური თუ ფსიქოლოგიური თეორიების ერთგვარი ნაზავია. ილან ჰ. მაიერმა გარკვეულწილად თავი მოუყარა ამ თეორიებს და აღნიშნა, რომ სტიგმატიზებული სოციალური იდენტობის მქონე პირმა შესაძლოა განიცადოს ისეთი სტრესორები, რომლებიც მის იდენტობასთანაა დაკავშირებული და იმგვარიც, რომლებსაც თითოეული ინდივიდი განიცდის (I. H. Meyer 2003). იდენტობასთან დაკავშირებული სტრესორები, რომლებიც გარემოდან მოდის სიტყვიერ ან ფიზიკურ ჩაგვრას, ზეწოლას, ძალადობას, ლგბტქ+ პირების უარყოფასა და მათი სექსუალური ურთიერთობებისა და ოჯახური სტრუქტურის უგულებელყოფას ან არაღირებულად წარმოჩენას მოიცავს. მსგავსი დამოკიდებულებები შესაძლოა ამ პირების ყოველდღიურ ცხოვრებას წარმოადგენდეს. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ძალისხმევის ხარჯზე, ისინი ადაპტაციას ახერხებენ, დროთა განმავლობაში ეს გამოცდილებები გროვდება და შესაძლოა დამანგრეველი აღმოჩნდეს ინდივიდისთვის (I. H. Meyer 2003).

არსებობს კიდევ უფრო ძლიერი სტრესორი, რომელიც პიროვნულ დონეზე იჩენს თავს და სუბიექტურ აღქმებსა და შეფასებებს ეფუძნება. სოციუმიდან მომდინარე ჰომოფობიური დამოკიდებულებები ხშირად აირეკლება გეი, ლესბოსელ, ბისექსუალ თუ ტრანსგენდერ ინდივიდზე და გავლენას ახდენს მათ თვითაღქმაზე, რწმენებზე. ისისხლხორცებენ რა გავრცელებულ მოსაზრებებს, მათ თავად უჩნდებათ ჰომოფობიური დამოკიდებულებები საკუთარი თავის მიმართ, უარყოფენ საკუთარ იდენტობას და შესაძლოა, ეს სექ-

სუალური ორიენტაციის თუ გენდერული იდენ-ტობის დამალვის მიზეზიც გახდეს. აქედან გამომდინარე, ის ჰომოფობიური მოსაზრებები, რომლებიც ფართოდ არის გავრცელებული საზოგადოებაში საკუთარი თავის უღირსად ჩათვლასა და უარყოფას იწვევს (Frost 2011). ამ ტიპის სტრესორს კი ბევრი ღრმა ფსიქოლოგი-ური პრობლემა უკავშირდება, რომელსაც ხში-რად ინდივიდი საზრისის დაკარგვამდე, სუიცი-დურ აზრებამდე ან ქმედებებამდე მიჰყავს.

„მუდმივად მჭამს რაღაც შიგნიდან, ასე მგო-ნია, საკუთარ თავს თავად ვიჭამ"

„იქამდე მეზიზღება საკუთარი თავი, სანამ ვინმე გამოხატავს ზიზღს"

„მინდა საკუთარი თავი რამედ მიღირდეს"

„მგონია, რომ ხელში გვირილა მიჭირავს, ფუ-რცლებს ვაძრობ და ვმკითხაობ: ვუყვარვარ თუ არ ვუყვარვარ?! ეს, უპირველესად, მე მე-ხება - მიყვარს კი საკუთარი თავი?!"

„არ ვიცი საკუთარი თავი როგორ შევიყვარო, როცა მხოლოდ მისი უარყოფა და სიძულ-ვილი მასწავლეს"

ამიტომ პასუხი კითხვაზე, „არის ქამინგაუ-თი საჭიროება თუ ჩვენი ფსიქოლოგიური პრობლემის გამოხატულება?", ცალსახაა. ეს საკუთარ თავთან შერიგება, მისი შეყვარება და გარკვეულწილად ამ ორმაგი სტრესის დაძლე-ვაა.

პიროვნების განვითარების ახალი მოდელე-ბის მიხედვით, ლგბტქი ინდივიდები იდე-ნტობის განვითარების დაახლოებით იმავე ეტაპებს გადიან, რასაც ყველა ადამიანი. ეს მოდელები ერიქსონისა და სალივანისეულ კონცეფციას ეფუძნება, რომლის მიხედვითაც, განვითარების თითოეულ საფეხურზე წამოჭ-რილი კრიზისი მანამ უნდა დაიძლიოს, სანამ ის შემდეგ საფეხურზე გადავა. ასევე, ავტო-რები, განიხილავენ სოციალიზაციის, როგორც პროცესის, გავლენას ინდივიდზე, რომლის ფარგლებშიც მნიშვნელოვანად ვითარდება და ინტერპერსონალურ ურთიერთობებსა და მათ ბუნებაზე დაყრდნობით იძერწება „თვი-თი"(self).

შემოთავაზებული მოდელი ხუთ საფეხურს მოიცავს: ქამინგაუთამდელი (Pre coming out); ქამინგ აუთი, გამორკვევა (exploration), პირ-ველი ურთიერთობები (first relationships) და იდენტობის ინტეგრირება (identity integration). ვიდრე უშუალოდ ამ საფეხურების აღწერა-ზე გადავიდოდეთ, რამდენიმე საკითხს უნდა შევეხოთ: პირველი, ეს მოდელი არ გულის-ხმობს იმას, რომ თითოეული ადამიანი ყველა ჩამოთვლილ საფეხურს ზედმიწევნით მიჰ-ყვება. შესაძლოა, ინდივიდი რომელიმე ეტაპზე გაიჭედოს, ან წინა საფეხურს დაუბრუნ-დეს, ან სულაც შეუძლებელი იყოს იდენტო-ბის ინტეგრირების საფეხურამდე მიღწევა. თუმცა იდენტობის ინტეგრირება, რომელიც უმაღლესი საფეხურია, დამოკიდებულია წინა საფეხურების დასრულებაზე. განვითარება ბევრი ადამიანისთვის საკმაოდ ქაოტური, ფლუიდური თუ კომპლექსურია, ვიდრე ეს აღნიშნულ მოდელშია აღწერილი. ეს ჩარჩო უფრო მეტად გამოსადეგია ჩვენთვის, ფსიქო-თერაპევტებისთვის, რათა უკეთ გავიგოთ რას განიცდიან პაციენტები ამ რთულ გზაზე. აღნიშ-ნული მოდელის ვალიდურობა კიდევ ერთხელ გადახედვასა და კვლევას საჭიროებს.

ქამინგ აუთამდელი ეტაპი (Pre Coming Out)

ბავშვა ჯერ კიდევ 2-4 წლის ასაკში იცის საკუთარი სქესობრივი მიკუთვნებულობა და ერთმანეთისგან განასხვავებს მამაკაცებსა და ქალებს (ტანსაცმლით, გარეგნობით, ხმის ტემბრით). სქესთან დაკავშირებულ ინფორმაციით ბავშვი სკოლამდელ ასაკამდე ინტერესდება და ითვისებს მას. 3 წლის შემდეგ ვლინდება მომატებული ინტერესი, როგორც საკუთარი, ისე საწინააღმდეგო სქესის სასქესო ორგანოების მიმართ, ცდილობენ მათ ჩვენებას, ხელით მოსინჯვას.

თუკი იდენტობის ობიექტი, არჩევანი ადრეულ ასაკში ფორმირდება, შესაძლებელია, ცნობიერ თუ ცნობიერებამდე დონეზე, ბავშვმა და ოჯახის წევრებმა უკვე ამ ეტაპიდან მოყოლებული იცოდნენ ბავშვის „განსხვავებული“ სექსუალური ორიენტაციის შესახებ. ამ ცოდნამ შეაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს როგორც თავად ბავშვზე, ასევე მშობელზეც. ამ ადრეული წლების განმავლობაში, ბავშვი ეთიკურ ღირებულებებს ოჯახიდან და საზოგადოებიდან სწავლობს, ახდენს წესების ინტერნალიზაციას და ამ გზით იმეცნებს რომ ჰომოსექსუალობა არასწორია, შენივე სქესის მქონე ადამიანის მიმართ გრძნობები უარყოფას ნიშნავს და ეს სამარცხვინოა. იგებს რომ არსებობს დადგენილი ნორმები, რომლებიც გკარნახობენ თუ როგორ შექმნა ოჯახი, როგორ იცხოვრო, ვინ გიყვარდეს და ვინ არ შეიძლება გიყვარდეს. უკვე ამ ეტაპზე, ბავშვი გრძნობს რომ „სხვაა“, უცხოპლანეტელია და მარტოა. ზრდასთან ერთად, ასეთ ბავშვებს უყალიბდებათ დაბალი თვითშეფასება. შედეგად, ინდივიდები ამისი გაცნობიერებისგან თავს მთელი რიგი დაცვითი მექანიზმებით იცავენ: უარყოფენ, ახდენენ მის რეპრესირებასა თუ სუბლიმაციას. ფიშერი აღნიშნავს, რომ „საკუთარი გრძნობების ვალიდურობის უარყოფა, მისი გამოხატვისაგან თავის შეკავება, იწვევს ტკივილს და უარყოფის ენერგიას „შიგნით“ აბრუნებს ... წლებთან ერთად, ეს მცირე უარყოფები თავის კუმულაციურ შედეგს გამოიღებს“.

ამ საფეხურზე მყოფ ადამიანს არ აქვს გაცნობიერებული ის გრძნობები, რომლებსაც თავისივე სქესის ადამიანების მიმართ განიცდის, მას არ შეუძლიათ იმის აღწერა, თუ რა არის არასწორად. ისინი გრძნობენ განსხვავებულობასა და შინაგან კონფლიქტს, რაც ხშირად ქცევითი პრობლემების სახით, ფსიქოსომატური დაავადებებით ან ბევრი სხვა სიმპტომით ვლინდება.

ამ საფეხურზე კონფლიქტის დაძლევის სხვადასხვა გზებს მიმართავენ. ზოგი სუიციდს წყვეტს და ახორციელებს კიდეც, ზოგი განსხვავებულობით გამოწვეულ გრძნობებს საკუთარი თავისგანაც მალავს და სხვებისგან, აგრძელებს ტანჯვას დაბალი თვითშეფასებითა და დეპრესიით. ამ საფეხურზე ჯანსაღი გამოსავალი ეგზისტენციურ კრიზისთან პირისპირ

დადგომაა. იყო განსხვავებული, ეს ნიშნავს, გადალახო დამცავი მექანიზმების ბარიერი და აღიარო შენივე სქესის მქონე ადამიანის მიმართ გრძნობები.

ქამინგ აუთი (Coming Out)

ამ საფეხურზე ინდივიდები მას შემდეგ გადადიან, რაც საკუთარ ჰომოსექსუალურ გრძნობებს აღიარებენ. ეს ქამინგ აუთის საფეხურის პირველი ამოცანაა. უპირველესად, საკუთარი ფიქრები და ფანტაზიები უნდა აღიარო. პლამერი (Plummer) და ლი (Lee) ამ საფეხურს დანიშნულებას უწოდებენ. პლამერი აღნიშნავს, რომ „ეს პირველი გაცნობიერებული თუ ნაწილობრივ გაცნობიერებული მომენტებია, როდესაც ადამიანი საკუთარ თავს ჰომოსექსუალად აღიქვამს“. ამ საფეხურს ჰენკენი და ო'დაუდი გაცნობიერებას უწოდებენ, დენკი – იდენტიფიკაციას, გრეისი კი, აღიარებას.

კვლევები მიგვანიშნებს, რომ ადამიანებისთვის ჰომოსექსუალური ვნებების გაცნობიერების საშუალო ასაკი 13-დან 18 წლამდეა. სხვადასხვა კვლევის მიხედვით, ეს ასაკი განსხვავებულია გოგონებისთვისა და ბიჭებისთვის. Jay and Young-ის (1979) კვლევის მიხედვით, გოგონებში ეს ასაკი საშუალოდ 18 წელია, ბიჭებში კი - 13-14. სხვა კვლევის მიხედვით, ბიჭები საკუთარ ჰომოსექსუალობას დაახლოებით 17 წლის ასაკში იმეცნებენ, გოგონები კი - 15 წლის ასაკში. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველაფერი ინდივიდუალურია და ასაკობრივი ზღვრის დადგენა შეუძლებელია. ინდივიდების ცხოვრებაში ხშირად არის პერიოდი, როდესაც ჰომოსექსუალური გრძნობები გაცნობიერებული აქვთ (განურჩევლად იმისა, მისულა თუ არა ეს გრძნობები რაიმე სახის ურთიერთობამდე), თუმცა თავს ამ ჯგუფს არ მიაკუთვნებენ. სხვანაირად რომ ვთქვათ, მათ არ შეუძლიათ ამ გრძნობების გამოხატვა და მათზე საუბარი.

როდესაც ადამიანი თავისი გრძნობების იდენტიფიცირებასა და აღიარებას ახერხებს, ის შემდეგი გამოწვევის წინაშე დგება – გააკეთოს თუ არა ქამინგაუთი ანუ უთხრას თუ არა სხვებს ამის შესახებ. ამ ქმედების დანიშნულება კი, საკუთარი თავის მიღების პროცესის დაწყებაა.

გაცხადების პროცესის დაწყება მაინცდამაინც არ ნიშნავს ამაზე საჯაროდ საუბარს. ეს არის თვითაღიარება და გაზიარება მნიშვნელოვანი ადამიანებისთვის. გარეგანი ვალიდაციის საჭიროების გამო, ინდივიდები ხშირად რისკავენ გააცხადონ საკუთარი სექსუალური ორიენტაცია, იმ იმედით, რომ მათ არ უარყოფენ. ეს მათთვის ძალზედ კრიტიკული წერტილია და ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ ადამიანთა რეაქციას, ვისაც ამ ინფორმაციას უზიარებენ. თუ ეს რეაქცია უარყოფითია, ამან შესაძლოა ყველა ძველი უარყოფითი წარმოდგენა განამტკიცოს, ხოლო თუ დადებითია, ადამიანი უპირისპირდება წარსულში არსებულ უარყოფით შეგრძნებებს, უფლებას აძლევს საკუთარ თავს მიიღოს საკუთარი შეგრძნებები, რაც თვითშეფასებაზეც აისახება. ასეთ შემთხვევაში, ეგზისტენციური კრიზისი დადებითი მიმართულებით ვითარდება.

კვლევებმა ცხადყო რომ პოზიტიური ჰომოსექსუალური იდენტობა ჯანსაღ ფსიქოლოგიურ რეგულირებასთანაა დაკავშირებული. ამასთანავე, დენკმა აღმოაჩინა, რომ საკუთარ ჰომოსექსუალურ იდენტობასთან მეტი დროის გატარება ამცირებს დანაშაულისა და მარტოობის განცდის სიხშირეს, ისევე როგორც ფსიქიატრსა და ფსიქოლოგთან კონსულტაციების საჭიროებას. თუმცა საკუთარი თავის იმგვარ კატეგორიებში მოქცევა, როგორიცაა „მიღებული“ თუ „დაფასებული“ დამოუკიდებლად არცერთ ინდივიდს შეუძლია. ის სხვისი აღიარების მისაღებად გარკვეულ რისკზე უნდა წავიდეს. მნიშვნელოვანია ადამიანმა სიფრთხილით აარჩიოს ის პიროვნება, რომელსაც გაანდობს ინფორმაციას საკუთარი ჰომოსექსუალობის შესახებ. ამასთანავე, ვერასდროს იქნება ბოლომდე ცხადი და წინასწარგანსაზღვრული თუ როგორი რეაქცია ექნებათ მეგობრებს, თანამშრომლებსა თუ ოჯახის წევრებს. მნიშვნელოვანია პირველები ისეთი ადამიანები იყვნენ, რომლებიც ინდივიდის ჰომოსექსუალობას მიიღებენ. რამდენიმე ადამიანისგან აღიარების მიღების შემდეგ, უარყოფასთან დაპირისპირებაც უფრო იოლი ხდება.

ახლო ადამიანისგან მიმღებლობა ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე უცნობისგან. ზოგი ადამიანი თავს არიდებს თავისი ორიენტაციის შესახებ ახლო (ხშირად ჰეტეროსექსუალ) მეგობრებს უამბოს და ამ მიმღებლობას თავის გეი ან ლესბოსელ მეგობრებთან ეძებს. ეს შესაძლოა გამოტოვებულ შესაძლებლობად იქცეს. განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის პირები უფრო მეტ სიმშვიდესა და თავდაჯერებულობას მოიპოვებენ, თუ მიმღებლობას მათთვის მნიშვნელოვანი ჰეტეროსექსუალი ადამიანებისგან მიიღებენ.

მშობლებსა თუ ოჯახის წევრებს თავიანთი შვილის, დისა და ძმის სექსუალური ორიენტაციის შესახებ გაგებისას, ამის აღიარებისთვისა და მიღებისთვის დრო სჭირდებათ. დღესდღეობით, ჰომოსექსუალი ადამიანების უმრავლესობისთვის იმის შანსი, რომ ოჯახის წევრები მას თავიდანვე პოზიტიურად მიიღებენ, საკმაოდ მცირეა. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათ არ უნდა ისაუბრონ ამაზე. თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა განვიხილოთ. ზოგ შემთხვევებში, მშობლებისთვისა და ოჯახის წევრებისთვის თქმა ყველაზე კარგი დასაწყისია. ასევე, სხვა მნიშვნელოვანი ადამიანებისგან მიმღებლობის შემდეგ, ოჯახიდან მიღებულ უარყოფით რეაქციას ადამიანი შეიძლება მარტივად გაუმკლავდეს. მნიშვნელოვანია, ადამიანებმა გამოიჩინონ მოთმინება და აცადონ ოჯახის წევრებს ერთგვარად „გამოიგლოვონ“. მშობლები ხშირად გლოვობენ საკუთარი შვილის ხატს, რომელშიც ისინი ისე ცხოვრობენ, როგორც მათ წარმოედგინათ. ჰომოსექსუალ ადამიანებისთვის საჭიროა იპოვონ ძალა ახსოვდეთ, რომ მათ დიდი დრო დასჭირდათ საკუთარი ჰომოსექსუალობის აღმოსაჩენად და მისაღებად. ოჯახის წევრებთან თუ მშობლებთან შესაძლოა იგივე ხდებოდეს.

გამორკვევა (Exploration)

შემდეგი საფეხურია ახალი სექსუალური იდენტობის ექსპერიმენტირება. ეს სექსუალური და სოციალური აქტივობის პირველი ძირითადი გამოცდილებაა. თუ ინდივიდს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს ურთიერთობა, ისაუბროს საკუთარ სექსუალობაზე სხვებთან და თუ კომუნიკაცია არის ღია, გახსნილი და გულწრფელი, ეს დადებითი ,,მე"-ს ხატის ჩამოყალიბების საწინდარია. კასი ამ პროცესს უყურებს, როგორც პირველ გამოცდილებას იდენტობის ტოლერანტობის მიმართულებით, რომელსაც ადამიანი იდენტობის მიღებამდე მიჰყავს.

ამ საფეხურზე ადამიანები რამდენიმე გამოწვევას აწყდებიან. პირველი ინტერპერსონალური უნარ-ჩვევების განვითარებაა. ჰეტეროსექსუალებთან შეხვედრისას და სოციალიზაციისას, ჰომოსექსუალური პრეფერენციების მქონე ინდივიდებს შესაძლოა, ჰქონდეთ მნიშვნელოვანი პრობლემები კომუნიკაციის უნარებისა და აქედან გამომდინარე, საზოგადოებასთან ინტეგრაციის თვალსაზრისით. მეორე - ზოგ ადამიანს ესაჭიროება პიროვნული მიმზიდველობის შეგრძრებისა და სექსუალური კომპეტენციების განვითარება. თავიანთივე სქესის წარმომადგენლების თვალში, სექსუალურ ურთიერთობებში ჩართვით ისინი თავს უფრო მიმზიდველად გრძნობენ.

ინდივიდს ძალიან ეხმარება იმის აღმოჩენაც, რომ მისი თვითშეფასება არ არის დამოკიდებული მის სექსუალურ მიმზიდველობაზე. ზოგი ადამიანი იმდენად „იკეტება", რომ საკუთარი თავის რეალიზებას მხოლოდ სექსუალურ მიმზიდველობაში ხედავს.

ბევრი ადამიანი მოზარდობის ასაკსა და ამ პერიოდისათვის დამახასიათებელ თავგადასავლებში ხშირად საკუთარი მიზნისკენ მიმავალ გზას კარგავს. მოზარდობის პერიოდი ცნობილია მეამბოხეობით, ხშირად თვითდესტრუქციული ქცევებითაც.

ერთ-ერთი დაბრკოლება, გამორკვევის საფეხურის წარმატებით დასასრულებლად, ისეთი ნივთიერებების მოხმარებაა, რომელებიც ტკივილის გაყუჩებას უწყობენ ხელს. ხშირად ეს წარმოადგენს ალკოჰოლზე ან სხვა სახის ნივთიერებებზე დამოკიდებულების რისკს. ამ მხრივ, ამ ეტაპზე მყოფი ადამიანები სერიოზულ დახმარებასა და მხარდაჭერას საჭიროებენ, რადგან მათთვის ნივთიერებების მოხმარება ბავშვობიდან მომავალი ტკივილების გაყუჩების, გარემოდან მუდმივად მომავალი წნეხისგან თავის არიდების საშუალებაა. ასევე, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება შესაძლოა, დაკავშირებული იყოს სექსუალობის გამოხატვასთანაც, რასაც ინტიმურობის განვითარების პრობლემებთან მივყავართ.

პირველი ურთიერთობები

სექსუალური და სოციალური ექსპერიმენტებისა და გამორკვევის შემდეგ დგება საკმაოდ მნიშვნელოვანი - ინტიმურობის საჭიროების საკითხი. განვითარების ამ საფეხურისთვის აუცილებელია ინდივიდმა ისწავლოს თუ როგორ იმოქმედოს ჰომოსექსუალურ ურთიერთობაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ნორმად სრულიად სხვა რამ, ჰეტეროსექსუალური ურთიერთობები, მიიჩნევა. შესაძლოა, პირველი ურთიერთობა, სხვადასხვა მიზეზის გამო კარგი ვერც გამოდგეს. შეიძლება ურთიერთობის დამყარებასა და შენარჩუნებას მუდმივ საბოტაჟს უწყობდეს ჰომოსექსუალობასთან დაკავშირებული უარყოფითი დამოკიდებულებები.

აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობს სტერეოტიპი, რომლის მიხედვითაც, გეი და ლესბოსური ურთიერთობა ტკივილითა თუ უარყოფითაა სავსე და არასდროს გრძელდება დიდხანს. ასევე, პირველი ურთიერთობები ინტენსიურობით, მესაკუთრეობითა და ნდობის ნაკლებობით ხასიათდება. ინტიმურობის ინტენსიური საჭიროება ხშირად სასოწარკვეთის მიზეზი ხდება ხოლმე. ერთი-ერთი, ან ორივე პარტნიორი თავდაუზოგავად ცდილობს ურთიერთობის შენარჩუნებას და მის იდეალურად ქცევას. თუკი ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლობას შეეცდებიან, ეს სიყვარულის დაკარგვად ინტერპრეტირდება. ამასთანავე, ეს ზეწოლა და მოლოდინები იწვევს სექსუალური ინტერესის დაკარგვასაც, რაც კიდევ ერთი „მტკიცებულებაა“ იმისა, რომ სიყვარული „ჩაფლავდა“. შედეგად, რიგ შემთხვევებში სექსუალური აქტივობის მიმართ ინტერესი იზრდება უკვე არსებული ურთიერთობის მიღმა. ეს ინტერესი კი ხშირად იმის საბოლოო მტკიცებულებად იქცევა, რომ სიყვარული არასრულფასოვანია და ურთიერთობა სრულდება. პირველი კავშირები ხშირად ტურბულენტურად სრულდება, თანაც ისე, რომ ერთი ან ორივე პარტნიორი შეიძლება ისევ გადავიდეს ექსპლორაციის საფეხურზე. ზოგი აღარც კი ცდილობს ურთიერთობის ხელახლა დაწყებას, მაშინ როდესაც სხვები ცდას მაინც აგრძელებენ.

ჰომოსექსუალი წყვილებისთვის ძალიან ცოტაა იმ როლური მოდელების რიცხვი, რომელიც აჩვენებდა თუ როგორი უნდა იყოს ურთიერთობა. წიგნებში, ფილმებსა და ტელეგადაცემებში გეი წყვილების სიმცირეა. ამასთანავე, საკმაოდ მაღალია საზოგადოების მხრიდან ასეთი ურთიერთობების მიმართ აგრესიაც. ბევრ წყვილს არ აქვს აღიარება და მხარდაჭერა მეგობრებისა და თემისგან.

ასეთ ურთიერთობებში ყველაზე დიდ „ხაფანგად“ და პრობლემად რომელიმე პარტნიორის მხრიდან ,,მე“-ს იდენტობის კრიზისი შეიძლება გახდეს. ინტიმური ურთიერთობები ხშირად მანამდე იწყება, ვიდრე ქამინგ აუთისა და გამორკვევის საფეხურებზე არსებული გამოწვევები დაიძლევა.

თუკი წყვილს უწევს მეგობრებისგან, ოჯახის წევრებისგან, საზოგადოებისგან დამალოს თავისი ჰომოსექსუალობა, ეს დიდ დაძაბულობას იწვევს მათ ურთიერთობაშიც. საკმაოდ რთულია ისეთ ურთიერთობაში ყოფნა, სადაც რომელიმე პარტნიორს ვერ ასრულებს წარმატებით ქამინგ აუთს. ზოგი ურთიერთობა კი, სწორედ ამ ზეწოლისგან გათავისუფლების მიზნით სრულდება.

ინტეგრაცია

ამ საფეხურს გრეისი თვითგანსაზღვრას, რეინტეგრაციას უწოდებს. ის მას დაუსრულებელ, განვითარების მიმდინარე პროცესად აღწერს, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება. ამ ეტაპზე თავს იჩენენ საკუთარ თავთან დაკავშირებული ახალი გრძნობები. ადამიანი პოულობს ახალ შესაძლებლობებსა და კონცეფციებს, ჩნდება ახალი სოციალური კავშირები. როგორც გრეისი აღწერს, ინდივიდები განსხვავებულ ამოცანებს, განსხვავებულ საფეხურებზე წყვეტენ, რაც არსებული ვითარებიდან მომდინარეობს. მაგალითად, ურთიერთობის დასრულების შემდეგ ხდება გამორკვევისა და ექსპერიმენტირების საფეხურზე, ან ქამინგ აუთთან დაბრუნება, რათა ოჯახის წევრებს, თანამშრომლებს, კოლეგებსა და მეგობრებს საკუთარი ორიენტაციის შესახებ გაუზიარონ.

ამ საფეხურზე ურთიერთობები უფრო მყარი და სასიამოვნოა, რადგან წინა ეტაპების კრიზისი გადალახულია და სასიყვარულო კავშირი გათავისუფლებულია მესაკუთრეობის განცდისგან; ასეთი ურთიერთობები ნდობას და თავისუფლებას ემყარება. ამ ეტაპზე ადამიანები ფსიქოლოგიურად უფრო მეტად არიან მზად, საჭიროების შემთხვევაში, ურთიერთობები ბუნებრივად დაასრულონ. ამას გარდა, ისინი სხვა გამოწვევების წინაშე დგანან, რომლებიც ზრდასრულობას უკავშირდება. ინდივიდს ინტეგრირებული იდენტობით მეტი შანსი აქვს გაუმკლავდეს ყველანაირ ცხოვრებისულ გამოწვევას და თვითრეალიზაცია შეძლოს. ამგვარად, ასეთია გზა ინტერგრაციამდე.

სამწუხაროდ, ჩვენ გარშემო ბევრ ადამიანებს არ აქვს შესაძლებლობა ეს ეტაპები გაიაროს და ბოლო საფეხურამდე მივიდეს. ალბათ, დაინახავდით ეს გზა საკმაოდ მტკივნეულია. მას თან სდევს შიში, სიძულვილი და მუდმივი ძახილი იმისა, „საკუთარ სახლში იყოს ვინც უნდა“, რაც ფაქტობრივად ეწინააღმდეგება ადამიანისათვის ძალიან მნიშვნელოვან პროცესს – საკუთარი თავის მიღებას, ინტეგრაციას. ბოლო პერიოდში, მოირღვა „საკუთარი სახლის“ საზღვრებიც და განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისა და იდენტობის ადამიანისათვის არც ესაა უსაფრთხო ადგილი.

არაერთ ადამიანურ ტკივილთან მიმუშავია, მაგრამ პირველად, ახლა დავინახე ცხადად თუ რა არის ძრწოლვა – ეს დიდ სულიერ ტანჯვასთან შეზავებული ენით აღუწერელი შიშია. არც არასოდეს არავისგან მომისმენია ასეთი სასოწარკვეთილი, გულიდან ამოგლეჯილი ქვითინი, რომელიც საშინელ უსუსურობაში გაგდებს და კიდევ ერთხელ აცნობიერებ, რომ ამ ადამიანების პრობლემა ჩვენთანაა კავშირში. თუ ვინმე უნდა შეიცვალოს და უკეთესი გახდეს, ეს ჩვენ ვართ.



ლიკა ბარაბაძე - ფსიქოთერაპევტი, ნეიროფსიქოლოგი

ჰომოფობიური ბულინგი სკოლაში - სტატისტიკის მიღმა

რატომ უნდა ვისაუბროთ ბულინგზე?

სტატიის წერის დაწყებამდე, აღნიშნულ თემაზე არაერთი საჯარო გამოსვლა მოვისმინე. არა მგონია ჰომოფობიურ ან ნებისმიერი სახის ბულინგზე საუბარი გადმოცემით შეიძლებოდეს. ბულინგი საკუთარ ტყავზე უნდა გამოსცადო, უნდა დაინახო, გულსა და სხეულში გაატარო. სხვანაირად ის მუდამ დარჩება „საკითხად", მოძალადე და მსხვერპლი – სტატისტიკად, ჩვენ ყველანი კი – მაყურებლებად. ბულინგის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების მთავარი მინუსიც ალბათ ის არის, რომ ანტი-ბულინგის სტრატეგიებს ისეთი ადამიანები წერენ, ვისაც ბულინგი თავის თავზე არ გამოუცდია. მათი შემოთავაზებული გამოსავლებიც უფროსების გადასახედიდან პროგრამულ-პოლიტიკურია, და გაუთვალისწინებელი რჩება მოზარდებისა და ბავშვებისათვის ჩვეული ქცევები, სისტემური გამომწვევობა.

ქვემოთ ბულინგის მეტად აკადემიურ აღწერას შემოგთავაზებთ, თუმცა, მანამდე გთხოვთ წარმოიდგინოთ სიტუაცია, რომ მიდიხართ

თქვენთვის მნიშვნელოვან ადგილას, მნიშვნელოვან ხალხთან, მაშინ როდესაც ჯერ არ დგახართ სტაბილურად ფეხზე არც ემოციურად, არც ჰორმონალურად, არც ფიზიკურად, არც მენტალურად. მიდიხართ სკოლაში, ჩაკეტილ სისტემაში, სადაც მოწონების, პაექრობის, საკუთარი თავის დამკვირდების, წარმატების, წარუმატებლობის, პოპულარობისა თუ გარიყულობის მკაცრად გაწერილ წესებს ეჩეხებით. იმ მომენტში ეს წესები თქვენთვის სამყაროში ყველაზე მნიშვნელოვანი ხდება. თანატოლები თქვენი არსებობის წამყვანი მამოძრავებელი ძალაა, მათთან ურთიერთობა კი, საკუთარი თავის შეცნობის მთავარი იარაღი. ხოდა, ასეთ მოცემულობაში აბიჯებთ, მაშინ როდესაც არც სახლში გაქვთ ყველაფერი დალაგებული, არც შინ გიღებენ და სინამდვილეში, თავადაც არ იცით, რამდენად იღებთ საკუთარ თავს. ის კი არა, ბოლომე ისიც არ იცით, ვინ ხართ, რა ხდება, რა გინდათ, ან რა არ გინდათ. უბრალოდ გრძნობთ, რომ სხვანიარად გიყვართ, სხვანაირად მოგწონთ, სხვანაირად გამოიყურებით, სხვანაირად აღგიქვამენ. მოკლედ, რაღაც არ არის ისე, როგორც აქამდე მედიის, ოჯახური ისტორიებისა თუ სხვების გამოცდილებით ყველამხრივ მოგეწოდებათ.

ამავე დროს, თქვენ დაგცინიან, გვერდზე არ გისხდებიან, გირტყამენ, სოციალურ ქსელებში მტკივნეულ კომენტარებს გიწერენ, საერთო ჩატებში არ გამატებენ, სკოლის შემდეგ გხვდებიან და წიხლებით შეგდგებიან ხოლმე ზედ, ჭორებს გივრცელებენ, საიდუმლოს გიმჟღავნებენ, სხვების თანდასწრებით გამცირებენ და ამასთანავე, თქვენ არაფერი, სრულიად არაფერი ჩაგიდენიათ ამის დასამსახურებლად (ანდაც, რა უნდა ჩაიდინოს ადამიანმა რომ ეს დაიმსახუროს), თქვენ უბრალოდ ის ხართ, ვინც ხართ, მეტი არაფერი. ეს ჩაკეტილი სისტემა, სკოლა, კი არ გიღებთ, რადგან ის ვინც ხართ, ამ სისტემის არსებობასა და სტაბილურობას საფრთხეს უქმნის. გამოსავლად კი გთავაზობენ რომ გაძლიერდეთ და თავი დაიცვათ (როგორღაც. აი ასე, ერთხელაც გაიღვიძებთ, იმ მოწყვლად პოზიციას, რომელიც თქვენ არ აგირჩევიათ, თავს დააღწევთ და ჰოპ, გაძლიერდებით) ან მიმართოთ უფროსს; იმ უფროსს, რომელიც ჯერ არც თავად არის ჰომოფობიური სენტიმენტებისგან თავისუფალი და რომელიც რეალურად ვერც დაგიცავთ.

ზუსტად ამიტომაც, თვითმკვლელობის მაჩვენებლი ლგბტ თემში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში, საკმაოდ მაღალია. მაგალითად, აშშ-ში ჰეტეროსექსუალური იდენტობის მქონე მოზარდებთან შედარებით, ლგბტ მოზარდების სუიციდის მაჩვენებელი სამჯერ მაღალია[1].

ჰომოფობიური ბულინგის პრობლემა მრავალი კვლევის საგანია. მაგალითად, ესპანეთში ჩატარებულმა ერთ-ერთმა კვლევამ გამოავლინა, რომ სკოლის ის მოსწავლეები, რომლებიც ჰეტეროსექსუალებად იდენტიფიცირებულნი არ არიან, სხვა თანატოლებთან შედარებით მომატებული ბულინგისა და კიბერბულინგის მსხვერპლნი ხვდებიან. კვლევამ გამოავლინა, რომ ხშირ შემთხვევებში მომატებული აგრესიისა და 20%-ით მეტი კიბერბულინგის მიზეზი სწორად სექსუალური იდენტობა იყო[2]. 2020 წელს საქართველოში ჩატარებული კვლევის მიხედვით კი, გამოკითხულთა 28,6% გენდერული გამოხატვის ნიშნით ბულინგზე საუბრობს, ვინაიდან მოსწავლეებზე ძალადობის მნიშვნელოვან მიზეზად ბავშვების მასკულინური და ფემინური ხასიათის სოციალიზაცია სახელდება – „ბიჭი უნდა იყოს მამაკაცური და გოგო – ქალური, თორემ იჩაგრებიან“[3]. 2015 წელს საჯარო სკოლებში ბულინგის მდგომარეობის კვლევამ გამოავლინა, რომ

1 CDC. (2016). Sexual Identity, Sex of Sexual Contacts, and Health-Risk Behaviors Among Students in Grades 9-12: Youth Risk Behavior Surveillance. Atlanta, GA: U.S. Department of Health and Human Services. https://www.cdc.gov/mmwr/volumes/65/ss/pdfs/ss6509.pdf

2 Paz Elipe , María de la Oliva Muñoz , Rosario Del Rey.. Homophobic Bullying and Cyberbullying: Study of a Silenced Problem. https://pubmed.ncbi.nlm.nih.gov/28569622/

3 ტაბიძე ნუკრი, ხათუნა ხარჩილავა (2020). ქვიარ ბულინგი სკოლაში.თანასწორობის მოძრაობა. http://www.equality.ge/6576

მოზარდები ხშირად ხდებიან ბულინგის მსხვერპლნი რელიგიური, გენდერული და სექსუალური იდენტობის გამო. კვლევამ დაადგინა, რომ სასკოლო წლების გარკვეულ მონაკვეთში, უმეტესად VII-IX კლასებში, მოსწავლეების დიდი ნაწილი ბულინგის თანამონაწილეა[4].

შეგვიძლია საერთაშორისო თუ ადგილობრივი კვლევების მთელი ნუსხა განვიხილოთ, თუმცა ვფიქრობ, უკვე მოვილიეთ ის ეტაპი, როდესაც რამის მტკიცება გვიწევდა; გავცდით, იმ ეტაპს, როდესაც ჰომოფობიური ბულინგის პრობლემატიკის წარმოსაჩენად გამოკითხვები, ჩაღრმავებული ინტერვიუები, კორელაციები და რეგრესული ანალიზი გვჭირდებოდა. მოვილიეთ ის დროც, როდესაც ვციტირებდით: „ბოლო პერიოდში განსაკუთრებით იმატა ბავშვთა სუიციდის შემთხვეევბმა...ბავშვთა უფლებათა კონვენციის რეკომენდაციებში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ბავშვთა სუიციდის პრობლემის ერთ-ერთი უმთავრესი სათავე სწორედ მათ მიმართ ძალადობაა, რაშიც სასკოლო ბულინგიც მოიაზრება“[5] გავცდით, რადგან, ამას მტკიცება აღარ სჭირდება. რა თქმა უნდა, ჰომოფობიური ბულინგი მტკივნეულია, ის აზიანებს როგორც მოძალადეს, ისე მსხვერპლს; რა თქმა უნდა, მოზარდები ამას განიცდიან და რა თქმა უნდა, ზოგიერთი მოზარდი ამ წნეხს ვერ უძლებს, იმდენად ვერ უძლებს, რომ ხანდახან ურჩევნია საერთოდ აღარ არსებობდეს. რასაკვირველია, ეს წაუშლელ, ტრავმატულ კვალს ტოვებს მოზარდის ფსიქიკაზე. დაფიქრდით, თქვენზე რომ ასე ხშირად, სისტემატურად და სასტიკად ძალადობდნენ, თქვენ კი თავის დაცვის არც ერთი საშუალება არ გქონდეთ ხელთ, როგორ იგრძნობდით თავს?

არც იმას სჭირდება მეათასედ ხაზგასმა, რომ სკოლები ჰომოფობიური ბულინგის (ანდაც, ნებისმიერი ბულინგის) მართვისათვის მზად არ არიან, არც ძალისხმევას იღებენ და არც ის არის გამართლებული, რასაც აკეთებენ, ამას მრავალი კვლევა ადასტურებს. მგონი მოვიდა დრო, ჰომოფობიური ბულინგის თემას აღარ ვუყუროთ, როგორც განყენებულ თეორიას, არამედ ყველამ ჩვენი პატარა, პირადი პასუხისმგებლობა ავიღოთ იმაზე, რომ მოზარდებს და ბავშვებს ნაკლებად სტკიოდეთ. რადგან, რაც არ უნდა პათეთიკურად ჟღერდეს, „მთელი სამყაროს შეცნობაც ხომ არ ღირს იმად, რომ ბავშვი ცრემლს ღვრიდეს“[6].

რა არის ბულინგი[7]

განმარტება

ბულინგი განიმარტება, როგორც სკოლაში არსებული არასასურველი, აგრესიული ქცევა, რომლის შედეგადაც როგორც ბული (ადამიანი, რომელიც ბულინგს ახორციელებს), ისე ბულინგის მსხვერპლიც სერიოზულ, ხანგრძლივ პრობლემებს განიცდიან.

იმისათვის, რომ ქცევა ბულინგად ჩაითვალოს, ორი მთავარი პრინციპი უნდა დააკმაყოფილოს:

4 სუბელიანი ანა, აჩო ხაჩიძე, ჰომოფობიური ბულინგი საჯარო სკოლებში, https://osgf.ge/bulingis-prevencia-skole/
5 https://osgf.ge/bulingis-prevencia-skole/
6 დოსტოევკი ფიოდორი. ძმები კარამაზოვები
7 https://www.stopbullying.gov/

1. ძალაუფლების არათანასწორი გადანაწილება – ბავშვებს, რომლებიც ბულინგს ახორციელებენ, მეტი ძალაუფლება გააჩნიათ. მაგალითად, ფიზიკურად უფრო ძლიერები არიან, იციან სხვისი საიდუმლო, არიან პოპულარულები ან მისაღებები და ა.შ. ძალაუფლების ბალანსი მუდმივი არ არის, ის არასტაბილურად იცვლება, იცვლება ბულისა და მსხვერპლის როლებიც დაა ძალაუფლების შენარჩუნებისათვის ძალისხმევის გაღება სასკოლო ცხოვრების თითქმის ყოველდღიური ნაწილია. მაგალითად, ჰეტერონორმატიულ საზოგადოებაში, ჰეტეროსექსუალად აღქმული ადამიანი მეტ ძალაუფლებას და პრივილეგიას ფლობს (მიღებულია ოჯახში, საზოგადოებაში, ა.შ.), ვიდრე ჰომოსექსუალად და გენდერულად არაკომფორმულად აღქმული ადამიანი (განიხილება ცოდვილად, ავადმყოფად, ნაკლულად, გარყვნილად, ა.შ.)

2. განმეორებადობა - აგრესიული ქცევა ერთზე მეტჯერ ვლინდება, ან გააჩნია პოტენციალი, რომ განმეორდეს.

ბულინგის სახეები

ბულინგი შესაძლოა იყოს:

- **სიტყვიერი** – დაცინვა, მუქარა.
- **სოციალური** – იგნორი, გარიყვა, ჭორების გავრცელება, საჯარო შერცხვენა.
- **ფიზიკური** – დარტყმა, შეფურთხება, ხელის კვრა, ნივთების განადგურება.

ბულინგში ჩათრეული მხარეები

ამ მხრივ შეგვიძლია უშუალოდ ბულინგში მონაწილე ბავშვები/მოზარდები და ასევე ე.წ. მაყურებლები განვიხილოთ. ბულინგში უშუალოდ მონაწილეობენ:

- **<u>მოძალადე</u>**, ანუ ვინც ახორციელებს ბულინგს. ინგლისურად მას ბული – bully - ეწოდება. ეს არის ბავშვი, რომელიც თანატოლების მიმართ აგრესიულ ქმედებებს განახორციელებს (არათანატოლების ჩაგვრა ბულინგი არ არის, ეს ძალადობის სხვა ფორმაა). როგორც წესი, არსებობს რისკ ფაქტორთა მთელი წყება, რომელიც ბავშვს/მოზარდს თანატოლის დაჩაგვრისკენ უბიძგებს.
- **<u>მსხვერპლი</u>**, რომელის მიმართაც ხორციელდება ბულინგი. ჩვენს შემთხვევაში ეს არის ბავშვი/მოზარდი, რომელსაც კონკრეტულად სექსუალური და გენდერული იდენტობის გამო ესხმიან თავს.
- **<u>ბავშვი</u>** რომელიც პირდაპირ არ არის ჩართული ბულინგში, შესაძლოა ირიბად აძლიერებდეს ან პირიქით, ასუსტებდეს ბულინგს. ამიტომ მნიშვნელოვანია, ბავშვმა იცოდეს რისი გაკეთება შეუძლია, როდესაც ბულინგს გადააწყდება. ბულინგში ასევე მონაწილეობენ:
- **<u>დამხმარე</u>**: ეს ბავშვები ჩაგვრას არ იწყებენ, მაგრამ ლიდერი ბულის დამხმარეები არიან, შესაძლოა ხანდახან თავადაც განახორციელონ ჩაგვრა.
- **<u>დაინტერესებული მაყურებელი</u>**: ეს არის ბულინგის აუდიტორია, რომელიც სიცილით, ყურებითა თუ კომენტარებით აქეზებს აგრესიულ ქცევას.
- **<u>ნეიტრალური მაყურებელი</u>**: ხალხი, რომელიც ბულინგში არ ერევა. არც აქეზებს, არც აჩერებს, არც ერევა. მიუხედავად ამისა, „სტატუს კვო“ აუდიტორია მაინც აუდიტორიაა, ხოლო კვლევებიდან ვიცით, რომ აუდიტორია ბულის ძალაუფლების დემონსტრირებას აქეზებს.
- **<u>დამცველები</u>**: ეს ბავშვები აქტიურად ცდილობენ ბულინგის შეჩერებას, იცავენ მსხვერპლს.

სად შეიძლება განხორციელდეს ბულინგი?

პასუხი მარტივია – ყველგან. თუკი სკოლაში ოფიციალურად გმობენ ბულინგს, მაშინ ბული ეცდება მსხვერპლი ნაკლებად შესამჩნევ ადგილებში გამოიჭიროს, იქნება ეს საპირფარეშო, სკოლის ეზო, კიბის ქვეშ სივრცე თუ სხვა. თუკი მოძალადეს აუდიტორია სჭირდება, ეს შეიძლება დერეფანი ან საკლასო ოთახი იყოს. თუკი უფრო დიდი აუდიტორია სჭირდება – მაშინ იწყება კიბერბულინგი - ციფრულ სივრცეში თავდასხმა, ან გარიყვა. კიბერბულინგი, რომელიც მოიაზრებს სოციალურ ქსელებში ადამიანზე თავდასხმას, სხვადასხვა ჯგუფებიდან თუ ღონისძიებებიდან ადამიანების მიზანმიმართულ გამოტოვებას, ინფორმაციის გავრცელებას, არანაკლებ მტკივნეულია, ვიდრე არავირტუალურ სივრცეში გადატანილი შეურაცხყოფა. გამიმართლა, რომ ჩემს მიმართ განხორციელებული ბულინგი კისტის თოფით მიღებული ჩალურჯებები იყო და არა საჯაროდ გატანილი „სქრინები“.

ჰომოფობიური ბულინგი

ყველაფერი, რაც ზემოთ აღვწერე, ნებისმიერ, მათ შორის ჰომოფობიურ ბულინგსაც ეხება. ჰომოფობიური ბულინგის მსხვერპლი შესაძლოა გახდეს ნებისმიერი ადამიანი, რომელიც:

- გაუმხელს საიდუმლოს საკუთარი სექსუალობისა და გენდერული იდენტობის შესახებ მეგობარს, რომელიც ამ ინფორმაციას დაუკითხავად გაამჟღავნებს. მოზარდის/ბავშვის დაუკითხვად მისი სექსუალობის გამჟღავნება ბულინგია, რადგან ამ მოზარდს/ბავშვს მოწყვლად, დაუცველ პოზიციაში აყენებს. ასევე შესაძლებელია ამ ინფრომაციამ შემთხვევით გაჟონოს, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მსხვერპლის მდგომარეობას.
- სხვადასხვა მიზეზით, გარშემომყოფებმა ჩათვალეს რომ ის ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი ან ტრანგსგენდერი ადამიანია. ამავე დროს, კერძოდ ამ ბავშვის/მოზარდის პოზიცია საკუთარი სექსუალობისა თუ გენდერული იდენტობასთან მიმართებით ბულისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანია.
- არის ღიად არაჰეტეროსექსუალი ადამიანის და-ძმა ან მეგობარი და ახლობელს მხარს უჭერს.

რა შეგვიძლია ჩვენ?

ალბათ მთავარი კითხვა, რომელიც ამ ყველაფრის მერე გვიჩნდება შემდგომში მდგომარეობს: რა ვქნათ? აშკარაა, რომ სისტემური ცვლილებები შორი პერსპექტივაა და მათ იმედზე ვერ ვიქნებით. რასაკვირველია, აუცილებელია ყველა იმ რეკომენდაციის გათვალისწინება, რომელსაც მკვლევრები და ექსპერტები გვიზიარებენ, თუმცა, სანამ გამართულ სისტემამდე მივალთ, ახლა რა ვქნათ ამ წუთას? რა ვქნათ, თუკი არა მხოლოდ სექსუალობის, არამედ საყურის, თმის განსხვავებული ფერის, ოდნავ არაკონფორმული ქცევის გამო მოზარდებს და ბავშვებს მორალურიდან დაწყებული, ფიზიკურით დამთავრებული, უამრავი ტკივილის გავლა უწევთ?

მოდით, დავიწყოთ ბულით. რატომ ძალადობს ბული? თავის დასამკვიდრებლად, იმისთვის რომ მაგარი გამოჩნდეს, რომ თავისმა პრივილეგიებმა გარკვეული სოციალური სტატუსი და სარგებელი მოუტანოს. ამ ყველაფრის მიღწევა სხვა გზითაც შეიძლება, თუმცა ბული ამ სხვა გზას ვერ ხედავს. სხვისი დამცირების ხარჯზე საკუთარი თავის წინ წამოწევა ადვილია. თუკი გაგვიმართლა და შანსი გვაქვს, შევცვალოთ ადამიანის ცხოვრება უკეთესობისკენ, თუკი აღმოვჩნდით სკოლაში როგორც მასწავლებელი, მანდატური, დირექტორი, კლასის დამრიგებელი, ფსიქოლოგი, მოწვეული ექსპერტი, ტრენერი, თუ როგორც აქტივისტი,

რომელიც სისტემის ცვლილებას ცდილობს, ჩვენ გვეძლევა შანსი დავანახოთ მოძალადეს, რომ შეჯიბრებითობის, თვითდამკვიდრების, აგრესიის გამოხატვის მეტად ჯანსაღი გზები არსებობს. ამ ასაკის ამდენი ბავშვის ერთ სივრცეში გამოკეტვის არაბუნებრიობა სასტიკი კონკურენციის პირობებს ქმნის. ჩვენ, როგორც უფროსებს, გვევალება ისეთი ღირებულებების დამკვიდრება, თუნდ ჩვენი ქცევითა და დამოკიდებულებებით, რომლებიც ამ რთულ სიტუაციას განმუხტავენ. გვეყო სკოლის რომანტიზება. ყველას გვახსოვს, რამდენად რთული იყო გადარჩენა, რამდენი ენერგია იხარჯებოდა თანატოლების თვალში გარკვეული სტატუსის მოპოვებასა და შემდგომ შენარჩუნებაში. თუკი სკოლაში არ არსებობს სპორტული ღონისძიებები, შეჯიბრები, არაფორმალური განათლების ისეთი მეთოდები, როგორებიც არის სხვადასხვა კლუბები, წრეები, თუკი ბულის არსად შეუძლია განიცადოს წარმატება, თუნდ ფიზიკურად დაიხარჯოს, ის ყოველთვის თვითდამკვიდრების ყველაზე მარტივ გზას აირჩევს. ხოლო, თუ სკოლაში ამ ყველაფრის არჩევანი არის, მაშინ მოსწავლეს ხელი უნდა შევუწყოთ, რათა ჩაერთოს. აუცილებელია არამხოლოდ ბულისთან, არამედ, მაგალითად ფორმალური დებატების გზით, მთელს სკოლასთან განხილვა, თუ რა არის ბულინგი, რა არის ჰომოფობიური ბულინგი. კარგი იქნება ეს ყველაფერი ბულინგამდე მოხდეს, რადგან ძალადობის თავიდან აცილება უფრო მარტივია, ვიდრე მომხდარი ძალადობის მართვა.

როგორც წესი, ბული თავადაც აგრესიის მიმღებია, რითაც დაისწავლა, რომ პრობლემებთან გამკლავების საუკეთესო გზა სუსტზე გამარჯვებაა. აქვე დავძენ, რომ ეს სუსტი-ძლიერი დიქოტომია სინამდვილეში ხელოვნურია, და არაჰეტეროსექსუალური იდენტობის ადამიანი მხოლოდ იმიტომ არის სუსტი, რომ კოლექტიურად ასე მიიჩნევა. ამიტომ, ბულინგის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია მოძალადესთან ემპათიით სავსე საუბარი, თუნდაც მისი ოჯახური მდგომარეობის გამოკითხვა, აგრესიის წყაროს დადგენა.

მაგრამ, ყველაზე მთავარი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, ჩვენს თავებში არსებული ბულის მოთვინიერებაა. რამდენი წრეც არ უნდა გაიხსნას სკოლაში, რამდენი პოლიტიკურად სწორი აზრიც არ უნდა გავაჟღეროთ, თუკი ჩვენ, სკოლაში მომუშავე ადამიანები, გულის სიღრმეში მივიჩნევთ, რომ საყურის გამო ბიჭის ცემა გამართლებულია, ვერასოდეს ვერაფერს შევცვლით. ამიტომ მინდა კითხვა ასე დავსვა - პირადად ჩვენ რა გვაკლდება იმით, რომ ზოგიერთი ადამიანი გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი ან ტრანსგენდერია? რას ეხება ეს ფაქტი ჩვენს გულებში ისეთს, რის გამოც ბულინგს არ ვეწინააღმდეგებით? ეს არ არის თეორიული შეკითხვა. უბრალოდ იმდენჯერ გვითხრეს და დაგვაჯერეს, რომ განსხვავებული სექსუალური თუ გენდერული იდენტობის ადამიანი ცუდია, თავად რამდენად ცნობიერად ვიცით, რატომ ვღიზიანდებით?

ამავე დროს, აუცილებელია მუშაობა ძალადობის მსხვერპლთანაც. ძალიან უსამართლოა, მაგრამ ბულინგთან დაპირისპირება მოითხოვს, რომ მსხვერპლი თავად გაძლიერდეს. ანუ მსხვერპლმა თავადვე უნდა ჩადოს საჭირო ძალისხმევა იმის მისახვედრად, თუ რამდენად მნიშვნელოვანი და დასაფასებელია და არ მისცეს ბულის უფლებას, ის დაჩაგროს. რასაკვირველია, არ მაქვს საუბარი იმ შემხვევებზე, როდესაც მსხვერპლს ფიზიკურად უსწორდებიან, რადგან მჩაგვრელი მასზე ძლიერია.

მრავალი მაგალითი გვაქვს, როგორ ფატალურად მთავრდება ასეთი კონფლიქტები და ამ შემთხვევაში ჩვენც მკაცრი და დროული რეაგირება უნდა გვქონდეს. მაგრამ, იმისთვის რომ ბავშვმა/მოზარდმა გაუძლოს დაცინვას, გარიყვას, ჭორებს, კიბერბულინგს, ამაში კი ნამდვილად შეგვიძლია მხარში ამოვუდგეთ ძალადობის მსხვერპლს; დავანახოთ, რომ ეს დროებითი მოვლენაა, ვესაუბროთ, შევახსენოთ თავისი ძლიერი მხარეები, ვეცადოთ ხელი შევუწყოთ საკუთარი თავის მიმღებლობას, იმის ფონზეც კი, რომ თანატოლები თანასწორად არ აღიქვამენ. შესაძლოა ბავშვობასა და განსაკუთრებით მოზარდობაში ჩვენი მხარდაჭერა თანატოლების მიმღებლობაზე ნაკლებად მნიშვნელოვანია, მაგრამ ამით ვეხმარებით, საკუთარი თავის შეცნობაში, იმისათვის რომ სკოლის დასრულების შემდეგ, ბულინგი ისეთ ტრავმად არ ექცეს, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში ნორმალურ ფუნქციონირებაში შეუშლის ხელს. ჩვენ უნდა დავანახოთ ბულინგის მსხვერპლს, რომ მას პატივს ვცემთ და რომ მოძალადის პოზიციის გარდა სამყაროში სხვა დამოკიდებულებაც არსებობს. რაც უფრო გაძლიერდება ძალადობის მსხვერპლი, რაც უფრო ნაკლებად მისცემს უფლებას თანატოლებს, განუსაზღვრონ საკუთარი მნიშვნელოვნება, მით ნაკლებად შეძლებენ მოძალადეები ბულინგს.

აქვე უნდა ვახსენოთ, ყველაზე მარტივად სამართავი, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი რგოლი – მაყურებლები. განსაკუთრებით კი, ნეიტრალური მაყურებლები. აქ გვეძლევა შანსი ნაკლები ძალისხმევით მეტი ცვლილება მოვახდინოთ. თუკი ბულის აუდიტორია არ ეყოლება, ბულინგის შემთხვევები შემცირდება. აქტიურად დაუპირდაპირდით სკოლაში ბულინგის არსებობას, გახადეთ ეს ქცევა მიუღებელი, არასასურველი. თქვენი მაგალითითა და საგანმანათლებლო აქტივობებით, ხელი შეუწყვეთ მაყურებლებს არ წააქეზონ ბულინგი. ეს ის სფეროა, რომელიც სწორი ინფორმაციისა და დამოკიდებულებების პირობებში შედარებით ადვილად იცვლება.

17 წლის ასაკში, გაცვლითი პროგრამით ამერიკაში ვსწავლობდი. ძალიან საინტერესო ისტორიის მასწავლებელი გვყავდა, ახალგაზრდა გოგო. თავისი საგანიც კარგად იცოდა და ჩვენთვის ცოდნის გადმოცემითაც ძალიან დაინტერესებული იყო. ჩანდა რამხელა ძალისხმევას დებდა, რათა მისი გაკვეთილი ადვილად და აქტიურად წარმართულიყო - გვაძლევდა დავალებებს, გვისმენდა, უკუკავშირს გვაწვდიდა. ყოველთვის ვგრძნობდი, რომ მის კლასში აზრის გამოხატვა შემეძლო. ამავე დროს, ნიშნებს მკაცრად წერდა და დავალებების ჩაგდებას არ გვპატიებდა. მსგავსი მიდგომით ის ჩვენს თვალში ავტორიტეტი გახდა და მის სიტყვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთხელაც, მახსოვს კლასის მეორე ნაწილში ბიჭები ერთმანეთს რაღაც წერილებს ესროდნენ, ჩემკენ იყურებოდნენ და იცინოდნენ. დღემდე არ ვიცი რა დაწერეს ან საერთოდ რა ხდებოდა. ისტორიის მასწავლებელმა ეს წერილები ჩამოართვა, გადახედა და ძალიან გაბრაზდა. შეაჩერა გაკვეთილი და იკითხა: რას ვსწავლობთ აქ მთელი წელიო, როგორ ვითარდებიან დემოკრატიული ქვეყნები? ყველანი გაჩუმდნენ და ამ რიტორიკულ კითხვაზე „კი“ უპასუხეს. შემდეგ იკითხა: ამ განვითარების ნაწილი ის არ არის რომ ყველა ეროვნების ადამიანს პატივი ვცეთ? „კი“ წავილუღლუღეთ ყველამ. შემდეგ კიდევ გააგრძელა: „ყველა ადამიანი არ იმსახურებს პატივისცემას, განურჩევლად მისი ეროვნებისა?“ ამას ისევ დარცხვენილი „კი“ მოჰყვა. გადმოგვხედა და კარგითო, გვითხრა. მსგავსი რამ აღარ გამეორებულა.

ამ ამბის შემდეგ 20 წელი გავიდა. ჩემს ცხოვრებაში არც მანამდე და შემდეგ ასე არცერთი მასწავლებელი გამომსარჩლებია. მაშინაც კი, როდესაც ფიზიკურად მტკენდნენ, რაც ამ სტატიის წერისასაც არანაკლებ მტკენს გულს, ვიდრე მაშინ. აღფრთოვანებული ვუყურებ იმ ყველაფერს, რაც ამ გოგომ გააკეთა: მთელი წელი როგორ დაიმკვიდრა თავი, როგორ მოიპოვა ჩვენი აღიარება, როგორი პატივისცემით გვექცეოდა ყველას და როგორი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ასეთი ავტორიტეტის ბრაზი.

როგორ გაუსვა ხაზი ამ საქციელის მიუღებლობას ისე, რომ არც მოძალადე და არც მსხვერპლი, ანუ მე, არ გამოუცალკევებია. როგორ გახადა ეს საკითხი მთელი კლასის პასუხისმგებლობა და როგორ დაუკავშირა უფრო დიდ ცნებებს, თანაც, მარტივად, მოზარდებისათვის გასაგებად, დიდი ფილოსოფიისა და ჩაღრმავებების გარეშე. როგორ ჰქონდა რეაქცია სულ პატარა ბულინგზეც კი.

როდესაც ჩემი გაცვლითი წელი დამთავრდა, სასკოლო წელი დასრულებული ჯერ არ იყო, შესაბამისად, დაუმშვიდობებლად, გამოსაშვები საღამოს გარეშე წამოვედი. მახსოვს, ჩემი სკოლაში ყოფნის ბოლო დღე იყო, ყველა მოსწავლე კლასში იჯდა, მე კი ცარიელ დერეფნებში დავბოდიალობდი და ვბღაოდი. წამოსვლა არ მინდოდა. ჰოდა, დავჯექი და ისტორიის მასწავლებელს მადლობის წერილი მივწერე. წესები დავარღვიე, შუა გაკვეთილზე შევეჭერი და გადავეცი.

მიუხედავად იმისა რომ სკოლაში სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში განცდილმა სექსისტურმა ბულინგმა ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა და ამის გამო, ზოგადად მიმნდობი და ღია, კომუნიკაბელური და კონტაქტზე ორიენტირებული ადამიანი აღარცერთ მამაკაცს ვენდობი; ფიზიკურად თუ გვერდზე კაცი მიზის, ვწუხდები და საკუთარი სივრცის დაცვას ვიწყებ, რასაც უკვე ვერც თერაპია, ვერც წარსულის გადახედვა და ვეღარაფერი შეცვლის. მიუხედავად ამ ყველაფრისა, იუტას შტატის ერთი პატარა ქალაქის ახალგაზრდა ისტორიის მასწავლებლის ის ჩარევა დღემდე მახსოვს. ამერიკიდან სულ სხვანაირი, თავდაჯერებული, საკუთარ თავში დაიმედებული ჩამოვედი. მჭირდებოდა მაგალითი, რომ მიუხედავად იმისა, რაც მანამდე გადამხდა, სხვა გზა, სხვა ალტერნატივაც არსებობდა; რომ თუნდაც ერთხელ, ვიღაცამ საჯაროდ დამიცვა. იმდენად, რომ 20 წლის მერეც მადლიერებით ვიხსენებ.

ვერ ვიტყვი, რომ პროფესიად ადამიანების მხარდაჭერა ამის გამო ავირჩიე. თუმცა, ნამდვილად ვიცი, რომ ამ შემთხვევამ ემპათიის ძალა დამანახა. ჰომოფობიური ბულინგის შეჩერება ჩვენი პრივილეგიაა, ჩვენ გვაქვს პრივილეგია, გავიხსენოთ ჩვენი ტკივილი და მას აზრი შევძინოთ. ჩვენი პრივილეგიაა სხვების დახმარებაც და ისიც, არ დავრჩეთ უბრალო მაყურებლებად.

ნინო ბექაია, ფსიქოლოგი

ჰომოფობია – შიში, ზიზღი, მითები და ხეადობა

„ლიბერალებს სურთ ნამუსი აგვხადონ“, „გარყვნილების პროპაგანდა“, „პროვოკატორები“, „საკუთარ სახლში რაც უნდა ის აკეთონ“, „ჩვენ შვილებს ნუ გვირყვნიან“ – მსგავსი ფრაზები ხშირად გაგვიგია.

ქვიარ ადამიანების საჯარო გამოსვლა თუ სხვა სახის ხილვადობა უმეტესწილად მათ მიმართ აგრესიული და სიძულვილის შემცვლელი ბულინგით, დისკრიმინაციითა და თავდასხმებით მთავრდება.

ჰომოფობია, ტრანსფობია, ბიფობია – რისი ეშინიათ ადამიანებს?

ნებისმიერი ფობიის, მათ შორის ჰომოფობიის, განმარტებაში საუბარია ირაციონალურ შიშზე და მასთან დაკავშირებულ ზიზღზე კონკრეტული ადამიანების მიმართ.

შიში ბაზისური ემოციაა, რომელიც სტიმულზე რეაქციას წარმოადგენს. აღნიშნული ემოცია დიდ როლს თამაშობს ადამიანის, როგორც ბი-

ოლოგიური სახეობის, გადარჩენაში, რადგან შიშის მეშვეობით შეგვიძლია ავირიდოთ საფრთხე. შიში მაშინ ხდება პრობლემა, როდესაც ის, რისიც გვეშინია რეალურ საფრთხეს არ წარმოადგენს. არსებობს სხვადასხვა სახის ფობია, რომელიც ადამიანებს ფუნქციონირებაში უშლის ხელს და დაძლევას, ზოგ შემთხვევაში კი, თერაპიულ მკურნალობას საჭიროებს.



ფობია ეს არის მუდმივი და ირაციონალური შიში კონკრეტული სიტუაციის, საგნის ან აქტივობის მიმართ, რომელსაც თან ახლავს ძლიერი დისტრესი (APA).

გამოყოფენ სპეციფიკურ ფობიებს, რომელშიც შედის:

- სისხლის/ჭრილობის ფობია. ადამიანს ეშინია სისხლის ან ჭრილობის დანახვა და მასზე გაფიქრებაც კი.
- სიტუაციური ფობია. მაგალითად, თვითმფრინავით ან მანქანით მგზავრობის შიში.
- ბუნებრივი გარემოს შიში. მაგალითად, მიწისძვრის.
- ცხოველების ფობია.

აგორაფობია გულისხმობს სიტუაციის შიშს, როდესაც ადამიანს ჰგონია, რომ ვერ გაიქცევა და ვერ მიასწრებს, მაგალითად, სახლამდე, როდესაც პანიკა ან სხვა სიმპტომი იჩენს თავს. სოციალური ფობია სხვადასხვა სოციალური სიტუაციის შიშს გულისხმობს, შიში, რომ შეაფასებენ უარყოფითად, მოსაწყენად, არაკომპეტენტურად და ა.შ.

ტერმინი ჰომოფობია პირველად ფსიქოლოგმა ჯორჯ ვინბერგმა 1972 წელს გამოიყენა. ჰომოფობია ჰომოსექსუალი ადამიანების მიმართ ზიზღს გულისხმობს, რომელიც ირაციონალურია და მისი თანამედროვე მნიშვნელობა მოიცავს გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ინტერსექსი და ქვიარ ადამიანების მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას.

ჰომოფობია მსგავსია რასიზმის, ქსენოფობიის, სექსიზმის, მოიცავს სტერეოტიპებსა და წინარწმენებს (prejudice), რაც გულისხმობს უარყოფით დამოკიდებულებას, სტერეოტიპულ რწმენებსა და დისკრიმინაციულ ქცევას, მიმართულს კონკრეტული სქესის, რასის, რელიგიის, კულტურის თუ სხვა ნიშნით გამორჩეული ადამიანების ჯგუფის მიმართ.

სხვადასხვა ქვეყნებში და ეპოქებში ჰომოსექსუალობა აკრძალული და დასჯადი იყო, ზოგან კი, პირიქით, მიღებული. მაგალითად, ძველ საბერძნეთსა და რომში ჰომოსექსუალური ქცევა უცხო არ ყოფილა. ქრისტიანულ და მუსლიმანურ კულტურაში კი, ის ცოდვად განიხილებოდა. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ეპოქაში ჰომოსექსუალების მიმართ დამოკიდებულება კვლავ არაერთგვაროვანია, პროფესიულ-მეცნიერული თვალსაზრისით ყველაფერი ნათელი და გარკვეულია: 1973 წლიდან ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციამ ჰომოსექსუალობა ფსიქიკური დაავადებების სიიდან ამოიღო. კონსტრუქტივისტული ხედვის მიხედვით, სექსუალობის დაყოფა ჰომო და ჰეტეროსექსუალებად, ისტორიულ-კულტურული ზეგავლენის შედეგია.

ჰომოფობიის შესწავლის დაწყებით ეტაპზე, ის პიროვნულ ნიშან-თვისებად განიხილებოდა. შემდეგ მეცნიერებმა ყურადღება მის გამომწვევ სოციო-ეკონომიკურ და კულტურულ ფაქტორებზე გაამახვილეს. ერთ-ერთი კვლევის თანახმად, მათ ვისაც აქვთ ნეგატიური

განწყობები ჰომოსექსუალების მიმართ, აქვთ ფსიქოტიციზმის მაღალი მაჩვენებელი და დამაზიანებელი დაძლევის მექანიზმები. (Ciocca et al, 2015). ფსიქოტიციზმი პიროვნული თვისებაა, რომელიც ხასიათდება მტრული დამოკიდებულებითა და აგრესიით სხვების მიმართ (Eysenck, 1997).

კვლევებით ასევე გამოიკვეთა, რომ ისინი, ვინც ჰომოსექსუალთა მიმართ ნეგატიურ დამოკიდებულებას ავლენენ:

- ნაკლებად ჰქონიათ პირადი შეხება ქვიარ ადამიანებთან;
- იზრდებოდნენ ჰომოფობიურ გარემოში, სადაც უარყოფითი დამოკიდებულება ჰომოსექსუალების მიმართ ნორმად ითვლებოდა;
- არიან მეტად რელიგიურები;
- აქვთ არასაკმარისი განათლება აქვთ (თუმცა, მიუხედავად განათლებისა, ადამიანს შეიძლება ჰქონდეს ძლიერი წინარწმენები);
- აქვთ ტრადიციული დამოკიდებულება სექსუალობასა და გენდერულ როლებზე;
- აქვთ ავტორიტარიზმის მაღალი მაჩვენებელი.

ჰომოფობიური წინარწმენის მიზეზი შეიძლება იყოს დაბალი თვითშეფასებაც, რომლის ამაღლებასაც ადამიანი სხვისი დამცირების ხარჯზე ცდილობს. ასევე, ძლიერია ჯგუფის გავლენა ინდივიდზეც (Herek, 1984). თუ სანაცნობო ჯგუფი და ახლობელთა წრე, რომელიც ინდივიდისთვის მნიშვნელოვანია – არის ჰომოფობიური და ზეგავლენას ახდენს ადამიანზე, აღნიშნული გავლენა კონფორმულ ქცევაში ვლინდება და შესაძლოა, ახლობლების კეთილგანწყობის მოსაპოვებლად დამაკნინებლად იხუმროს კიდეც ჰომოსექსუალებზე.

რაც უფრო პატივსაცემი და მნიშვნელოვანია ჯგუფი ინდივიდისთვის, მით მეტ კონფორმულობას ავლენს ჯგუფის სასარგებლოდ. საკმაოდ დიდი გავლენა შეიძლება იქონიოს იმ წინარწმნებმა, რომელთა მიხედვითაც ჰომოსექსუალები გარყვნილები და პედოფილები არიან და მათი ცემა და განადგურება ნებადართულია. ქვიარების მტრის ხატად წარმოჩენა შობს უკონტროლო აგრესიას. ამის ნათელი მაგალითი იყო 2013 წლის 17 მაისი, როდესაც „ალქაჯებზე ნადირობამ“ საჯარო ჩაქოლვის აღტკინებული სურვილით დამუხტა ადამიანები, მათ შორის სკოლის მოსწავლეებიც კი.

2019 წლის 17 მაისი, პატიზანული აქცია თბილისში

გაცხადებულმა ჰომოფობიამ შესაძლოა ყველაზე სასტიკი ფორმა მიიღოს, რომლითაც ადამიანის განადგურება და მკვლელობა ნებადართული და მისაღები გახდება.

ინტერნალიზებული ჰომოფობია

ჰომოფობია ნეგატიურად აისახება ყველაზე, თესავს ზიზღსა და შიშს, არის ბულინგის, კონფლიქტის, მძიმე, განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაულების მიზეზი.

უმრავლესობას გვახსოვს 2013 წლის 17 მაისი, როდესაც სხვადასხვა ნივთებითა და ქვებით შეიარაღებული, მობილიზებულო ჯგუფი ფეხდაფეხ მისდევდა ადამიანებს და მზად იყო ისინი მოსაკლავად გაემეტებინა.

განსაკუთრებით ნეგატიურად სიძულვილი ქვიარ ადამიანებსა და მათ თვითშეფასებაზე აისახება. ჰომოფობიურ გარემოში ზოგჯერ რთუ-

ლია საკუთარი იდენტობის მიღება. საზოგადოებაში არსებული ძლიერი სტიგმა ბევრ ჰომოსექსუალ ადამიანს აიძულებს თავდაცვის პოზიციაში იყოს, დაარწმუნოს თავი, რომ ის ჰეტეროსექუალია და გამოავლინოს აგრესია ჰომოსექსუალების მიმართ; იქცეოდეს როგორც ჰეტეროსექსუალი, ანუ იმგვარად, რაც მიღებულია „ნორმალურ ქცევად“.

ინტერნალიზებული ჰომოფობია ასევე ვლინდება იზოლაციაში, თვითდესტრუქციულ ქცევასა და აპათიაში, რასაც ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის განადგურებამდე მივყავართ.

ინტერნალიზებული ჰომოფობია ვლინდება სხვადასხვა ფიქრებით, ემოციებითა და ქცევით. ჰომოსექსუალი ადამიანები, რომლებიც ინტერნალიზებული ჰომოფობები არიან:

- უარყოფენ საკუთარ ორიენტაციას და არ უტყდებიან არც საკუთარ თავს და არც სხვას;
- გრძნობენ ბრაზს, ზიზღსა და რისხვას სხვა ქვიარ ადამიანების მიმართ;
- სჯერათ, რომ ლგბტქი ადამიანების ურთიერთობა ცუდია და არასწორია;
- თავს არაკომფორტულად გრძნობენ ქვიარ ადამიანების გვერდით;
- ხშირად ებმებიან დესტრუქციულ და ტოქსიკურ ურთიერთობებში;
- ბოროტად მოიხმარენ ალკოჰოლს და სხვა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს და ა.შ.;
- მიმართავენ სხეულის თვითდაზიანებას და აქვთ სუიციდური ფიქრები/სუიციდის მცდელობები.

ინტერნალიზებული ჰომოფობი ხშირად განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩევა ჰომოსექსუალების მიმართ და ზოგჯერ, შეიძლება რომელიმე რადიკალური ჯგუფის ლიდერადაც კი გვევლინებოდეს.

ჰომოფობიის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი

ჰეტერონორმატიულობა, როგორც ჰომოფობიის წყარო

ჰეტერონორმატიული იდეალები ფემინურობისა და მასკულინობის პოლარიზებას ახდენს, განსაზღვრავს მათ ნიშან-თვისებებსა და გარეგნულ გამოხატულებებსაც. აღნიშნული იდეალების მიხედვით, ქალი უნდა იყოს მეტად სენტიმენტალური, პასიური, ფემინური. ამის საპირისპიროდ – მამაკაცი არის აგრესიული, უშიშარი, აქტიური. ასევე მკაცრად არის განსაზღვრული გენდერული როლები, რომლებიც უმეტეს კულტურაში მჭიდრო კავშირშია ბიოლოგიურ სქესთან და დაიყვანება ბავშვის შობასა და ფიზიკურ სიძლიერეზე.

გენდერული როლებისთვის დამახასიათებელია იერარქიულობა, რომლის თანახმადაც მამაკაცები ჭკვიანები და შესაბამისად, მეტად დაფასებულები არიან, ხოლო ქალები კი, ნაკლებად ჭკვიანები და სუსტები. მსგავსი რწმენები არა მხოლოდ ხელს უწყობს პატრიარქალურ გარემოში ქალების ჩაგვრასა და დისკრიმინაციას, არამედ ჰომოფობიის ერთ-ერთი პრედიქტორიც არის. (Theodore & Basov, 2000) პატრიარქალურ საზოგადოებაში, სადაც ყველა ინსტიტუცია პატრიარქალურია, ანუ მამრობითი სქესის დომინაციას ეფუძნება, ჰეტეროსექსუალობაც პატრიარქალური წესრიგის სამსახურშია. აღნიშნული წესრიგი კაცის დომინაციასა და ქალის დაქვემდებარებულობას გულისხმობს. ამ მკაცრად განსაზღვრულ წესრიგში, ჰომოსექსუალობას გარკვეული დისბალანსი შემოაქვს. კაცის ჰიპერმასკულინობა და დომინანტობა საფრთხის ქვეშ დგება,

ისევე, როგორც ქალის, როგორც სუსტი და მხოლოდ შვილების აღმზრდელი მზრუნველი დედის.

თუ ინდივიდი არ შეესაბამება საზოგადოების მხრიდან მისთვის განსაზღვრულ ნორმებს – არ ცხოვრობს ოჯახად, სადაც აქვს ცოლის ან ქმრის როლი და არ გამოხატავს მისი გენდერისდერისთვის დადგენილ გარეგნულ მახასიათებლებს – ნეგატიური დამოკიდებულებისა და წინარწმენის სამიზნე ხდება.

ჰომოფობია პატრიარქალურ კულტურაში შეიძლება ვუწოდოთ ფემინურობისა და "გაქალების" შიშს. კაცები, რომლებიც არ შეესაბამებიან მასკულინობის დადგენილ ნორმებს, ყველაზე ხშირად ხდებიან დაცინვისა და აგრესიის მსხვერპლნი.

ტრანსფობია, ტრანსგენდერი ადამიანების სიძულვილი, ასევე სექსიზმისა და მიზოგინიის ნათელი მაგალითია. ტრანსგენდერი ქალები, რომლებიც მასკულინობას, როგორც უპირატესს, „განუდგნენ" მკაცრად ისჯებიან ამის გამო. ტრანსგენდერი ადამიანები ყველაზე მოწყვლადი ჯგუფია საზოგადოებაში. კვლევის მიხედვით, ტრანსგენდერ ადამიანთა 40%-ს ერთხელ მაინც ჰქონია სუიციდის მცდელობა. (Dickey, 2000)

ბიფობია, ბისექსუალი ადამიანების მიმართ სიძულვილი, ჰომოფობიას ჰგავს, თუმცა მაინც განსხვავდება მისგან. მისი არსებობა ეჭვქვეშ დგას და საკუთარ თავში გაურკვეველ გეი ადამიანად განიხილება, რომელსაც თავის ჰეტეროსექსუალად წარმოჩენა სურს, არ არის გულწრფელი და ამასთან, გარყვნილადაც არის შეფასებული.

ჰომოფობიის ფსიქოლოგიური ფაქტორების შესწავლისას, რიგი მეცნიერები მიიჩნევენ, რომ შესწავლილი უნდა იქნეს მისი ისტორიულ-კულტურული კონტექსტი, რადგან ჰომოფობია გაცილებით კომპლექსური ფენომენია და არ შემოიფარგლება მაგალითად, მხოლოდ წინარწმენებითა და ირაციონალური შიშებით ჰომოსექსუალების მიმართ. ჰომოფობიის სიმძაფრეზე გავლენას ახდენენ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა რელიგია, ადათ-წესები, ღირებულებები, სხვადასხვა სოციალური ინსტიტუციები (სკოლა, ოჯახი, კანონმდებლობა და ა.შ.)

საქართველო, როგორც სახელმწიფო, საბჭოთა კავშირის შიგნით ჩამოყალიბდა, რამაც ქართველი ერის და ნაციონალიზმის სპეციფიკას დაღი დაასვა. „ენა, კულტურა და რელიგია იდენტობის განმსაზღვრელ ფაქტორებად იქცნენ" (ზედანია, 2010). ქართველისთვის ეროვნული ტრადიციები და ღირებულებები მნიშვნელოვანია, თუმცა დღის წესრიგში დასავლეთთან და ევროპასთან „შერწყმაც" დგას, რაც ღირებულებების შერწყმასაც გულისხმობს. ქართველების ნაწილი შიშობს, რომ სხვა ქვეყნებისგან შემოსული ღირებულებები „ქართველობის დაკარგვას" გამოიწვევს, რაც, თავის მხრივ, მათ შორის, "გაჰომოსექსუალების" გზით, ერის გარყვნას გულისხმობს. საგულისხმოა, რომ იგივე არგუმენტები ჰქონდათ, მაგალითად, ზოგიერთ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებშიც, სადაც ძლიერი იყო ნაციონალიზმი. ისინიც შიშობდნენ რომ დაკარგავდნენ საკუთარ ეროვნულ იდენტობას.

ჰომოფობია აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა პოპულისტური ჯგუფებისა და პოლიტიკოსების მიერ. ცალკეული პოლიტიკოსების მხრიდან ხშირად გვსმენია, რომ ქართველი ხალხი ტრადიციების მოყვარული ერია, სადაც ოჯახი განისაზღვრება როგორც ქალისა და კაცის და არა კაცისა და კაცის ერთობა. ჰომოსექსუალობის შერაცხვა, როგორც „არაბუნებრივად", „ზედმეტად", ცოდვილებად ან გარყვნილებად – მის მიმართ მტრულ განწყობას იწვევს.

ულტრა მემარჯვენე ჯგუფები და ჰომოფობია

უღტჰამემაჰჯვენე ოჰგანიზაცია აღტ-ინფოს აქცია საქაჰთველოს პაჰლამენტთან (2023)

სოციალური ქსელების პოპულარიზაციას ფეისბუქზე ულტრამემარჯვენე ჯგუფების გააქტიურებაც მოჰყვა. მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ სოციალურ მედიაში არსებული სიძულვილის ენა ბულინგის მსხვერპლში არასრულფასოვნების შეგრძნებასა და საკუთარი თავის სიძულვილს იწვევს. ასევე, ფსიქოატიური ნივთიერებების ავადმოხმარებას, რომელსაც ჯანმრთელობის განადგურებისაკენ მივყავართ, განსაკუთებით მოზარდებში. (Saha, Chandarsekhan &Choudhury, 2019)

მიმდინარე წლის აპრილში ფეისბუქმა ერთ-ერთ ულტრა მემარჯვენე ჯგუფთან დაკავშირებული 24 ფეიჯი, 12 ჯგუფი, 23 ფეისბუქ და 11 ინსტაგრამ პროფილი წაშალა, რომლებიც ფეიკ ნიუსებსა და სიძულვილის ენას ავრცელებდნენ. აღნიშნული ჯგუფები პოპულარობით სარგებლობდნენ და ფეისბუქზე ათი ათასობით გამომწერი ჰყავდათ.

ულტრა მემარჯვენე ჯგუფებში გაწევრიანებას სხვადასხვა ფსიქო-სოციალური მიზეზები აქვს. სოციალური იდენტობის თეორიის თანახმად, ადამიანი გრძნობს საჭიროებას, მიეკუთვნებოდეს ჯგუფს. ჯგუფის წევრები შეფასებისას იწონებენ და ემორჩილებიან თავიანთ შიდა ჯგუფს, თვითშეფასების გასამტკიცებლად გარე ჯგუფში ეძებენ უარყოფით ასპექტებს, რასაც მათდამი აგრესიულ და მტრულ დამოკიდებულებამდე მივყავართ. (Tajfel & Turner 1979) მსგავსი დამოკიდებულება გარე ჯგუფების მიმართ საფრთხეს აჩენს.

ორი სახის საფრთხეს გამოყოფენ: რეალისტურსა და სიმბოლურს. რეალისტური საფრთხე ჯგუფის ხელშესახებ, რეალურ რესურსებსა თუ მოთხოვნილებებს მოიცავს, როგორებიცაა ტერიტორია, ფიზიკური უსაფრთხოება, მატერიალური რესურსები. რეალისტური საფრთხისაგან განსხვავებით, სიმბოლური საფრთხე ჯგუფის არახელშესახებ საფრთხეებს გულისხმობს და მორალთან, ღირებულებებთან, ტრადიციებთან, ნორმებთან, რელიგიასთან, იდეოლოგიასა თუ მსოფლმხედველობასთან არის დაკავშირებული. (Stephen Ybarra and Bachman 1999; Stephen, Ybarra and Morrison 2009).

აღსანიშნავია, რომ როგორც რეალისტური, ისე სიმბოლური საფრთხის აღქმა არ არის აუცილებელი რეალური იყოს. თავად საფრთხის აღქმა იწვევს შიშსა და წინარწმენას სხვა ჯგუფის მიმართ. საფრთხის შედეგად შესაძლებელია

სტერეოტიპების გაჩენა, არატოლერანტული დამოკიდებულება და ზიზღი გარე ჯგუფის მიმართ. ემოციურ დონეზე შიში შეიძლება გამოვლინდეს შფოთვის, ბრაზისა და ზიზღის სახით. აღნიშნული ემოციები ქცევაში გამოიხატება როგორც აგრესიული, დისკრიმინაციული ქცევა, შევიწროება და ა.შ.

ცნობილია, რომ ულტრა მემარჯვენე ჯგუფების ძირითადი ნარატივი ნაციონალიზმისა და მასკულინობის დისკურსშია კონსტრუირებული. ოჯახის, ქალისა და კაცის განსაზღვრა მათი დაქვემდებარებულობის მიხედვით ხდება, სადაც ქალი კაცზე არის დაქვემდებარებული. ჭეშმარიტი ქართველი კაცი, როგორც ოჯახისა და სამშობლოს დამცველი, ხოლო ქალი, როგორც კაცის მფარველობის ქვეშ მყოფი, ქმნიან ქართული გენის გამგრძელებელ ოჯახს. ამის საპირისპიროდ, დასავლეთის მიერ „ტვინგამორეცხილი" ფემინისტი ქალები აღიქმებიან, როგორც გარყვნილი, ლესბოსელი ქალები, რომლებიც მიზნად ისახავენ ქალსა და კაცს შორის ნდობის დაკარგვას, რაც საბოლოოდ, გენის ვერ გაგრძელებისა და გადაშენების წინაპირობაა. (ბექაია, 2016)

ჰომოსექსუალობა არღვევს იმ წესრიგს, რომელიც აღნიშნულ ულტრა მემარჯვენე ჯგუფებში კაცის ჰიპერმასკულინობასა და დომინაციას ეფუძნება. ცხადია, დომინანტობისა და პრივილეგიის დაკარგვა ამ ჯგუფს არ სურს. ამისათვის კი, აგრესიას და დანაშაულსაც კი მიმართავს. ძალადობას კი, სამშობლოს, ღირსებისა და ქართველობის დაცვის სახელით ამართლებს.

ულტრა მემარჯვენე ჯგუფების ორგანიზატორების გაცხადებული მიზანი მტრის ხატის ქვეშ გაერთიანებული ლიბერალური ღირებულებების მქონე ჯგუფებისგან „საქართველოს გადარჩენაა". მიზნის მისაღწევად მათთვის ყველა საშუალება გამართლებულია, ადამიანზე ძალადობაც, მათ შორის, მისი განადგურებაც. მსგავს რადიკალურ ჯგუფებს იყენებენ ხელისუფლებაში მყოფი პარტიები თავისი პოლიტიკური მიზნებისთვისაც, მაგალითად, პოლიტიკური ოპონენტების დასაზიანებლად ან ვიწრო პოლიტიკური ინტერესების გასატარებლად და დასაშინებლად. აღნიშნული მიზნისთვის ფობიებისა და სიძულვილის გამოყენება აპრობირებული და გამოცდილია.

პოლიტიკური ჯგუფისთვის ადვილია შექმნას მტრის ხატი, რომლის ბრალიც იქნება ქვეყანაში არსებული პრობლემები: ფინანსური, ეკონომიკური, პოლიტიკური, ოკუპაციის საკითხი და ა.შ. ფრუსტრირებული ადამიანისთვის განტევების ვაცზე გადაბრალება ერთ-ერთი ყველაზე მარტივი გზაა, აგრესიის წყარო ჩანაცვლდეს იმ ადამიანებით/ჯგუფით, რომელიც ხილულია და მოწყვლადი.

ჰომოფობია – ზიანი ყველასთვის

ქვეყანაში არსებული ძლიერი ჰომოფობია არა მარტო კონკრეტული ადამიანებისთვისაა დამაზიანებელი, არამედ თითოეული მოქალაქისთვის - როგორც ფიზიკურად, ისე ფსიქოლოგიურად. ყველას უწევს იმ სახიფათო გარემოში

ცხოვრება, რომელშიც თვითგამოხატვა, მიუხედავად ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა, დასჯადია. ჩვენ ყველა ჩვენ ნაწილს ვკარგავთ, როდესაც გვერდით თანამოქალაქეს რაიმე ნიშნით ამცირებენ.

ჰომოფობიისა და ჰეტეროსექსიზმის გაძლიერებით ძლიერდება დომინაციური ჯგუფი, რომელიც აგრესიის, სიძულვილისა და ჩაგვრის გზით პატრიარქატს აღრმავებს. ახშობს თვითგამოხატვას და დაწესებული ხისტი წესიდან ყოველგვარ გადახვევას. ამიტომ, ჰომოფობია არ ეხება მხოლოდ ქვიარ ადამიანებს, ის გვეხება ყველას, დიდსა თუ პატარას.

სახელმწიფოს განვითარების საფუძველი, ნაცვლად რეალური პრობლემების მოგვარებისა, ვერ იქნება რეალური პრობლემებიდან ყურადღების გადატანა ქვიარ ადამიანების გარიყვისა და მარგინალიზაციაზე. რეალური პრობლემები კი, მოიცავს თითოეული მოქალაქის საბაზისო უფლებას, ჰქონდეს ფსიქოლოგიური, ფინანსური ან ეკოლოგიური უსაფრთხოება, მიიღოს განათლება და იყოს დასაქმებული, ამის ფონზე კი, სახელმწიფო კიდევ უფრო აღრმავებს პოლარიზაციას და პატრიარქალური წყობის გამყარებისა და მეტი დომინაციისთვის ოჯახის მოწყობის წესრიგს განაგებს.

ჰომოფობიის გამო ხშირად ხდება კონფლიქტი ოჯახის წევრებსა თუ მეგობრებს შორის. ზოგი ურთიერთობა კი საერთოდ წყდება. ურთიერთობის გაწყვეტა კონფლიქტის ნიადაგზე საზიანოა თითოეულისთვის და ზიანის შედეგები ცხოვრების ბოლომდე გასდევს ადამიანებს.

ჰომოფობია არ არის მარტივი და ერთ განზომილებიანი მოვლენა. შესაბამისად, მასთან ბრძოლა, შემცირება თუ დამარცხებაც კომპლექსურია და ბევრი მიმართულებით მუშაობას საჭიროებს.

ქვიარ ადამიანების მხრიდან უფლებრივი აღიარებისა და სხვა სახის მოთხოვნები ყველაფერთან ერთად, მოიცავს საჯარო გამოსვლებს ან სხვა სახის აქტივობას. მარგინალიზების მიზნით, ისინი ხშირად არიან შერაცხილნი პროვოკატორებად და მეორეხარისხოვან ადამიანებად, რომლებიც დომინანტური, პრივილეგირებული ჯგუფისგან განსხვავებით ჰომოსექსუალობის სახით „არასწორ“ ქცევას ეწევიან და საკუთარ საძინებლებში, ჩუმად უნდა ისხდნენ. თუმცა, პრაქტიკა გვიჩვენებს რომ ლგბტ ადამიანებს საკუთარ სახლებშიც უვარდებიან. პანდემიამ კი, ყველას ცალსახად დაგვანახა რომ ადამიანი საკუთარ სახლში გამოკეტილი ვერ ცხოვრობს და თუ იძულებულია გამოიკეტოს, ამას აუცილებლად ეწირება მისი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა.

ჰომოფობია წარმოშობს კონფლიქტებს და ხელს უწყობს საზოგადოების გახლეჩვას, აფერხებს ქვეყნის განვითარებას. პოლარიზების ნაცვლად, საჭიროა მეტი ინფორმირებულობა ლგბტქი საკითხების მიმართ, ასევე ფსიქო-სოციალურ პრობლემებზე, რომლებიც ხელს უწყობენ რადიკალური განწყობების ჩამოყალიბებას და შესაბამის ჯგუფებში გაწევრიანებას. ზოგადი განათლების გარდა, ასევე საჭიროა განათლება ეკონომიკის, ბიზნესის საკითხებში და ქვიარ ადამიანებისთვის დასაქმების ხელშეწყობა, რათა ინდივიდი თავს მიღებულად და თანასწორად გრძნობდეს.

დიდი როლი, ინფორმაციის გავრცელებისა და ცნობადობის მხრივ, მიუძღვის მასმედიასაც. ქვიარ საკითხებზე ინფორმაცია, სწორი აქცენტებითა და სიფრთხილით უნდა იქნას მიწოდებული. ჰომოსექსუალური ორიენტაციის წარმოჩენა ხშირად ხდება როგორც განსხვავებულის, როგორც არადომინანტურის, არაბუნებრივისა და რაღაცის დანამატის და თუ მე რაღაცის დანამატი ვარ, მაშასადამე, იმ ძირითადზე ნაკლები ძალის, უნარის ან უფლებების და ა.შ. ვარ. ასევე, მხოლოდ „საკუთარ საძინებელში ყოფნა“ და მიწისქვეშ („ანდერგრაუნდ“) არსებობა აღნიშნული ჯგუფების კიდევ უფრო მეტ მითოლოგიზაციას ახდენს და ზრდის ჰომოფობიას.

დემოკრატიული ღირებულებების შენებისთვის და რაც მთავარია, მისი გაზრდა-შენარჩუნებისთვის საჭიროა მუდმივი მუშაობა და ზრუნვა. მუშაობა როგორც სამოქალაქო აქტივობის კუთხით, ისე სახელმწიფო დონეზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბექაია ნ. (2016), ულტრა მემარჯვენე სოციალურ მოძრაობებში გაწევრიანების ფსიქოლოგიური და სოციალური მიზეზები ქართული მარშის მაგალითზე
2. ზედანია, გ. (2010), ნაციონალური იდენტობის საკითხი საქართველოში. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
3. Ciocca et al., (2015), Psychoticism, Immature Defense Mechanisms and a Fearful Attachment Style are Associated with a Higher Homophobic Attitude. Journal of Sexual Medicine 12(9)
4. dickey, l. m., & Budge, S. L. (2020). Suicide and the transgender experience: A public health crisis. American Psychologist, 75(3), 380–390.
5. Herek G.M. (1984), Beyond “homophobia”: a social psychological perspective on attitudes toward lesbians and gay men.
6. Saha K., Chandrasekharan E., and Munmun De Choudhury (2019), Prevalence and Psychological Effects of Hateful Speech in Online College Communities.
7. Smith D. Antony. (1992), National Identity and the Idea of the European unity.International affairs (Royal Institute of International Affairs1944-).Volume 68.No. 1.
8. Stephen G.Walter,Ybarra, Oscar, and Kimberly Rios Morrison. (2009), Intergroup Threat Theory. Handbook of Prejudice, Stereotyping, and Discrimination. Psychology press, New-York.
9. Theodore P.S. Basov S.A., (2000), Heterosexual Masculinity and Homophobia, Journal of Homosexuality 40(2):31-48
10. Weinberg G. (1972), Society and the Healthy Homosexual, St. Martin’s Press

▶ **მეგი თედორაძე - ლიტერატურათმცოდნე**

ბედნიერების გასაგნება და გამოწვევები

ბედნიერების ზოგადი კონოტაციები

ბედნიერების კონცეპტი ძალიან აქტუალურია თანამედროვე დისკურსში - იქნება ეს კინო, სოციალური მედია, მხატვრული ტექსტები, პოლიტიკური მონოლოგები თუ სხვა. ბედნიერება, რასაკვირველია, პერსონალურია და ყველა ადამიანი მას განსხვავებულად აღიქვამს, ან უბრალოდ განსხვავებულად აიდენტიფიცირებს, თუმცა ამ სტატიაში ბედნიერებას როგორც საგანს, ისე განვიხილავთ. როცა ვამბობთ „საგანი“ ვგულისხმობთ არამხოლოდ საუბრის საგანს, არამედ ნივთს, იმას, რაც შეიძლება ხელშესახები, მარტივად მოხელთებადი და მოსაზღვრადი იყოს. სარა აჰმედი თავის არაჩვეულებრივ სტატიაში „ბედნიერი საგნები“ საუბრობს ბედნიერების მსაზღვრელობით მნიშვნელობაზე. იგი წერს: „იყო ბედნიერი რაიმეთი გულისხმობს იმის აღიარებას, რომ ბედნიერება სადღაციდან იწყება, იმ სუბიექტის გარეთ, რომელიც ამ სიტყვას სიტუაციის აღსაწერად იყენებს“ (Ahmed 29). ამ ციტატის მიღმა იგულისხმება ის, რომ იყო რაიმეთი ბედნიერი, აპრიორულად გულისხმობს სხვა საგნის არსებობას სუბიექტის გარეთ, რომელიც მას გააბედნიერებს.

ბედნიერება, აჰმედის მიხედვით, სხვადასხვაგვარად შეიძლება გავიაზროთ. ის ბედნიერების სამ განსხვავებულ შრეს გვთავაზობს: 1. გაბედნიერდე რაიმეთი (გავლენა, მაგალითად, იყო ბედნიერი გემრიელი საკვებით); 2. იყო ბედნიერი რაიმეს გამო (გამიზნულობა, მაგალითად, იყო ბედნიერი პარტნიორის გამო); 3. იყო ბედნიერი რაიმეს გამო, ამა თუ იმ საგანს კარგად/დადებითად აქცევს (განსჯა). ამ სტატიაში, აჰმედის მსგავსად, ბედნიერებას განვიხილავთ, როგორც დაპირებას - დაპირებას რომელიც კონკრეტული საგნებისკენ ინერციით გვიზიდავს, ეს საგნები კი, თავის მხრივ, სოციალური სიკეთეები არიან. ამგვარად, ვეცდებით, შემოგთავაზოთ ბედნიერების სოციალური განმარტება და მოვნიშნოთ ის საგნები, რომლებიც სოციალურ სიკეთეებად დაიდენტიფიცირების შემდეგ ბედნიერებას გვპირდებიან.

უპირველესად, უნდა ითქვას ის, რომ ბედნიერების დადებით ემოციებთან გაიგივება ძალიან მოდერნული მოვლენაა. პრემოდერნულ პერიოდში ბედნიერება ასოცირებული იყო ძალიან კონკრეტულ სოციალურ მოდელებთან, რაც გულისხმობდა, სარფიან ქორწინებას, სასურველ სოციალურ წრეში დარჩენასა თუ სოციალური კლასის ამაღლებას და ასე შემდეგ. გავიხსენოთ, მაგალითისთვის, ჯეინ ოსტინის რომანები, რომლების მთავარი ხაზიც ყოველთვის არის ოჯახის შექმნა სასურველ სოციალურ წრეში და ამით არამხოლოდ სოციალური, არამედ ეკონომიკური კაპიტალის განმტკიცება. ამგვარად, პრემოდერნულ ევროპაში შეგრძნებებსა თუ ემოციებს ბედნიერების კონცეპტში დიდი როლი არ ენიჭებოდა. დღესდღეობით, ამის საპირისპიროდ, როდესაც ბედნიერებაზე ვფიქრობთ, ვგულისხმობთ არა აუცილებლად სოციალურ მოდელებს, არამედ პერსონალურ ემოციებს, შეგრძნებებს - ბედნიერად ყოფნას, ბედნიერად თავის გრძნობას.

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე დასავლურ აზროვნებაში ბედნიერება ინდივიდუალიზდა და დამოკიდებული გახდა ადამიანის პირად სურვილსა თუ მოტივაციასთან. იყო ბედნიერი რაიმეთი გულისხმობს, განიცდიდე სიხარულს, კმაყოფილებას და შემდეგ ცნობიერი განსჯით იმ საგანს, რაც გაბედნიერებს, ანიჭებდე დადებითის, კეთილის, პოზიტიურის იარლიყს და შემდეგ ცდილობდე, მაქსიმალურად ახლოს - როგორც ფიზიკურად ისე მენტალურად - გქონდეს/გყავდეს საკუთარ თავთან. გარდა პირდაპირი საგნებისა, ყველაფერი, რაც ახლოს არის ბედნიერების წყაროსთან ავტომატურად იტვირთება დადებითი კონოტაციებით. მაგალითად, თუ საჩუქარს ვიღებთ ჩვენი პარტნიორისგან, საგანიც იძენს გამაბედნიერებლის სტატუსსა თუ ფუნქციას. ამასთან ერთად, არსებობს ბედნიერების განუსაზღვრელი განცდაც, როცა განვიცდით უმიზეზო ბედნიერებას და შემდეგ ინერციით მივაწერთ მას რაიმე სუბიექტს. აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ ბედნიერება გამიზნულია, ან უფრო ზუსტად, წარმოადგენს კიდეც ქმედებების მიზანს. ვგულისხმობთ იმას, რაზეც არისტოტელე საუბრობს „ნიკომაქეს ეთიკაში“, რომ ბედნიერება არის წინაპირობა ყველა მოქმედებისთვის, უფრო სწორად კი ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, რაღაც ფორმით გულისხმობს ბედნიერების პოტენციალს - სასიკეთოდ აღიქმება ჩვენ მიერ. ეს აზროვნების ფორმა პარადოქსულია, რადგან ხშირად ობიექტურად ნეგატიურ საგნებს ენიჭებათ გამაბედნიერებლის სტატუსი.

სოციალური ბედნიერება

სარა აჰმედის მიხედვით: „ზოგიერთი საგანი/ ნივთი დადებითი აფექტით კავშირდება სიკეთესთან“ (34), ამგვარად, არსებობს სოციალური ბედნიერების კონცეპტიც, რომელიც გვპირდება კონკრეტული გზის მიყოლით მიღწევად ბედნიერებას. აჰმედის აზრით, იმის გამო, რომ ზოგიერთი საგანი ბედნიერებასთან ასოცირდება, მათ ბედნიერი საგნების სტატუსი ენიჭებათ და შემდეგ ინერციით მოძრაობენ/ ვრცელდებიან საზოგადოებაში - ბედნიერი საგნის ფლობა ყველას თანაბრად უნდა, რადგან იგი ბედნიერების დაპირებასაც გვთავაზობს. თუმცა ბედნიერი საგნის ფლობა აპრიორულად არ გულისხმობს ბედნიერად თავის გრძნობასაც.

ბედნიერი საგნის არაჩვეულებრივი მაგალითია ჰეტეროსექსუალური ოჯახის იდეა. ეს იდეა საუკუნეების მანძილზე გვთავაზობდა წარმოსახვით მოდელს, რომლის მიხედვითაც მისი ფლობა უთანაბრდება სოციალური წარმატებულობის განცდას - კმაყოფილებას იმით, რომ ოჯახი გვაქვს. ამის პარალელურადვე მოლეკულური ჰეტეროსექსუალური ოჯახი ხშირად წარმოადგენდა და წარმოადგენს ქალებზე ძალადობის პირველად წყაროს - ფემიციდის სტატისტიკა მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ქალებს ყველაზე ხშირად თავიანთი პარტნიორები კლავენ. როლების პატრიარქალური გადანაწილება ოჯახში ავტომატურ პრივილეგიას ანიჭებს ერთ მხარეს, მეორეს კი შინაშრომის გაუთავებელი პოტენციალით ავიწროებს თუ ახშობს. ხშირად ეს მოდელი იმიტომაც აღიქმება სოციალური წარმატებულობის გარანტიად, რომ იგი პირდაპირ უკავშირდება ეკონომიკურ სტაბილურობასაც. მაგალითად, მარქსი „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ წერს: „ბურჟუაზიამ ოჯახურ ურთიერთობას მისი მგრძნობიერ-სენტიმენტალური საბურველი ჩამოაფხრიწა და იგი მარტოოდენ ფულად ურთიერთობად აქცია“ (მარქსი 41). რასაკვირველია, შეგვიძლია ვიდაოთ იმაზე რამდენად მიესადაგება მარქსის ეს მოსაზრება ყველა ინდივიდუალურ ოჯახს და, ცხადია, უარყოფით პასუხს მივიღებთ, თუმცა მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ კაპიტალისტური ურთიერთობები მთლიანად მოლეკულურ ოჯახზე დგას, რომელიც ისტორიულად წარმოადგენდა და უმეტესად დღემდეც წარმოადგენს ჰეტეროსექსუალურ ოჯახს.

ჯეინ ოსტინის რომანებს რომ დავუბრუნდეთ, რომლებიც პრე-კაპიტალისტურ პერიოდში იწერება, ვნახავთ სურვილს სოციალური და ეკონომიკური კაპიტალის გაზრდისა ისევ და ისევ ოჯახის შექმნით (თუმცა ეკონომიკური დინამიკა ამ პერიოდის პერსონაჟებს შორის სრულიად განსხვავებულია მოდერნულთან შედარებით). ამგვარად, ჰეტეროსექსუალური ოჯახი ხშირად წარმოადგენს სტაბილურობასთან გაიგივებულ სოციალური თანაცხოვრების მოდელს, მის ლეგალურობასა თუ ვალიდურობას უამრავი სხვადასხვა კულტურა თუ პოლიტიკური წყობა გვკარნახობს და სწორედ ამის გამო, ამგვარი ოჯახის შექმნა ავტომატურად გულისხმობს ბედნიერების დაპირებასაც - როგორც სოციალური, ისე ეკონომიკური წარმატების გარანტიას.

ბედნიერი საგნების გამოწვევები

რაკი მაგალითად ჰეტეროსექსუალური ოჯახი მოვიხმეთ, რა თქმა უნდა, უნდა დავსვათ კითხვაც იმის შესახებ, თუ რა მიმართებაშია ინდივიდუალური ქვიარ ადამიანი ამგვარი ოჯახის იდეალთან. ლორენ ბერლანი წიგნში

„სასტიკი ოპტიმიზმი“ წერს: „სასტიკი ოპტიმიზმის მიმართება არსებობს მაშინ, როცა რაღაც, რაც გვსურს, ჩვენი მოხელთების მიღმაა. ეს შეიძლება მოიაზრებდეს საკვებს, ან სიყვარულის რაიმე ფორმას; ეს შესაძლოა იყოს ფანტაზია კარგი ცხოვრების შესახებ ან სულაც, პოლიტიკური პროექტი. იგი შესაძლოა, უფრო მარტივ რამესაც გულისხმობდეს, მაგალითად, ისეთი ახალი ჩვევის დასწავლას, რომელიც ცხოვრების გაუმჯობესებაში დაგვეხმარება. ასეთი ოპტიმისტური მიმართებები არსობრივად სასტიკი არ არის. ისინი სასტიკებად იქცევიან მხოლოდ მაშინ, როცა საგანი, რომელიც იწვევს ჩვენს მიჯაჭვულობას, აქტიურად აფერხებს იმ მიზანს, რომელმაც, უპირველესად, მიგვიყვანა კიდეც ამ საგნამდე.“ (Berlant 1) მთავარი, რასაც ბერლანი ამ ციტატაში გულისხმობს არის ის, რომ საგანი (ამ შემთხვევაში, კვლავ განვიხილოთ ჰეტეროსექსუალური ოჯახი), რომელიც ჩვენს მენტალურ მიჯაჭვულობას იწვევს (მაგალითად, ბედნიერების მითს, რომელიც გვეუბნება, რომ მისი მოხელთებით ბედნიერებასაც მოვიხელთებთ), აფერხებს თავდაპირველ მიზანს (ბედნიერებას), თავისივე არსიდან გამომდინარე (ჰეტეროსექსუალური). უფრო მარტივად რომ ვთქვათ, „ბედნიერი საგნები“ მომენტალურად გამორიცხავენ ადამიანთა კონკრეტულ ჯგუფებს თავიანთი გავლენის სფეროდან და მათ „სხვებად“ მონიშნავენ (ქვიარ ადამიანები, რომელთაც ჰეტეროსექსუალური ოჯახის იდეალზე, რომელიც ეკონომიკურად და სოციალურად აღიარებულია, როგორც ბედნიერი, ხელი არ მიუწვდებათ) მაშინ, როცა დანარჩენები ძალისხმევის გარეშე ახერხებენ ამ ბედნიერი საგნების მოხელთებას. ამით, კითხვის მიღმა რჩება „სხვა“ ჯგუფის წარმომადგენლებისთვის ბედნიერების მოხელთებაც, ვინაიდან იგი, უპირველესად, იმ საგანთან არის დაკავშირებული, რომელიც შესაძლებლის მიღმაა.

ახლა, როცა ვისაუბრეთ, იმაზე, თუ რა ნეგატიურ გავლენას შეიძლება ახდენდეს ბედნიერი საგნის უდრეკი მითი ინდივიდუალურ ადამიანზე, უნდა დავსვათ კითხვაც იმის შესახებ, თუ რა უქმნით ამავე საგნებს საფრთხეს? კონკრეტულად, რა უქმნის საფრთხეს ჰეტეროსექსუალურ ოჯახს, როგორც ბედნიერ საგანს? პირველ საფრთხეს, რა თქმა უნდა, წარმოადგენს ჯგუფი იმ ადამიანებისა, რომლებიც ამგვარი ოჯახის ინსტიტუტის პატრიარქალურობას უსვამენ ხაზს. სარა აჰმედი მათ ფემინისტ სიხარულის მკვლელებს უწოდებს, ამ სტატიის კონტექსტში კი შეგვიძლია მათ ბედნიერების მკვლელების სახელიც დავარქვათ. ფემინისტების მიერ ჰეტეროსექსუალური ოჯახის მარეპრესირებელი ფუნქციის მუდმივი ხაზგასმა ეჭვქვეშ აყენებს მის კავშირს ბედნიერების იდეალთან. მორიგ საფრთხეს ოჯახის ჰეტეროსექსუალური ინსტიტუტისთვის წარმოადგენენ ქვიარ ადამიანები, არამხოლოდ პოტენციური პროტესტით, არამედ არსებობითაც გვაეჭვებენ ბედნიერების უნივერსალურობასა თუ გარდაუვალობაში.

აჰმედი თავის სტატიაში ბედნიერი საგნების შესახებ, არ გვთავაზობს გადაჭრის გზებს და არც იმას გვეუბნება, უნდა ვეცადოთ თუ არა ბედნიერი (და მანკიერი) საგნების მითის დამხობას. ამ კითხვაზე პასუხი, რა თქმა უნდა, მრავალმხრივი შეიძლება იყოს, მაგრამ მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯის გადადგმაა - ფიქრი იმაზე, რამდენად რეალისტური ან სასიკეთოა ფანტაზია ამა თუ იმ ბედნიერი საგნის შესახებ და ნამდვილად შეუძლიათ თუ არა მათ ჩვენი, როგორც ინდივიდუალური, ისე სოციალური გაბედნიერება.

ბიბლიოგრაფია:

1. Ahmed, Sara. Happy Objects. Jan. 2010. read.dukeupress.edu,
2. https://doi.org/10.1215/9780822393047-001.
3. Aristotle. The Nicomachean Ethics.
4. https://www.gutenberg.org/files/8438/8438-h/8438-h.htm.
5. Berlant, Lauren. Cruel Optimism. Duke University Press, 2011,
6. https://www.dukeupress.edu/cruel-optimism.
7. Engels, Friedrich, and Karl Marx. “The Communist Manifesto.”
8. Https://Www.Gutenberg.Org/Files/61/61-h/61-h.Htm, https://www.gutenberg.org/ebooks/61/pg61-images.html.utf8.

ლელუჩი მორჩაძე, ფილოლოგი

გვანცა - შვიდები უპირობოდ უნდა გვიყვარდეს

საქართველოში ქვიარ ადამიანის მშობლობა ურთულესია. მეც საკმაოდ მძიმე გზა გამოვიარე, სანამ საკუთარ შვილს ისეთს მივიღებდი, როგორიც არის. ალბათ, ეს იმ გარემოთია გამოწვეული, რომელშიც ვიზრდებოდი. არ ვიცნობდით ლგბტქი ადამიანებს, ან ვიცნობდით და არ ვიცოდით მათ შესახებ. როდესაც ჩემმა შვილმა საკუთარ თავზე მომიყვა, ვერ ვიჯერებდი, რომ ეს ყველაფერი ჩემ თავს ხდებოდა. ჩემს გონებაში წყვდიადი დადგა, ვიმეორებდი – რატომ დამემართა ეს მე, რატომ ჩემი შვილი. მაშინ ვუთხარი, რომ ეს მისი ასაკის ბრალი იყო და დროსთან ერთად გადაუვლიდა. მართლა ასე ვფიქრობდი. ჩვენ ყოველთვის კარგი ურთიერთობა გვქონდა და ამ დღის შემდეგ ეს მოცემულობა შეიცვალა. შევწყვიტეთ ერთმანეთთან გულწრფელი საუბარი, აღარ მიყვებოდა თავის ცხოვრებასა და მეგობრებზე. წლები დამჭირდა ყველაფრის გადასაფასებლად. წლების შემდეგ, ჩემი შვილი ისევ ალაპარაკდა და ერთ-ერთ პროექტში მონაწილეობის მიღება მთხოვა, რომელშიც სხვა ლგბტქი ადამიანების მშობლებიც იქნებოდნენ ჩართული და მეც ეს შანსი გამოვიყენე.

საქართველოში ვცხოვრობთ, ამაზე საჯაროდ ამიტომ ვერ ვსაუბრობ. მთავარი მიზეზი საზოგადოებაა, რომელიც ჩვენ გარშემოა. მე მივიღე ჩემი შვილი, მაგრამ სხვები თუ მიიღებენ? ამაზე ფიქრი მაშინებს. მამამაც არ იცის, რადგან ჩემი შვილი არ არის დარწმუნებული, რომ სწორად გაიგებს და არ სურს ოჯახში არეულობის შემოტანა. ვფიქრობ, არც მე ვარ მზად ამისთვის.

2021 წლის 5 ივლისის მოვლენებს გავიხსენებ. ჩემი შვილი წინა დღეებში მეუბნებოდა, რომ დემონსტრაციაზე აპირებდა გასვლას. დიდი ხანია, აღარ ვერევი მის გადაწყვეტილებებში, მაგრამ, რა თქმა უნდა, შემეშინდა. 5 ივლისის დილას კი, უკვე ვთხოვდი, არსად წასულიყო. თავადაც უკვე გადაფიქრებული ჰქონდა და ამან დამამშვიდა. ვიცი, აქ ცხოვრება მისთვის საფრთხეს წარმოადგენს. ცოტა ხნის წინ გამიზიარა, წასვლა მინდაო. ერთადერთი მიზეზი, რატომაც არ მინდა წავიდეს, ის არის, რომ მგონია, წასვლის შემდეგ აქ დამბრუნებელი აღარაა და ვაი, თუ ვეღარ ვნახო. რაც არ უნდა გადაწყვიტოს, მაინც ყველა შემთხვევაში მხარს დავუჭერ.

ქვიარ ადამიანისთვის მშობლის მხარდაჭერა ძალიან მნიშნველოვანია. ამას ჩემი და ჩემი შვილის მაგალითზე ვამბობ. მას ხშირად უთქვამს, რაც შენთან დავქამინგაუთდი, თითქოს მხრებიდან დიდი ტვირთი მომეხსნაო და ძველი კარგი ურთიერთობაც დავიბრუნეთ. სხვა დედებს ვეტყოდი, რომ არსებობს უპირობო სიყვარული და შვილები უპირობოდ უნდა გვიყვარდეს. როგორებიც არ უნდა იყვნენ ისინი, მაინც ჩვენი შვილები არიან, ჩვენი სისხლი და ხორცი. როგორ უნდა ვთქვათ მათზე უარი?!

იმედს ვიტოვებ, რომ დროთა განმავლობაში გაიზრდება იმ ქვიარ ადამიანების რიცხვი, რომლებსაც მშობლები მხარს დაუჭერენ. ასე ცხოვრება გაცილებით მარტივი იქნება.

▶ **ქართულ ენაზე თარმნა გიგა ბერიაშვილმა**

დევის გაშის "სიძულვილით სავსე ქადაგების დასასრული"

თავი მეოცე

სიძულვილით სავსე ქადაგების დასასრული

ეს სიტყვა, 2014 წლის 8 ნოემბერს, „პროექტი რეფორმაციის" ფარგლებში „სხვაგვარად ვფიქრობთ" პირველად გამოცემისას, ვაშინგტონში წარმოვთქვი. ეს ანალიზი ნაწილობრივ ეხმიანება მე-17 თავში დასმულ საკითხებს. ტექსტი ემყარება ჩემს ძველ კვლევებსა და ასახავს იმ გაკვეთილებს, რომლებიც მივიღე ლგბტქ საკითხების შესწავლისას და რომლებსაც იმათკენ მივმართავ, ვინც მოძულებული ადამიანების მიღების გამო აღშფოთებული მწერს.

„ამაღამ, მინდა საზოგადოების ერთ ნაწილზე გესაუბროთ, რომელიც, სულ მცირე, 2000 წლის განმავლობაში, რელიგიებისა და ქრისტიანული ეკლესიის მიერ შთაგონებული ხალხისგან დესტრუქციული ქმედებების მსხვერპლია.

საზოგადოების ამ ნაწილის ჩაგვრის მიზეზი ბიბლიური ტექსტების რამდენიმე მუხლია,

რომელიც ქრისტიანი მოძღვრებისა და აწ უკვე ქრისტიანული ტრადიციის მიერ სხვადასხვანაირად ინტერპრეტირდა. ამ ტექსტების ამგვარი დესტრუქციული ინტერპრეტაცია ქრისტიანობის ადრეულ ხანაში გვაბრუნებს, რომლიდანაც დღემდე ვერ გამოვიდა მართლმადიდებელი, რომის კათოლიკე და პროტესტანტული ეკლესია. ამ ეკლესიებს ძალიან ცოტა აქვთ საზიარო, მაგრამ ამ საკითხზე უთქმელად შეხმატკბილდნენ. ძალიან რთულია, ამ საკითხზე შიგნით განსხვავებული პოზიცია იპოვო, რადგან ეს დამოკიდებულება თაობიდან თაობას გადაეცემა და ყოველ ახალ თაობაში უფრო მეტად მტკიცდება. ყველამ ისე იცოდა, თითქოს საზოგადოების იმ ნაწილის განდევნა, რომელიც ეკლესიის აგრესიული სწავლების ობიექტია, სწორედ ბიბლიური მიზეზებით ხდებოდა, ამას უდასტურებდნენ ეკლესიის მაღალი იერარქები.

ეკლესიის ეს სწავლება ყველაფერს მოედო. ეკლესიამ ზიზღის ნთხევა დაიწყო როგორც მთელი ამ ჯგუფის, ისე ცალკეული ინდივიდების მიმართ. ეკლესია ხალხს ასწავლიდა, რომ ისინი მორალურად გახრწნილები იყვნენ, ეშმაკებსა და სატანას ადარებდა. ეკლესია ასწავლიდა, რომ ისინი ღმერთისთვის მიუღებლები არიან. ეკლესია ასწავლიდა, რომ ამ ადამიანების გვერდით დგომა მიუღებელი იყო. ეკლესია ამ ადამიანებს სხვადასხვა მანკიერებაში სდებდა ბრალს, მათ შორის, სექსუალურ გაუკუღმართებაში, ძალადობასა და პედოფილიაში. საზოგადოების ამ ნაწილის აღმნიშვნელი სიტყვებიც კი ამ იდეებით იქნა გაჯერებული.

მიუხედავად ამისა, ეკლესია ცდილობდა ეს ადამიანები თავის წიაღში მიეღო, მაგრამ ეს მიღება ორაზროვანი იყო. ისინი უნდა შეცვლილიყვნენ და ამასთანავე, მუდმივად მეასეხარისხოვანი წევრები იქნებოდნენ, თუკი საერთოდ მიღებული იქნებოდნენ. ხოლო როდესაც ეს ადამიანები ამ ვაი-მიღებაზე უარს აცხადებდნენ, არა მარტო ეკლესიიდან, არამედ თავიანთი საცხოვრებელი სახლიდანაც კი ასახლებდნენ, ან ისეთ გარემოს უქმნიდნენ, რომ გადასახლებულიყვნენ.

ვინაიდან ეკლესიების წინამძღვრები არასოდეს ასწავლიდნენ თავიანთ მრევლს, ეს ადამიანები არ დაემცირებინათ, ადამიანთა ისეთი ჯგუფების ჩამოყალიბება ხალისდებოდა, რომლებიც მათ წინააღმდეგ მძიმე სახის დანაშულებს სჩადიოდნენ. ამ ადამიანების ცხოვრებაში დამცირება ყოველდღიურობის შემადგენელ ნაწილად იქცა. დამცინავი სახელების დაძახება უცხო არ იყო. არც სოციუმიდან განდევნა წარმოადგენდა რამე ახალს. ყველა მქადაგებელი ცდილობდა მათთვის კბილის გაკვრას, რადგან არც ერთ ქრისტიანს არ სურდა მათთან რაიმე ფორმით ასოცირებულიყო, რადგან უბრალო მორალური მხარდაჭერის გამოცხადებაც კი, ოჯახის, სამეზობლოსა და ეკლესიისგან მათ ათვალწუნებას ნიშნავდა.

როდესაც სახელმწიფოებმა დაიწყეს ამ ხალხის დევნა, ქრისტიანებს შორის თითქმის არ მოიძებნებოდა ადამიანი, რომელიც მათ მიმართ სოლიდარობას გამოხატავდა.

ეს ადამიანები სადაც არ უნდა წასულიყვნენ, ქრისტიანობის სახით, ყველაზე საზარელი მტერი ყველგან ჰყავდათ ჩასაფრებული. ეკლესია, ბიბლია, ჯვარი, სამღვდელოება, ყველა, აბსოლუტურად ყველა, რაღაც ძალიან სასტიკთან ასოცირდებოდა, ტკივილთან ასოცირდებოდა. ამ მსხვერპლთა შორის, ზოგიერთი ქრისტიანობის მშვენიერ მხარესაც იცნობდა და გაეგონათ ისეთი კეთილი შეგონებები, როგორიცაა „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ და „ისე მოექეცი სხვებს, როგორც შენ გინდა რომ მოგექცნენ“; იცოდნენ, ეს შეგონებები ქრისტიანობის გული იყო, რადგან ქრისტიანობა სიყვარულთან, პატივისცემასთან უნდა ყოფილიყო გაიგივებული, მაგრამ ქრისტიანებს შორის ამ ღირებულებებს ვერ ხედავდნენ.

ქრისტიანულმა ეკლესიამ მხოლოდ მათ მიმართ არ დააშავა. არსებობს საზოგადოების კიდევ ერთი ჯგუფი, რომელთა ერთი მესამედი მოკლულია და ერთ-ერთი ვარ იმ მკვლევართა შორის, რომელსაც მტკიცებულებები აქვს, როგორ შეეძლო ქრისტიანულ ეკლესიას მათი დახმარება და არაფერი გააკეთა. მიხვდით, ვისზე ვსაუბრობ? ებრაელები, რომლებსაც უღმერთოდ მოექცნენ ქრისტიანები, როდესაც თავიანთ თავს ანტი-იუდეველებს უწოდებდნენ და ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ანტისემიტურ პროპაგანდას ეწეოდნენ. ქრისტიანობის ეს უღმერთოება დეტალურად მაქვს აღწერილი ჩემს წიგნებში. (უღმერთოებას 14-ჯერ გამოვიყენებ ამ საუბრისას და როდესაც მას გაიგონებთ, ეს არის ყველაფერი, რაც იესო ქრისტეს სწავლებას ეწინააღმდეგება – დანაშაული, უსიყვარულობა და ყველაფერი ქრისტეს საპირისპირო).

ვინმეს 1935 წლის ამბები რომ ენახა, იფიქრებდა, ამას არასოდეს უწერია დასასრულიო. თავად ის ებრაელებიც, რომლებიც ფაქტების დოკუმენტირებას ახდენდნენ, ასევე ფიქრობდნენ. მაგრამ ყველას გასაკვირად, მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, არაერთმა ეკლესიამ, რომელიც ებრაელების ამდენწლიან ტანჯვას უყურებდა, იუდაიზმისა და იუდეველების მიმართ ჩამოყალიბებული სწავლების შეცვლა დაიწყო. ეს იყო სრულიად მოულოდნელი ძირფესვიანი ტრანსფორმაცია, რომელმაც ძველი სწავლება უკან მოიტოვა და ახლის ჩამოყალიბებას შეუდგა. ეს ტრანსფორმაცია სრულიად შეესაბამება ჩვენი ამჟამინდელი საუბრის თემას.

როდესაც ქრისტიანობამ თავისი ანტიიუდაისტური და ანტისემიტური სწავლების შეცვლა დაიწყო, ეს ცვლილება, პირველ რიგში, იმ ბიბლიური პასაჟების ინტერპრეტირებას შეეხო, რომელიც ყველას გაზეპირებული ჰქონდა. მკვლევარებმა ამ პასაჟების კონტექსტის დაზუსტებასა და მათთან დაკავშირებული მუხლების გადალაგებას მიჰყვეს ხელი.

ტექსტების გაგებაც შეიცვალა. მაგალითად, როდესაც მათე 27:25 აღწერს ქრისტეს ჯვარცმისას ბრბოს შეძახილებს, იქ ასეთი რამ არის ნათქვამი: „ჩვენზე იყოს და ჩვენს შვილებზე მაგისი სისხლი.“ ამ მუხლს ისე განიხილავდნენ, თითქოს ებრაელები, ყველა ებრაელი მთელ მსოფლიოში, ქრისტეს მოკვლის გამო პასუხისმგებლობას იღებდა. ამ მუხლის ინტერპრეტაციის გამო, ყველა ებრაელი ქრისტეს მკვლელად შეირაცხა და ამავე სახელით მოიხსენიებდნენ. ასე ეძახდნენ ქრისტიანი ბავშვები ებრაელ ბავშვებს. 1965 წლის დასაწყისში, ქრისტიანი და ებრაელი სასულიერო პირები სასაუბროდ ერთად დასხდნენ და მას შემდეგ, თითქმის აღარავის უთქვამს, რომ ქრისტეს მკვლელობა ებრაელების ზურგზეა. დღეს მათ "ქრისტეს მკვლელებს" აღარ ეძახიან, რაც კარგი ამბავია.

დევიდ გაში David P. Gushee - *მერსერის უნივერსიტეტში ქრისტიანული ეთიკის, ხოლო თავისუფალ უნივერსიტეტში სოციალური ეთიკის კათედრის დამსახურებული პროფესორი, ასევე კვლევარი ბაპტისტური თეოლოგიის სწავლების ცენტრში, 28 წიგნის, ასევე 157 აკადემიური პუბლიკაციის ავტორი და თანაავტორი. წლების განმავლობაში ქვიარ თემის უფლებების აქტიური მხარდამჭერი. ცხოვრობს მეუღლესთან ერთად ატლანტაში.*

იოანე 8:44 ებრაელების მიმართ იესოს ერთ ნათქვამს გვამცნობს: „თქვენ მამათქვენის – ეშმაკისაგან ხართ და მამათქვენის სუ-

რვილთა აღსრულება გსურთ. დასაბამითვე კაცის მკვლელი იყო იგი და ჭეშმარიტებაში ვერ დაემკვიდრა, ვინაიდან ჭეშმარიტება არ არის მასში, და როცა სიცრუეს ამბობს, თავისისას ამბობს, ვინაიდან ცრუ არის და სიცრუის მამა.“ საუკუნეების განმავლობაში მთელი საქრისტიანო ერთხმად გაიძახოდა, რომ ებრაელები სატანის ჩამომავლები არიან და თავიანთი ეშმაკეული ბატონის ისეთ საქმეებს განასახიერებენ, როგორიც მკვლელობა და სიცრუეა. ცნობილი ამბავია, რომ ევროპაში ქრისტიანი ბავშვები ებრაელი ბავშვების თმის ქვეშ ხელებით რქებს ეძებდნენ. 1965 წელს ებრაელი და ქრისტიანი სასულიერო პირების მიერ გამართული დიალოგის შედეგად, აღარავის უთქვამს, რომ ებრაელებს რქები აქვთ, რადგან სატანის შვილები არიან, რაც თავისთავად კარგი ამბავია.

მოციქულთა საქმეები 7, პირველმოწამე სტეფანეს ამბავი გემახსოვრებათ, სანამ ქვები დააცვივა თავზე, რას ეუბნება ებრაელ მსაჯულებს: „ქედმაგარნო, გულითა და ყურით წინადაუცვეთელნო, ყოველთვის რომ ეწინააღმდეგებით სულიწმიდას, როგორც თქვენი მამები, ისე თქვენც! წინასწარმეტყველთაგან რომელს არ სდევნიდნენ თქვენი მამები? მათ მოკლეს ისინი, წინასწარ რომ აუწყებდნენ მართლის მოსვლას, ვისი გამცემნიც და მკვლელნიც ახლა თქვენ გახდით! თქვენ, რომლებმაც ანგელოზთა მეშვეობით მიიღეთ რჯული და არ დაიცავით იგი!” – ეს ბრალდება საუკუნეების განმავლობაში ისმოდა ებრაელების მიმართ და ისე ისმოდა, თითქოს ებრაელების მთელი ისტორია ღვთის წინააღმდეგ წასვლა ყოფილიყო. ვინაიდან ებრაელი და ქრისტიანი სასულიერო პირები 1965 წელს დასხდნენ და დიალოგი გამართეს, მას შემდეგ, აღარავის დაუდანაშაულებია ისინი ღვთის კანონის მოძულეობაში, რაც თავისთავად კარგი ამბავია.

არ გეგონოთ, მხოლოდ ბიბლიურ პასაჟებთან გვქონდეს საქმე. ისტორიკოსებმა იკვლიეს ეკლესიის მამებისა და სხვა პოლიტიკური ლიდერების ნამუშევრები და ისეთი ავტორების ტექსტებში, როგორებიც იყვნენ ტერტულიანე, ოქროპირი, იპოლიტე, ავგუსტინე და მრავალი სხვა, ანტიებრაულ განწყობებს წააწყდნენ. აღმოჩნდა, რომ პრობლემამ ფესვები ბევრად უფრო დიდი ხნის წინ, რეფორმაციის პერიოდში გაიდგა.

მაგალითად, მარტინ ლუთერს თავის წიგნში – „ებრაელებისა და მათი სიცრუის შესახებ“, საშინელი რაღაცები აქვს ნათქვამი ებრაელებზე, მათ შორისაა მოწოდებები მათი რელიგიური წიგნების დაწვისკენ, სინაგოგების ნაცარტუტად ქცევაზე. ერთგან ამბობს „დავაშავეთ, რომ ერთიანად არ ამოვწყვიტეთო“ – მსგავსი არავის უთქვამს! ქრისტიანებმა ჰოლოკოსტის დროს ცხადად დაინახეს ებრაელების ტანჯვა და თავიანთი სწავლებებიდან ამგვარი დამოკიდებულებების ამოღებით, მცირეოდენ დაეხმარნენ მათ. აქტიურ დისკუსიებში მრავალი იყო ისეთი, ვინც ანტი-ებრაული განწყობის წინააღმდეგ გამოყენებულ არასწორად ინტერპრეტირებულ მუხლებს ამხელდა.

ომის დასრულების შემდეგ, ეკლესიების უმრავლესობამ საბოლოოდ უარყო ეს მიდგომები. ლუთერულმა ეკლესიამ გერმანიასა და ა.შ.შ.-ში საჯაროდ დაგმო ლუთერის ეს საზარელი წიგნი. დღევანდელ გამოცემებს კი თან ახლავს მოწოდება განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენისკენ ამ ტექსტის ციტირების დროს.

აი, ამ ცვლილებებმა, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, არაერთი ებრაელის სიცოცხლე იხსნა. თავად იუდაიზმის გაგებაც ძირფესვიანად შეიცვალა. ანტისემიტიზმი აღარ წარმოადგენს სიამაყის საგანს. ქრისტიანობის ეს უღმერთო მხარე, მისი ეს ოდესღაც სახალხოდ ნაქადაგები სწავლება, აბსოლუტურად ყველგან და განსაკუთრებით, დასავლურ სამყაროში, ძირფესვიანად შეიცვალა. დღესდღეობით, მერსერის უნივერსიტეტის თეოლოგიის სკოლაში იუდაიზმისა და იუდაური

ტრადიციის შესახებ ებრაელი რაბინები ასწავლიან და არა დაგეშილი ქრისტიანები.

ჰოდა, დღეს, 50 წლის შემდეგ, დარწმუნებული ვარ, არც ერთ ჩვენგანს აღარ ესმის მათე 27, იოანე 8, საქმეები 7 ისე, როგორც 50 წლის წინ ესმოდათ და როგორც 2000 წლის წინ ისწავლებოდა. სავარაუდოდ, თქვენს შორის ბევრმა არც კი იცოდა, რომ ეკლესიას საუკუნეების განმავლობაში თავის წიაღში ანტიებრაული სწავლება ჰქონდა. არც გეცოდინებოდათ, რადგან დღესდღეობით, ეს სწავლება სამარცხვინოდაა მიჩნეული, განდევნილია და უარყოფილი. დიდი იმედი მაქვს, ეს სწავლება არასოდეს დაბრუნდება.

საკმაოდ ვრცლად ვისაუბრე ებრაელების მიმართ ეკლესიის ძველი სწავლების შესახებ, თუ როგორ მოიტოვა მან ეს დამოკიდებულება უკან და 2000-წლიანი უღმერთო ქრისტიანობა, როგორც შეიცვალა.

და მაინც, ამ საღამოს ამდენს რისთვის ვლაპარაკობ? ისტორიული ანალოგიების მწამს. მე, როგორც ებრაულ-ქრისტიანული ხანგრძლივი დიალოგის მონაწილე, კარგად ვაცნობიერებ ისტორიული ანალოგიების ფასს. მოდით, გადავალ საკითხზე, რომელიც მწამს, ამ ძალიან მძიმე ისტორიული ფაქტის ზუსტი ანალოგიაა.

ქრისტიანულმა ეკლესიამ კიდევ ერთხელ გამოავლინა თავისი უღმერთო მხარე, რომელსაც განვიხილავთ, როგორც სიძულვილის ქადაგებას ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ქვიარ ადამიანების წინააღმდეგ. ეს სიძულვილით სავსე ქადაგება დამყარებულია ქრისტიანი წინამძღვრების ინტერპრეტირებულ რამდენიმე ბიბლიურ მუხლზე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში განსაკუთრებულ გავლენას იძენდა. დღეს, უკვე ძალიან რთულია, იპოვო ის, ვინც ადამიანებს შორის განხეთქილების ჩამოგდება დაიწყო, ვინაიდან სიძულვილით სავსე ეს სწავლება განფენილია წმინდა წერილში, ქრისტიანულ ტრადიციაში, სამღვდელოებაში და თაობიდან თაობამდე ძლიერდება და ძლიერდება. დღესდღეობით, ამ სწავლების ქვეშ მოქცეულმა ადამიანებმა იციან, რომ გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ქვიარ ადამიანები ეკლესიის მიერ უარყოფილები არიან, მათი მრევლს შორის ყოფნა არ შეიძლება და უნდა განიდევნოს არა მხოლოდ მათი სექსუალური სწრაფვები და რომანტიკული ურთიერთობები, არამედ თავად პიროვნებები. დღესდღეობით, არაერთი ქრისტიანისთვის ანტი-გეი მოძრაობაში ჩართულობა, მისი, როგორც ქრისტიანის იდენტობის შემადგენელი ნაწილია.

ეკლესიის ანტი-გეი სწავლება ყოვლისმომცველია. ეკლესია ასწავლის, რომ ლგბტქ ადამიანებს დასცინონ და თავადაც დასცინის მათ. ეკლესია ასწავლის, რომ ლგბტქ ადამიანები მორალურად გარყვნილები არიან. ეკლესია ასწავლის, რომ ლგბტქ ადამიანები ბოროტების მსახურები არიან. ეკლესია ასწავლის, რომ ლგბტქ ადამიანები სამოთხიდან მოწყვეტის განსახიერებანი არიან. ეკლესია აფრთხილებს თავის მრევლს, არ ასოცირდებოდნენ ლგბტქ ადამიანებთან. ეკლესიამ ლგბტქ ადამიანებს სხვადასხვა სახის სექსუალურ გადახრაში დასდო ბრალი, მათ შორის პედოფილიაში.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიას სურს, მიიღოს ლგბტქ ადამიანები თავის სამწყსოში, მათი მიღება სრულებით არ წარმოადგენს მათ თანასწორად ჩათვლას.

ლგბტქ ადამიანებს ეკლესიებში მეასეხარისხოვანი როლი უჭირავთ. (ამ მომენტში, ლექციის ერთმა დამსწრემ კომენტარი გააკეთა, რომ ებრაელებიც მეასეხარისხოვან მრევლს წარმოადგენდნენ ქრისტიანულ ეკლესიებში, თუმცა მათთვის ბევრად ადვილი იყო ამის დაძლევა, რადგან შეეძლოთ, იუდაიზმიდან ქრისტიანულ რწმენაზე გადასულიყვნენ, რაც არ ხდება ლგბტქ ადამიანების შემთხვევაში, ვინაიდან ჰომოსექსუალი ჰეტეროსექსუალად ვერასოდეს გარდაიქმნება, შესაბამისად, ეკლესიაში მისი იერარქიული დაწინაურება შეუძლებელია.)

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიას არასოდეს აუღია პასუხისმგებლობა თავისი მრევლის საქციელზე, მათ შორის არაერთმა წევრმა შექმნა დაჯგუფება, რომლებიც ლგბტქ ადამიანებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ. უფრო მსუბუქ შემთხვევებში, გავლენა მოახდინეს სკოლებში დამცინავი სახელების შერქმევის წახალისებაში, სოციუმიდან გარიყვასა და მოძულებაში. ქადაგებები სისტემატიურად დევნის ლგბტქ ადამიანებს. ძალიან ცოტაა ისეთი ქრისტიანების რიცხვი, რომლებიც ლგბტქ ადამიანებს გვერდით დადგებოდნენ და მორალურ მხარდაჭერას გამოუცხადებდნენ, რადგან ასეთი თანადგომის გამოცხადება მეგობრების, ოჯახის, მრევლისა და ეკლესიის მხარდაჭერის დაკარგვას ნიშნავს. ამიტომაც ლგბტქ ადამიანებს ისე ექცევიან, როგორც ნაგავს. როდესაც სახელმწიფომ ლგბტქ ადამიანები მიზანში ამოიღო, ქრისტიანებს შორის თითქმის არავინ აღმოჩნდა ისეთი მამაცი, მათ გვერდით რომ დამდგარიყო.

ლგბტქ ადამიანები სადაც არ უნდა წასულიყვნენ, ქრისტიანობის სახით ყველაზე საზარელი მტერი ყველგან ჰყავდათ ჩასაფრებული. ეკლესია, ბიბლია, ჯვარი, სამღვდელოება, ყველა, აბსოლუტურად ყველა, რაღაც ძალიან სასტიკთან ასოცირდებოდა, ტკივილთან ასოცირდებოდა. ლგბტქ ადამიანებს შორის ზოგიერთი ქრისტიანობის მშვენიერ მხარესაც იცნობდა და გაეგონათ ისეთი კეთილი შეგონებები, როგორიცაა „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ და „ისე მოექეცი სხვებს, როგორც შენ გინდა რომ მოგექცნენ“; იცოდნენ ეს შეგონებები ქრისტიანობის გული იყო, რადგან ქრისტიანობა სიყვარულთან, პატივისცემასთან უნდა ყოფილიყო გაიგივებული, მაგრამ ქრისტიანებს შორის ამ ღირებულებებს ვერ ხედავდნენ.

მოკლედ, აქ მთავრდება ისტორიული ანალოგია. მიუხედავად ამ ორი ისტორიული ანალოგიის მოყვანისა, მესმის, რომ არსებობს საზღვრები. მაგალითად, ის, რომ ლგბტქ ადამიანებს გენოციდი არ დასტყდომიათ თავს. ცალსახად ცხადია და განსაკუთრებულ ძიებას არ საჭიროებს ფაქტი, რომ ლგბტქ ადამიანები დევნის ობიექტები არიან. მსოფლიოს სხვადასხვა მხარეში მცხოვრები ჩემი სტუდენტები ხშირად მიყვებიან, როგორ ამცირებენ და ფიზიკურად ანადგურებენ ლგბტქ ადამიანებს მათ ქვეყნებში. მართალია, ლგბტქ ადამიანების გენოციდი არ მომხდარა, მაგრამ ამ ნიშნით მათი გამორჩევა და მკვლელობის რიცხვი იმდენად მაღალია, რომ დღესდღეობით, ნაცისტური გერმანიის ლგბტქ მსხვერპლსაც აღემატება.

ჩვენ ვსაუბრობთ ადამიანების იმ ჯგუფზე, რომლებიც აქაც, ჩვენს ქვეყანაში, გესლიანი საუბრის ობიექტია, ამ საუბარს კი წმინდა წერილიდან ამოღებული მუხლებით განამტკიცებენ და ითხოვენ, რომ სახელმწიფომ მათი დასჯა დაიწყოს. არ დამავიწყდება, ერთხელ, ერთ-ერთ ქრისტიანულ რადიოში, ჩემ გვერდით მჯდომმა სტუმარმა ზუსტად ეს სიტყვები თქვა.

ებრაელებთან მიმართებაში უღმერთო ქრისტიანული სწავლება შეიცვალა. არც ერთი ცნობილი ქრისტიანი მქადაგებელი აღარ ქადაგებს ამას, რადგან გაგება შეიცვალა. ბიბლია არ შეცვლილა. ბიბლიის გაგება შეიცვალა.

ახლა, როდესაც ამაზე ვსაუბრობთ, ლგბტქ ადამიანებისკენ მიმართული ქრისტიანობის უღმერთო სწავლება თანდათან თავის ძალას კარგავს. მისი ავტორიტეტი და გავლენა ყოველწლიურად იკლებს და ეს მაფიქრებინებს, რომ ქრისტიანული ეკლესია ზუსტად იმავე პროცესებს გაივლის, რა პროცესებმაც ანტისემიტური სწავლების ამოღებამდე მიიყვანა.

სწორედ ეს არის ჩემი შედარების მიზანიც, ნათლად გაჩვენოთ ქრისტიანობის უღმერთო ტრადიცია, რომელთაგან, ერთ შემთხვევაში, ეს უღმერთოება მოშორებული და განდევნილი იქნა და მეორე შემთხვევაში, ამავე განდევნისა და მოშორების პროცესშია. ვფიქრობ, თანდათანობით საზეიმო მიზეზებს ვუახლოვდებით, რადგან რაღაც დროის შემდეგ ეს სწავლება ლგბტქ ადამიანების დევნას აღარ დაუშვებს.

პროგრესი ცალსახაა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი. სიძულვილით სავსე დამოკიდებულება ჯერ კიდევ არ გამქრალა და ასე ადვილად არც გაქრება. ლგბტქ ადამიანებს ჯერ ისევ არ მიიჩნევენ თანასწორებად და პატივის არ სცემენ, ოჯახები, ეკლესიები, სკოლები და მეგობრები ისევ უარყოფენ და რიყავენ. მას შემდეგ, რაც საჯაროდ განვაცხადე ლგბტქ ადამიანების მიმართ ჩემი სოლიდარობის შესახებ, ახალგაზრდები მოდიოდნენ და მიყვებოდნენ თავიანთ ისტორიებს, მომითხრობდნენ როგორ მოიძულეს მშობლებმა, დებმა, ძმებმა, მეგობრებმა, როგორ გასწირეს ისინი ტკივილისა და ტანჯვისათვის. ასეთი რამ დაუშვებელია, მეგობრებო, ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს!

მნიშვნელოვანია, ვისაუბროთ ახალგაზრდა ლგბტქ ადამიანების ტკივილზე. ამაზე საუბარი მნიშვნელოვანია.

ამერიკის ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ვაშინგტონში მცხოვრები უსახლკარო ლგბტქ ახალგაზრდების შესახებ მოხსენება მოამზადა: ამ მოხსენების მიხედვით – "უსახლკარო ახალგაზრდები არიან 12-დან 24 წლამდე ადამიანები, რომლებსაც არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი სივრცე." უმეტესობა ამ ახალგაზრდისა სახლიდანაა გამოქცეული ან გამოგდებული. ისინი გაუსაძლისი პირობების გამო გაექცნენ თავიანთ მშობლებსა და მინდობილ პირებს.

ორგანიზაცია აცხადებს, რომ მხოლოდ ამერიკაში 2.4-3.7 მილიონი უსახლკარო ახალგაზრდა ადამიანი ცხოვრობს, რომელთა ასაკი 12-დან 24 წლამდე მერყეობს.

აღსანიშნავია ისიც, რომ უსახლკარო ახალგაზრდებს შორის ჭარბობს უსახლკარო ლგბტქ ადამიანები. "ზოგიერთ შტატში უსახლკარო ახალგაზრდა ლგბტქ ადამიანების ჯგუფების შესწავლისა და უსახლკარო ახალგაზრდა ჰეტეროსექსუალ ადამიანთა შესწავლისა და რიცხვობრივი შეფარდების მეშვეობით, განმაცვიფრებელი შედეგები მივიღეთ – უსახლკარო ახალგაზრდების 65% ლგბტქ ადამიანია. 2000 წელს ჩატარებული კვლევების მიხედვით, იმ უსახლკარო ადამიანთა მაჩვენებელი, რომლებიც თავს ლგბტქ პიროვნებებად აიდენტიფიცირებდნენ, ასე გამოიყურება: ნიუ-იორკში 33%, სიეტლში 39%, ლოს-ანჯელესში 25%, ილინოისში 15%, ჩიკაგოში 22%.

რთული არ არის დაადგინო, რა იქცა მათი უსახლკარობის მიზეზად და რატომ არის ასეთი მაღალი მაჩვენებელი. პასუხი ისაა, რომ ისინი თავიანთი ოჯახებისთვის მიუღებლები აღმოჩნდნენ და ოჯახში ძალადობასა და კონფლიქტებს გაქცევა ამჯობინეს. ოჯახებისგან თავიანთი შვილების უარყოფის მოტივატორი რელიგიებია. ეს სწორედ იმ უღმერთო ქრისტიანობის კისერზეა, რომელზეც უკვე ვისაუბრე. იგი ადამიანების ცხოვრებას ანადგურებს და ოჯახებს ხლეჩს. და რაც არანაკლები ტრაგედიაა, ეს ყველაფერი ღმერთის სახელით ხდება.

ქეითლინ რაიანი, რომელიც "ოჯახისგან მიღების ხელშემწყობ პროექტს" ხელმძღვანელობს, ტრაგიკულ სურათს გვიხატავს: დროთა განმავლობაში, უფრო და უფრო მეტი თინეიჯერი ახდენს ადრეულ ასაკში თვითიდენტიფიცრე-

ბას ლგბტქ ადამიანად. ყველაზე ახალგაზრდა ლგბტქ ადამიანი, რომელსაც ორგანიზაცია ეხმარება, 13 წლისაა. ამავე ორგანიზაციის კვლევების მიხედვით, ყველაზე ადრეულ ასაკად, როდესაც ადამიანი ჰომოსექსუალად აიდენტიფიცირებს საკუთარ თავს, 7-დან 12 წლამდე მერყეობს. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ადამიანები ძალიან პატარები არიან და ჯერ კიდევ არ გააჩნიათ გამოცდილება, იცხოვრონ ოჯახის გარეშე, დამოუკიდებლად, თავიანთი ასაკის გამო საკმაოდ მოწყვლადი არიან და უფრო მეტი საფრთხის წინაშე დგანან, ვიდრე მაშინ იდგებოდნენ, შედარებით დიდები რომ ყოფილიყვნენ.

ამგვარად, როდესაც ოჯახები იგებენ, რომ მათი შვილები ლგბტქ ადამიანები არიან და ისინი მათ უარყოფენ, ამ ბავშვების ცხვირწინ არა მხოლოდ ოჯახური სითბოს მიღებისა და ღირსეული ცხოვრების შანსი ინგრევა, არამედ წარმოდგენაც თავიანთ თავზე, რადგან ეს უჩენთ საკუთარი თავის მიმართ მიუღებლობისა და სიძულვილის განცდას. ეს ყველაფერი ძალიან დიდ გავლენას ახდენს მათზე და ართმევს ძალას, უყვარდეთ თავიანთი თავი, იზრუნონ საკუთარ თავზე, აირიდონ სხვადასხვა საფრთხეები, კარგავენ ძალას, ებრძოლონ მავნე ჩვევებს და რაც კიდევ უარესია, ისინი იმედს კარგავენ და კარგავენ სიცოცხლის სურვილს.

სამწუხაროდ, რიცხვი ასეთი ახალგაზრდებისა, რომლებიც ოჯახებმა განდევნეს, რადგან მათი ლგბტქ იდენტობის შესახებ გამოარკვიეს, საკმაოდ დიდია. ასევე დიდია რიცხვი იმ ოჯახებისა, რომლებმაც ქეითლინ რაიანის ორგანიზაციასთან მუშაობის შემდეგ, თავიანთი შვილი უკან დააბრუნეს და ეცადნენ, მიეღოთ ისეთი, როგორიც არის. ორგანიზაციამ გააანალიზა ათობით განსხვავებული ოჯახის დამოკიდებულება თავიანთ ლგბტქ შვილთან მიმართებაში და დაადგინა, რომ მოზარდობის დროს ოჯახისგან მათი მიღება-არმიღების საკითხი ძალიან დიდ გავლენას ახდენს შემდგომში მოზარდის ფსიქიკური ჯანმრთელობის ჩამოყალიბებასა და გაუარესებაში. რაც უფრო მძიმეა ოჯახის დამოკიდებულება, მით უფრო მძიმეა მოზარდის ჯანმრთელობა, მენტალური სიჯანსაღე და ქცევა. რაც უფრო მეტად მიმღებელია ოჯახი ლგბტქ შვილის მიმართ, მით უფრო ნაკლებია მოზარდის ფსიქიკური ზიანის შანსი.

ორგანიზაციამ შეისწავლა ოჯახის მიერ შვილების უარყოფის სხვადასხვა ფორმა: ცემა, სხვადასხვა სახის ფიზიკური დამცირება, სიტყვიერი შეურაცხყოფა, დაცინვა, აგდებული მიმართვა, სახელების შერქმევა, ბავშვის დადანაშაულება, როდესაც იგი დამცირებისა და დისკრიმინაციის მსხვერპლია, ბავშვისთის კაცურობისა თუ ქალურობის დაძალება, ღვთისგან მოვლენილი სასჯელით დამუქრება, ლოცვის იძულება და ლგბტქ იდენტობის შეცვლის მიზნით, ეკლესიაში მსახურება, სექსუალური ორიენტაციის შესაცვლელი "თერაპიის" ჩატარება, ოჯახის წინაშე მისი შერცხვენა, მათი ლგბტქ იდენტობის ტაბუირება და ამაზე საუბრის აკრძალვა, ოჯახის წევრებისთვის ან სხვებისთვის ამის გამხელის აკრძალვა და მისი საიდუმლოდ შენახვის დავალდებულება.

კვლევებმა აჩვენა, რომ ოჯახისაგან უარყოფილმა ლგბტქ ადამიანმა:

- რვაზე მეტჯერ სცადა თვითმკვლელობა;
- ცხოვრებაში ექვსჯერ ან მეტჯერ ებრძოდა დეპრესიის გართულებულ ფორმებს;
- სამჯერ ან მეტჯერ გამოუყენებია არალეგალური და მძიმე ნარკოტიკები;
- სამჯერ უფრო მაღალია რისკი აივ-ინფექციითა და სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადებით დაავადების შანსი.

ამავე კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული პრობლემები თითქმის არ არსებობს იმ ლგბტქ ადამიანთა ცხოვრებაში, რომლებიც ოჯახებმა მიიღეს. მაგალითად, თვითმკვლელობის მცდელობა მიმღებლურ ოჯახებში მხოლოდ

მესამედია იმ რიცხვისა, რა რიცხვთანაც საქმე გვაქვს, როდესაც ოჯახებისგან განდევნილ ლგბტქ ახალგაზრდებზე ვსაუბრობთ.

"ოჯახისგან მიღების ხელშემწყობი პროექტის" მენეჯერმა ასეთი რამ მომწერა: "ყოველდღიურად, ისეთ გულისმომწურავ ისტორიებს ვისმენ, წარმოიდგინეთ, იმის გამო, რომ მათთვის თავშესაფრები არ არსებობს, ამ ზამთარში, ამ სიცივეში ბავშვებს ხიდების ქვეშ სძინავთ. შარშან, იანვარში, ხუთი ბავშვი მოვიდა ჩვენთან, რელიგიურმა ოჯახებმა მათზე უარი განაცხადეს და სახლებიდან გამოყარეს, წასასვლელი არსად ჰქონდათ. ერთ-ერთ გოგონას თავისი სკოლის წინ პირდაპირ თოვლში ეძინა. ეს გოგონა 16 წლისაა." კვლევების მიხედვით, 85% სახლიდან გამოქცეული ან გამოგდებული ლგბტქ ახალგაზრდისა, რომელიც ცხოვრებას ქუჩაში იწყებს, განწირულია მთელი ცხოვრების იქ გატარებისთვის. ეს პრობლემა უფრო ხშირად გვხვდება ტრანსგენდერი ადამიანების შემთხვევაში. უსახლკარობასა და ქუჩაში ცხოვრებას კარგი რომ არაფერი მოჰყვება, ეს ყველამ ვიცით.

გთავაზობთ პრობლემების სიას, რომელსაც ეს ახალგაზრდები ქუჩებში აწყდებიან:

- კარგავენ სახელმწიფო დაზღვევასა და ბავშვებისთვის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული სარგებლის მიღების უფლებას.
- ოჯახის მიერ უარყოფილი ახალგაზრდები უფრო ხშირად ხვდებიან ბავშვთა და მოზარდთა გამოსასწორებელ კოლონიებში.
- მინდობით აღზრდას დაქვემდებარებული ლგბტქ ახალგაზრდების უმეტესობა ცხოვრებას მაინც ქუჩაში ასრულებს, ვინაიდან ხშირია მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტები, რაც ხშირად სექსუალურ ძალადობასაც გულისხმობს.
- სამართალდამცავ სტრუქტურებში ლგბტქ ადამიანებისთვის "მეძავის" სტატუსის მინიჭება უფრო ხშირად ხდება და მსგავსი ჩანაწერები მათ მომავალს დაღს ასვამს.
- უარყოფილი ლგბტქ ადამიანების უმრავლესობას არ აქვს ღამის გასათევი, სადაც თავს დაცულად იგრძნობს.
- მოკლებულია ორმხრივი თანხმობით დამყარებულ სექსობრივ კავშირს, სამაგიეროდ, მაღალია მათი გაუპატიურების, სასტიკი მოპყრობისა და მკვლელობის რიცხვი.
- ძალიან მაღალია ნარკოტიკისა და ალკოჰოლის სისტემატურად მომხმარებელთა რიცხვი.
- ძალიან დიდია რიცხვი თვითმკვლელობისა და თვითმკვლელობის მცდელობისა.

ეს მხოლოდ ნაწილია იმ ძალიან დიდი სიისა, რომელიც მე მოვიპოვე. დასასრული თითქმის არც აქვს. ამის დასრულება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუკი უღმერთო ქრისტიანულ სწავლებას დავასრულებთ ისევე, როგორც უღმერთო ქრისტიანობა დასრულდა ებრაელებთან მიმართებაში. ფაქტია,



რეფორმაციის საჭიროების წინაშე ვდგავართ. ქრისტიანობის დამოკიდებულება ებრაელების მიმართ, რამდენიმე კარგ მაგალითს გვაძლევს იმის თაობაზე, თუ როგორ შეგვიძლია დავასრულოთ ეს უღმერთოება ლგბტქ ადამიანებთან მიმართებაში.

აუცილებელია, ადამიანის, როგორც უმაღლესი ღირებულების საკითხი დაისვას. აუცილებელია, ადამიანების გულები შემოვაბრუნოთ ამ ადამიანების ტანჯვისკენ. არც ერთი დიალოგი

არ უნდა შედგეს თუკი ამ დიალოგში ჩართული არ იქნება ერთი ლგბტქ ადამიანი მაინც და თავად მათ არ მიეცემათ ხმის ამოღების საშუალება.

კონსერვატორებსა და განსაკუთრებით რელიგიურ ლიდერებს, არ უნდა მიეცეთ საშუალება ისეთი შეურაცხმყოფელი ტონით ისაუბრონ, როგორც ერთ დროს ებრაელების მიმართ საუბრობდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ უნდა შეიქმნას ისეთი სივრცე, სადაც თითოეულ ადამიანს მოუწევს, არ გადავიდეს დაწესებულ საზღვარს, რაც, თავისთავად, პროგრესისკენ წაგვიყვანს. არ უნდა დავუშვათ, რომ ადამიანები უკან დასწიონ.

ყურადღება უნდა დაეთმოს ნეგატიურ კონტექსტში ციტირებულ ბიბლიურ მუხლებს და დაზუსტდეს, ტექსტის კონტექსტუალური ანალიზის შედეგად, კვლევის საგანი გახდეს მისი მნიშვნელობა, ჩამოყალიბდეს და გათვალისწინებულ იქნას ის მამოძრავებელი იდეები და გავლენები, რამაც მისი დაწერის აუცილებლობა გააჩინა.

მაგრამ ერთი ყველაზე დიდი გაკვეთილი, რაც ანტიიუდაისტურ განწყობებთან ბრძოლამ გვასწავლა, ის არის, რომ უმჯობესია, ძირითადი აქცენტი არ გაკეთდეს ბიბლიის იმ ექვს-შვიდ მუხლზე, რომელსაც ძალიან ხშირად იყენებენ ანტი-გეი კამპანიაში, ვინაიდან ის ცვლილება, რომელიც იუდაიზმთან მიმართებაში მოხდა, გამოწვეული იყო არა იმით, რომ ეს ტექსტები ამოაგდეს და აღარ კითხულობდნენ, არამედ იმისგან, რომ საუბარი წარიმართა ტექსტებში არსებული ისეთი ფუნდამენტური საკითხებისკენ, როგორიცაა ქრისტეს გზა. ამრიგად: საუბარი უნდა შეიცვალოს იმისაკენ, თუ რა არის ქრისტეს სწავლება.

ჰოლოკოსტის დროს ქრისტიანებმა ებრაელების გადარჩენა დაიწყეს. ის მამაცი უმცირესობები, რომლებმაც კბილებდაღრჭენილი უღმერთო ნაცისტების ცხვირწინ ებრაელების გადაარჩენა მოახერხეს, ქრისტიანობის ძირითადი პრინციპის – „როგორც თქვენ გსურთ გექცეოდნენ ადამიანნი, თქვენც ასევე მოექეცით მათ“ (მათე 7:12), რჯულის მთავარი კანონის, კეთილი სამარიელის, ძმის მცველისა და მფარველის განსახიერებანი არიან. თითოეულმა მათგანმა ისეთი საქმე ითავა, რაც ქრისტიანობისთვისა და ქრისტიანებისთვის უმაღლესი ღირებულებაა, ვინაიდან საქმე გვაქვს თანაგრძნობასთან, მოწყალებასა და სამართლიანობასთან. თუმცა ისეც მოხდა, რომ იოანე 8, მათე 27 და საქმეები 7, ამ გზას ასცდა, ან სხვანაირად იქნა გაგებული. როდესაც ჩვენი დროის დიდ ნაწილს ისეთ ტექსტებზე საუბარს დავუთმობთ, როგორიცაა ლევიანთა 18, პირველი კორინთელთა 6 და რომაელთა 1, ვკარგავთ შესაძლებლობას, ქრისტიანები დავაბრუნოთ ისეთ ძირეულ საკითხებთან, რაც ამ აბზაცში აღვწერე და რაც ქრისტიანების ცხოვრებაში ფუნდამენტს უნდა წარმოადგენდეს.

მაშასადამე, ჩვენი მოვალეობაა, მივყვეთ ქრისტეს მაგალითს და მისი შესაბამისი გაგება დავნერგოთ. მთელი ჩვენი დრო სახარებაში უნდა ჩავდოთ. აუცილებელია, გავითვალისწინოთ მისი ღირებულებები ყველა ადამიანთან მიმართებაში, მისი დამოკიდებულება განდევნილ და მოძულებულ ადამიანებთან მიმართებაში, მისი შემტევი ქცევა და პათოსი ისეთ რელიგიურ ლიდერებთან, რომლებიც ღვთის დამახინჯებულ ინტერპრეტაციას იძლევიან, მისი გულწრფელობა, როდესაც იგი ღვთის მიმართ ლოცულობდა და, რაღა თქმა უნდა, მის სიკვდილსა და მკვდრეთით აღდგომაზე. უნდა ვუსმინოთ მას და მზად ვიყოთ ღვთით აღვსებისათვის, რომელიც მაშინ ჩნდება, როდესაც ჩვენს გულებს ვხსნით, სხვაგვარად ვფიქრობთ, სული სინანულს ეძლევა.

ბოლო დროს, განცდა მაქვს, თითქოს ჩვენი ეკლესიები გაიხსნა უცხოებისთვის, ჩვენი სიყვარული უცნობებს შორის განივრცო, ჩვენი გულები გამბედაობით აღივსო, თითქოს დახშული თანაგრძნობა გათავისუფლდა. მიუხედავად ამისა, საქმე, რომელიც უნდა ვითაოთ, რთულია, რადგან:

საკითხი, რომლის წინაშეც ვდგავართ, ძალიან რთულია და გარდა ამისა, თავად ეკლესია და მისი ავტორიტეტიც ძალიან პრობლემური საკითხია, რადგან რთულია აღიარება, რომ შეცდი. მოკლედ, ეს საკითხი სულაც არ არის ბიბლიის რამდენიმე მუხლის სხვაგვარად წაკითხვა-გაგებაზე. აქ საქმე გვაქვს წმინდა წერილის, ქრისტიანული ტრადიციისა და სასულიერო პირების ავტორიტეტის შესაძლო რღვევასთან. პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ ქრისტიანებს არ სურთ აღიარონ, რომ ინდივიდუალურად თუ ჯგუფურად, ცუდად იქცეოდნენ. აღიარება ძალიან რთულია, მაგრამ აუცილებელია ეკლესიამ თავის მრევლს შეახსენოს, რომ ის გასაღები, რომელიც აქამდე ეჭირა, დაჟანგდა და მისი განახლების დროა. ეკლესია ასე მოიქცა მონობასთან, სეგრეგაციასთან და ანტისემიტიზმთან მიმართებაში. ახლაც შეუძლია იგივე გააკეთოს.

უცილობელ ფაქტორს წარმოადგენს ახალი პარადიგმებისა და ტრანსფორმაციული შეხვედრების გახშირება. მაგრამ ცხადია, ამისთვის საჭირო ძალისხმევის გამოჩენა ძალიან რთულია. გამხელა ჩვენი ლგბტქ იდენტობისა და ლგბტქ-მეგობრული განწყობისა, უმაღლესი საჭიროების საკითხია. თუკი ყველა ჩვენგანი ამის შესახებ ხმამაღლა დაიწყებს საუბარს, ევანგელური ამერიკა იძულებული გახდება აღიაროს, რომ ეს სხვისი პრობლემა არ არის და ეს ყველაფერი მის ცხვირწინ ხდება. ადამიანებს უჭირთ სხვაგვარად ფიქრი, თუკი ლგბტქ ადამიანებთან შეხება არა ჰქონიათ.

ადამიანები ლგბტქ საკითხებს აღიქვამენ, როგორც კულტურის უარყოფასა და ახალი წესების დანერგვას, რაც ქრისტიანთა უმეტესობას აშფოთებს. იმისათვის, რომ დასრულდეს ლგბტქ ადამიანების დევნა და უარყოფა, აუცილებელია, ქრისტიანმა ლგბტქ ადამიანებმა იმდენად აღიმაღლონ ხმა, რომ ადამიანებს დაეხმარონ გაცნობიერებაში, რომ ისინი კულტურის უარმყოფელები კი არ არიან, არამედ შევიწროვებული ქრისტიანები, რომლებსაც ეკლესიაში ინტეგრაცია და თავიანთი რწმენის დამოწმება სურთ. გარდაუვალია გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ქვიარი ქრისტიანის ეკლესიაში ისევე მიღება, როგორც ნებისმიერ ადამიანს იღებენ. ეკლესიების წესები ისევე უნდა გავრცელდეს მათზე, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანზე ვრცელდება.

ლგბტქ ადამიანების სანახევროდ მიღება საერთოდ არ არის საკმარისი. თქვენ (ჩვენ) ვალდებულები ვართ და გვაქვს უფლება, მოვითხოვოთ სრული, თანასწორი მიღება ქრისტეს ეკლესიაში, როგორც ნებისმიერი ადამიანი, რომელიც ეძიებს წყალობას იესო ქრისტეში. ეს უკვე ნიშნავს, რომ ქრისტიანობის სექსუალური ეთიკა გადახედვას უნდა დაექვემდებაროს. თუკი ლგბტქ ქრისტიან მრევლზეც გავრცელდება ის პრინციპები, რომელიც ვრცელდება თითოეულ მორწმუნეზე მიუხედავად მისი ჩამომავლობისა, რასისა, ეთნიკური ნიშნისა, ქრისტიანობის სექსუალური ეთიკა ერთხელ და სამუდამოდ მიიღებს სრულყოფილ ფორმას და განმტკიცდება.

და მაინც, რა სტანდარტებზე ვსაუბრობთ? მონოგამია, ერთგულება მთელი ქორწინების განმავლობაში. ეს არის ის, რაც ყველა ქრისტიანს მიემართება. მისი გული კი მოზარდებისა და ბავშვების შესაფერის გარემოში აღზრდას გულისხმობს.

ცხადად ვხედავ, რომ ამ კანონებისა და პრინციპების განვრცობა იმდენადვეა შესაძლებელი ლგბტქ წყვილებზე, როგორც ნებისმიერ ჩვენთვის ცნობილ ქრისტიან წყვილს შორის განივრცო, მიუხედავად მათი იდენტობისა.

ძალიან ვწუხვარ, რომ ამ მარტივი ჭეშმარიტების გასაგებად ოცი წელი დამჭირდა.

დასასრულს, მადლობა მინდა გადაგიხადოთ. მადლობა მინდა გადავუხადო მეთიუ უაინსსა და ამ პროექტში ჩართულ თითოეულ ადამიანს, აღფრთოვანებული ვარ თქვენით, ჩემთვის სამაგალათოა თითოეული თქვენგანი. თქვენ ხართ ეკლესიის მომავალი და თქვენზე

დგას ეკლესია. თქვენ ხართ ის უცილობელი მოძრაობა, რომელიც ჩაგრულთა განთავისუფლებას მოიტანს და ისტორიას ახსოვს არაერთი ასეთი მაგალითი. თქვენ ხართ იმედი იმ ძალისა, რომელიც ეკლესიას სჭირდება. თქვენ ხართ ის ხალხი, რომელთა ჟამმა მოაწია.

მზად ვარ, თქვენთან ერთად ვიბრძოლო ნებისმიერი ფორმის მჩაგვრელობის წინააღმდეგ. ვეცდები, გვერდში დაგიდგეთ ამ მძიმე მომენტში, როდესაც ქრისტიანები თქვენ წინააღმდეგ ილაშქრებენ.

ჩვენი აქ შეკრების მიზეზი ერთ-ერთი ისეთივე ტრაგიკული ფაქტია, როგორიც, სამწუხაროდ, არაერთხელ ყოფილა ქრისტიანობის ისტორიაში, როდესაც წმინდა წერილს ბოროტი მიზნებისთვის იყენებდნენ, ადამიანებს მისით ტკივილს აყენებდნენ და იესო ქრისტეს სწავლებას, მაგალითსა და ცოდნას ზიანისთვის იყენებდნენ. დიახ, ეს ხდებოდა და ეს უკვე აღარ ხდება. ამჯერადაც შეგვიძლია ჩაგვრა წარსულს ჩავაბაროთ. მწამს, ეს ყველაფერი იმაზე ბევრად ადრე მოხდება, ვიდრე ზოგიერთს ჰგონია. ეს საუბრები დასრულდება და ადამიანებს გაეცინებათ, რომ ოდესღაც ამის საჭიროება იდგა.

ერთ დღეს, ჩვენ ყველანი შევიკრიბებით ძე ღმრთისასთან ერთად სერობაზე. და გვკითხავს იგი, გვიყვარდა თუ არა და ვემსახურებით თუ არა უფალს ყველაფრით, რითაც შეგვეძლო. და შემდეგ ნამდვილი სერობაც დაიწყება. დღევანდელი შეხვედრა მოლოდინია მტკიცე ეკლესიის მომავლისადმი. ხოლო ეკლესია, მოლოდინია ღვთის სასუფევლისა. გახსოვთ, ეს სიტყვები?

”მომესმა მგრგვინავი ხმა ტახტით, რომელმაც თქვა: აჰა, კარავი ღვთისა კაცთა შორის, რომელიც დაემკვიდრება მათში, და თვით ღმერთი იქნება მათთან. შეაშრობს ღმერთი მათ თვალზე ცრემლს, და აღარ იქნება სიკვდილი: აღარც გლოვა, აღარც ტირილი და ტანჯვა იქნება, რადგანაც გადაეგო ყოველივე უწინდელი.“ (გამოცხადება 21:3-4)

და სწორედ მაშინ, ჩვენ ერთნი ვიქნებით. უფალმა დაგლოცოთ, ძვირფასო მეგობრებო.”

თომა ლიპარტიანი – ეპისკოპალური/ანგლიკანური ეკლესიის ღვთისმსახური

სიყვარული და ფრიმისაც არ უნდა იყოს ის, ცოდვა არაა...

როდესაც ჰომოსექსუალობის ცოდვილ ბუნებაზე საუბრობენ, კონსერვატორი თეოლოგები და სასულიერო პირები უპირველეს ყოვლისა სოდომ-გომორის პასაჟს ციტირებენ დაბადების მე-19 თავიდან, სადაც ვკითხულობთ – „ჯერ კიდევ არ დაწოლილიყვნენ, რომ ქალაქის მცხოვრები სოდომელნი გარშემოერტყნენ სახლს, ჭაბუკიდან მოხუცამდე მთელი ხალხი ერთად. და დაუძახეს ლოტს, და უთხრეს: „სად არიან კაცები, წუხელ რომ გესტუმრნენ? გამოიყვანე ჩვენთან, უნდა მივუწვეთ!“ (დაბადება 19: 4-5).

თუ კი ამ კონკრეტულ ტექსტს ჩავუღრმავდებით, აღმოვაჩენთ რომ აქ საერთოდაც არ არის საუბარი ორ მამაკაცს შორის არსებულ ჰარმონიულ სექსუალურ ურთიერთობაზე, არამედ აქ საუბარია ბრბოზე, რომლებიც ძალადატანებითა და აღტკინებით ცდილობდნენ სხვა მამაკაცების (რომლებიც სინამდვილეში ანგელოზები იყვნენ) გაუპატიურებას. დიახ, აქ საუბარია გაუპატიურებაზე და შესაბამისად ეს იყო მიზეზი, რის გამოც ღმერთმა სოდომ-გომორი დასაჯა.

როგორც პროტესტანტული მოძრაობის ერთ-ერთი უდიდესი ლიდერი ჟან კალვინი ამბობს „წმინდა წერილი თავად განმარტავს საკუთარ თავს“, ახლა კი მეც მოგიყვანთ ორ ბიბლიურ მუხლს, რომელიც სოდომ-გომორის პასაჟს განმარტებას უკეთებს, რითაც დარწმუნდებით რომ დასჯის მოტივი სულაც არ ყოფილა ჰომოსექსუალობა, არამედ მოტივი იყო ძალმომრეობა და აღვირახსნილობა:

„აჰა, ეს იყო ურჯულოება სოდომისა – შენი დისა: ამპარტავნება, ღორმუცელობა და უზრუნველობა მისი და მისი ასულებისა; და ღარიბ-ღატაკის შეუწყალებლობა“ (ეზეიკიელი 16:49).

„ასევე, სოდომი და გომორა და მათ ირგვლივ ქალაქები, მათ მსგავსად რომ მრუშობდნენ და აედევნენ უცხო ხორცს, საუკუნო ცეცხლით დასჯის მაგალითად არიან დადგენილნი.“ (იუდა 1:7).

ასე რომ, სოდომ-გომორის ამბავი ვერ და არ გამოდგება ჰომოსექსუალთა ცოდვიანობის დამამტკიცებელ საბუთად.

უპირველეს ყოვლისა, მინდა განვიხილო ცოდვის რაობის საკითხი. როგორც ანგლიკანმა ღვთისმსახურმა, უპრიანია დავიხმარო ჩემი ეკლესიის კატეხიზმო (სწავლებათა კრებული), რომელიც ამბობს: „ცოდვა არის ესწრაფოდე საკუთარი ნების აღსრულებას, ღმერთის ნების აღსრულების მაგივრად, ამგვარად ხდება ჩვენი ურთიერთობის შებღალვა ღმერთთან, ადამიანებთან და მთელს მის ქმნილებასთან.“

დამიჯერეთ, შეუძლებელია შეიბღალოს ღმერთთან ადამიანის ურთიერთობა იმით, თუ კი მას მისივე სქესის ადამიანი უყვარს. სიყვარულის უნარი სულიწმიდისაგან მონიჭებული ნიჭია, თუ კი ადამიანი ან ინსტიტუცია უარყოფს კონკრეტული ადამიანთა ჯგუფის ერთმანეთის მიმართ გულწრფელი რომანტიკული სიყვარულის უნარს, ის გმობს თავად სულიწმიდას, სულიწმიდის გმობა კი წმინდა წერილის თანახმად მიუტევებელი ცოდვაა („ვინც სიტყვას იტყვის კაცის ძის წინააღმდეგ, მიეტევება მას. ხოლო თუ ვინმე სულიწმიდის წინააღმდეგ იტყვის, არ მიეტევება მას არც ამ საუკუნეში და არც მომავალში“ – მათე 12:32).

აქედან გამომდინარე იკვრება ლოგიკური ჯაჭვი – ერთნაირსქესიან წყვილთა სიყვარულის გმობა და ხელის შეშლა არის მიუტევებელი ცოდვა. რა თქმა უნდა ყოველი ჰომოსექსუალი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი ცოდვილია, მაგრამ არა იმიტომ რომ მათი იდენტობა ასეთია, არამედ იმიტომ რომ ზოგადად ადამიანური ბუნებაა ცოდვილი. თავმდაბლად, სიყვარულით შევაგონებ ყოველ ღვთისმსახურს, თავი დაანებონ ადამიანთა ჩაგვრასა და მათ დაკნინებას, არამედ ხელი შეუწყონ მათი მრევლის ცნობიერების ამაღლებას, რათა გახადონ ისინი ინკლუზიურები და მიმღებლები. ჰომოსექსუალი ადამიანები არ საჭიროებენ სიყვარულის გამო სინანულს, ჰომოფობები კი სიძულვილის გამო სინანულს ნამდვილად საჭიროებენ.

მხოლოდ იოანეს სახარება 16-ჯერ გვიმეორებს რომ „ღმერთი სიყვარულია“, თუმცა ამ წმინდა წერილის მორწმუნენი ხშირად საპირისპიროს სწავლობენ და კიდევ უფრო მეტად საპირისპიროს აკეთებენ მაშინ, როცა ადამიანთა ცხოვრებას მხოლოდ იმიტომ ართულებენ რომ ადამიანთა რაღაც ჯგუფს მათგან განსხვავებული სიყვარულის უნარი აქვს. კიდევ უფრო დიდ ცოდვას სჩადიან ისინი მაშინ, როცა ლგბტქ ადამიანებს პედოფილებთან აიგივებენ, თუმცა მე აქ არა მსოფლმხედველობით პრობლემას, არამედ განათლების არასაკმარისობას ვხედავ.

ჩემი ეკლესია ამ მხრივ სრულად ინკლუზიურია, ჩვენ არ ვყოფთ ადამიანებს სექსუალური ორიენტაციის მიხედვით. საეკლესიო საიდუმლოებები ლგბტქი ადამიანებზე ზუსტად ისევე აღესრულება, როგორც ამას ჰეტეროსექსუალი ადამიანების შემთხვევაში ვაკეთებთ.

17 მაისი ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა და ამ დღეს ალტერნატივად სულაც არ ჭირდება „ოჯახის სიწმინდის დღე“. ლგბტქი ადამიანებს დაუპირისპირო ოჯახის სიწმინდის დღე, ამაში უფრო მეტად სარკასტულ ქვეტექსტს ვხედავ.

ოჯახია წმინდაა მაშინ, როცა მასში სიყვარული და პატივისცემა სუფევს. ოჯახში სიწმინდეს ქმნის არა მასში მყოფ ადამიანთა სექსუალური ორიენტაცია, არამედ იქ მსუფევი ჰარმონია. ჰომოფობი ადამიანების შემთხვევაში, ხშირად მათი ოჯახი ძალადობის ადგილია, ასე რომ მოვუწოდებ მათ – მიხედონ თავიანთ ოჯახებს და სიძულვილი სიყვარულად გარდაქმნან.

ჩემი ეკლესია დგას ჩაგრულის გვერდით, ანუ ჩემი ეკლესია 17 მაისს დგას მათთან, ვინც აღნიშნავს ჰომოფობიასთან და ტრანსფობიასთან ბრძოლის დღეს.

ნინი ვანიშვილი - ჟურნალისტი

სტატისტიკური მონაცემები საქართველოში ლგბტქი თემის უფლებრივ მდგომარეობაზე

ლგბტქი საზოგადოება დიდი ხანია იბრძვის თანაბარი უფლებებისა და მიმღებლობისთვის მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც. იმის გასარკვევად თუ რამდენად პატივს სცემს და იცავს ლგბტქი ინდივიდების უფლებებს საზოგადოება, გადამწყვეტია სამი ძირითადი ასპექტის განხილვა: გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობისგან თავისუფლება და დასაქმების შესაძლებლობები. სტატიაში განვიხილავთ როგორი იყო საქართველოში ლგბტქი თემის მდგომარეობა წლების განმავლობაში უფლებრივი მდგომარეობის კუთხით.

გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება

გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება გადამწყვეტ როლს თამაშობს საქართველოში

ლგბტქი უფლებების განვითარებისთვის. ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს თავისუფლება ღიად გამოხატოს თავისი სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა დისკრიმინაციის ან შიშის გარეშე. ლგბტქი პირებისთვის შეკრების უსაფრთხო სივრცეების უზრუნველყოფით, როგორიცაა პრაიდ აღლუმები, საპროტესტო აქციები და საზოგადოებრივი ღონისძიებები, საქართველოს შეუძლია ხელი შეუწყოს ხილვადობას და წაახალისოს დიალოგი ლგბტქი საკითხებზე. გამოხატვისა და შეკრების უფლების დაცვა ნიშნავს ლგბტქი ხმების მოსმენას და პატივისცემას, რაც იწვევს ცნობიერების, გაგებისა და სოციალური პროგრესის ზრდას.

საქართველოში ლგბტქი პირთა მიერ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებით სარგებლობა კვლავ არსებითი პრობლემაა, რაც საზოგადოებაში ცალკეული ჯგუფების მხრიდან საჯარო სივრცის პრივატიზების მცდელობას უკავშირდება. დომინანტი რელიგიური, ასევე, ულტრაკონსერვატიული ძალადობრივი ჯგუფების მიერ ლგბტქ თემის მხრიდან შეკრების თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობა ლიმიტირებულია და საჯარო სივრცეში ლგბტქ პირთა ნებისმიერი ფორმით გამოჩენა „ჰომოსექსუალობის პროპაგანდად“ აღიქმება.

2019 წლის მოვლენები

17 მაისი (IDAHOT), როგორც ჰომოფობიის, ტრანსფობიის და ბიფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე, წლიდან წლამდე ინსტიტუციური და საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური განწყობების მანიფესტაციის დღედ იქცა. აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფების მხრიდან ძალადობისკენ არაერთი საჯარო მოწოდების მიუხედავად, სამართალდამცავი უწყებების მხრიდან ამ ქმედებებს შესაბამისი და ადეკვატური რეაგირება არ მოჰყოლია. მაგალითისთვის, 2019 წლის ივნისში, „თბილისი პრაიდის კვირეულის“ ფარგლებში „ღირსების მარშის“ ჩატარებასთან დაკავშირებით, ულტრაკონსერვატიული და ძალადობრივი ჯგუფის მხრიდან შეკრების საწინააღმდეგოდ არაერთი ძალადობისკენ საჯაროდ მოწოდება გაკეთდა. მათ „სახალხო ლეგიონების“ შექმნა და ქუჩებში პატრულირება დაანონსეს, თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ შსს-მ ამ ფაქტზე, გამოძიება ფორმალურად დაიწყო, მას შედეგი დღემდე არ მოჰყოლია.

2019 წლის 16 ივნისის აქცია, ჰომლის მსვლელობისას ლგბტქი თემის მშვიდობიანი შეკრების საწინააღმდეგოდ სამოქალაქო ჩაზმების შექმნის მოწოდება გაჟღერდა/ ფოტო: პირველი არხი

ასევე, უნდა აღინიშნოს 2019 წლის 8 ნოემბერს, თბილისში, ფილმის, „და ჩვენ ვიცეკვეთ“, პრემიერისას განვითარებული მოვლენები. კინოთეატრთან შეკრებილი ძალადობრივი ჯგუფები ღიად დაუპირისპირდნენ როგორც ფილმის სანახავად მისულ მაყურებელს, ისე პოლიციის თანამშრომლებს. ადგილზე 27 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა მოხდა, რომელთა მიმართაც დაიწყო გამოძიება, კერძოდ, პოლიციელებზე თავდასხმისა და პოლიციის მანქანის დაზიანებასთან დაკავშირებით. თუმცა აღსანიშნავია სახელმწიფოს უყურადღებობა ფილმის პრემიერამდე ძალადობრივი ჯგუფების ლიდერების განცხადებების მიმართ, რომლებიც საჯარო მუქარას მიმართავდნენ და მხარდამჭერებს კინოჩვენების ჩაშლისკენ მოუწოდებდნენ.



კინოთეატრ "ამირანთან", ფილმის "და ჩვენ ვიცეკვეთ" პრემიერამდე, უღტრამემარჯვენე ჯგუფის წარმომადგენელმა ფიზიკური დაზიანება მიაყენა ქვიარ აქტივისტ ანა სუბელიანს/ფოტო: ინტერპრესნიუსი

2019 წლის ივნისში, „თბილისი პრაიდის კვირეულის" ფარგლებში, „ღირსების მარშის" ჩატარებასთან დაკავშირებით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უარი განაცხადა შეკრების შემთხვევაში უზრუნველეყო მონაწილეთა უსაფრთხოება, ამასთან, საქართველოს საპატრიარქომ ოფიციალური მოწოდება გამოაქვეყნა, რომლითაც საქართველოს მთავრობას მოუწოდებდა, არ დაეშვა „თბილისი პრაიდის" მიერ ორგანიზებული „ღირსების მარშის" გამართვა. საპასუხოდ, 14 ივნისს, მთავრობის კანცელარიასთან „თბილისი პრაიდის" მხარდამჭერებმა გამართეს აქცია, სახელმწიფოსგან მათი შეკრების უფლების გარანტირების მოთხოვნით. აქციის ორგანიზატორებისა და აქტივისტების ნაწილს ულტრაკონსერვატიული პოლიტიკური და კლერიკალური ჯგუფები დაუპირისპირდნენ, რომელთა ლიდერები და წევრები ღიად გამოხატავდნენ ძალადობრივ ქმედებებსა და განზრახვებს.

2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენები

1-5 ივლისის კვირის განმავლობაში ლგბტ+ ჯგუფმა და მათმა მხარდაჭერებმა, სამოქალაქო მოძრაობა „თბილისის პრაიდმა", ასევე, მოძრაობამ, „სირცხვილია" და სხვა სამოქალაქო აქტივისტებმა ორგანიზება გაუწიეს პრაიდის ღონისძიებათა ციკლს. 5 ივლისი ამ ღონისძიებათა კულმინაცია უნდა გამხდარიყო, და დასრულებულიყო საღამოს 18:00 საათზე „ღირსების მარშით" თბილისის ცენტრალურ უბანში. საქართველოში არსებულმა რადიკალურმა, ულტრამემარჯვენე, კონსერვატიულმა და ძალადობრივმა ჯგუფებმა, ღონისძიების დაანონსებისთანავე დაიწყეს სოციალური ქსელების საშუალებით მობილიზება და თბილისი პრაიდის წევრების და მათი მხარდამჭერების წინააღმდეგ სიძულვილის ენის საჯარო ტირაჟირება და ძალადობისკენ მოწოდება, მათ შორის, ტელევიზიის საშუალებით („ალტინფო").

სამართალდამცავ ორგანოებს „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სიტუაციის კრიტიკულად დაძაბვამდე ევალებოდათ შესაბამისი ზომების მიღება შეკრების ან მანიფესტაციის დაუყოვნებლივ შეწყვეტისთვის. თუმცა, მიუხედავად კონტრდემონსტრაციაზე გაჟღერებული სიძულვილის ენისა და ძალადობისკენ საჯაროდ მოწოდებისა, სამართალდამცავ უწყებებს აქციის შესაწყვეტად შესაბამისი ზომები არ მიუღიათ. შედეგად ძალადობრივი ჯგუფების წარმომადგენლები ფიზიკურად გაუსწორდნენ საჯარო სივრცეში მყოფ 40-ზე მეტ ჟურნალისტს, რომელთაგან ერთ-ერთი, ლექსო ლაშქარავა, ფიზიკური დაზიანებების მიღებიდან მეექვსე დღეს გარდაიცვალა.

2021 წლის 5 ივლისს ფიზიკურად დაზიანებული ჟურნალისტები/ფოტო: მთავარი არხი

ძალადობრივი ქმედებები განვითარდა 6 ივლისსაც, როდესაც მოქალაქეები ლგბტ+ ადამიანთა უფლებებისა და ჟურნალისტთა მხარდასაჭერად საქართველოს პარლამენტის შენობასთან შეიკრიბნენ. ეს მშვიდობიანი შეკრება კვლავ ძალადობრივი კონტრდემონსტრაციის სამიზნე გახდა, ადგილზე მყოფი სამართალდამცავი ორგანოების რაოდენობა კი კვლავ კრიტიკულად მცირე იყო.

ფსიქოლოგიური, ფიზიკური ძალადობისგან თავისუფლება

ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობისგან თავისუფლება არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება, რომელიც დაცული უნდა იყოს ყველა ინდივიდისთვის, განურჩევლად მისი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობისა. ლგბტქი პირები საქართველოში ხშირად აწყდებიან სხვადასხვა სახის დისკრიმინაციას, შევიწროებას, ძალადობის ღრმად ფესვგადგმული საზოგადოების გამო.

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) 2020 წლის კვლევაში ვკითხულობთ, რომ:

- რესპონდენტების 52% ცხოვრებაში ერთხელ მაინც გამხდარა ძალადობის მსხვერპლი სრულად ან ნაწილობრივ, საკუთარი სექსუალური ორიენტაციის ან/და გენდერული იდენტობის გამო;
- გამოკითხული რესპონდენტებიდან ძალადობის გამოცდილება ყველაზე მაღალია გეი (65.5%) და ტრანსგენდერ (61.8%) რესპონდენტებში;
- ძალადობის გამოცდილება მაღალია თბილისში (57%), აჭარასა (53.3%) და იმერეთში (43.8%) მცხოვრები რესპონდენტების შემთხვევებში;
- რესპონდენტები ყველაზე ხშირად დაექვემდებარნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას (91%) და ფსიქოლოგიურ ძალადობას (81%);
- რესპონდენტების მესამედის შემთხვევაში, ადგილი აქვს ფიზიკური ძალადობის მუქარისა (75%) და ბულინგის (ფიზიკურ ან ონლაინ სივრცეში) შემთხვევებს (73%).

აღსანიშნავია, რომ მოძალადედ ყველაზე ხშირად დასახელდნენ უცხო ადამიანი (40) და ადამიანი სანაცნობო წრიდან (39). შემთხვევები, როდესაც ძალადობა რადიკალი, ნეოკონსერვატული დაჯგუფებების წევრების მხრიდან განხორციელდა, გამოკითხვაში 13-ს შეადგენს. თითქმის თანაბარი სიხშირით დასახელდა მოძალადედ ოჯახის წევრი/მეურვე (10 შემთხვევა) ან პარტნიორი (9 შემთხვევა).

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის პოლიტიკა, წინა წლებთან შედარებით, გაუმჯობესდა. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სახელმწიფო უწყებების მხრიდან დანაშაულთა მიმართ რეაგირების ხარისხის ასამაღლებლად, ასევე, სამართალდამცავ უწყებებსა და სასამართლოს შორის ერთიანი სტატისტიკის საწარმოებლად, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჰომო/ტრანსფობიურ დანაშაულებზე სახელმწიფოს რეაგირება ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს ეფექტიანობის, დროულობისა და მიუკერძოებლობის სტანდარტებს. სახელმწიფოს დღემდე არ აქვს შექმნილი სიძულვილის მოტივით ჩადენილ დანაშაულებთან ბრძოლის ერთიანი სტრატეგია, რაც უზრუნველყოფდა ამგვარ დანაშაულთა ნეგატიური სოციალური ეფექტის გამოვლენას, რაც, შესაძლოა, არსებით საფრთხეს უქმნიდეს როგორც საზოგადოებაში პლურალიზმისა და თანასწორობის პრინციპის დამკვიდრებას, ისე დემოკრატიული და უსაფრთხო გარემოს შექმნას.

დასაქმების უფლება

თანაბარი დასაქმების შესაძლებლობების უზრუნველყოფა გადამწყვეტია, რათა ლგბტქი თემის წარმომადგენლებმა იცხოვრონ სრულფასოვნად და წვლილი შეიტანონ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში. სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დასაქმების ადგილზე დისკრიმინაციამ შეიძლება შეზღუდოს კარიერული პერსპექტივები, გააძლიეროს ეკონომიკური უთანასწორობა და შეაფერხოს პიროვნული ზრდა. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მკაცრი კანონმდებლობის დანერგვა, რომელიც კრძალავს სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციას და იცავს ლგბტქი პირებს უსამართლო მოპყრობისგან.

2018 წელს ჩატარებული კვლევა (Aghdgomelashvili E., From Prejudice to Equality: LGBT persons in Georgia) აჩვენებს, რომ ლესბოსელ და ბისექსუალ ქალთა 28.2% მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული გამოხატვის გამო დაექვემდებარა დისკრიმინაციას სამუშაო ადგილზე, უმეტეს შემთხვევაში კი ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას სამუშაო ადგილზე მიღებისას – 21.4%, შესაძლებლობების უთანასწორობას და დაწინაურების პროცესში დისკრიმინაციას 11.2% და 6.5% დაექვემდებარა. კვლევის თანახმად, შრომით ბაზარზე დისკრიმინაციის პრობლემა წარმოეშვებათ იმ ლესბოსელ და ბისექსუალ ქალებს, რომლებიც გენდერულად არაკონფორმულად/არაბინარულად გამოიყურებიან. მთლიანობაში, დისკრიმინაციული გამოცდილება კერძო სექტორში (32.6%) არსებითად აღემატება საჯარო სექტორში არსებულ უთანასწორო მოპყრობის პრაქტიკას.

2020 წელს ჩატარებული კვლევის (ჯალაღანია ლ. ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში) მიხედვით, მოსაზრებას – „ლგბტქი ადამიანებს, სხვებთან შედარებით, ნაკლებად მიუწვდებათ ხელი დასაქმებაზე“, ლგბტქი რესპონდენტთა 93.1% ეთანხმება. რაც ასევე მიუთითებს, არა მხოლოდ ობიექტურად არსებულ დისკრიმინაციულ პრაქტიკაზე სამუშაო ადგილებზე, არამედ დისკრიმინაციის მოლოდინზეც, რამაც, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ბარიერები შეუქმნას ლგბტქი ჯგუფს სამუშაოს ძიების პროცესში და კვლავ ისეთ სამუშაოს დათანხმდნენ, სადაც, შესაძლოა, უფრო მიმღებლური გარემო იყოს, მაგრამ არ ჰქონდეთ სოციალური ბენეფიტები და ადეკვატური ანაზღაურება. ამასვე ადასტურებს კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა გადანაწილება დასაქმების სექტორის მიხედვით, სადაც ჩანს, რომ რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი ხელოვნების, გართობის, დასვენებისა (32.7%) და განთავსების, კვების მომსახურების გაწევის (19.20%) სექტორშია დასაქმებული.

2016 წლის 8 მარტის აქცია/ ფოტო: იღია ხუციშვილი DF Watch

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) 2020 წლის კვლევაში ვკითხულობთ, რომ:

- ▶ ლგბტქ პირთა საშუალო ანაზღაურება რესპონდენტთა 60.5%-ის შემთხვევაში 1000 ლარის ფარგლებს არ სცდება;
- ▶ დასაქმებულ რესპონდენტთა მეხუთედზე მეტი (22.3%) ერთდროულად ორ სამუშაო ადგილსაა დასაქმებული, რისი მიზეზიც რესპონდენტთა 9%ის შემთხვევაში ანაზღაურების სიმცირეა;

- რესპონდენტების 60.5% უთითებს, რომ სრულ განაკვეთზე კვირაში საშუალოდ 47.4 საათს მუშაობს. თავისუფალი გრაფიკით მუშაობს რესპონდენტთა 20.9%, მათი სამუშაო დროის ხანგრძლივობა კი კვირაში საშუალოდ 28.9 საათია, რესპონდენტთა მეხუთედზე ნაკლები (18.6%) ნახევარ განაკვეთზეა დასაქმებული, რაც საშუალოდ კვირაში 25.1-საათიან დატვირთვას ნიშნავს;
- დასაქმებული რესპონდენტების 23.2% ხელშეკრულების გარეშე, ხოლო რესპონდენტების ნახევარი (50%) ვადიანი კონტრაქტით მუშაობს. 16.8%ს უტოლდება მათი წილი, ვინც უვადო ხელშეკრულებითაა დასაქმებული.

დასკვნა

საქართველოში ლგბტქი პირთა უფლებების აღიარება და დაცვა აუცილებელია ინკლუზიური, სამართლიანი და პროგრესული საზოგადოების შესაქმნელად. გამოხატვისა და შეკრების უფლების, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობისგან თავისუფლებისა და დასაქმების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფით, საქართველოს შეუძლია შექმნას გარემო, სადაც ყველა ინდივიდს, განურჩევლად მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის, შეუძლია იცხოვროს ავთენტურად და შიშის გარეშე. სტატიაში იხილეთ იმ პრობლემების მხოლოდ მცირე ჩამონათვალი, რომელიც დღეს საქართველოში დგას ლგბტქი თემის უფლებების დაცვის კუთხით.

თამარ ავალიანი - ადამიანის უფლებათა სამართლის სპეციალისტი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

შეკრების წარმომადგენელი უფლება

შესავალი

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების სრულფასოვან რეალიზაციას არსებითი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისთვის, სადაც ადამიანებს აქვთ თანაბარი წვდომა თავისუფლებასა და მისი დაცვის ეფექტურ გარანტიებზე.

შეკრების თავისუფლება დემოკრატიული გახსნილობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. შეკრების თავისუფლება, როგორც საკომუნიკაციო უფლება, იცავს დამოუკიდებელი ინდივიდის თავისუფალ განვითარებას საზოგადოებაში.

საქართველოში, წლების განმავლობაში, სისტემურ პრობლემას წარმოადგენს ლგბტ+ თემის და აქტივისტების შეკრების უფლების რეალიზაცია პრაქტიკაში, რაც, როგორც საკანონმდებლო ხარვეზებით, ისე სახელმწიფოს არაეფექტიანი, დისკრიმინაციული პოლიტიკით არის გამოწვეული.

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების მნიშვნელობა დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში პლურალიზმი და განსახვავებული აზრების შემწყნარებლობა დემოკრატიული საზოგადოების განმასხვავებელ ძირითად ნიშნებს და მის საყრდენს წარმოადგენს.

გამოხატვის თავისუფლება ის ფუნდამენტური ფუნქციური ელემენტია, რომელიც საზოგადოების განვითარებას, ხელისუფლების თვითნებობის შეზღუდვას და ადამიანის პიროვნულ განვითარებას განაპირობებს. **ამ უფლების სათანადო უზრუნველყოფის გარეშე, პრაქტიკულად, შეუძლებელია სხვა უფლებების სრულყოფილი რეალიზაცია.**

"თავისუფალი საზოგადოება შედგება თავისუფალი ინდივიდებისაგან, რომლებიც ცხოვრობენ თავისუფალ ინფორმაციულ სივრცეში, თავისუფლად აზროვნებენ, აქვთ დამოუკიდებელი შეხედულებები და მონაწილეობენ დემოკრატიულ პროცესებში, რაც აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და პაექრობას გულისხმობს." გამოხატვის თავისუფლება იცავს არა მხოლოდ იმ "ინფორმაციას" ან "იდეებს", რომელთაც იზიარებს საზოგადოება ან არ არის შეურაცხმყოფელი, ან მისდამი ინდიფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ ისეთსაც, რომელიც შეურაცხყოფს, შოკისმომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს. ასეთია პლურალიზმის, ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება".

თითოეული ადამიანი უნიკალურია, ინდივიდუალურია, რაც პროგრესისა და განვითარების შანსს ქმნის. არც ხელისუფლებას და არც საზოგადოებას არ აქვს უფლება, უბრძანოს ადამიანებს, განვითარდნენ და გამოხატონ საკუთარი თავი მათი უნარების, შეხედულებებისა და სურვილების საწინააღმდეგოდ. სახელმწიფომ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა არ უნდა დააფუძნოს "მორალის" არგუმენტებზე, არამედ პირიქით, ხელი უნდა შეუწყოს გამოხატვის თავისუფლების სრულ რეალიზაციას, ისეთ შემთხვევაშიც კი, თუ გამოხატვის შინაარსი სადავოა და უმრავლესობის მიერ ნეგატიურადაა აღქმული.

დემოკრატიულ სახელმწიფოში შეუძლებელია იმ მოსაზრებებისა თუ გამონათქვამების შემოფარგვლა ან ამომწურავად იდენტიფიცირება, რომელიც მისაღები იქნება ყველა ადამიანისთვის ან მთლიანად საზოგადოებისთვის. სახელმწიფოს არ გააჩნია უფლებამოსილება, დაყოს აზრები "მართებულ" თუ "არამართებულ", "სასურველ" თუ "არასასურველ" კატეგორიებად.

თბილისი პრაიდ ფესტივალი 2021/ ფოტო: ვახო ქახელი Queer.ge

თბილისი პრაიდ ფესტივალი 2021/ ფოტო: ვახო ქახელი Queer.ge

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება გამოხატვის თავისუფლების ერთ-ერთ სპეციალურ ფორმას წარმოადგენს, რაც თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების, მისი თითოეული წევრის ინტერესებისა და მისწრაფებების რეალიზების ხელშემწყობი მექანიზმია. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება საკომუნიკაციო უფლებაა, რომელსაც შესაძლოა, როგორც სიმბოლური, ისე ინსტრუმენტული ხასიათი ჰქონდეს. შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება შეიძლება გამოყენებულ იქნას კულტურული განვითარებისა და უმცირესობათა იდენტობების ხილვადობისა და პრეზერვაციის მიზნით. შეკრების უფლება მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, უმცირესობების ჯგუფების საჭიროებებისა და ინტერესების ადვოკატირების კუთხით.

თბილისი პრაიდ ფესტივალი 2021/ ფოტო: ვახო ქახელი Queer.ge

საქმეზე – Identoba v. Georgia, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ "პლურალიზმი და დემოკრატია მრავალფეროვნების ჭეშმარიტ აღიარებასა და პატივისცემას ეფუძნება. განსხვავებული იდენტობის პირებისა და ჯგუფების ჰარმონიული ინტერაქცია აუცილებელია საზოგადოებრივი ერთობის მისაღწევად".

სახელმწიფოს ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფა არ შეიძლება დაყვანილ იქნეს სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებაზე – უფლებით სარგებლობის დროს, თავი შეიკავოს უსამართლო ჩარევისგან, სახელმწიფოს ასევე აკისრია პოზიტიური ვალდებულება, რომელიც მას შეკრების თავისუფლებით მოსარგებლე ადამიანების დაცვის უზრუნველყოფას ავალდებულებს. სახელმწიფოს ევალება, დაიცვას მშვიდობიანი შეკრება მესამე პირთა მხრიდან ჩადენილი ძალადობრივი ქმედებებისგან.

მშვიდობიანი აქციის ჩატარების უფლებით სარგებლობისათვის სათანადო პირობების შექმნა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს. მსგავსი მსვლელობის წინააღმდეგ ჩადენილი გადაცდომა კი სწრაფ და შესაბამის რეაგირებას საჭიროებს.

თბილისი პრაიდ ფესტივალი 2021/ ფოტო: ვახო ქახელი Queer.ge

საქმეზე – Ärzte Für Das Leben v. Austria, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ "დემონსტრაციის მონაწილეებს უნდა შეეძლოთ შეკრების თავისუფლებით სარგებლობა ისე, რომ არ ჰქონდეთ შიში ოპონენტების მხრიდან გამოვლენილი ფიზიკური ძალადობისადმი დაქვემდებარების. ამგვარი შიში შესაძლოა გამხდარიყო ჯგუფე-

ბისა და ასოციაციების მხრიდან თემისათვის განსაკუთრებით კონტრავერსულ საკითხებზე აზრის ღიად გამოხატვის ხელის შემშლელი ფაქტორი".

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – Alekseyev v. Russia, განმარტა, რომ "დემონსტრაციისას, ოპოზიციურ ჯგუფებს შორის დაძაბულობისა და სიძულვილის წარმოშობის ყოველი შესაძლებლობა შეკრების თავისუფლების შეზღუდვის საფუძველს რომ წარმოადგენდეს, საზოგადოება მოკლებული იქნებოდა განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობას, რომელიც შესაძლოა, არ იყოს თანხვედრაში უმრავლესობის აზრთან".

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – Baczkowvski and Others v. Poland, რომელიც ეხებოდა ვარშავის მერის მიერ გეი აღლუმის აკრძალვას, იმ დასაბუთებით, რომ მერი ეწინააღმდეგებოდა "ჰომოსექსუალური ცხოვრების სტილის" პროპაგანდას, სასამართლომ შეკრების თავისუფლების ნაწილში დარღვევა დაადგინა. სასამართლოს განმარტებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთ პრაქტიკებს, როდესაც შეკრების თავისუფლება გარკვეული ჯგუფებისთვის დანახულია არა როგორც უფლება, რომელიც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეიზღუდება, არამედ პრივილეგია. ისეთ დროს, როდესაც საზოგადოების დომინანტი ჯგუფები ამას დაუშვებენ.

საქმეზე – Ärzte Für Das Leben v. Austria, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ „დემოკრატიულ საზოგადოებაში უფლება კონტრდემონსტრაციაზე არ უნდა გავრცელდეს დემონსტრაციის უფლებით სარგებლობის შეზღუდვაზე."

სახელმწიფოს პროცესუალურ ვალდებულებას წარმოადგენს, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების ხელშეშლის ფაქტების სრულყოფილი და მიუკერძოებელი გამოძიების წარმოება, პასუხისმგებელ პირთა იდენტიფიცირება და დასჯა.

შეკრების უფლება – ლგბტ+ თემის ჩამორთმეული უფლება

საქართველოში შეკრების თავისუფლების რეალიზაციასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ პრობლემებს აწყდებიან ლგბტ+ თემის წარმომადგენლები და აქტივისტები. მათ წართმეული აქვთ შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. საქართველოში ლგბტ+ ადამიანებისა და აქტივისტებისთვის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება, პრაქტიკულად, ჩამორთმეულ უფლებას წარმოადგენს. წლებია, ლგბტ+ აქტივისტები უშედეგოდ იბრძვიან უსაფრთხოდ შეკრებისათვის საჯარო სივრცეების მოსაპოვებლად, რაც მათ სიცოცხლისა და ჯანმრთელობის რისკის ფასად უჯდებათ.

ცალკეულ ჰომოფობიურ და ფაშისტურ ჯგუფებს მისაკუთრებული აქვთ საჯარო სივრცეები და ლგბტ+ თემის წევრთა და აქტივისტთა მიერ გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის ნებისმიერი მცდელობა "გარყვნილების პროპაგანდად" არის აღქმული, რაც სტერეოტიპებითა და ჰომოფობიური განწყობებით გაჯერებულ საზოგადოებაში თემის წევრთა მიმართ ზიზღს და ძალადობას აღვივებს.

მზია საგანელიძის ფოტო 2013 წლის 17 მაისის აქციიდან, გამოცემა - ხადიო თავისუფლება

ქალაქის მნიშვნელოვანი საჯარო სივრცეები სრულად ოკუპირებულია ფაშისტური ჯგუფებისა და მათდამი განსაკუთრებული სენტიმენტებით განწყობილი სასულიერო პირების მიერ, სადაც ამ დღისადმი დაპირისპირების პროვოცირების მიზნით, "ოჯახის სიწმინდის დღეს" აღნიშნავენ.

წლების განმავლობაში, ლგბტ+ თემის წევრები და აქტივისტები ჰომოფობიური ჯგუფებისგან სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი არიან, რაც, ხშირად, ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მათი უმოქმედობით არის წახალისებული. წლებია, საქართველოს ხელისუფლება ძალადობრივი ჯგუფების გამოყენებით, გამიზნულად უშლის ხელს ლგბტ+ ადამიანებს მათთვის კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების უფლებით სარგებლობაში. ულტრამემარჯვენე ჯგუფების გამოყენებით, ხელისუფლება ცდილობს, დათესოს შიში და დაგეგმილი შეკრებების მშვიდობიანად ჩატარების პასუხისმგებლობა გადაიტანოს ლგბტქ+ ადამიანებსა და მათი ინტერესების დამცველ აქტივისტებზე.

ხელისუფლება სათანადო სერიოზულობით ვერ აცნობიერებს ჰომოფობიის მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ შედეგებს და მისი აღმოფხვრისთვის ეფექტიან ნაბიჯებს არ დგამს. ფაშისტური და ნეონაცისტური ჯგუფების კონტრდემონსტრაციების პირობებში, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს უმცირესობის თემის მიერ შეკრების თავისუფლებით შეუფერხებლად სარგებლობას და თავისი უმოქმედობით, კარტ ბლანშს უხსნის ქსენოფობიურ ჯგუფებს ძალადობის ჩასადენად.

საქართველოს ხელისუფლების მიერ ჯერ კიდევ აღუსრულებელ საქმეზე – Identoba v. Georgia, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ 2012 წლის 17 მაისს ორგანიზებული მშვიდობიანი მარშის გამართვამდე, "სექსუალური უმცირესობების მიმართ ქართული საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულების გათვალისწინებით, ხელი-

2021 წლის 5 ივლისს ლგბტქი აქტივისტების დასახბევად ორგანიზაბული ჯგუფი/ფოტო: მედია ცენტრი მთავარი

სუფლების ორგანოებმა იცოდნენ ან მათ უნდა სცოდნოდათ მოსალოდნელი დაძაბულობის რისკები, რომელიც დაკავშირებული იყო მომჩივანი ორგანიზაციის ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავ გარე მსვლელობასთან. შესაბამისად, მათ ჰქონდათ ვალდებულება, გამოეყენებინათ ყველა შესაძლო საშუალება, მაგალითად, დემონსტრაციამდე საჯარო განცხადებების მეშვეობით, ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე, მოეხდინათ ტოლერანტული, შემრიგებლური პოზიციის ადვოკატირება, ისევე როგორც, გაეფრთხილებინათ პოტენციური სამართალდამრღვევები შესაძლო სანქციების ხასიათზე."

სახელმწიფოს დისკრიმინაციული პოლიტიკისა და ლგბტ+ თემის უფლებების დაცვის ნების არარსებობის გამო, საქართველოს ხელისუფლების პრაქტიკას წარმოადგენს კონტრდემონსტრაციების გამო, ლგბტ+ თემის მანიფესტაციის ვადაზე ადრე შეწყვეტა. ან შეკრების გამართვაზე საერთოდ უარის თქმა. მაგალითად, საქართველოში 2020 წლის 17 მაისს ჰომოფობიასთან, ტრანსფობიასთან და ბიფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე ონლაინ ფორმატში ჩატარდა.

ჰომოფობიის წამახალისებელ საკმაოდ საშიშ გზავნილებს შეიცავს პარტია ,,ქართული ოცნების" თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის 2021

წლის 17 ივნისის განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ პრაიდის კვირეულის ორგანიზატორებს უარი უნდა ეთქვათ ღირსების მარშის ჩატარებაზე კონტექსტის გათვალისწინებით.

ხელისუფლების დისკრიმინაციული პოლიტიკისა და უმოქმედობის კუთხით, გარკვეული პარალელის გავლება შეიძლება მოლდოვასთან. მაგალითად, 2021 წლის 21 მაისს, კიშინიოვში, მიუხედავად დიდი რაოდენობის კონტინგენტის მობილზებისა, პოლიციამ ვერ უზრუნველყო ლგბტ+ თემის შეკრების თავისუფლების დაცვა და უსაფრთხოების მოტივით, შეკრება ვადაზე ადრე შეწყვიტა.

წლებია, სახელმწიფო არ ასრულებს თავის პროცესუალურ ვალდებულებას სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების ჯეროვან გამოძიებასთან დაკავშირებით. ლგბტ+ თემის წარმომადგენელთა მიმართ სავარაუდო სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება ჭიანურდება. ბუნდოვანია შეუწყნარებლობის მოტივით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები, მიუხედავად იმისა, რომ გონივრული ვადა გასულია, ბრალდებულად ან დაზარალებულად არავინაა ცნობილი.

პოლიტიკური ჰომოფობია

სტერეოტიპებითა და ცრურწმენებით გაჯერებულ ქართულ საზოგადოებაში ღრმად არის ფესვგადგმული კულტურული და პოლიტიკურად მოტივირებული ჰომოფობიური განწყობები, რაც უმცირესობების თემის მარგინალიზაციასა და სიძულვილში ვლინდება.

პოლიტიკური ჰომოფობია საქართველოში გარდა ჰომოსექსუალური ურთიერთობების მიმართ ზიზღისა, ისეთი პოლიტიკური ფაქტორით არის განპირობებული, როგორიც შეიძლება იყოს პროპაგანდა. საქართველოში პოლიტიკური ჰომოფობია ანტიდასავლური ძალების მიზანმიმართული სტრატეგიაა, რომელსაც ხელისუფლების მიერ წახალისებული ფაშისტური და ულტრამემარჯვენე ჯგუფები ახორციელებენ. ამ ჯგუფებს საკმაოდ დიდი ძალაუფლება და სახელისუფლებო მხარდაჭერა გააჩნიათ.

საქართველოში ლგბტქ+ უფლებებისთვის ბრძოლა ქართული ეროვნული ღირებულებების საწინააღმდეგო, დასავლური გარყვნილების ქართველი ხალხისთვის თავსმოხვევის აქტად და "გეი პროპაგანდად" აღიქმება. ფაქტობრივად, ულტრამემარჯვენე, პრორუსული ჯგუფების ნარატივი მდგომარეობს იმაში, რომ ჰომოსექსუალობა არის "გეი პროპაგანდის" შედეგი.

ჰომოფობია ულტრამემარჯვენე ძალების ხელში მნიშვნელოვანი ანტიდასავლური პროპაგანდის იარაღია. ოჯახი და რწმენა ის საკითხებია, რომლითაც ანტიდასავლური პროპაგანდის ავტორები აქტიურად მანიპულირებენ.

საქართველოში გავრცელებული ჰომოფობიური ნარატივის მიხედვით, დასავლეთი ეროვნული იდენტობის, ოჯახის ღირებულებებისა და მართლმადიდებლობის მტერია, ხოლო რუსეთი მისი დამცველი და გარანტორი. ბოლო წლების მანძილზე, ეს მითები მთავარ პროპაგანდისტულ თემად იქცა ნაციონალისტური, პრორუსული და ულტრმართლმადიდებელი ჯგუფებისთვის, როგორიცაა "ქართული მარში" და მასთან დაკავშირებული ფეისბუკ გვერდი – ALT-INFO.

საქართველოში "გეი პროპაგანდის" ოფიციალური აკრძალვის ინიციატივით გამოდიან ულტრამემარჯვენე ფაშისტური ძალები, რომლებიც ხელისუფლებას დაუყოვნებლივი მოქმედებისკენ მოუწოდებენ იმპერატიული ტონით. ქსენოფობიურ და პრორუსულ განწყობებს კი ხელოვნურად შექმნილი "ოჯახის სიწმინდისა" და "ეროვნული ღირებულებების" დაცვის საფარქვეშ ატარებენ.

პოლიტიკური ჰომოფობიის კუთხით, პარალელების გავლება შეიძლება რუსეთის გამოცდილებასთან, სადაც 2013 წლიდან მოქმედებს "გეი პროპაგანდის" წინააღმდეგ კანონი, რომელიც უმცირესობებს პოლიტიკური სარგებლის მიღების მიზნითა და "ტრადიციული ღირებულებების დაცვისთვის" იყენებს.

2017 წლის 17 მაისს გამართული აქცია/ ფოტო: საქართველოს ახალი ამბების სააგენტო

2021 წლის 15 ივნისს, უნგრეთის პარლამენტმაც მიიღო კანონი, რომელიც კრძალავს სკოლებში ისეთი ინფორმაციის განხილვასა და გავრცელებას, რომელიც, ხელისუფლების აზრით, ჰომოსექსუალობას და სქესის შეცვლას უწყობს ხელს. კანონი არეგულირებს ტელეგადაცემებსა და ფილმებში გეი გმირებისა და ლგბტ დროშის ჩვენებასაც კი. ასეთ საშიშ პრეცედენტებს ჰომოფობიური კანონების მიღების "ადვოკატირებისთვის" აქტიურად იყენებენ პრორუსული და ფაშისტური ჯგუფები საქართველოში, რაც უმცირესობების დისკრიმინაციისა და დევნის მძლავრი იარაღია.

კონტრშეკრებები და მათი მართვის დისკრიმინაციული პოლიტიკა

2015 წლის 17 მაისის აქცია

საქართველოს კანონი "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ" არ განმარტავს ერთდროული შეკრებების ცნებას, მისი მართვის საკითხებს და არც მისი სპეციალური ფორმის – კონტრშეკრებების დეფინიციას ახდენს. OSCE/ODIHR-ის განმარტებით, ერთდროული შეკრება წარმოადგენს ისეთ შეკრებას, როდესაც ორი დამოუკიდებელი შეკრება დაგეგმილია ერთსა და იმავე დროსა და ადგილას. კონტრშეკრებები ერთდროული შეკრებების განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს, მისი მონაწილეები გამოხატავენ უკმაყოფილებას და პროტესტს სხვა შეკრებაზე გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით.

საქართველოს კანონმდებლობა ნორმატიულ დონეზე არ განმარტავს კონტრშეკრებების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს, პრევენციულ ზომებს, რაც სამართალდამცავი ორგანოების მიერ თვითნებური გადაწყვეტილებების მიღების მაღალ რისკს შეიცავს. საქართველოს ხელისუფლების მიერ შეკრებები და კონტრშეკრებები პოლიტიკური მიზანშეწონილობით იმართება. სახელმწიფო არ ანსხვავებს მშვიდობიან და არამშვიდობიან მონაწილეებს, რადგან შეკრების თავისუფლებისგან

მომდინარე სამართლებრივ გარანტიებს ძალადობაში ჩართული პირები არ კარგავენ.

OSCE/ODIHR-ის სტანდარტით, სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას მშვიდობიანი მანიფესტანტები კონტრშეკრებაში მონაწილე პირთა ძალადობრივი და აგრესიული ქმედებებისგან.

სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, ხელი შეუწყოს მშვიდობიან მანიფესტანტებს, შეკრების თავისუფლებით უსაფრთხოდ სარგებლობაში. აგრესიული და ძალადობრივი შინაარსის შეკრებები არ არის დაცული შეკრების და გამოხატვის თავისუფლებით, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი იცავს მხოლოდ მშვიდობიანი შეკრების უფლებას. შესაბამისად, შეკრების თავისუფლებით სარგებლობის კუთხით, ძალადობისკენ მიმართული კონტრდემონსტრანტების შვიდობიან დემოსტრანტებთან ერთად ერთ უფლებრივ ჭრილში განხილვა, საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

ლგბტ+ თემს წართმეული აქვს შეკრების თავისუფლების პრაქტიკაში რეალიზაციის შესაძლებლობა. საქართველოში მყარად დამკვიდრებულ სახელმწიფო პოლიტიკას წარმოადგენს ის, რომ ხელსუფლება საფრთხეების "პრევენციას" ლგბტ+ თემის წევრებისთვის შეკრების გამართვაზე უარის თქმით ან მის ვადაზე ადრე შეწყვეტით ახდენს.

დასკვნა

როგორც შეკრების თავისუფლების ანალიზიდან ვლინდება, საქართველოში ლგბტ+ ადამიანებს და აქტივისტებს წართმეული აქვთ შეკრების თავისუფლება, მათ არ აქვთ წვდომა საჯარო სივრცეებზე უსაფრთხო შეკრებისთვის, რადგან ეს სივრცეები სრულად ოკუპირებულია სახელმწიფოს მიერ წახალისებული ჰომოფობიური ჯგუფების მიერ.

ლგბტ+ თემის მიმართ ძალადობაზე სახელმწიფოს არაეფექტური რეაგირების პოლიტიკა და ჰომოფობიური ჯგუფების მიმართ სახელმწიფოს ლოიალური დამოკიდებულება, ლგბტ+ თემის მიმართ ძალადობას ახალისებს და თემის მარგინალიზებას ახდენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები (ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი), თბ., 2005, 216.
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტლება №1/1/477 საქმეზე - საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II. https://matsne.gov.ge/ka/document/view/1560250?publication=0
3. გამოხატვის თავისუფლება საქართველოში, GDI, 2020, 8. https://gdi.ge/ge/news/gamoxatvis-tavisufleba-saqartveloshi.page
4. გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩხილაძე გ., ჭიღლაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბ., 2016, 78.
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება №1/3/421,422; Handyside v. United Kingdom, 1976 წლის 7 დეკემბერი, 49-ე პუნქტი.
6. გონაშვილი ვ., ერემაძე ქ., თევდორაშვილი გ., კახიანი გ., კვერენჩხილაძე გ., ჭიღლაძე ნ., შესავალი საკონსტიტუციო სამართალში, თბ., 2016, 78.
7. ,,კოლიცია თანასწორობისთვის" განცხადება (1.06.2019); ასევე, ączkowski and Others v. Poland, Application No. 1543/06, judgment of 3 May 2007.

8. იქვე, 78.

9. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილება #2/482,483,487,502 , II.პ.4.

10. ლგბტი პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2016, 33-34; OSCE/ODIHR, Guideline on Freedom of Assembly, second edition 2010. https://www.osce.org/odihr/73405

11. მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2020, 2.

12. Identoba v. Georgia, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3032951?publication=0

13. The United Macedonian Organisation Ilinden And Ivanov V. Bulgaria, (Application no. 44079/98), 2005. პარ.115,

14. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება №1/3/538 საქმეზე, „პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II. პარ. 8.

15. Plattform "Ärzte Für Das Leben" V. Austria (Application no. 10126/82) 21 June 1988, პარ. 32,

16. Alekseyev V. Russia, (Applications nos. 4916/07, 25924/08 and 14599/09), 21 October 2010, პარ.. 77

17. ბეგაძე მ., 17 მაისი: კოლექტიური მეხსიერების პოლიტიკური პოტენციალი, 2018 118-119 https://socialjustice.org.ge/ka/products/17-maisi-kolektiuri-mekhsierebis-politikuri-potentsiali

18. Plattform "Ärzte Für Das Leben" V. Austria (Application no. 10126/82) 21 June 1988, პარ. 32,

19. OSCE/ODIHR, Guideline on Freedom of Assembly, second edition 2010. პარ. 179

20. ხელმისაწვდომია: https://tbilisipride.ge/ka-GE/News/Details/68 [ბოლოს ნანახია: 25.06.2021]

21. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/364729/ [ბოლოს ნანახია: 27.06.2021]

22. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/458826/?fbclid=IwAR1bn-woq49uD7g8tIVbUpxWfNcXJHBcIdu8zoxyL9CYKLCief2xn-mfGPU [ბოლოს ნანახია: 27.06.2021]

23. Identoba v. Georgia, https://matsne.gov.ge/ka/document/view/3032951?publication=0

24. მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2020, 14.

25. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/30003944.html; https://netgazeti.ge/news/549075/

26. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/428210 [ბოლოს ნანახია: 25.06.2021]

27. Moldovan Police Halt LGBT March After Attacks By Counter Protesters, https://www.rferl.org/a/moldova-lgbt-march-evacuated-counterprotest-dodon/28500517.html [ბოლოს ნანახია: 28.06.2021).

28. საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, 182.

29. მაისურაძე გ., პოლიტიკური ჰომოფობია, სტატიების კრებული, EMC, 2017, 122.

30. ტაბიძე მ., ბერაია ა., ,,რუსეთის რბილი ძალა საქართველოში: ელიტების ჰომოფო-

ბიური, ტრანსფობიური და ჰეტერონორმატიული დისკურსი“, პროექტის „ჩაგრულთა ხმები: კვლევა, ხელოვნება და აქტივიზმი სოციალური ცვლილებებისთვის“ ფარგლებში შექმნილი სასტიპენდიო კვლევების კრებული, EMC, 66.

31. ხელმისაწვდომია: https://www.mythdetector.ge/ka/myth/lgbt-temis-shesakheb-sakartveloshi-qvelaze-gavrtselebulimitebi [ბოლოს ნანახია: 26.06.2021]

32. ხელმისაწვდომია: https://www.mythdetector.ge/ka/myth/lgbt-temis-shesakheb-sakartveloshi-qvelaze-gavrtselebulimitebi [ბოლოს ნანახია: 26.06.2021]

33. ხელმისწავდომია: https://www.facebook.com/POSTV.News/posts/2860581884016733 [ბოლოს ნანახია: 24.06.2021]

34. ხელმისაწვდომია: https://www.hrw.org/report/2018/12/11/no-support/russias-gay-propaganda-law-imperils-lgbt-youth [ბოლოს ნანახია: 28.06.2021];

35. ხელმისწავდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31309512.html [ბოლოს ნანახია: 28.06.2021]

36. ხელმისწავდომია: https://alt-info.com/ [ბოლოს ნანახია: 28.06.2021]

37. კანონი ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ : https://matsne.gov.ge/ka/document/view/31678?publication=16

38. მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2020, 10.

39. OSCE/ODIHR, Guideline on Freedom of Assembly, second edition 2010. პარ.4.3

40. იქვე, პარ. 4.4

41. მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2020, 35.

42. იქვე, პარ.4.4.

43. მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში, 2020, 11-12

▶ რაჰიბი

როგორია ლგბტქი ადამიანების ყოველდღიურობა ეთნიკურ უმცირესობაში

„წარმოიდგინეთ, ერთ დღეს იღვიძებთ და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ხართ, ამასთან ქვიარი, როგორი იქნება თქვენი ცხოვრება? ალბათ, რთულად წარმოსადგენია“ — მეუბნება რაჰიბ სეიდლი, ეთნიკურად აზერბაიჯანელთა ინტეგრაციისა და უფლებების საკითხებზე მომუშავე ახალგაზრდა. ის მიიჩნევს, რომ იმის მიუხედავად, რაზე ვსაუბრობთ – გენდერის საკითხებზე, საგანმანათლებლო სისტემის ხარვეზებზე, სასმელი წყლის თუ ნებისმიერ სხვა სახის პრობლემაზე, “საკუთარი პოზიციის ხმამაღლა გაჟღერება აუცილებელია“. ამიტომ, მუდმივად ცდილობს, რომ აზრი ღიად დააფიქსიროს.

რაჰიბი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ლგბტქი ადამიანების ყოველდღიურობაზე ყოფნის სირთულეებზე, თანასწორობის მიღწევის დამატებით ბარიერებზე, ასევე ინტეგრაციასა და მიმღებლობას შორის კავშირზე გვესაუბრა.

რეალობა, რომელიც საკუთარი თავის მიღებას ართულებს

ეთნიკური უმცირესობების მიღება საქართველოში მნიშვნელოვანი პრობლემაა და როცა ამავდროულად ლგბტქი ადამიანი ხარ, მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა. ინფორმაციის არქონა ან ნაკლები ხელმისაწვდომობა სიტუაციას მნიშვნელოვნად ამწვავებს. ხშირად, ადამიანებმა გავრცელებული ტერმინების მნიშვნელობაც კი არ იციან, მაგალითად ლგბტქი აბრევიატურის განმარტება, ამიტომ მათთვის უცხო საკითხის მიმართ მეტი აგრესია აქვთ. ლგბტქი ადამიანები მათთვის უზნეობასთან ასოცირდებიან. მსგავსი გარემოს გამო ქვიარ ადამიანებს საკუთარი იდენტობის მიმართ ნაკლები ცოდნა და მიმღებლობა აქვთ. მათ არ იციან, როგორ უნდა ახსნან ის განსხვავებები, რომლებიც გარშემომყოფებთან აქვთ. ამ და სხვა მრავალი მიზეზის გამო, ფაქტობრივად არ არსებობს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქვიარ ადამიანი, რომელიც საკუთარ სექსუალურ ორიენტაციაზე ღიად საუბრობს.

ენობრივი ბარიერი, როგორც ნაკლები მიმღებლობის მიზეზი

ენის ბარიერი ეთნიკური უმცირესობებისთვის 2022 წელსაც კი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რაც ცალსახად ხელისუფლებების ბრალია. ფაქტობრივად არაფერს აკეთებენ, რომ სახელმწიფო ენის შესწავლა გააიოლონ. მახსოვს, სკოლაში ყოფნისას, ქართული ენის სპეციალისტს სათანადო ცოდნა არ ჰქონდა და ამიტომ, სახელმწიფო ენას გამართულად ვერ ვსწავლობდით. სკოლის დამთავრების შემდეგ კი, 2 250 ლარის გადახდა გვიწევს, რათა უმაღლესი სასწავლებლის საწყის საფეხურზე ქართული ვისწავლოთ.

სხვადასხვა ორგანიზაცია ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციაზე და თანასწორობის საკითხებზე კი მუშაობს, თუმცა მათი დღის წესრიგი ენობრივ ბარიერს ხშირად არ ითვალისწინებს. მსგავსი ხარვეზები კავშირს ართულებს და ადამიანს ნდობას უკარგავს.

ხშირად, ინფორმაცია, რომელიც სხვადასხვა მედიის, ორგანიზაციის, სახელმწიფო უწყების მხრიდან ვრცელდება, არ არის მორგებული ქვეყანაში მცხოვრებ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანებზე, რაც არანაკლები პრობლემაა. როცა აზერბაიჯანულად, სომხურად მოსაუბრე ადამიანების პრობლემებზე წერ, მუშაობ, მაგრამ მხოლოდ ქართულ ენაზე ავრცელებ განცხადებას თუ მასალას, რატომ უნდა გქონდეს მოლოდინი, რომ ის ეფექტური იქნება?!

ყოფითი პრობლემები, რომლებიც უფრო მეტზე ფიქრის საშუალებას არ იძლევა

გარდა ენობრივი ბარიერისა, სხვა პრობლემაც მრავლად არის — საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა კეთილმოწყობილი არაა, ავარიულია. მეტიც, დმანისში და ბოლნისში, მუნიციპალიტეტებში, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ეთნიკურად აზერბაიჯანელია, ზოგადად ბაღები არ არის. ამას ემატება გზის, წყლის, გაზმომარაგების პრობლემა, ფაქტობრივად არ არსებობს შესაძლებლობები და როცა ასეთი მძიმე პრობლემებია, მოსახლეობისთვის თანასწორობის საკითხები მნიშვნელოვანი აღარაა. აქედან გამომდინარე, როგორი იქნება ლგბტქი ადამიანების ყოველდღიურობა? ეთნიკური უმცირესობებისთვის საერთო პრობლემებს ლგბტქი მოზარდების ბულინგი ემატება. მათ ჩაგრავენ სკოლაში თუ ოჯახში და ხშირად მჩაგვრელები ან ხელისშემწყობები სკოლის თანამშრომლები არიან. როცა მოსწავლე ადმინისტრაციის წარმომადგენელთან მიდის და ბულინგის შემთხვევის შესახებ ეუბნება, საპასუხოდ არ უნდა მოისმინოს, რომ გამოსავალი მისთვის განსაზღვრული სოციალური როლის უკეთ მორგება ან ჩაგვრის ფაქტებზე ნაკლები ყურადღების მიქცევა იქნება.

ამ მწვავე მდგომარეობას რელიგიური აღქმები კიდევ უფრო ამწვავებს. ის მრავალი სტერეოტიპის დამკვიდრებას უწყობს ხელს, რაც ლგბტქი ადამიანებსა და ქალებს უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს. ადამიანებს მუდმივად ეუბნებიან, რომ ისინი ღმერთს არ უყვარს და მსგავსი ჩაგონებები ხშირად კაცებისგან მოდის.

იცვლება თუ არა განწყობები და როგორია სამომავლო პერსპექტივა

ხშირად მგონია, რომ ახალ თაობაშიც კი არ იცვლება განწყობები მნიშვნელოვნად. გოგოები უფრო ღია და გახსნილები არიან და მათი მიდგომებიც ბევრად შეიცვალა, მაგრამ არა ბიჭების.

ჩემი მოზარდობის პერიოდში, სოციალიზაციის სივრცეები ჩვენთან ფაქტობრივად არ არსებობდა. რაიონულ ცენტრებში რაიმე ფორმით თუ არის შეკრების ადგილები, ეს სოფლებისთვის არაფერს ცვლის. ეთნიკურად აზერბაიჯანელები ლაგოდეხში ხშირად არ მივდიოდით, რადგან ქართული ენის ცოდნის პრობლემა გვქონდა და ეს სტრესული გამოცდილება იყო.

თუ ახალგაზრდებს შეკრების, ერთმანეთის გაცნობის, აზრთა მიმოცვლის შესაძლებლობა არ გვექნება, როგორ უნდა შეიცვალოს მდგომარეობა?! ხელისუფლების მხრიდან ამ და სხვა პრობლემების გადაჭრის გზებზე მუშაობის მოლოდინი არ მაქვს, თუმცა მიმაჩნია, რომ სხვადასხვა მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციების უფრო აქტიური, გამართული სამუშაო პროცესი პრობლემების მოგვარებას გააიოლებს.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიური, მძიმე ყოფითი პრობლემები უკეთესის მოლოდინს ართულებს, მინდა, ადამიანებს მივმართო, რომ იმედი არ დაკარგონ. მჯერა, ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება. თუ ლგბტქი ადამიანი ხარ და ამავდროულად ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, რთული გზის გავლა მოგიწევს, მაგრამ უკეთესობის რწმენა უმთავრესია.

ინტერვიუს ავტორი - გიორგი ბასხაჯაური, ჟურნალისტი



ქრისტი

აქ თავს ადამიანად გრძნობ - ბელგიაში ქართველი ემიგრანტის გამოცდილება

მე ვარ ქრისტი, 26 წლის. ვცხოვრობ ბელგიაში, ამჟამად ვსწავლობ ენის კურსებზე, გავიარე ბარმენობის კურსები. ჩემი ქვიარ აქტივიზმი მეტად საქართველოში მიმდინარე ამბებს უკავშირდება. ბელგიაში პრაიდში ვიღებ მონაწილეობას. პირველად შარშან მივიღე ანტვერპენ პრაიდში მონაწილეობა. ანტვერპენის პრაიდი არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრაიდი, იმართება ხოლმე აგვისტოს მეორე კვირას, გრძელდება ხუთი დღე. ამ დღეების განმავლობაში ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები, მუსიკალური ფესტივალები, საბოლოოდ კი სრულდება დიდი მარშით, რომელშიც ათასობით ადამიანი მონაწილეობს. შარშან, ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი პრაიდი იყო – ღონისძიებებში დაახლოებით 180 000 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

2022 წლის ანტვეიპენის პრაიდი/ ფოტო: HLM

მარშის თვითოეულ კოლონას აქვს თავისი მესიჯები. ამ კოლონებს, ტრაილერების სახით, მიყვებიან ადამიანები და მათ ასევე აქვთ გამოტანილი საკუთარი მესიჯები. ბევრი მათგანი არაბინარული და ტრანს ადამიანების უფლებების დაცვის მოწოდებით და ა. შ. მესიჯები მრავალფეროვანია. სამომავლოდ სურვილი გვაქვს აქ მცხოვრებ ქართველ ქვიარ აქტივისტებს, კოლონების დონეზე, მეტად ხმამაღლა გავაჟღეროთ ჩვენი სათქმელი. ამას წინასწარ სჭირდება ორგანიზება და ვაპირებთ ვისარგებლოთ ამ შესაძლებლობით. ჩვენ ბელგიაში ვინც ვართ, ვცდილობთ ქართული ქვიარ აქტივიზმისთვის რაღაცა სასარგებლო გავაკეთოთ, მაგალითად ბრიუსელის პრაიდზე ვიყავით ორგანიზებულად და საქართველოს დროშები ვაფრიალეთ.

წელს ანტვერპენის პრაიდში 75-მა დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა. დელეგაცია არის პრაიდის მსვლელობაში ორგანიზებულად მონაწილე ჯგუფი, რომელსაც წინ მიუღძვის დიდი მანქანა. ჯგუფები წარმოადგენენ სხვადასხვა ინტერესების ირგვლის გაერთიანებულ ადამიანებს, ასევე სხვადასხვა ბიზნესებს. პრაიდში მონაწილეობა ასეთი ჯგუფებისთვის, მათი საქმიანობის რეკლამაცაა, ამავდროულად ისინი, საკუთარი მონაწილეობით პრაიდის იდეებს აძლიერებენ, ხელს უწყობენ მეტ თანასწორობას და თავისუფლებას. ბელგიაში ძალიან სერიოზულად ემზადებიან ამ ღონისძიებისთვის. ოჯახებით, ბავშვებით მიდიან.

მარში სრულდება დიდი მუსიკალური ფესტივალით, დიჯეების და დრეგ ქვინების მონაწილეობით. დაღამების შემდეგ კი პრაიდი გრძელდება ქვიარ ბარებში და კლუბებში გართობის ფორმატში. ამ ღონისძიებებს ანტვერპენ პრაიდი აორგანიზებს და მას სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც ეხმარებიან. მაგალითად წელს ვნახე, რომ სხვებთან ერთად ჩართული იყო სმენადაქვეითებული და მეტყველების პრობლემების მქონე ადამიანების უფლებებზე მომუშავე ორგანიზაცია.

ანტვეიპენის პრაიდი 2023/ფოტო: Klaas De Scheirder PZC

ამ ყველაფერს რომ უყურებ, ამ დროს გახსენდება თუ რა ხდება საქართველოში. ადრე ფესტივალის ჩატარებას მაინც ვახერხებდით, ახლა უკვე აქაც გვივარდებიან. შენთვისაც კი არ გაცლიან რომ იყო. უბრალოდ ვერ ვხვდები რატომ უნდა წაართვა ადამიანს ასეთი ბედნიერების უფლება. მე მგონია, რომ არ აწყობთ ჩვენი თავისუფლება, თავისფლად მოაზროვნე ადამიანები არ აწყობთ. საქართველოს ხელისუფლება ცდილობს თავისი ბოტ-ტროლების მანქანით საერთო აზრზე ამყოფოს ყველა, მათ შორის ახალგაზრდებიც, რათა მათ იაზროვნონ ისე, როგორც მთავრობას საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის აწყობს. ჩემი აზრით, ეს მაინც არ გამოუვათ. საქართველოში ძალიან ბევრი მებრძოლი ადამიანია და ამიტომ მგონია, რომ არ გამოუვათ. ქვიარ თემშიც ბევრი მებრძოლი ადამიანია.

ზოგადად ქვიარ საკითხებთან დაკავშირებით აქტიურობა ყოველთვის საჭიროა, სადაც არ უნდა იყო. ერთი ჩემი მეგობარი დაინტერესდა და მეკითხებოდა, რა საჭირო იყო ბელგიაში პრაიდი, თუ ქვიარების უფლებები ისედაც დაცულია. რეალურად აქაც არიან ჰომოფობები, უბრალოდ ისინი ძირითადად ემიგრანტები არიან. მიუხედავად იმისა, რომ მათ არავინ მისცემს აქ უფლებას რომ ვინმეზე იძალადონ, სწორედ ამიტომაც არის საჭირო პრაიდი, რომ ყველას მიაწოდონ ამ საკითხებზე ინფორმაცია. ანტვერპენ პრაიდი მხოლოდ ერთკვირიანი ღონისძიება არ არის. მთელი წლის განმავლობაში ტარდება სხვადასხვა აქტივობები მოსახელობაში ცოდნის ასამაღლებლად. სკოლებში გარდა იმისა, რომ საგანმანათლებლო სისტემა მოიცავს სქესობრივ განათლებას და ქვიარ საკითხებს, ქვიარები თავად დადიან და ესაუბრებიან მოსწავლეებს. წელიწადში შეიძლება იყოს ასეთი რამდენიმე დღე, როდესაც ქვიარ თემის წევრები შედიან სკოლებში. ამ გზით ხდება ქვიარ მოსწავლეების გაცნობა, რაც სამომავლოდ აარიდებს მათ უცხოს შიშსა და ზიზღს.

გარდა ამისა, პრაიდი გაძლევს დიდ ბედნიერებას. აი, ხომ თითქოს არაფერია, წელიწადში ერთი თუ რამდენიმე დღეა, მაგრამ ეს დღე განსაკუთრებულია. საქართველოში ძირითადი პრობლემები მქონდა ასაკოვან ადამიანებთან, არ მოსწონდათ ჩემი არასტანდარტული გარეგნობა, ჩემი პირსინგები არ მოსწონდათ, არ მიღებდნენ. პრაიდის დროს, მარშის მონაწილეების მხარდასაჭერად მოდის უამრავი ადამიანი და მათ შორის ძალიან ბევრია ასაკოვანი. ასე დგანან, გველოდებიან თუ როდის გავივლით. გვიღიმიან, ტაშს გვიკრავენ, თავად ძალიან ბედნიერები არიან. ზოგი საკუთარი ოჯახის წევრის, მეგობრის მხარდასაჭერად მოდის. ფანჯრებიდანაც დროშები აქვთ გადმოფენილი, ხელს გვიქნევენ. ამ დროს თავს გრძნობ ადამიანად. ორიენტაციის თუ გარეგნობის გამო არ ხარ გარიყული. ხარ ბედნიერი, ხარ ის ვინც ხარ.

ბელგიელებისთვის პრაიდზე ერთად დგომას მოაქვს ალბათ ყველაზე დიდი ბედნიერება, მაგრამ საქართველოდან ადამიანებისთვის კიდევ სხვა ემოციაა პრაიდზე ყოფნა. საქართველოში მიაჩნიათ, რომ პრაიდზე ლგბტქი

თემის წევრი უნდა გავიდეს. აქ კი ხედავ რომ ჰეტეროსექსუალები უფრო მეტნი არიან. აქ ხელისუფლების წარმომადგენლებიც ესწრებიან პრაიდის ღონისძიებებს, ყოველ შემთხვევაში გახსნას. ბელგიის ვიცე პრემიერ მინისტრი ტრანსგენდერი ქალია. პოლიციაც ძალიან მხარდამჭერია. ჰომოფობიას თუ უხსენებ გაასმაგებული ყურადღებით მოგეპყრობიან და აუცილებლად დაგეხმარებიან. სქესის შეცვლის პროცედურებიც არ არის პრობლემა. რა თქმა უნდა მარტივი და სწრაფი პროცესი არ არის, გამზადებენ ფსიქიატრები, ფსიქოლოგები, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს შენი უსაფრთხოებისთვის, ჯანმრთელობის ხელშეწყობისთვის არის. დაზღვევა ნაწილობრივ აფინანსებს კიდეც სქესის შეცვლის პროცედურებს, ვაგინოპლასტიკის ჩათვლით. მამოქტომიის ოპერაციას დაზღვევა სრულად ფარავს.

გული მწყდება იმის გამო, რაც საქართველოში ზოგადად ხდება, ჰეტეროსექსუალი ადამიანებისგან რა მოპყრობაც არის ქვიარების მი-

მართ. კიდევ, ზოგი ქვიარის არ მესმის რა მიზანი აქვს, როდესაც ეწინააღმდეგება პრაიდს. მითუმეტეს, როდესაც ხედავ, რომ ახალგაზრდებში ქვიარების მიმართ დამოკიდებულების ცვლილება, მიმღებლობის გაზრდა დიდწილად საჯარო ღონისძიებების დამსახურებაა.

ბელგიის ვიცე პრემიერი პეტრა დე სუტერი/
ფოტო: For.ge

ჩემ ირგლივაც უამრავი ადამიანია, ვისაც სულ ცოტა ხნის წინ არაფრის გაგება არ უნდოდა და ახლა ჩვეულებრივად არიან. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ცვლილება ასეთი პატარა ბრძოლების დამსახურებაა. ასევე პირადი ბრძოლებისაც, როდესაც ჩვენ ფეისბუკ გვერდებზე ვაზიარებთ ინფორმაციას, ვუხსნით ჩვენ ნაცნობებს, ნათესავებს, სწორად ვაწვდით ცოდნას.

საქართველოში მცხოვრებ ქვიარებს პირველ რიგში ძალიან დიდ მადლობას ვეტყოდი იმისთვის, რასაც უძლებენ. განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, როცა ორგანიზებული აგრესია წამოვიდა მათ მიმართ. ერთმანეთის გაძლიერებით, პატარ-პატარა მიღწევებით გამოგვივა, ჩემი აზრით, ყველაფერი.

ინტერვიუს ავტორი: ნინო ბოლქვაძე

ინტერვიუს ავტორი - ნინო ურუშაძე, სამოქალაქო აქტივისტი

ვალიტა გორელჩანიკი - უძლიერესი ქალი საქართველოში

მე ვარ ვალიტა გორელჩანიკი, ფიტნეს ინსტრუქტორი და პირველი ფიტნეს აკადემიის დამაარსებელი საქართველოში. გარდა ამისა, ვახორციელებ საგანმანათლებლო პროექტს პენიტენციურ დაწესებულებაში – მსჯავრდებულებს ვეხმარები, მიიღონ პროფესიული განათლება ფიტნესის მიმართულებით და როცა ციხიდან გამოვლენ, მათაც ჰქონდეთ პროფესია, რომელსაც რესოციალიზაციის პროცესში გამოიყენებენ.

ბავშვობიდან უარყოფილი კლასიკური ქალის მოდელი

ჩემი გვარი უკრაინულია და ეს ხალხს ხშირად აბნევს. ეს არის მამობილის გვარი, მე დედითაც და მამითაც ქართველი ვარ. რუსეთში დავიბადე, რვა წელი იქ ვიცხოვრე და მერე საქართველოში დავბრუნდით. ძალიან კონტრასტული ბავშვობა მქონდა და რუსეთში გატარებული წლებიც კარგად მახსენდება, აქ რომ ჩამოვედი, ქართული ენაც არ ვიცოდი, მოსმე-

ნით ვისწავლე. ბოლო დროა, ვცდილობ, გრამატიკულად დავხვეწო.

მახსოვს, ჩემი საყვარელი ნაწარმოები იყო ,,ბიჭი ქრისტესთან ნაძვის ხეზე" – დოსტოევსკის პატარა და საკმაოდ მძიმე მოთხრობა, რომელშიც აღწერილია სოციალური უთანასწორობა, ის, თუ როგორი დაუცველია ბავშვი და როგორ სჭირდება მას ზრუნვა. ბავშვობიდან ნეგატიური პერსონაჟები მომწონდა, უფრო მეტად განვიცდიდი მათ მდგომარეობას. ასეთი იყო თოვლის დედოფალი – ქალი, რომელიც არ ჰგავდა კლასიკური ქალის მოდელს. კლასიკური ქალის მოდელი ჩემთვის ყოველთვის იმდენად უბრალო იყო, რომ სულ რაღაც განსაკუთრებულს ვეძებდი და ამ შემთხვევაში, ასეთი განსაკუთრებული ეს პერსონაჟი აღმოჩნდა.

სექსუალობა

სულ იმ შეგრძნებით ვცხოვრობდი, რომ არაფერი ახალი საკუთარ თავზე არ გამიგია. ყოველთვის ვფიქრობდი და ახლაც ვფიქრობ, რომ აბსოლუტურად ნორმალურია, იყო ისეთი, როგორიც მე ვარ, როგორიც დავიბადე. სულ ასეთი ვიყავი, როგორიც დღეს ვარ და კონკრეტული გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში, არ რაიმეს გააზრების პროცესი, არც მახსოვს. შესაბამისად, საკუთარი თავის მიღების პრობლემაც არ მქონია.

არც ჩემი სექსუალობის დამალვაზე მიფიქრია. არ ყოფილა ისე, რომ რაღაც აღმოვაჩინე, იდენტიფიცირება მოვახდინე და მერე ვიფიქრე, რომ ამას შეიძლება ხელი შეეშალა ჩემთვის ცხოვრებაში, ან რაღაცნაირად ვნებდა გარემოცვას, ვინმეს... ქამინგაუთი არც დამჭირვებია, უბრალოდ, გოგოებთან მეგობრობა დავიწყე და გაჩნდა კითხვები სხვებისგან, ხომ არ მოგწონს და ა.შ. მაშინ ვთქვი, რომ კი, და ეს ნორმაა ჩემთვის.

თუმცა რაღაც მომენტში იმასაც მივხვდი, რომ, თურმე, ეს, რაც ჩემთვის ნორმალურია, ყველასთვის ნორმალური არ არის – მაგალითად, დედაჩემისთვის, რომელიც, ზოგადად, ყოველთვის ძალიან ჰომოფობიურად იყო განწყობილი. ახლა, წლების მერე, მისი ეს აქტიური ჰომოფობია პასიურში გადავიდა და ამ ეტაპზე, ჩემთვის ესეც მისაღებია. ვფიქრობ, რომ ეს მისი არჩევანის თავისუფლების ამბავია – როგორც მე მაქვს თავისუფლება, ვიყო ასეთი როგორიც ვარ, იგივე თავისუფლება აქვს სხვა ადამიანს, მოვწონდე, ან არ მოვწონდე, მიმიღოს, ან არ მიმიღოს. როგორც ჩემი თავისუფლების დარღვევის უფლებას არავის ვაძლევ, ასევე, არ მინდა, სხვისი თავისუფლება დავარღვიო და ეს ჩემთვის ძალიან, ძალიან თხელი ყინულია.

უძლიერესი ქალის ტიტული და პროექტი მსჯავრდებული ქალებისთვის

პროფესიონალი სპორტსმენი ვიყავი, კარიერა 2016 წელს დავასრულე. სპორტის პირველი სახეობა, რომელშიც საერთაშორისო წარმატება მოვიპოვე, იყო ე.წ. Powerlifting – ძალისმიერი სახეობა, ქართულად ,,სამჭიდი" და გავხდი ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონი. შემდეგ ამ სპორტიდან წამოვედი და წავედი Mas Wrestling-ში, ეს არის ფიცარნაგზე ჭიდაობა მოწინააღმდეგესთან და აქაც მსოფლიო ჩემპიონატი მოვიგე. 2016 წელს ტრავმა მივიღე და სპორტს თავი დავანებე, რადგან ტრავმის აღდგენას ძალიან დიდი დრო სჭირდებოდა და უკვე ასაკიც აღარ მიწყობდა ხელს. თან, პარალელურად, სხვა საქმესაც ვაკეთებდი და სპორტმა ნაკლებად პრიორიტეტულ ადგილზე გადაინაცვლა.

როცა ძალისმიერი ფიტნესის ფედერაციამ და სპორტის სამინისტრომ საქართველოში უძლიერესი ქალის სტატუსი მომანიჭეს, გამიჩნდა იდეა, რომ ეს სტატუსი სწორი მიმართუ-

ლებით გამომეყენებინა, ძალიან მინდოდა, შევსულიყავი პენიტენციურ დაწესებულებაში და ჩამეტარებინა Fitday, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის. როცა შევედით და ჩავატარეთ, ისეთი კარგი უკუკავშირი გვქონდა და გოგოებსაც ისე მოეწონათ, რომ მახსოვს, ტაქსიში ჩავსხედით და ჩემს პარტნიორს ვუთხარი, მგონი, ამ გოგოებს უფრო მეტი სჭირდებათ, ვიდრე ეს ერთდღიანი შესვლა და უფრო გრძელვადიანი პროექტია საჭირო-მეთქი. დავიწყე ფიქრი გრძელვადიან პროექტზე და მივხვდი, რომ ეს უნდა ყოფილიყო დაკავშირებული პროფესიულ განათლებასთან, უნდა ყოფილიყო ინტერაქტიული და არა ონლაინ სწავლება. პანდემია დამატებითი სირთულე იყო, მაგრამ პენიტენციური სამსახურის ჩართულობითა და თანადგომით, რისთვისაც ძალიან მადლობელი ვარ, ყველაფერი გამოვიდა.

ჩემთვის ეს პროექტი ახალი გამოცდილებაა. ერთადერთი ის ვიცოდი, რომ არსებობს სუბორდინაცია და პატიმრებთან ურთიერთობის კონკრეტული ფორმატი, თუმცა, საბოლოოდ, იქამდე მივედით, რომ სწავლის გარდა, ერთმანეთს ყველანაირად ვაძლიერებთ. ჯგუფში 20 გოგო გვყავს, თვითონაც მაქსიმალურად არიან ჩართული, ძალიან კარგად სწავლობენ და შედეგებიც კარგი გვაქვს. უკვე ოთხი თვეა, რაც პროექტი მიმდინარეობს და კიდევ ორი თვეა დარჩენილი. ამ ნაკადს რომ მოვრჩებით, გვინდა, კიდევ გავაგრძელოთ, თუ ამის რესურსი გვექნება.

პროტესტი უთანასწორობის მიმართ

სპორტში როცა ვიყავი, როგორც ქალს, არასდროს მიგრძვნია დისკრიმინაცია ჩემი თანაგუნდელების ან საქართველოს ნაკრების მხრიდან. მაგრამ ერთხელ იყო შემთხვევა, როცა ყირგიზეთში ვიყავით მსოფლიო ჩემპიონატზე, სადაც 30-მდე ქვეყანის წარმომადგენელი იყო ერთ ბაზაზე ცხოვრობდა (სპორტული ბაზა ყოველთვის ნეიტრალურ ტერიტორიად ითვლება, სადაც ბევრი სხვა და სხვა ქვეყნის, რწმენისა და კულტურის წარმომადგენელი ერთად ცხოვრობს). ზაფხული იყო, ძალიან ცხელოდა და ჩვეულებრივი მოკლე სპორტული მაისური მეცვა, ვიდექი და ჩვენი გუნდის წევრებს ვგულშემატკივრობდი. ჩემთან ყირგიზი ბიჭი მოვიდა და მითხრა, ვფიქრობ, ქალს ასე არ უნდა ეცვას და ტატუები უნდა დაფაროო. ამან ჩემში საშინელი წინააღმდეგობა და უსამართლობის გრძნობა გამოიწვია, შევუტრიალდი და ვუთხარი – მე თავისუფალი ქვეყნის მოქალაქე ვარ, როგორც მინდა, ისე მაცვია, მით უმეტეს, ნეიტრალურ ტერიტორიაზე ვიმყოფები-მეთქი. მე არც ყირგიზი ვარ, არც მუსლიმანი, ამხელა მასშტაბის ჩემპიონატზე ვარ ჩამოსული, მოდიხარ და მთხოვ, რომ გრძელმკლავიანი ზედა ჩავიცვა აი, ეს ერთი მომენტი იყო დისკრიმინაციის, უფრო სწორად, მცდელობის, რომლის საშუალებაც არ მივეცი.

ასევე, მახსენდება შემთხვევა, როცა ჩემი დის ქორწილში ვიყავი თიანეთში და ჩემთვის შოკი იყო ის, რომ ორი სუფრა ჰქონდათ გაშლილი, კაცებისთვის ცალკე და ქალებისთვის – ცალკე. ამაზე ვთქვი, რომ სადაც მინდოდა, იქ დავჯდებოდი და იმ სუფრასთან დავჯექი, სადაც კაცები ისხდნენ. ასეთი იყო ჩემი პროტესტი, საკმაოდ პოზიტიური – ყველას ვუღიმოდი, არავის მიმართ გამომიჩენია აგრესია, მაგრამ ჩემი პოზიცია ასე დავაფიქსირე.

ზოგადად, მგონია, რომ პრობლემა ქართველი ქალის არაამბიციური ხასიათიცაა. საქართველოში, ხშირად, ქალები ფინანსურად დამო-

კიდებული არიან კაცებზე. მერე რა, რომ გათხოვდი, მაინც ისწავლე, იმუშავე... ეს არის მენტალობის პრობლემა, ადათ-წესების, ოჯახის, აღზრდის. ქალს უნდა ჰქონდეს საკუთარი შემოსავალი – რამდენჯერ გამიგია, რომ ქმარი ცოლზე ათი წელია ფიზიკურად ძალადობს, მაგრამ მას წასასვლელი არ აქვს, რადგან არ აქვს რესურსი ცალკე საცხოვრებლად. ეს აბსოლუტური ფინანსური დამოკიდებულება, როცა შენ მარტოს არაფერი შეგიძლია, პირველ რიგში, არღვევს შენს უფლებას და შენ არღვევ შენს უფლებას, როცა ამბიცია არ გაქვს, შედგე, როგორც პიროვნება.

ჩვენ საკუთარი თავისთვის უნდა გავხდეთ ნორმალურები

ის, რომ საქართველოს კანონმდებლობა ქვიარ ადამიანებს ქორწინების საშუალებას არ აძლევს, პირადად ჩემთვის, სიმართლე გითხრათ, პრობლემა არაა, რადგან დაქორწინებაზე არასდროს მიფიქრია. ჩემთვის არ არის აუცილებელი, რომ კონკრეტულ სამართლებრივ კავშირში ვიყო ჩემს პარტნიორთან იმისთვის, რომ მას გარკვეული ქონება დავუტოვო, ამის მოგვარება ძალიან მარტივად შემიძლია – მივდივარ და ვუფორმებ ამ ყველაფერს. თუმცა მე რომ ეს არ მსურს, იმას არ ნიშნავს, რომ სხვებს არ აწყობთ ან არ უნდათ. ვფიქრობ, სახელმწიფომ ამის ალტერნატივაზე უნდა იფიქროს, თუმცა ეს საქართველოში რამდენად ახლო პერსპექტივაა, ვერ გეტყვით. კონკრეტულად გეი ქორწინება ხვდებათ ყურში, რადგან ფიქრობენ, რომ ორმა ქალმა/კაცმა ერთად არ უნდა იცხოვროს, ისინი ბავშვს ვერ გაზრდიან და ა.შ. ბევრი ჰეტეროსექსუალთა ოჯახი ვიცი, სადაც ბავშვი ჯანსაღ გარემოში არ იზრდება – ბევრჯერ მინახავს, როგორ ურტყამს დედა შვილს, ეს არ არის ნორმა. ამ დროს, შეიძლება, მას ქმარიც ჰყავდეს და მის ოჯახს კარგი ოჯახი ერქვას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იქ ჯანსაღი გარემოა.

თუ ადამიანებს აქვთ ურთიერთობა და ერთად ცხოვრობენ, მათ უნდა ჰქონდეთ გადაწყვეტილებების ერთად მიღების უფლება და მხოლოდ ქაღალდი არ უნდა მიწყვეტდეს ამას. მქონდა ასეთი სიტუაცია, როდესაც ჩემი პარტნიორი საავადმყოფოში გადაიყვანეს, ვიცოდი, რომ არ შემიშვებდნენ და ვთქვი, რომ ჩემი და იწვა და უნდა შევსულიყავი. ამის შემდეგ, ჩვეულებრივად შევედი და გამოვედი, მაგრამ ეს არ არის ნორმალური, ძალიან არასასიამოვნო გრძნობა დამეუფლა, რადგან ტყუილის თქმა მომიწია.

რაც შეეხება სხვა არასამართლებრივ ასპექტს, ამაზე ერთი შემთხვევა მახსენდება, როცა მსოფლიო ჩემპიონატი მოვიგე, მშვენიერი რეზიუმე მქონდა და სამსახურს ვეძებდი. ერთ-ერთმა კლუბმა პირდაპირ მითხრა, რომ არ ვიყავი ვიზუალურად საკმარისად მიმზიდველი და ბიჭს ვგავდი, მათ კი ისეთი გოგო სჭირდებოდათ, ვინც ტოპს ჩაიცვამდა და კაცების ყურადღებას მიიქცევდა. ამაზე ვკითხე – ,,და პროფესიონალიზმი?" სამწუხაროდ, ეს საქართველოსთვის ჩვეულებრივი ამბავია, უამრავი კომპანიაა ისეთი, სადაც ვიზუალით

აყვანილი კადრები ჰყავთ და მერე ეს კადრები მომხმარებლის მოთხოვნებსა და იმედებს ვერ ამართლებენ. მე მომხმარებლისგან არასდროს მიგრძვნია რამე ნეგატიური, რადგან საკუთარი თავისთვის ვარ ნორმალური და შესაბამისად, მესიჯიც ასეთი მაქვს.

ჩვენ საკუთარი თავისთვის უნდა გავხდეთ ნორმალურები, სანამ ვიმალებით საკუთარ თავშიც კი, არაფერი შეიცვლება.

ყველაზე თავისუფალი ადამიანი

მე ვარ ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც თვითონ ირჩევს პარტნიორს, ვირჩევ ჩემთვის მისაღებ ფორმას შინაგანი თუ გარეგანი გამოხატულებებისთვის, იმას – ვისთან ვიყო, როგორ ვიყო, როგორ მოვიქცე... მთავარია, არ ვარღვევ საზოგადოებრივ ნორმებს, დანარჩენი კი ჩემი პირადი საქმე და ჩემი თავისუფლებაა, რომელიც არავის ეხება.

ვთვლი რომ აბსოლუტური თავისუფლება არ არსებობს, რადგან ადამიანი დამოკიდებულია ძალიან ბევრ რამეზე – თავის ინსტიქტებზე, ახლო ადამიანებზე, გარემოზე, პოლიტიკაზე, ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე და ა.შ. ჩემ გარშემო, ძირითადად, არიან ადამიანები, რომლებსაც გარესამყაროს ადეკვატური აღქმა აქვთ, გარკვეულწილად, ჩემს ,,ბაბლშიც" ვარ. როცა ვხედავ, რომ გარემო ჩემზე ზეწოლას ცდილობს, მე იმ გარემოს ვიცვლი, არასდროს ვრჩები გამანადგურებელ გარემოში იმის გამო, რომ მე ეს რამედ მიღირს. არ ვრჩები იქ, სადაც მზღუდავენ, სადაც ვერ ან არ მიგებენ.

არ შეიძლება, ადამიანი დარჩეს მტრულ გარემოში და ის იყოს ბედნიერი, ეს გამორიცხულია.

ჩვენ ვარსებობთ და ჩვენ ქართველები ვართ!

პრაიდი საზოგადოებასთან კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალებად მიმაჩნია. ვფიქრობ, რომ პრაიდი უნდა ჩატარდეს იმ ფორმით, რომელიც ამ ეტაპზე იქნება მისაღები ჩვენი საზოგადოებისათვის. მეტი ხილვადობის პოლიტიკაც ამას ემსახურება, მაგრამ საზოგადოებაც უნდა მოვამზადოთ ამისთვის. თუმცა, თუ პრაიდი ტარდება თუნდაც ისეთ გარემოში, როგორიც საქართველოშია, არავის აქვს უფლება, ის გააკეთოს, რაც 17 მაისსა და 5 ივლისს მოხდა.

მეც მიწევს ხოლმე, ვიყო ტოლერანტული ჰომოფობებთან იმის გამო, რომ, ხშირად, ამ ადამიანებმა არ იციან, რატომ არ მოვწონვარ, არ შეუძლიათ საკუთარი ზიზღისა და ემოციის იდენტიფიცირება ჩემ მიმართ, არ მიცნობენ და უკვე ვეზიზღები. როდესაც ამაზე ვფიქრობ, ვამბობ, რომ ეს არის კონკრეტული გარემოს ზემოქმედება და მისი ვიწრო მსოფლმხედველობის ბრალი, თუმცა, რაც 5 ივლისს ხდებოდა, ეს ჩემთვის ამაზრზენი იყო. იქ იყვნენ ადამიანები, რომლებსაც სულაც არ აქვთ ვიწრო მსოფლმხედველობა, მაგრამ აქეზებდნენ სხვებს, რომ წასულიყვნენ და დაერტყათ – ეს ხალხი მოსული იყო იქ, რომ ვინმე ეცემა. როდესაც გინდა, რომ გეის თავი გაუხეთქო, ან პატარა ბავშვებს დასდევ, რომლებსაც გრძელი თმა აქვთ და ურტყამ, ეს უბრალოდ აგრესიის ამოღებაა. მე ამ პრობლემას უფრო სიღრმისეულად ვუყურებ და არ მგონია, რომ ეს მხოლოდ ჰომოფობიას, ბიფობიას ან ტრანსფობიას უკავშირდება, პრობლემა ისაა, რომ ჩვენს საზოგადოებაში ამდენ ადამიანს აქვს უკიდურესი სიძულვილისა და ზიზღის განცდა – აი, ეს მაშინებს.

ჩვენთან არ არსებობს ადამიანის ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე ზრუნვის კულტურა, ხალხი არ მიმართავს ფსიქოლოგებს, ფსიქოთერაპევტებს... ჩვენ არ გვაქვს ამ აგრესიასთან კორექტული ბრძოლის საშუალება. ამის წინააღმდეგ რომ იმუშაო, ადამიანური და ფინანსური რესურსია საჭირო – ფსიქოლოგთან დადის ის, ვისაც კარგი შემოსავალი აქვს, რადგან მათი მომსახურება საკმაოდ ძვირია და ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია განათლება ამ კუთხით. საჭიროა ამაზე იზრუნოს სახელმწიფომ, როგორც ეს განვითარებულ ქვეყნებში ხდება.

მახსოვს, ერთმა ტაქსისტმა მითხრა ასეთი ფრაზა – ,,საქართველოში ასეთი ადამიანები არ უნდა არსებობდნენ!" მე ვკითხე – რატომ, თქვენ ჩემზე მეტი ქართველი ხართ, ჩემზე მეტად გიყვართ ეს ქვეყანა, ჩემზე მეტს აკეთებთ ამ ქვეყნისთვის, მე თქვენზე ნაკლები ქართველი ვარ იმის გამო, რომ მე სხვა ორიენტაცია მაქვს-მეთქი? ამაზე პასუხი იყო ის, რომ ქართველს ,,არ ეკადრება ასეთი საქციელი." იცით, რაშია საქმე? ორიენტაცია და საქციელი მათთვის ერთი და იგივეა, სოციალური ფსიქოლოგიის ცოდნაც არ აქვთ, არანაირი იდენტიფიცირება არ შეუძლიათ და თვლიან, რომ რადგან გეი ხარ, სულ ცუდად იქცევი, ამაზრზენი ხარ, გარყვნილი ხარ... რთულია, ყველას ოპონირება გაუწიო, მე რომ ყველას კამათი დავუწყო, სისულელეა და მეორე – ვერ აუხსნი, აქ მასშტაბური მიდგომაა საჭირო.

ასევე, დიდი პრობლემაა კომუნიკაციის არქონა ქვიარ თემის წარმომადგენლებთან და რატომ – საქართველოში ქამინგაუთს არავინ აკეთებს და ამ ხალხთან კომუნიკაცია არ ხდება, როგორც გეისთან. მათთან კომუნიკაცია გვაქვს, როგორც ადამიანებთან, რომლებიც საკუთარ ცხოვრებას მალავენ. ყოველთვის ვამბობ, რომ თუ შენ თვითონ მალავ და გრცხვენია რაღაცის, ან რაღაც მიზეზები გაქვს, რომ ეს არ გამოაჩინო, შესაბამისად, არ მოხდება ეს კომუნიკაცია და საზოგადოება ვერასდროს მიხვდება, რომ გეები ჩვეულებრივი ადამიანები არიან და ეს არ არის რაღაც განსაკუთრებული. არსებობს ასეთი ფარდა, რომ ქართველი გეი არ არსებობს და ჩვენ ამ ფარდის უკან ვართ. რისი უნდა მეშინოდეს მე, ზრდასრულ ადამიანს, რომელიც შემდგარია – ოჯახის დაკარგვის? ოჯახს, რომელიც მე დამკარგავს იმის გამო, რომ მე პარტნიორად ვირჩევ იმ სქესს, რომელიც მე მომწონს, რანაირად შევხედო ამ ოჯახს, როგორც ახლო ადამიანების წრეს? საუბარი მაქვს იმ ხალხზე, ვინც შედგა, რომელსაც აქვს საშუალება, გამოვიდეს და თქვას, რომ, კი, ჩვენ ვარსებობთ, ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენ შევდექით და უამრავ რამეს ვაკეთებთ. არ ვამბობ, რომ უნდა გამოვიდნენ და სულ ამაზე იყვირონ – გამოდი ერთხელ, გააკეთე ქამინგაუთი და მხარი დაუჭირე ადამიანებს, რომლებსაც იმ მომენტში არ აქვთ საშუალება, შედგნენ. უთხარი მათ, რომ, აი, მე ყველაფერი კარგად მაქვს და თქვენც აუცილებლად კარგად იქნებით.

არ უნდა ენიჭებოდეს ორიენტაციას ისეთი ტრაგიკული მნიშვნელობა, რომ ამის გამო ვინმემ დაგაშინოს, დაგაბულინგოს, დაგსტრესოს. საქართველოში ძალიან ეშინიათ განსჯის, ჩვენ უფრო მეტს ვფიქრობთ იმაზე, რას იტყვიან სხვები, ვიდრე ეს რეალურად არის პრობლემა. ვცდილობთ, ყველას მოვერგოთ და ასე არ გამოვა – ჩვენ თვითონ უნდა ვიყოთ ბედნიერები და ვიცხოვროთ ჩვენი ბედნიერებისთვის.

მტრული გარემოს შეცვლა, საკუთარი თავის მიღება და მუდმივი თვითგანვითარება

მე მჯერა, რომ საქართველოს აქვს განვითარების რესურსი. საწყენი ის არის, რომ ჩვენ ამ რესურსს ვერ და არ ვიყენებთ. პოზიტიურად ფიქრის საფუძველს ის მოზარდები მაძლევენ, რომლებშიც ვხედავ ამ პოტენციალს, მაგრამ მათ არ აქვთ გარემო, სადაც მივლენ და ისწავლიან, სადაც საჭირო ინფორმაციას მოისმე-

ნენ, სადაც უფრო გააფართოვებენ თავიანთ მსოფლმხედველობას. მეტი უფასო საგანმანათლებლო ცენტრი უნდა შეიქმნას, საჭიროა მეტი პროფესიონალი, რომლებიც მათ თუნდაც ქვიარ თემაზე მიაწვდიან ინფორმაციას.

ამ პროცესში, ჩვენც შეგვიძლია, ჩვენი წვლილი შევიტანოთ – მაგალითად, მე ვარ ფიტნეს ექსპერტი-ლექტორი და შემიძლია, მივცე განათლება ადამიანს ფიტნესის მიმართულებით, ჩემი პარტნიორი ფსიქოლოგია, მას შეუძლია, თავისი პროფესიიდან მიუდგეს ადამიანებს და ა.შ. ჩვენ უნდა მოვიკრიბოთ ჩვენი ძალები და რესურსები და მეტი ყურადღება დავუთმოთ მოზარდებს მაინც. შეიძლება, ჩვენ ვერ მოვახდინოთ გავლენა ზრდასრულ ადამიანებზე, რომლებსაც უკვე თავიანთი რკინის ჩარჩოები აქვთ, მაგრამ მომავალ თაობასთან გვაქვს საშუალება, სწორი ხედვები ჩამოუყალიბდეთ. რა თქმა უნდა, სახელმწიფოსაც უდიდესი როლი აქვს ამ პროცესში.

რომ გადავრჩეთ, მგონია, რომ აუცილებელია თვითგანვითარება, სანამ ჩვენ ვინმეზე ვიქნებით დამოკიდებული, სულ დათმობაზე მოგვიწევს წასვლა და ეს დათმობა მერე გვანადგურებს, რადგან საკუთარ თავზე, საკუთარ სურვილებზე უარს ვამბობთ. აუცილებელია სამი რამე – მტრული გარემოს შეცვლა, საკუთარი თავის მიღება და მუდმივი თვითგანვითარება. უნდა ვვითარდებოდეთ და ვავითარებდეთ სხვასაც – განვითარდი? მიხვედი რაღაც ეტაპამდე? ახლა, ადექი და სხვას დაეხმარე.

როცა შენ გაქვს რესურსი, წახვალ და სხვასაც დაეხმარები. აი, ეს არის მნიშვნელოვანი.

▶ **ინტერვიუ უტა ბექაიასთან**

დაკარგული ბავშვობის ძიებაში

უტა ბექაია 1974 წელს, თბილისში დაიბადა. არის დიზაინერი და მულტიმედია არტისტი და ამჟამად, ერთდროულად მოღვაწეობს ნიუ-იორკსა და თბილისში.

სხვადასხვა წლებში უტა ბექაიას ორასამდე სპექტაკლი, ასევე კინო პროექტი აქვს გაფორმებული. ხელოვანის მხატვრული კვლევის საგანია ისტორიული და კულტურული წარმომავლობა, გენეტიკა და სამყაროს ციკლურობის საკითხი. ის ქმნის კოსტიუმებს და ჩაცმად ქანდაკებებს მულტიმედია პერფორმანსებისა და ინსტალაციებისთვის, რომელთაც წარადგენს მოდის კვირეულებზე, სხვადასხვა არტ ივენთებზე ნიუ-იორკში, ტორონტოში, ბუენოს-აირესში, მაიამსა და თბილისში.

კარიერის დასაწყისში უტა ბექაიამ მოდის კოსტუმების დიზაინერის გამოცდილება გამოიყენა მედიუმად, გარდაქმნა ის შინაარსად და ადამიანის სხეულთან ერთად შექმნა პერფორმანსი.

ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება შენი გაცნობა და კარგი იქნება, თუ ბავშვობიდან დავიწყებთ. რა გახსენდება შენი ბავშვობიდან ყველაზე ნათელი, ტკბილი მოგონება?

ბავშვობასთან ძალიან ბევრი ნათელი მოგონება მაკავშირებს. ძალიან დაცულ ოჯახში გავიზარდე. ჩემი ოჯახის წევრები, დედაჩემი და მამაჩემი, ყოველთვის ცოტა „წაუდისიდენტებდნენ“, არსებულ სისტემაში არასდროს ჯდებოდნენ და მის მიღმა იყვნენ, ცოტა ხნის წინ ამის მიზეზებიც გავიგე. მიუხედავად იმისა, რომ ვერ დავასახელებ, გეტყვით რომ არსებობდა სპეციფიკური მიზეზები, რის გამოც ერთიცა და მეორეც, განსაკუთრებით კი, დედაჩემი არ იყო ამ ყველაფრის ნაწილი. დედაჩემი ძალიან ლმობიერი ადამიანი იყო და ცხოვრების ბოლომდე არ ჰქონია რაღაც ჩაპრესილი, სისტემური წნეხი, მიუხედავად იმისა, რომ გარშემომყოფებთან ჩვეულებრივ ურთიერთობდა. ორივე მშობელი ძალიან ღია ადამიანი იყო, თუმცა ბავშვობაში დედაჩემთან უფრო მქონდა ურთიერთობა. მეტიც, მთელი ცხოვრება სულ ქალებში გავიზარდე ჩემს ორ დასთან, დედაჩემთან და ბებიებთან ერთად, ერთადერთი კაცი მამაჩემი იყო. როგორც უკვე ვთქვი, ძალიან დაცული ბავშვობა მქონდა, არასდროს არანაირი ცუდი ინფორმაცია ჩემამდე არ აღწევდა, ყველაფერი ყოველთვის ლამაზი და კომფორტული იყო. მუდმივად ყველა ცდილობდა ჩემთვის კომფორტის ზონა შეექმნა, რომელსაც დღესაც ვეძებ და ძალიან ბევრი რამ, მათ შორის, ჩემი ხელოვნებაც, იმ კომფორტის ზონის დაბრუნების მცდელობაა, რომელიც ბავშვობაში მქონდა. ბავშვობის ბედნიერი მოგონებები ძალიან ბევრი მაქვს, იმიტომ რომ ნამდვილად ძალიან კარგი ბავშვობა მქონდა.

ხომ არ გახსენდება რაიმე მოგონება, რომელიც თბილისის კონკრეტულ ადგილს უკავშირდება? ჩემთვის, მაგალითად, ასეთი ადგილი ფუნიკულიორია, რომელიც ბავშვობიდან მოყოლებული საოცარი იყო ჩემთვის.

ჩემთვის ასეთი ადგილი მაუდის ქარხანაა, აქვე, დიდუბეში. ეს იყო ერთი დიდი ქარხანა, რომელშიც შიგნით ვერ შევდიოდით და პატარები რომ ვიყავით, გარეთ ვთამაშობდით. ჩვენთვის ეს რაღაც საიდუმლო, ბურუსით მოცული ადგილი იყო, რომელის შიგნით რა ხდებოდა ჩვენთვის გამოცანად რჩებოდა. ასევე ბავშვობიდან რაც მუდამ მახსოვს, არის ყვავილები. ჩემი პირველი სიტყვა იყო „ლამაზი“, რომელიც გაცნობიერებულად ვთქვი იასამნის ყვავილზე. ისე იყო, რომ სულ ყვავილებს ვაგროვებდი, მახსოვს რომ ვგიჟდებოდი ყვავილებზე - ყველაზე მკაფიოდ ეს მახსოვს. კიდევ მახსოვს როგორ ვაკეთებდი სახლს ჩემს საწოლში და ბუდეებს გარეთ.

უტა ბექაიას მიერ შექმნილი კოსტიუმი 2022 წლის თბილისობისთვის

ანუ, ხელით რაღაცების კეთება და ჩხირკედელაობა ბავშვობიდან გიყვარდა?

ყოველთვის სხვადასხვა რაღაცებს ვაკეთებდი და ვცდილობდი ჩემ გარშემო პატარა სამყაროები შემექმნა, ეგ იყო ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ახლაც იმავეს ვაკეთებ. კომფორტის ზონაში პატარა ბუდეს ვიწყობდი, სადაც მერე ჩემს წარმოდგენებში ვცხოვრობდი და ბავშვობაში ეს ყველაფერი დაცული იყო რაღაც ბნელისგან, ყოველთვის ლამაზი, ვარდისფერი და ფუშფუშა იყო. ლამაზი იყო ჩემი ბავშვობა, ნუ, მაშინ ჩემს აღქმაში ლამაზად მეჩვენებოდა. ამასთანავე, სულ მოწყენილიც ვიყავი. ზედმიწევნით მახსოვს გრძნობა, სოფელში რომ მივდიოდით ხოლმე, იქ მარტო ვიყავი, ბავშვები არ იყვნენ და სულ მოწყენილი ვიყავი, ესეც რაღაც ტრავმა იყო ჩემთვის. აქა-

მდე მომყვება ამ მოწყენილობის მოკვლისა და კომფორტის ზონის შექმნის სურვილი. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ ამას არასდროს ამბობდნენ, ჩემი ოჯახის წევრები რაღაცნაირად თავისებურად ყოველთვის ცდილობდნენ ისე ეცხოვრათ, რომ საკუთარი თავი ზედმეტად არ გამოგვეჩინა, რაც ჩემთვის ძალიან რთული აღმოჩნდა, რადგან ძალიან შესამჩნევი ბავშვი ვიყავი.

ეს როდის გააცნობიერე?

სულ ახლახანს, სადღაც 5 წლისწინ ვფიქრობდი ამაზე. სულ მქონდა წნეხი, თუმცა, წნეხი ხმამაღალი სიტყვაა, მოდი ვთქვათ გრძნობა, რომ ზედმეტად არ უნდა გამოვჩენილიყავი და უბრალოებისკენ უნდა გადავხრილიყავი. მე კიდევ, ყოველთვის ამისგან რადიკალურად განსხვავებული ადამიანი ვიყავი, ასე იყო მაშინაც და არის ახლაც. მინიმალიზმი ჩემი არ არის, ყველაფერი საპირისპირო მომწონს - დიდი და ფერადი. მაშინ, როდესაც კომუნიზმი დასრულდა და აქ ყველაფერი აირია, მაშინ გონებითაც და ფიზიკურადაც პატარა ბავშვი ვიყავი, ძალიან გვიან განვვითარდი. როცა აქ ეს არეულობა, ომი და გამოსვლები დაიწყო, მაგ დროს გავხდი ზრდასრული. თითქოს ეს დაცული ბავშვობა უცბად შემეცვალა მხედრიონის საქართველოთი, უცებ ომში ამოვყავი თავი. მერე კი, როცა გავიზარდე, გარდატეხასთან ერთად, საერთოდ ყველაფერი შემეცვალა.

მანამდე, სკოლის პერიოდში შენი ნიჭიერება რაიმე სახით ვლინდებოდა? ალბათ დადიოდი სხვადასხვა გაკვეთილებსა და წრეებზე, ხომ ასეა? მაგალითად, ხატვაზე.

კი, ბავშვობიდან სულ ვხატავდი. სკოლაში ხატვის გარდა არაფერს ვაკეთებდი. მერე სამხატვრო სკოლაშიც მიმიყვანეს. რაც თავი მახსოვს ყოველთვის რაღაცებს ვხატავდი, ძირითადად ვხატავდი ადამიანებს, რომლებსაც განსაკუთრებით პანკურად ეცვათ. ახლაც ძველ ნახატებს რომ ვუყურებ, აღმოვაჩენ ხოლმე რომ ყველა ნახატი არის ჩაცმულობაზე, უცნაურად ჩაცმული ადამიანების ფიზიკურ მანიფესტაციაზე. კიდევ, პლასტილინით ვაკეთებდი რაღაც ფიგურებსა და სახლებს. ძალიან მიყვარდა სხვა ხალხის ჩაცმაც, მეგობრებს სულ ვაცმევდი ხოლმე, ჩემი გატაცება ეს იყო. ფოტოებსაც ვიღებდი, ფირის ფოტოაპარატი და სახლში ჩემი წითელი თუ შავი ოთახი მქონდა, სადაც მამასთან ერთად ფირებს ვამჟღავნებდი ხოლმე, მაშინ ფოტოებს ვერ ვბეჭდავდით და ძალიან მიყვარდა ამის კეთება.

იყვნენ თუ არა მასწავლებლები ან ლექტორები, რომლებმაც შენზე დიდი გავლენა მოახდინეს აკადემიაში ჩაბარებამდე ან ჩაბარების შემდგომ? ლექტორები, უფროსი კურსელები ან კონკრეტული ხელოვანები და არტისტები?

ძალიან უცნაურია, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ხატვას უკვე ვსწავლობდი, მასწავლებელთან ჩემი პირველი გარდატეხა მაშინ მოხდა, როცა ვაბარებდი. ქართულის რეპეტიტორთან დავდიოდი, მხატვრობასთან საერთოდ არაფერ შუაში იყო, საგამოცდო თემების წერას გვასწავლიდა. მანამდე ვერც კი ვხვდებოდი, რომ ეს თემები წინასწარ დაწერილი „შპარგალკით“ არ უნდა დაგეწერა. ამ ქალთან მივედი თუ არა, მითხრა რომ შპარგალკები არ არსებობს, დაივიწყეთო, გვითხრა რაღაც თემა, ზუსტად უკვე აღარც მახსოვს რა და გვითხრა, ამაზე თქვენ რაც გინდათ ის დაწერეთ, არ აქვს მნიშვნელობა ცუდად დაწერთ თუ კარგადო. მაშინ პირველად მივხვდი რომ რაღაცას ჩემით შემიძლია გავუკეთო ინტერპრეტაცია. დავწერე და ძალიან კარგი უკუკავშირი მივიღე. შედეგად ამას მოჰყვა ძალიან დიდი გარდატეხა, რეალურად მივხვდი რამხელა მნიშვნელობა და წონა აქვს ჩემს აზრსა და შემოქმედებითობას. ამ ქალმა ფაქტობრივად მასწავლა როგორ უნდა მეაზროვნა, რათა რაიმე შემექმნა. მართლა ძალიან დიდი ნაბიჯი გადავდგი იმ ერთი დაწერილი თემით. აი, ეს იყო მგონი ერთადერთი მასწავლებელი, რომლისგანაც რაიმე ვისწავლე. ის ადამიანი იყო, რომელმაც უდიდესი ნაბიჯი გადამადგმევინა ჩემს შემოქმედებით მომავალში, ამით მივხვდი რომ საზოგადოებაში, რომელშიც აქამდე ვერ ვეწერებოდი, თურმე არც უნდა ჩავწერილიყავი და მე თვითონ უნდა გამეკაფა გზა.

რა სიტუაცია იყო მაშინ აკადემიაში? რამდენად კმაყოფილი იყავი იქ სწავლით?

აკადემიაში 90-იან წლებში ვსწავლობდი, რაც იმას ნიშნავს, რომ საერთოდ არაფერი მისწავლია. ჯერ მარტო, ფიზიკურად ძალიან ცოტანი ვიყავით, პირველ კურსზე ვიარე და მერე იმ ადგილას მართლა ფიზიკური ომი დაიწყო - სროლები, მხედრიონი დადიოდა, ამიტომ, რომ არ მოგატყუოთ, იმ პერიოდში არაფერი მისწავლია. ეს სრულიად ჩავარდნილი პერიოდი იყო. მერე რაღაც დრო თეატრალურში

ვსწავლობდი. ძალიან მაინტერესებდა ფირზე მუშაობა, ამას ვსწავლობდი და იმ პერიოდიდან უფრო მახსენდება რაღაცები. ლექციებს გოგი გვახარია გვიკითხავდა და ძალიან საინტერესო ფილმებსაც გვაჩვენებდა. ეს ყველაფერი ჩემთვის ბევრად უფრო საინტერესო იყო. სამხატვროში მარტო ტექნიკურ ხატვას გვასწავლიდნენ, რომელსაც დიდად არაფერი

მოუცია. მაგრამ იმ პერიოდში, ფაქტობრივად, ვერავინ ვერაფერი ისწავლა, და ამასთანავე, ყველა იმას ფიქრობდა, თუ როგორ გაქცეულიყო აქედან.

ოჯახმა როგორ მიიღო შენი პროფესიული გადაწყვეტილება ამ ომიანობის ჟამს?

როგორც უკვე აღვნიშნე, ოჯახი ძალიან მიჭერდა მხარს. ერთხელ დავიჩემე, რომ კბილის ექიმობა მინდოდა, იმიტომ რომ ჩემი კბილის ექიმი მომწონდა. დედაჩემს კი, სულ უნდოდა მხატვარი გამოვსულიყავი, თავადაც ძალიან არტისტული ქალი იყო და უნდოდა თავისი ეს მხარე სადღაც გამოხატულიყო და ძალიან მოსწონდა მე რომ მხატვარი ვიყავი. შესაბამისად, ხელსაც ძალიან მიწყობდა. ერთი წელი ქიმია-ბიოლოგიაზე ტყუილად ვიარე, კი შემიწყვეს ხელი, მაგრამ მერე როცა ვთქვი რომ აღარ მინდოდა, დედაჩემი ყველაზე ბედნიერი იყო. ოჯახი ყოველთვის გვიწყობდა ხელს მეც და ჩემს დებსაც. არასდროს უთქვამთ რომ რაიმე არ გამოგვივიდოდა. ჩემი მშობლები მართლაც არ ჰგვანან სხვებს და ახლაღა, სხვა ადამიანებს რომ ვუყურებ, ვხვდები როგორ ძალიან გამიმართლა.

რა გეგმები გქონდა, თუ გქონდა, სწავლისას და სტუდენტობის პერიოდში? იცოდი რა ჟანრში აპირებდი ხატვას, თუ გქონდა რაიმე ხედვა?

მეგობრები სულ მყავდა, მაგრამ რაღაც მომენტში სხვა ინტერესები გაუჩნდათ, შეიცვალნენ და გარკვეული დროის შემდეგ, კვლავ გარი-

ყული აღმოვჩნდი. ერთი მეგობარი გოგო მყავდა, რომელსაც მაშინდელი სტანდარტებით ჰიპის ეძახდნენ და უცნაური, არასტანდარტული ადამიანი იყო, უყვარდა მუსიკა, თავადაც არაჩვეულებრივად მღეროდა და ძალიან დავმეგობრდით. შემდეგ ამ გოგოსგან ძალიან ბევრი ადამიანი გავიცანი, რომელიც, ჩემ მსგავსად, საერთო სტანდარტებში არ ჯდებოდა. ისე მოხდა უცებ, თავი უზარმაზარ, მრავალფეროვან ოჯახში ამოვყავი, რომელიც მანამდე არ მყოლია. აღმოვაჩინე საერთო ინტერესების მქონე ადამიანების ახალი ჯგუფი, სადაც მიღებული ვიყავი ჩემი ყველანაირი განსხვავებულობით. შეიძლება ითქვას, ნამდვილ ხელოვნებას სწორედ ამ ჯგუფის მეშვეობით ვეზიარე. 90-იანებში ბევრი რამ ხდებოდა, სულ დავდიოდით სხვადასხვა მხატვრებთან, არსებობდა „33-ე სართული“, ადგილი, სადაც შეკრებები იმართებოდა. იმ დროს უკვე ყველა ლაპარაკობდა თანამედროვე ხელოვნებაზე, მაშინ გავიგეთ საერთოდ რა იყო ვიდეო არტი, თანამედროვე ხელოვნებაში მოღვაწე მხატვრები ვინ რას აკეთებდნენ, ამ ყველაფერს ჩემზე ძლიერი გავლენა ჰქონდა. სწორედ ამ დროს მივხვდი, რომ შემიძლია ამ ჩემს ხელოვნებას უტილიზაცია გავუკეთო, რათა ჩემი აზროვნების მნიშვნელოვნება გარკვეულ ფორმაში მოვაქციო. უკვე მაგ პერიოდში მომწონდა მოდაც. მოდა ჩემთვის ქვიარობის ყველაზე გამოხატული ფორმა იყო. 90-იან წლებშივე ვუყურებდი ხოლმე რაღაც ფრანგულ არხს, რომელზეც სულ აჩვენებდნენ მოდის ჩვენებებს და იქ იყო ჟან-პოლ გოტიესა და გალიანოს ჩვენებები, რომლებიც ისეთი ქვიარ ჩვენებები იყო, ახლაც რომ ვუყურებ, მიკვირს, სასწაული სანახავია. მაშინ დავიწყე ფიქრი, რომ ძალიან მინდოდა ამის ნაწილი ვყოფილიყავი და ჩემი შინაგანი იუნიქორნის ვარდისფერი იდენტობა გარეთ გამოსულიყო. პირველივე, რაც ვიფიქრე, იყო რომ უნდა ვყოფილიყავი ტანსაცმლის დიზაინერი და როდესაც რაღაც მსგავსი პირველად გავაკეთე, ეს იყო ერთგვარი ექსპერიმენტი ავანგარდულ ასამბლეაზე. ჩემი ჭკუით, ჩვენება გავაკეთე, რომელიც სინამდვილეში

იყო პერფორმანსი, რომელიც იმდროინდელ რეივს ეძღვნებოდა, ეს ყველაფერი ახალი შემოსული იყო და სცენაზე ძალიან ფერადი კოსტიუმებითა და უზარმაზარი პლატფორმებით დადიოდნენ. მოკლედ, ყველაფერს, რაც დღეს უკვე მოდაშია, მაშინ დიდი რეზონანსი ჰქონდა და ამანაც ძალიან იმოქმედა ჩემზე, რადგან მივხვდი რომ ექსპერიმენტულ გზას თუ გავყვებოდი, ამას შეიძლება რაღაც საინტერესო გამოეღო. მაგ დროს მივხვდი რომ საკუთარ თავზე ძალიან ბევრი მქონდა სამუშაო რომ თვითგამოხატვა მესწავლა.

როგორც ვხვდები, შენი ერთ-ერთი მთავარი მიზანი მაშინ საკუთარი თავის გამოხატვის ფორმების პოვნა იყო. მაშინდელ საქართველოში რა ქაოტური სიტუაცია იყო, ყველამ ვიცით. მაინტერესებს, რამდენად ითარგმნებოდა ეს სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია ამ ჯგუფების საუბრებში თუ ხელოვნებაში?

მაშინ ხელოვნება ამ ადამიანებისთვის გადარჩენის ერთადერთი გზა იყო, ძალიან ბევრი რამ იქმნებოდა, რისი დოკუმენტაციაც დღეს, სამწუხაროდ, არ არსებობს. სინამდვილეში მაშინ არსებული ჯგუფები ძალიან პროდუქტიულები იყვნენ, არც მობილური იყო და არც არაფერი, შესაბამისად, ყველა იცლებოდა და იხარჯებოდა ხელოვნებაში. თუმცა, ყველას გაცნობიერებული არ ჰქონდა, რომ ეს ყველაფერი შეიძლება პოლიტიკური აქტი ყოფილიყო. ეს უფრო ჰგავდა, პიტერ პენის მსგავსად, დაკარგული ბავშვობის ძიებას. ყველა ეს ადამიანი გეგონება დაკარგული ბავშვობის ქალაქში ცხოვრობდა და ამასთანავე, ყველა საზღვარგარეთ წასვლას ცდილობდა, ჩემი ჩათვლით.

ემიგრაცია და პირველი ნაბიჯები ამერიკაში

საქართველოდან 1998 წელს წავედი. წასვლამდე საკმაოდ დატვირთული ცხოვრება მქონდა, ძალიან ბევრ რამეს მოვედე, დიდი სამეგობრო წრე შევიძინე, სულ ვაკეთებდი რაღაც ადგილებში პერფორმანსებს. მაგ დროისთვის უკვე შექმნილი მქონდა სამი კოლექცია, რომელიც სინამდვილეში კოსტიუმირებულ პერფორმანსებს წარმოადგენდა და სამივე ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

თავდაპირველად, St Martins-ის კოლეჯში ჩავაბარე ლონდონში, რომელიც მოდის ძალიან კარგი კოლეჯია და მაშინ იქ მოხვედრა ძალიან რთული იყო. ფული, რა თქმა უნდა, არ მქონდა. ამ დროს, ჩემი ერთი მეგობარი შტატებში ცხოვრობდა და ჩასვლა და ფულის შეგროვება შემომთავაზა. წავედი ნიუ იორკში და იქ ჩავრჩი, გავიჭედე, ვეღარ წამოვედი. იქ ყოფნისას სულ ვმუშაობდი, არა მხოლოდ ჩემი მიმართულებით, დასაწყისში, მაგალითად, ვიმუშავე ავეჯის გადატანაზე, მიმტანად, სტიკერების გამკვრელად, მაღაზიაში გამყიდველად და ა.შ. ძალიან ბევრ სხვადასხვა რაღაცაზე ვიმუშავე. მაშინ დაახლოებით 22 წლის ვიყავი. რაღაც დროის შემდეგ, ჩემმა მეზობელმა შემომთავაზა თეატრისთვის სეტ დიზაინი გამეკეთებინა, შემდეგ ვიღაც სხვასაც მოეწონა და ასე დავიწყე ძალიან ინტენსიური მუშაობა თეატრში, 10 წელი ვიმუშავე სხვადასხვა თეატრებში. ბევრი სპექტაკლის სცენისა და კოსტიუმების დიზაინი მაქვს გაკეთებული პატარა თეატრებში. თუმცა ამდენი წლის შემდეგ მივხვდი, რომ თეატრი ჩემი არ იყო, რადგან ბოლომდე თვითგამოხატვის საშუალებას არ მეძლეოდა. ამიტომ გადავწყვიტე ისეთი ნამუშევრები შემექმნა, რომელზეც თავიდან ბოლომდე თავად ვიქნებოდი პასუხისმგებელი და დავანებე თავი თეატრებში მუშაობას.

ჩემი ხელოვნებით ყოვლთვის ვცდილობ შევქმნა სხვადასხვა სამყაროები, რომლებში შემობიჯებისასაც ადამიანები გარეთ არსებულ რეალობას დაივიწყებენ და მისი ნაწილი გახდებიან, ეს რაღაც რიტუალურსაც წააგავს და ხშირად ცოტა ეშინიათ კიდეც ამის, ვინაიდან ჩემი გამოხატულება ზოგჯერ ძალიან ბნელიც არის ხოლმე.

ამერიკაში ჩასვლიდან 10 წელი საქართველოსთან კავშირი სრულიად გაწყვეტილი მქონდა, მარტო ოჯახის წევრებსა და რამდენიმე მეგობარს ვესაუბრებოდი. რაღაც დროს ძალიან დავისტრესე აქ ცხოვრებით და ვცდილობდი ყველა მოგონება გამექრო. 10 წლის შემდეგ, ძალიან დრამატულად ჩამოვედი, 2008 წელის 8 აგვისტოს, 10 წლის შემდეგ პირველად ჩამოსვლისას მაშინვე ომი დაიწყო. იმდენი ემოცია წამოვიდა ერთიანად, მივხვდი, რომ აქ ძალიან ბევრი რამ არ მქონდა დასრულებული, გადახარშული და გადატანილი. მივხვდი იმასაც, რომ ძალიან მიყვარს აქაურობა, მიუხედავად იმისა, რომ ადრე ამას ვერ ვგრძნობდი. ადრე უარვყოფდი კიდეც, მაგრამ აღმოჩნდა რომ მიწასთან ძალიან ძლიერი ბმა და კავშირი მაქვს.

საქართველოში ცხოვრების გადაწყვეტილება გაცნობიერებულად მიიღე?

არა, ყოველი ჩამოსვლისას ნელ-ნელა ვუმატებდი დარჩენის პერიოდებს, ჯერ ერთი თვით დავრჩი, ერთი წლის შემდეგ ორი თვით, მერე სამით და ა.შ. რაღაც დროის შემდეგ კი, ისე გამოვიდა, რომ აქ საცხოვრებლად გადმოვედი, იმიტომ რომ ჩემს ოჯახთან, ჩემს პარტნიორთან და მეგობრებთან ერთად ყოფნა მინდოდა. საბოლოოდ, 2018 წელს გადმოვბარგდი და რომ ჩამოვედი, მივხვდი რომ ფორმირების ეტაპზე მყოფი ქვეყნისთვის ის, რასაც მე ჩემს სფეროში ვაკეთებდი, უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ვიდრე ამერიკაში. აქ რაღაც ისეთის გაკეთება შემიძლია, რაც არ იქნება მხოლოდ ჩემთვის, არამედ - საზოგადოებისთვისაც.

ისე გამოვიდა, რომ გამოცდილება დააგროვე და ახლა ამ გამოცდილებას შენს ქვეყანას ახმარ, ხომ ასეა?

ასე გამოდის. ვფიქრობ, ყველა ადამიანი რაღაც მომენტში უნდა წავიდეს სამოგზაუროდ და დაბრუნდეს, ეს შეგრძნება რომ გამოსცადოს.

პოლიტიკური კონტექსტი

90-იანების შემდეგ, საქართველოში პირველად რომ დაბრუნდი, 2008 წელს, რა მნიშვნელოვანი განსხვავება იგრძენი?

მიშას მმართველობის პერიოდი მთლიანად ჩაგდებული მაქვს, მითუმეტეს დასაწყისი, მხოლოდ შორიდან ვაკვირდებოდი მოვლენებს. როცა ჩამოვედი, ყველაფერი რადიკალურად შეცვლილი მეჩვენა, მაგალითად, კორუფცია რომ აღარ იარსებებდა, მაშინ ვერასდროს წარმოვიდგენდი და ეს ყველაფერი ძალიან იმედისმომცემად მეჩვენა. ახლა კი, კიდევ უფრო შეცვლილი მეჩვენება, ეს ქვეყანა ბევრად უფრო კაპიტალისტური გახდა, ვიდრე ადრე და ყველა გადარჩენაზეა ორიენტირებული. უფრო მეტად გადის ყველაფერი ადამიანების პიროვნულ გამარჯვებებზე, ვიდრე რაღაც საერთო საქმისთვის ბრძოლაზე.

თუმცა, ეს ქვეყანა ხომ სულ მოძრაობაშია, სულ იცვლება, რაღაც პერიოდებით საზღვარგარეთ რომ მიწევს ხოლმე ცხოვრება, ჩამოსვლისას, ყოველ ჯერზე სხვა ქვეყანა მხვდება. ხშირად ვავლებ ხოლმე პარალელს თბილისსა და ნიუ იორკს შორისაც. ორივე ქალაქი ძალიან ქაოტურია და ძალიან მკვეთრად ჩანს ადამიანების დაყოფა, სოციალური სტატუსით თუ პოლიტიკური მიკუთვნებულობით.

დღევანდელ სიტუაციაზე რას გვეტყვი?

ყველაზე თვალშისაცემი ჩემთვის დღეს ნიჰილიზმია, რომელიც ძალიან ჰგავს 90-იანი წლების სიტუაციას. ყველაფერს ბიზნესი მართავს და განაგებს და გეგონება იდეები და მისწრაფებებიც ამ დამაკნინებელ გარემოში იყლაპება.

თუმცა, ამასთანავე, იზრდება უფრო თავისუფალი თაობა, რომელსაც არ აქვს ის დაღი დასმული, რომელიც ჰქონდა მინიმუმ 3 თაობას მანამდე, დაწყებული კომუნისტებიდან, 90-იანების მხედრიონითა და შემდეგ 2000-იანების არეულობებით. ახლანდელი თაობა უფრო ღიაა, სულ ხელოვანი ახალგაზრდები მყავს გარშემო, რაღაც ფორმით ყველანი ხელოვნებაში არიან ჩართულები. ძალიან ინტერესიანები არიან და არ არსებობს საკითხი, რომელიც არ აინტერესებთ, თუმცა თვითგამოხატვა ისევ მთავარ საკითხად რჩება, რადგან გარშემო ძირითადად ქვიარ ახალგაზრდები მყავს. ყველა ერთად ვცდილობთ შევქმნათ სივრცეები და პლატფორმები, სადაც მათ თვითგამოხატვის შესაძლებლობა ექნებათ.

შენი შეფასებით რა არის დღევანდელ დღეს ქვიარ ადამიანთა მთავარი გამოწვევები?

ვფიქრობ, დღესდღეობით ქვიარებს იმაზე მეტი გამოწვევა აქვთ, ვიდრე ოდესმე. ხილვადობის გაზრდის პროპორციულად, გაიზარდა აგრესიაც. ვფიქრობ, ახლა ყველასთვის გარდამტეხი პერიოდია. ზიზღი, საჯარო სივრცეში გამოჩენის საშიშროება, დასაქმება, პატარა სივრცეში ჩაკეტილობა, მიუღებლობა - ალბათ ისევ ამ თემების გარშემო ვტრიალებთ. ამის გამო ბევრი ახალგაზრდა ტოვებს ქვეყანას და ვერც მოვთხოვთ აქ დარჩნენ და ამ ყველაფერს გაუძლონ, ყველას უნდა ჰქონდეს მშვიდად ცხოვრების საშუალება. თუმცა,

ამასთანავე, ბევრი ქვეყანაში დარჩენას ამჯობინებს.

შესაძლოა, ჩვენს ჟურნალს კითხულობდნენ ახალგაზრდა ქვიარები, მათ შორის, რეგიონებიდანაც, რას ეტყოდი მათ?

ინგლისურად უფრო კარგად ჟღერს - This shall pass too. ყველაფერი, ყველაფერი ნეგატიური, ადრე თუ გვიან აუცილებლად გადაივლის. ვუსურვებდი მედგრად იდგნენ საკუთარ მიწაზე და იპოვონ ის ოჯახი და წრე, რომელიც დაეხმარებათ რომ მარტო არ იყვნენ. შეძენილი ოჯახი, ადამიანების ჯგუფი, რომელიც მიგიღებს, ძალიან მნიშვნელოვანია. ყველაფერი გადაივლის, არაფერი რჩება სამუდამოდ.

ორი სიტყვით გვითხარი შენს მიმდინარე პროექტებზეც.

ერთ-ერთი პროექტაგანი "უტა და ლევანია", ლევან მინდიაშვილთან ერთად. მე და ლევანი წლებია ერთად ვმუშაობთ. ის ბუენოს აირესში ცხოვრობდა, მერე ჩემთან ნიუ იორკში ჩამოვიდა და ახლაც იქ ცხოვრობს. ახლა უფრო იშვიათად ვაკეთებთ რაღაცებს ერთად, მაგრამ ადრე უფრო აქტიურები ვიყავით.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია პროექტი FUNGUS, რომელსაც 4 ადამიანი ვაკეთებთ. ეს არის სივრცე ქვიარ-ფემინისტი არტისტებისთვის, სადაც ეწყობოდა ხოლმე გამოფენები. პანდემიის დროს დავიწყეთ და ეს იყო სივრცე ინსტაგრამზე. შემდგომ უკვე ვებსაიტიც გაკეთდა და მერე ფიზიკურ სივრცეში გადაინაცვლა. სამწუხაროდ, გალერეა ახლა აღარ გვაქვს, მაგრამ სულ მალე კარგი ახალი ამბებით დავბრუნდებით. FUNGUS ჩვენთვის იყო მცდელობა, ქვიარ ხელოვნება ანდერგრაუნდიდან ამოსულიყო და რაღაც ფორმა მისცემოდა, უფრო ხილვადი გამხდარიყო, ამასთანავე, ეს იქცა პლატფორმად დოკუმენტირებისთვისაც.

ინტერვიუს ავტორი: ნინო ბოლქვაძე

▶ ინტერვიუ მიხეილ აბრამიშვილთან

„ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“

ბიოგრაფია

1983 წელს, თბილისში დავიბადე. წელს 40 წელი შემისრულდა. ოჯახს რაც შეეხება, დედაჩემი რუსული ენის პედაგოგია სკოლაში, მამა - მხატვარი. ძალიან ვღიზიანდები, როცა ამბობენ რომ მამის კვალს გავყევი. ჩემი და მეცნიერების თეორიის მიხედვით, ტვინს არ გააჩნია რაღაც წინასწარგანსაზღვრული ნიჭების კრებული, ნიჭი გენეტიკით არ გადადის, მთავარი არის გარემო. რა თქმა უნდა ბავშვობაში ხშირად ვუყურებდი როგორ ხატავდა მამა, დედასაც ბევრი მხატვარი მეგობარი ჰყავდა, რეალურად, ხატვა ასე ისწავლება და არა აკადემიასა და სასწავლებლებში ჯდომით.

ერთი ასეთი თვისება მაქვს, რასაც დავიწყებ, აუცილებლად ბოლომდე უნდა მივიყვანო. მუსიკალურ სკოლაში შვიდწლედი დავამთავრე, სადაც ვიოლინო შევისწავლე, მერე ნიკოლაძის სამხატვრო სასწავლებელში ვისწავლე, რომელმაც ძალიან კარგი ბაზისური ცოდნა მომცა, გავაგრძელე სწავლა სამხატვრო აკა-

დემიაში, იქვე დავასრულე მაგისტრატურაც. შემდეგ კი, კონსერვატორიაში, ვოკალზე ჩავაბარე. სტუდენტობიდან ვმღერი, ვთამაშობ სპექტაკლებში, მაქვს პერფორმანსები და ექსპერიმენტალური გამოსვლები. არადა, მუსიკის ნიჭი ჩემს მშობლებსა თუ წინაპრებს არასდროს ჰქონიათ, არანაირი შეხება არ ჰქონიათ სცენასთან. ეს ისევ იმის პასუხად, რომ ნიჭი მემკვიდრეობითი ნამდვილად არაა.

შენში როდის გამოვლინდა ეს ნიჭი?

ამ კითხვას ხშირად მისვამენ. დაახლოებით იმ მომენტიდან ვიცოდი რომ ხელოვანი-არტისტი უნდა ვყოფილიყავი, რა მომენტშიც ადამიანი აღმოაჩენს ხოლმე როგორი თვალის, თმის ან კანის ფერი აქვს. ნებისმიერ სფეროში, რომელშიც აქტიურად შრომა მიწევს, ჩემთვის მთავარი არის შემოქმედებითი მიდგომა. მაგალითად, ძალიან კარგ კულინარადაც ვარ აღიარებული და ასევე ძალიან მაღიზიანებს, როცა რეცეპტს მეკითხებიან, იმიტომ რომ რეცეპტი არ მაქვს. კერძს ყოველთვის იმ მასალით, იმ შინაარსითა და იმ წუთის განწყობით ვაკეთებ. ამას თავმდაბლობის გამო არ ვამბობ, ჭეშმარიტებად მგონია რომ ყველას ყველაფერი შეუძლია. არაფერი იქიდან, რასაც მე ვაკეთებ, სიმღერა იქნება ეს თუ ხატვა, სასწაულად არ მიმაჩნია.

ანუ, შენი აზრით, შემოქმედებითი ნიჭი განვითარებითი უნარია?

ნიჭი ყველა ადამიანშია, არ არსებობს ის არ გაგაჩნდეს. ადამიანმა საკუთარ თავში ჩაძიებით, კვლევით უნდა აღმოაჩინოს ეს ნიჭი. აუცილებლად ყველაფერს შემოქმედებითად უნდა მიუდგე, პურის გამოცხობაც რომ პურის გამოცხობაა, მაგასაც. ჩემი სლოგანია „რეცეპტები არ არსებობს“ (ერთ სპექტაკლში ვამბობ კიდეც ამას), რეცეპტები თავადვე უნდა გამოიგონო. პური რომ პურია, ნამცხვარი რომ ნამცხვარია, ქანდაკება კი ქანდაკება, ეს მოცემულობაა. აუცილებლად უნდა ეცადო ეს მოცემულობა განავითარო და არა დაჯდე და ამით დატკბე. ჩემი საყვარელი მწერლის გამონათქვამია: „ვნების სიმძაფრე შენებაშია და არა აშენებულით ტკბობაში“. ნებისმიერი რაღაცის პროცესი თუ არ გაბედნიერებს იმის შედეგიც აღარ უნდა გაინტერესებდეს, სხვა რაღაცაზე უნდა გადაერთო და ის განავითარო.

როგორ ფიქრობ ამ ფილოსოფიას რამ შეუწყო ხელი? საყვარელმა ავტორებმა თუ ხელოვნების სფეროში მოღვაწე ადამიანებმა?

ცხადია, კითხვაც მიყვარს. ქართველი მწერლებიდან ძალიან მიყვარს რეზო ინანიშვილი, ოთარ ჭილაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, გურამ დოჩანაშვილი. კინორეჟისორებიდან ჩემი საყვარელი ალმადოვარია, ვოცნებობ მის ფილმში მოვხვდე. მთლად უტოპიური ოცნებაც არ არის, შესაძლოა ახდეს კიდეც ეს ყველაფერი. ამ ადამიანების ყურებით, მოსმენითა და წაკითხვით ჩამომიყალიბდა ეს ფილოსოფია. მიყვარს ყველაფერი ახალი, რაც სიკეთესა და სიყვარულს ქადაგებს და არის ორიგინალური, თვითმყოფადი და არა ვიღაცის მიბაძვა. არ არის აუცილებელი მარტო ერთ სფეროში რეალიზდე, შენს შემოქმედებით პოტენციალს ერთ ნამუშევარში ხომ ვერ მოაქცევ. ერთი კერძის მომზადებისასაც ხომ ყველა მასალას არ იყენებ? ყველაფერს გემოვნებით აზავებ, როგორც ამას გრძნობა გკარნახობს, ამიტომაც არის უნიკალური ის რასაც ქმნი. სწორედ ასეთმა შემოქმედებმა მიბიძგეს რომ ყოველთვის საჭიროა შინაგანი ძიება. ზოგჯერ ადამიანს ამაში მედიტაცია და ლოცვაც ეხმარება, ასევე, გულწრფელი ურთიერთობა, სეირნობა, ბუნება, დაკვირვება, კითხვა, სპექტაკლების ყურება, შრომა.



როგორც თქვი, რასაც აკეთებ ბოლომდე მიმყავსო, შესაბამისად, ალბათ დიდ შრომას დებ ამ ყველაფერში, ხომ ასეა?

იმდენად დიდ შრომას ვდებ ყველაფერში, რომ ჩემს მთავარ ნიჭადაც ეს მიმაჩნია. ძალიან ბევრს ვშრომობ და მგონია, რომ როდესაც ბევრს შრომობ და ბევრ რაღაცას აკეთებ, შეუძლებელია იქიდან რამე არ გამოვიდეს, ეს ყველაფერი აუცილებლად რეალიზდება რაღაც ენერგიაში. ამას არა მაინცდამაინც მატერიალური, გაყიდვის, კუთხით ვგულისხმობ. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ, ჩვენ, ხელოვანებიც, ისევე როგორც ყველა, მატერიალურადაც რეალიზებულები უნდა ვიყოთ და ამაში სასირცხვილო არაფერია, პირიქით, საამაყოცაა. გამოდის რომ ვიღაცას მოსწონს ნამუშევარი, რადგან ყიდულობს, ვიღაც შენი ნამღერის მოსასმენად მოდის, მიზანიც ხომ ესაა - შენი შემოქმედება გავრცელდეს და ხალხმა ისიამოვნოს შენით.

პირადად შენ რას იღებ, როცა რეალიზდები როგორც მხატვარი, ან როცა მღერი და სპექტაკლს თამაშობ?

რამდენიმე ექსპერიმენტული სპექტაკლში მითამაშია, ფილმშიც გადამიღეს. ყველაფერი ეს, ხატვისა და სიმღერის ჩათვლით, ისეთ სიამოვნებას იწვევს ჩემში, ვერც აღვწერ. ყველა ჩვენგანი შეიძლება იყოს ძალიან კარგი მწერალი, მოცეკვავე, მაგრამ ამას მიღწევა სჭირდება და ყველამ თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს. მე ვერასოდეს გავხდები მაგალითად, რაგბისტი, ისევე როგორც ბებიაჩემი ვერ იქნებოდა ბალერინა. მაინც მგონია რომ ყველა ადამიანს შეუძლია გააკეთოს ის რასაც მოისურვებს.

თეატრში არსებობს ასეთი ტერმინი - „ამპლუა“. გინდა თუ არა ეს, საზოგადოება ყოველთვის გახვევს თავს ათას რაღაცას, მაგრამ ყველაზე უკეთ თავად იცი რა ამპლუაში ხარ და რა დიაპაზონში შეგიძლია მოღვაწეობა. არ უნდა გქონდეს უტოპიური იდეები - მთვარეზე გაფრენა, კოსმოსში გაფრენა - ამაზე ოცნებას არავინ ითხოვს. საკუთარი შესაძლებლობები ყველაზე უკეთ ადამიანმა იცის. სხვათა შორის, ხშირად ვუსმენ საინტერესო ადამიანების ლექციებს ტვინის შესაძლებლობებსა და გონებაზე. ძალიან მეხმარება ვიზუალიზაციის მეთოდი, ეს ცნობილი ხერხია, როდესაც ადამიანი თავის თავს სცენაზე წარმოიდგენს, გონებას თურმე შეუძლია ისე მოემართოს რომ ეს მერე მართლა მოხდეს. მაგალითად, ახლახან საცხოვრებელი სახლი გამოვიცვალე და ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი ვარ ამით. მანამდე ვიჯექი და წარმოდგენილი მქონდა ახალ გარემოში, ახალ სახლში, ჩემი ნამუშევრების გარემოცვაში ყოფნა და შედეგად, ეს ახდა კიდეც. ეს სასწაულად არ მიმაჩნია, ეს მართლა შედის ადამიანის გონების შესაძლებლობებში. მე ეს მინდოდა და ამის პოტენციალიც მქონდა, ხომ არ წარმომიდგენია უზარმაზარი აუზიანი ვილა. მე ეს მაკმაყოფილებს, ასეც ბედნიერი ვარ.

აქვე, სანამ მკითხავ, მივადგები იმ თემას, თუ რატომ არ მივდივარ ევროპაში. ხშირად მეკითხებიან რატომ არ მიდიხარ აქა თუ იქ, მე კი პროტესტი მიჩნდება. ცოტა პარადოქსულია, თუ ასეთი კარგი ვარ რატომ არ გინდა რომ ჩვენივე ქვეყანაში დამაკავო? და მაგზავნი სადღაც სხვაგან, სადაც გასაგებია, რომ უფრო დიდი ბაზარია და კარგად გავიყიდები, მაგრამ რადგან არ მნდომებია არსად წასვლა, ე.ი ამ ეტაპზე მაკმაყოფილებს ასეთი ცხოვრების წესი და ეს მაბედნიერებს, ჩემი ახლობლების გარემოცვაში, ამ გარემოსა და ბუნებაში ყოფნა, მიუხედავად იმისა, რომ გარშემო ბევრი სირთულეა.

რას იღებენ ადამიანები შენი მოღვაწეობით, როცა ნახატებს სახლებში კიდებენ, კონცერტზე ან სპექტაკლზე მოდიან, როგორი უკუკავშირია? რა არის ის, რასაც ადამიანებს შენი შემოქმედებით აძლევ?

უპირველესად, უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ტაშს გიკრავენ და გაქებენ, გეუბნებიან რომ ისიამოვნეს და მოეწონათ შენი ნამუშევარი. სხვა რა უნდა უნდოდეს ხელოვანს. თუმცა, აქამდე მოსასვლელად დიდი გზაც გამოვიარე. ჩემი ხმიდან გამომდინარე, ძალიან დიდი პრობლემები მქონდა, მათ შორის, კონსერვატორიაში სწავლის პერიოდშიც. მე უფრო სოპრანისტი ვარ, უხეშად რომ ვთქვათ, მამაკაცის ხმა, რომელიც ქალის დიაპაზონში მღერის და ვარ კონტრ ტენორი, ვმღერი ძველებურ, ბაროკოს პერიოდის მუსიკას, თუმცა არც თანამედროვეს გავურბივარ და ძალიან მიყვარს ექსპერიმენტები, სიახლეები, ნებისმიერ ექსპერიმენტზე ვთანხმდები თუ მარტივი, ბანალური და თითიდან გამოწოვილი არ არის.

რას გამოარჩევდი ბოლო პერიოდის შემოქმედებიდან, რომელ ექსპერიმენტს?

ბოლო პერიოდიდან ჩემი და უტა ბექაიას პროექტებს გამოვყოფდი, რომელთა ფარგლებშიც ვმღეროდი ბაროკოს არიებს, რაც უშუალოდ ჩემი ხმისთვის არის დაწერილი და ამ ამპლუაში ისე ვარ, როგორც თევზი წყალში, აბსოლუტურად თავისუფალი. უტამ კი, აბსოლუტურად ორიგინალური კოსტიუმები შექმნა. სწორედ ასეთ ორიგინალობაზე ვსაუბრობ, მისი ნამუშევრები არის გამორჩეული, ინდივიდუალური, ერთადერთი და განუმეორებელი. მიუხედავად იმისა, რომ ბაროკოს ვმღერი არ ნიშნავს რომ ბაროკოს კოსტიუმები მეცვას, ყველანაირად ვეცადეთ, რომ შესრულება ავთენტური ყოფილიყო ინსტრუმენტებით, ხმით, კოსტიუმებითაც. შეიძლება ძველი კოსტიუმები გამოიყენო, მაგრამ ახალი სიცოც-

ხლე შესძინო. არაამქვეყნიური და კოსმოსური ტიპის კოსტიუმები, რომლებიც მეცვა, ძალიან მოუხდა ერთმანეთს. ჩემი კონცეფციაც ეს არის, ვერ ვიტან ყველაფრის ერთმანეთთან შეხამებას, ყოველთვის მიყვარს აცდენილი ემოციებიცა და ფერებიც. ყველა ფერი ერთმანეთს უხდება. სიჭრელე და ეკლექტიკაა ჩემთვის მთავარი.

შენი ნახატებიც ხომ საკამოდ ფერადია, ეს არის შენი ხიბლი?

ბევრს მოსწონს ხოლმე რომ მრავალი სტილი და მიმართულება მაქვს, მაგრამ ჩემს ნამუშევრებს ალბათ მაინც გამოარჩევენ. ჩემი განსაკუთრებულობაც იმაში მინდა იყოს, რომ ერთ სტილში მუშაობა არ შემიძლია, შეიძლება პერიოდები მქონდეს და ერთ სტილში ვიმუშავო, მერე სხვაზე გადავიდე და მერე ისევ დავუბრუნდე. არ არსებობს სამყაროში ორი ერთნაირი რამ, არც ნახატი, არც ნამღერი შეიძლება იყოს ერთნაირი ემოციით. მინდა ბევრნაირი გამოცდილება და ემოცია მივიღო, ისევე როგორი ბობოქარი და მრავალფეროვანიც არის ცხოვრება.

როგორ ფიქრობ, რაში ეხმარება ან შეიძლება ეხმარებოდეს თანამედროვე საზოგადოებას სიახლისა და მრავალფეროვნებისკენ სწრაფვა?

რა თქმა უნდა, მზა რეცეპტი არ მაქვს, მაგრამ, ჩემი აზრით, თუ ადამიანმა დაინახა რომ შემოქმედებითი არსებაა და ყველაფერს შემოქმედებითად მიუდგება, ტოლერანტულიც იქნება, არც მრავალფეროვნების შეეშინდება, არც რაიმე სიახლის ან ჩარჩოს მიღმა გასვლის. ახლა ხელოვნებაში ძალიან პოპულარულია სოციალური თემატიკა, რაც გასაგებიცაა, მაგრამ ეს არის ერთ-ერთი და არა ერთადერთი მიმართულება. ჩემს ხელოვნებას შეიძლება სალონურიც ვუწოდოთ. ცოტა ხნის წინ მეგობარს ვეუბნებოდი, მეც სოციალური არტისტი ვარ-მეთქი, თუნდაც მარტო იმიტომ რომ ნამუშევრებს დაბალ ფასში ვყიდი. რა არის იმაზე მეტი სოციალური მესიჯი, რომ ხელოვნება ხელმისაწვდომი გახდეს. ადამიანს შეიძლება ჩემი გვირილა, ჭიამაია თუ ბაბუაწვერა აბედნიერებდეს და ეს მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ყველაფერი მაინცდამაინც აქციებზე სიარული ხომ არ არის. ასევე, დიდი სიამოვნებით, ბედნიერებითა და ენთუზიაზმით ვერთვები საქველმოქმედო გამოფენებსა თუ კონცერტებში. ჩემი მიმართულება მაინცდამაინც სოციალურ თემატიკაზე ხატვა არ არის, ხშირად მეკითხებიან რატომ არ ვხატავ, მაგალითად, თუნდაც ლგბტ ან მაღაროელების თემატიკაზე. ჩემი პასუხია რომ ამის საჭიროებას არ ვგრძნობ. ვიღაცები ამაზე უკვე ხატავენ და ზოგჯერ ძალიანაც მომწონს მათი ნამუშევრები, მაგრამ მეც მაინცდამაინც მათნაირი ხომ არ უნდა ვიყო. მე ჩემი ცხოვრების გზა და მიმართულება მაქვს, მთავარია არ ემსახურებოდე ბოროტებას, არამედ, ემსახურებოდე ადამიანს.

რამ შეგიწყო ხელი, რომ საკმაოდ კონსერვატიულად განწყობილ საზოგადოებასა და შესაბამისად, სახელოვნებო სფეროშიც, სირთულეების მიუხედავად, რეალიზებულიყავი?

არ მინდა ისე გამომივიდეს, რომ ეს ყველაფერი მარტო ჩემი დამსახურებაა. ადამიანებს ყოველთვის ყველაფერს ვუფასებ და მადლიერი ვარ მათი გვერდში დგომისთვის. მაგრამ როცა თავიდან სცენაზე გამოვდიოდი, მე ვმღეროდი და ბევრი იცინოდა. მხატვრის თვალი მაქვს და ყველაფერს ძალიან კარგად ვხედავ, ნელ-ნელა ეს შემცირდა და თითქმის გაქრა. უბრალო ადამიანები უფრო კარგად მაფასებენ და მათი დაფასება და მადლიერება ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პროფესიონალების. როცა დაცინვებმა იკლო, ბევრი მეუბნებოდა რომ აღფრთოვანებას მარტო ჩემი გამბედაობით ვიმსახურებდი, თუმცა ძალიან არ მინდა ტრაბახში გადამივიდეს. მეც ძალიან ბევრი რამ გადავლახე, რომ დღეს ადამიანებისთვის სცენიდან თავისუფლად მეყურებინა.

შეიძლება ითქვას, ადამიანების რწმენა დაგეხმარა. იმიტომ რომ, თუ ეს რწმენა არ გექნებოდა, ძალიან გაგიჭირდებოდა გრძელვადიან პერსპექტივაში.

ისევე, როგორც მჯერა, რომ პურის გამოცხობა ყველას შეუძლია და როგორი პურიც არ უნდა გამოაცხოს, ეს კარგი და საუკეთესო იქნება თავისთვისაც და სხვებისთვისაც, ასევე მჯერა რომ ადამიანს სიკეთის ფორმულა იმთავითვე აქვს საკუთარ თავში და არ არსებობს აბსოლუტურად ბოროტი ადამიანი. ადრე სცენაზე შავი კოსტიუმით, აკადემიურად გამოვდიოდი, ახლაც გამოვალ თუ საჭიროა, მაგრამ როცა იმგვარ კოსტიუმსა და ამპლუაში ვარ, სადაც გენდერი წაშლილია, უფრო თამამად ვმღერი და დარბაზიდან წამოსული ემოციით ვგრძნობ ხოლმე რომ ყველა მათგანი ჩართულია და უსმენს. რაც ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ვისწავლე ისაა, რომ ეს არ არის მხოლოდ ემოციის, არამედ დიდი პროფესიონალიზმის შედეგიც.

რა ემოციებს აღძრავს, შენი აზრით, მსმენელებში შენი შესრულება?

კონცერტის დროს, ვივალდი ჰენდელი (ბაროკო) ჟღერდება, რაც დიდ სენტიმენტებს იწვევს, თითქოს მარტივი მელოდიაა, მაგრამ იმდენად გენიალური რომ ძალიან დიდ ემოციებს აღძრავს და შესაძლოა, კათარსისიც გამოიწვიოს ხალხში. იმ დროს, როდესაც სცენაზე მსახიობი ან მომღერალი - შემსრულებელი - გამოდის, მაყურებელი ღმერთის პოზიციაშია, ის სკამზე ზის, გაკვირდება და გიყურებს, ხან გაიცინებს ხან იტირებს. შენ კი, ამ დროს ნამდვილი ადამიანი ხარ, რომელიც თამაშობს ან მღერის, შენ კი არ ხარ ღმერთი სცენაზე გამოსვლისას, არამედ სწორედ მაშინ ხარ ადამიანი და ღმერთები გაკვირდებიან. სცენაზე გასვლისას აბსოლუტური სიშიშვლის შეგრძნება მაქვს, როგორც აბანოში. სწორედ ამიტომაც არის ღელვაც და კანკალიც.

მე მოსმენისას ცხოვრების წარმომავლობის შესახებ სევდას მახსენებს.

ხელოვნებაც ხომ დაკარგული სამოთხის ძიებაა, ჩვენც ასე ვართ და ალბათ სწორედ ეს აისახება მუსიკაშიც.

თუ დაკვირვებიხარ, შენი ნახატების შეძენით ძირითადად ვინ არის ხოლმე დაინტერესებული?

ჩვეულებრივი ადამიანები, ძირითადად ქალები ჭარბობენ. ქალები არიან ისინიც, ვინც თამამად მეუბნებიან კომპლიმენტებს, თამამად ტირიან და ნამუშევრების შეძენითაც უფრო ქალები არიან დაინტერესებულნი, თუმცა კაცებიც გამოერევიან ხოლმე. კაცებს უფრო უჭირთ ემოციის გამოხატვა, მაგალითად, თუნდაც ფეისბუქზე გულის დაწერა.

როგორც ვიცი, ახლა პერსონალური გამოფენა გაქვს, ხომ ასეა?

დიახ, პერსონალური გამოფენა მაქვს, რომელიც 22 სექტემბერს, 18:00 საათზე იხსნება და 1 თვე გაგრძელდება. თემატურადაც ბევრი ნახატი გამოვფინე, სტილისტურადაც - მინიმალისტური უზარმაზარი აბსტრაქციებიდან დაწყებული, მინიატურებით დამთავრებული. ასევე გამოვა ჩემი ნახატებით გაფორმებული წიგნი, რომლის ავტორიც საბავშვო მწერალი ვასო გულეურია. ძალიან მიხარია, რომ ჩემი ილუსტრირებული პირველი წიგნი გამოიცემა. „ქარის მოყოლილი ამბები“, ასე ჰქვია და მალე

ჩაეშვება გაყიდვაშიც. ბედნიერებად მიმაჩნია, რომ რასაც ვაკეთებ, ყველაფერში მეტნაკლებად რეალიზებული ვარ და დაფასებასაც ვხედავ.

რომელ წლებში შესრულებული ნახატები იქნება გამოფენილი?

ძველებიდან მოყოლებული, რამდენიმე დღის წინ შექმნილიც. არსებობს ასეთი Living Museum, მსოფლიოშიც არსებობს ასეთი მუზეუმები, სადაც ადამიანებს, რომლებსაც ჰქონდათ სუიციდის მცდელობა და რთული მდგომარეობა, არტ თერაპიით ეხმარებიან. ამ იდეით ნათია ფანჯიკიძე დამიკავშირდა, რომელსაც ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი „კამარა“ აქვს გახსნილი. პაციენტები ყველა ასაკობრივი კატეგორიის არიან და მათ ექიმები, ფსიქიატრები ეხმარებიან. ამ მუზეუმში, რომელსაც ტკივილების მუზეუმი დავარქვი, მუდმივმოქმედი გამოფენები იქნება, რომლის ფარგლებში 3-4 მხატვრის გამოფენა იქნება, „ლივინგ მუზეუმის“ მეგობრები და ავტორი. ამ გალერეაში სახლური სიტუაციის შესაქმნელად, გამოვფინე ნამუშევრები, რომლებშიც ყველაფერი სახლში ხდება და „ოთახები“ დავარქვი. აქ არის ყველაფერი - მაგიდაზე დალაგებული ჩემი ნამცხვრები, შინაური ცხოველები თუ ფანჯრიდან დანახული სამყარო თუ მცენარეები. ბევრი ნამუშევარია, მგონი 100-ზე მეტი. დიდი ხანი, დაახლოებით 5 წელია რაც გამოფენა არ მქონია, ადრე ხშირად ვაკეთებდი, წელიწადში 2-3-ჯერ. კონცერტზე მეტი პასუხისმგებლობა გამოფენაა და უფრო დამღლელიცა და ემოციურიც.

რადგან კონცერტებიც ახსენე, ბოლო 5 წლის განმავლობაში რომელ შენს შესრულებას გამოყოფდი?

თითქმის 40 წლის ასაკში პირველად ვიმღერე ჩვენი ოპერის თეატრის სცენაზე. ჩემი ხმის სპეციფიკიდან და იმ ინტერესიდან და მოთხოვნიდან გამომდინარე, რაც არის, იდგმება ნაწარმოებები მე-19 საუკუნის შუა პერიოდიდან მე-20-ს დასაწყისამდე, ერთი მთლიანი საუკუნეც კი არა. არ არსებობს ინტერესი დაიდგას უფრო გვიანდელი, მაგალითად, ბაროკო ან მოცარტი, მე-20 საუკუნის მუსიკა. ცოტა ხნის წინ კი, ექსპერიმენტი მოხდა დადგეს „კარმინა ბურანა“ ბალეტთან ერთად და ჩემი ხმა დასჭირდათ. კამერულ ორკესტრებთან არაერთხელ მაქვს ნამღერი, ვახტანგ კაციძე ჩემი უდიდესი გულშემატკივარია, ხოლო ჩემი ვოკალის პედაგოგია ქეთი ელიავა. მათთან დღემდე ვაგრძელებ ინტენსიურ თანამშრომლობასა და მეგობრობასაც.

ინტერვიუს ავტორი: ნინო ბოლქვაძე

ინტერვიუს ავტორი - ზურა აბაშიძე, მწერალი

იღღიები ამომივიდა სახეზე თითქოს ინტერვიუ ანდრო დადიანთან

ანდრო დადიანი თანამედროვე ქართველი ხელოვანია, რომელიც მუდმივად ცდილობს, მისთვის დამახასიათებელი სინაზითა და ჩაღრმავებით, მგრძნობიარე და ზოგჯერ უხეში ენით ილაპარაკოს თავის პერსონალურ და საზოგადო პრობლემებზე. პოეზია, პერფორმანსი, ვიზუალური ობიექტები, ფოტოები, თეატრი, ეს არასრული ჩამონათვალია მედიუმების, რომლებშიც საკუთარი ძალები მოუსინჯავს ხელოვანს.

ბევრგან გილაპარაკია ნიღაბზე, მაგრამ, ალბათ, ბოლომდე არ გაქვს ამოწურული სათქმელი – რატომ ნიღაბი და რატომ ანდრო დადიანი?

ჰო, თითქმის ყველა ინტერვიუ ამ კითხვით იწყება, მაგრამ რახან მრავალწახნაგოვანი აღმოჩნდა ეს შებურვა, კიდევ ვილაპარაკოთ – ჩემთვის ფსევდონიმიც ნიღბის ნაირსახეობაა და ალბათ ესაა ანდრო დადიანთან ამ გამომეტყველების ორგანულობა, სამკაული ან აქსე-

სუარი კი არაა ის, საკუთარი იდენტობის და ეგოს შთამნთქმელი მოწყობილობაა, ამ ვნებების გარეშე უფრო დისტანცირებულად შემიძლია შევხედო კოლექტიურსაც და პირადსაც. ნიღაბი საკუთარ თავში ჩატრიალებული მზერაცაა, რაც პერსონალურ და იმპერსონალურ ქვედინებებთან მაახლოებს; წონასწორობის საშუალებაა, რომ არ დავეცე, კუთხეში ზურგით დაყენებაა, რაც მაიძულებს, ინტუიციას და ფიქრს მოძრაობაც შევუყენო.

პირველი მოგონება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანსო, რახან შენი პერსონა და პირველსაწყისი ახსენე, შენს პირველ მოგონებაზე მინდა გკითხო...

ჰო, ჩვენი ბავშვობა ჩვენი წარმოშობის ადგილიაო, ამ მხრივ, არც ისე სახარბიელო წარმომავლობა მაქვს... დაახლოებით ორი წლის ვიყავი, დედა ლოგინად ჩავარდა, მთელი ორგანიზმი გაეთიშა, როგორც იციან ხოლმე, „ზალა“ გაარემონტეს და ელოდნენ, რომ რაიონში ჩამოასვენებდნენ, გამოსამშვიდობებლად თბილისში, ბოლო შეხვედრაზე წამიყვანეს მასთან, მახსოვს, პალატაში მის საწოლზე დამაჯინეს, სანიტარი იატაკს წმენდდა, მე კი დედაჩემის ნარინჯისფერ წიგნაკში ვჯღაბნიდი რაღაცას. ის მზიანი პალატა, სიკვდილ-სიცოცხლის აიწონა-დაიწონათი, არის ჩემი პირველი მოგონება.

ღრმა ბავშვობის შემდეგი განცდა ფოტოდან მოდის – დედა გადარჩა, მაგრამ ვერ დადიოდა, ბაღში ფეთხუმ მამაჩემს დავყავდი, ფოტოზე საახალწლო კონცერტია, ყველა გაპრანჭულია, სქელი მუყაოსგან გამოჭრილი გვირგვინები, ზედ მიწებებული დამსხვრეული სათამაშოებით, ადგათ თავზე, რომ იბრწყინონ, მე კი მკერდამდე აწეულ შარვალში გახუნებული სვიტრი მაქვს ჩატანებული და გულზე გაურკვეველი ფორმის „საზეიმო“ მავთული მკიდია. დღემდე ვერ ვხსნი, რა არის ეს რაღაც. შეიძლება ამ უცნაურ ნივთს უნდა ვუმადლოდე ჩემი კონცეპტუალური აზროვნების უნარებს, წლებია უტრიალებს ჩემი ტვინი იმ საგანს, მილიონი ინტერპრეტაცია გამოვიმუშავე, რა შეიძლება იყოს, მაგრამ ყველა აზრს სუფისტური ფინალი აქვს – „ალაჰმა უწყის!“

სუფისტური პასუხი არ ექნება ალბათ მომდევნო კითხვას, რატომ აირჩიე პერფორმანსი შენს ერთ-ერთ მედიუმად?

კი, ალაჰმა უწყის ეგეც! გულწრფელად გითხრა, არცერთ მედიუმში მისი ფლობით ფეხი არ შემიდგამს, მეტიც, პერფორმანსის არსებობა მას შემდეგ გავიგე, რაც პირველი პერფორმანსი გავაკეთე, მერე მარინა აბრამოვიჩი მანახეს, ეს ცნობილი პერფორმერიაო, მე სახელებს ვერ ვიმახსოვრებ და კარგა ხანს ,,მანანა აბრამოვიჩს" ვეძახდი და ვეძებდი ინტერნეტში. ასე პოეზიაშიც: მითხრეს, შენს გამოცდილებაზე დაგვიწერეო და გაგზავნილ ტექსტზე მომწერეს, რომ მუსიკალურია ჩემი ვერლიბრი, მადლობა გადავიხადე და მერე დავგუგლე, რას ნიშნავდა სიტყვა „ვერლიბრი“.

განცდების შემგროვებელი ადამიანი ვარ, მთავარია გრძნობა და ის თავად ქანდაკდება ლექსად, ფოტოდ, ობიექტად ან პერფორმანსად. ერთს, რასაც სხვადასხვა მედიუმებში მოძრაობისას თავს ვთხოვ, ისაა, რომ ფოტოგრაფისთვის კარგად დაკვრით და პიანისტისთვის კარგად წერით არ დაკმაყოფილდეს... თავგანწირვა და საკუთარი თავის სათქმელში ჩაფენა უნდა ახლდეს ხელოვნების აქტს, იმ მედიუმისადმი პატივისცემა, რომელითაც ფიქრი ხმოვანდება. თუკი საკუთარი ღირსება, კანი და ზოგჯერ სიცოცხლეც კი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სათქმელის ამოთქმა, ჯობია არც ითქვას, მაინც არ ექნება ძალა ადამიანის ყურს მისწვდეს, შეაჩეროს და აზრისკენ მოახედოს.

როგორ ემზადები პერფორმანსებისთვის? როგორ ჩნდება იდეები და რა პროცესებს გადიხარ, სანამ ადამიანებამდე მიიტან შენს ნამუშევრებს?

შესამეცნებელი საგნები მხოლოდ სიყვარულის იდეით შეიძლება იყოს შემეცნებულიო –

ფაქტობრივად, ეს ცხოვრებასთან შეთქმულებაა და თან როგორი ლამაზი?! მეც ვცდილობ, ზიზღის მარხვაზე და სიყვარულის ყველიერზე ვიყო. განსაკუთრებულად არაფრისთვის ვემზადები, ბრძოლით საფუძველი იღლება, უბრალოდ ვხვდები, როგორც მიწა გაზაფხულს. მთავარი სამუშაო გემოვნების მუდმივი დახვეწა და მასთან დაწევაა, ვცდილობ, მზად დავხვდე წუთს, როცა ფიქრი აზრად უნდა იქცეს და მერე ფორმა, მანერა, გრძნობა შევძინო.

ბოლო წლებში ჩვენი საზოგადოება აქტიურად საუბრობს ჰომოფობიაზე, თუმცა ყოველთვის მრჩება განცდა, რომ ეს მსჯელობა არ ითვალისწინებს ჰომოფობიის კომპლექსურ ბუნებას. რა არის ჰომოფობია და სად ხედავ მისგან გამოსავალს?

ეს ქვეყანა საზოგადოებისა და ინდივიდის ჰარმონიულობის წინააღმდეგ მიმართული ენერგიით იმართება, ასეთ გარემოში ის უფრო მაფიქრებს, რომელი უკმაყოფილება არ შეიძლება გარდაქმნას უცბად მმართველმა ჰომოფობიურ ენერგიად. ჰომოფობია ის შავი ჯიპია, რითაც სულიერად გაძვალტყავებული ეკლესია და მთავრობა გადაადგილდება მშიერ ხალხში. ამ გარეწრების მიღმა ღარიბ ხალხს პროპაგანდამ დაასწავლა, რომ პრობლემაზე კი არ ილაპარაკონ, რამდენიმე ათეულ ჰომოსექსუალს აედევნონ და იქ დახარჯონ ბრაზი. ასეთ გარემოში ყავარჯნებად შემოთავაზებული ზიზღის გარეშე გადაადგილება ძნელია, რთულად დასატოვებელი კომფორტია მტრის

ხატის დაშლა და მისგან მოძმის გამოძერწვა მაშინ, როცა ჰომოფობია არ აწუხებს ადამიანს და უამრავ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებშია ჩაფლული ის.

პროვინციაში ორსული ქალი საავტომობილო გზაზე წვება, გზას კეტავს, რომ სოციალური დახმარება აღუდგინოს სახელმწიფომ, ამ დროს ჩვენ მთავრობის სახლის წინ გვიჭირავს სიტყვები „მრავალფეროვნება“, „თავისუფლება“, „თანასწორობა“, „პატივისცემა“ – და ვის მივმართავთ ამ სიტყვებით? საზოგადოებას, რომელმაც ორსული ქალი მიატოვა და თავის პურის ფულს ჯართიდან ჩიჩქნის, თუ ოთხბორბლიანი მავზოლეუმებით, ჯიპებით რომ გადაადგილდებიან? სოციალური პრობლემებია ერთადერთი, რამაც შეიძლება ყველა გაგვაერთიანოს, როცა ეს პრობლემები მოგვარდება, ჰომოფობიური განწყობებიც ურთიერთპროპორციულად შემცირდება.

რისი გეშინია ყველაზე მეტად?

სიმაღლის მეშინია, სივიწროვის, მარტოობის, კმაყოფილების.

კმაყოფილება და „ეჭვშეუვალი“ ცხოვრება ლპობას თუ არა, ადგილზე გაჩერებას, გაქვავებას, გაძეგლებას ნიშნავს; ეჭვიანობა მარტოობად ხურდავდება, მარტოობას ნიშნავს; მარტოობა თავისუფლების პირობაა – თავისუფლება მარტოობაა; მარტოობა სიმაღლეა, ცერა თითებზე დგომა, დაძაბულობა და თრთოლა; სიმაღლეზე ყოფნა სიმაღლის შიშია, წნევა, სიცივეც და უჰაერობაც.

რა მახასიათებლები აქვს თანამედროვე ქართულ ხელოვნებას და რა არის ის მთავარი მესიჯები, რომელიც თანამედროვე ხელოვანების ნამუშევრებში შეიძლება ამოიკითხო აქ?

კორექტულობა, გარიყვის შიში, საერთო თხრობაში ჩართვის მცდელობა და თავზე ხელის მოცაცუნების სურვილი. როგორც ადამიანს ადამიანის, მესმის ეს და, ცხადია, თანავუგრძნობ

კიდეც, მაგრამ სწორედ ასეთი კორექტულობაა არაპოლიტკორექტული. ეს დინამიკა კოლექტიური ცნობიერების განმტკიცებელია და სულის, აზრის, ინდივიდის მნიშვნელობას ერთთავად სპობს. თავისუფლება თვალსაზრისების განსხვავებას აყენებს მის ცენტრში, ჩვენ კი პოლიტკორექტული უმრავლესობის დიქტატი გვადგას თავზე, სადაც პროპაგანდის მიერ ინდივიდუალურობის თვითრწმენით გაჯერებული -„განსხვავებულთა მარშები“ გადაადგილდებიან.



ტოტალიტარიზმისთვის პლაკატურობაა დამახასიათებელი და სწორედ ამას ვუყურებთ ახლა, ყველაფრის სათავე დესტრუქცია ჰგონიათ, ამ იკონოგრაფიის საყრდენი ქაოსია და ცდილობენ, ამით გადაიფაროს თეზის არცოდნა. ხვდები, რამხელა შინაგანი წინააღმდეგობითაა სავსე ეს დინამიკა? ძეგლის დადგმის სურვილია, მაგრამ მთავარი – შინაარსი-კარკასი არ არის. ამიტომ ეცემიან ხელოვნური ფორმების უხერხემლო რუპორები.

გასულ წელს შენი პოეტური კრებული, განსაწმენდელი გამოვიდა, მინდა, ამ წიგნზე მელაპარაკო, ასევე ეს ნაშრომი კონკურს „ლიტერაზე“ გაგზავნე, მერე კი ერთ-ერთი პირველი იყავი, ვინც მოხსნა წიგნი კონკურსიდან, რატომ გადადგი ეს ნაბიჯი?

ამ წიგნზე მუშაობამ ჩემსგან და ჩემი მეგობრებისგან დიდი ენერგია წაიღო, წლების მანძილზე მატყუებდნენ გამომცემლობები, რომ დაბეჭდავდნენ, ნერვების ომი გავიარე და, როგორც იქნა, 4 წლის შემდეგ გამომცემლობა „კალმოსანში“ დავასრულე ეს გზა. გულახდილად გითხრა, ორწამიანი სიხარულიც კი ვერ განვიცადე, ისე ვიყავი მოთენთილი სირთულეებით. ჩემთვის მულტიდისციპლინარულია ეს ნამუშევარი, მის ნაწილად მოვიაზრებ ოთხდღიანი პერფორმანსით პრეზენტაციას. წიგნი თავს უყრის პოეტურ „ready-made“-ებს, საუნდპოეზიის და ვიზუალური პოეზიის ექსპერიმენტებს, ასევე თავისთავად წიგნის, როგორც ნივთის კონცეპტუალურ და პერფორმატიულ სტრუქტურას.

რაც შეეხება კონკურსებს – ხელოვნებაში შეჯიბრზე მაღალი აზრის არ ვარ, უბრალოდ, პოლიტიკურად მნიშვნელოვნად მიმაჩნდა ჩვენი, ხმაწართმეული და სახეწართმეული, დეკლასირებული ადამიანების კულტურაში შეყვანის მცდელობა, ეს იყო მიზეზი კონკურში მონაწილეობის. მნიშვნელოვანად ჩავთვალე ასევე, არ მიეღო წიგნს მონაწილეობა, მისი შინაარსის საწინააღმდეგო, პარტიული ცენზურით მართულ პროცესში. სიყრმეშივე დამორჩილების

სურვილი ამოძრავებს დიქტატურას და ასე ამხელს მის ვინაობას, ამ პროცესმა გვაჩვენა ისიც, რომ თურმე პოეტების ეშინია მთავრობას, ჩვენ კი დიდიხნის მკვდარი გვეგონა პოეზია. ვაშა, ვაშა და ვაშა! დამოუკიდებელი შემოქმედებითი პროცესი ადამიანში თავისუფლებას და მოთხოვნებს ზრდის, ძველს აპროტესტებს და მომავალს აპროექტებს წარმოსახვით; მთავრობა, რომელიც აწმყოსაც ვერ ეწევა, ცხადია, შიშით უყურებს ისეთ ხვალინდელ დღეს, სადაც მათი ადგილი არ იძებნება, ამიტომაცაა რომ მეფე ჰეროდესავით დასდევენ სიახლეს და მომავლის იდეას.

რას ფიქრობ, არსებობს თუ არა ქართული ქვიარ კულტურა, როგორია ის და ვინ არიან ადამიანები, რომლებიც ქმნიან მას?

ჩემი გაგებით ქვიარ კულტურაა ის, სადაც ადამიანი დგას სოციალურ სტატუსზე და როლზე მაღლა. ამ თვალსაზრისით, ქვიარია მიხეილ ჯავახიშვილი თეიმურაზ ხევისთავის გამო, რადგან თეიმურაზის მიმართ თანაგრძნობას და სიბრაზეს აჩენს, ეს კი ადამიანში ადამიანის დაცვისა და პატივისცემის უმაღლესი გამოვლინება მგონია. ქვიარია ნიკო ფიროსმანი, როცა ორთაჭალის ტურფებს და ცხოველებს ხატავს ზეადამიანური გრძნობით; ვაჟა-ფშაველაც ქვიარია, რადგან ვაჟკაცი მტრის საფლავი ეტირება ქალს – „სიბნელეს უცდის, მივიდეს ჩუმად იტიროს მკვდარიო...“ ამ აზრით, ცხადია, რომ ქართული ქვიარ კულტურა არსებობს და იმაზე ადრეც კი იყო, ვიდრე სიტყვა „ქვიარი“ გაჩნდებოდა ლექსიკონში. ამიტომ, გაუგებარია პათოსი, რომ ქვიარმა უნდა გამოიყვანოს აზიიდან თუ კომუნიზმიდან ქართული კულტურა და დაუბრუნოს თუ მიუერთოს ღირსეულ ევროპულს.

„ქვიარს“, როგორც ჰომოსექსუალური თვითგამოხატვის ენასთან იდენტობას რაც შეეხება, ვიზუალურ ხელოვნებაში და თეატრში ესეც დიდი ხანია გვაქვს, ყეენობა-ბერიკაობაც ესაა მისი გადაცმით, სახის შებურვით, როლების უგულებელყოფით და საბჭოთა ქართული თეატრიც, ოცხელის წყალობით, მერე სტურუას 80-იანი წლების სპექტაკლები მისი ვიზუალურ-სარეჟისორო ენით.

როგორია შენი სამომავლო გეგმები?

არ ვიცი, რა გითხრა. ბოლო დროს ზედსართავების გარეშე ვცხოვრობ, არაფერი მნიშვნელოვანი. ფასეულობათა გადაფასების პერიოდი მაქვს, აქამდე ყველა ჩემი გეგმა ადამიანებს უკავშირდებოდა, უცბად ყველაფერი ამოყირავდა, რაღაც ძალამ მთელი მეტალი გაიწოვა ორგანიზმიდან, ნდობა, ინტერესი, მიზიდულობა გამიქრა ადამიანის მიმართ და ხელიდან გამომეცალა გეგმებიც, იღლიები ამომივიდა სახეზე თითქოს, უთვალებო გავხდი და უენო. მხოლოდ ასკეტიზმით შეიძლება საკუთარ თავს გადაუსწროს ადამიანმა, მგონი. მგონი, ყველაზე მეტი პასუხი სიჩუმეს აქვს და ვცდილობ, სიჩუმის ენა ვისწავლო; ნივთებისგან სიმშვიდე მინდა ვისწავლო, ვცდილობ, აღარ ვიყოყიალო, ლარნაკივით პირნათელი და საჭირო დროს ფუნქციური მინდა ვიყო, მინდა, რაც შეიძლება პატარა ადგილი დავიკავო სამყაროში და ჩემი ტემბრი მქონდეს.

▶ **ინტერვიუ ეკა ტყემალაძესთან**

თოდია, ჰომედმაც ფჩენა შეძლო

ბავშვობის წლები

უკრაინაში, ქალაქ ოდესაში დავიბადე, 1983 წელს, 15 დეკემბერს. გაჭირვებულ ოჯახში დავიბადე, იმ პერიოდში ებრაელებს ავიწროებდნენ და სამსახურის შოვნა ჭირდა, ბებია მათემატიკოსი იყო და სამსახურში არ იღებდნენ. ეს, რასაც ვყვები, გადმოცემით ვიცი. ჩემი თავი დაახლოებით 3-4 წლიდან მახსოვს. მახსოვს ჩემი სახლი ოდესაში, ერთი ოთახი ბნელი და მტვრიანი ნათურით და ძველი რემონტით. იტალიურ ეზოში, მეორე სართულზე. ეზოში ქვიშა დაყრილი, მქონდა მოკლედ შეჭრილი თმა და მყავდა დიდი ნაცრისფერი კატა, რომელსაც ვიხუტებდი ხოლმე. აი, ეს დეტალები მახსოვს, სხვა არაფერი - არც დედა, არც მამა, არც ძმა, გვიან გავიგე საერთოდ რომ ძმა მყავდა. ჩემზე სამი წლით უფროსი ძმა მყავდა. ჩვენ სხვადასხვა მამა გვყავდა და ჩემმა მამამ, როცა დედას ორსულობა გაიგო, მიგვატოვა. დედას ფსიქოლოგიური პრობლემები დაეწყო და დაახლოებით ოცდაათი წლის იქნებოდა, როცა ფსიქიატრიულში მოხვდა. დედა თურმე ძალიან კარგად ფლობდა ინგლისურს და ძალიან ლამაზი ქალი იყო, ან არც, არ ვიცი, იმიტომ რომ დღემდე ვეძებ დედას. 26 წლისამ ვიპოვე მთელი ჩემი სანათესავო, მაგრამ დედაჩემი ვერა.

ძალიან ცხადად მახსოვს, ერთ დღესაც, ქვიშაში ვთამაშობდი და ეზოში შემოვარდა ლურჯი ფერის მანქანა, მახსოვს მრგვალი ფარები და ფორმაში ჩაცმული მამაკაცები იყვნენ. ორნი იყვნენ და დამინახეს თუ არა, ერთმანეთს ჩაულაპარაკეს „это она“. არც დედასთან ავიდნენ, ჩემი მანქანაში ჩასმა უნდოდათ, მე შემეშინდა და ყვირილი დავიწყე. კიდევ ერთი მომენტი, რომელიც ძალიან კარგად მახსოვს, არის თუ როგორ გამოვარდა დედა სახლიდან თეთრს პერანგში და ჩემი დაცვა სცადა. შვილს სახელმწიფო ასე ადვილად ვერ წაგართმევდა, თუ ხელს არ მოაწერდი რაღაცას. შეიძლება დედამ მოაწერა კიდევ ხელი იმას, რომ ჩემთვის უკეთესი მომავალი შეექმნა, თუმცა დრო როცა მოვიდა, ალბათ მზად არ იყო.

ამის შემდეგ ბავშვთა სახლში აღმოვჩნდი, იქ დიდხანს ვიყავი. მახსოვს სულ დედას ველოდებოდი, ვერ ვხვდებოდი აქ საიდან გავჩნდი. სხვათაშორის, ბავშვთა სახლში არავინ მომაკითხა. ეს ყველაფერი უკრაინაში, ხუთ წლამდე ხდებოდა, ჩემი დაბადების სახელია ლუდმილა ვაინშტეინი-ნიკალაევნა. ერთხელაც დამიძახეს და ორი ქალბატონი გამაცნეს, ჩემი მომავალი დედა, ქართველი და მისი მეგობარი, მზია. დამათვალიერეს, დამელაპარაკნენ, მოვეწონე. ცოტახანში მეორედაც ჩამოვიდნენ და საქართველოში წამომიყვანეს. საქართველოში ჩამოსვლამდე კიდევ ერთი მომენტი მახსოვს, ბავშვთა სახლში ერთად გვეძინა ხოლმე და ჩემს გვერდით ერთი ბიჭი იწვა და იმან მითხრა: ლუდა, შენ ახლა საქართველოში წახვალ, იქ ყველაზე დიდი მთებია, მთაზე ალუბლის ხეა, კიბეც იქნება, ახვალ და ბალს შეჭამო. მახსოვს თავიდან ძალიან გაბრაზებული ვიყავი, არ მინდოდა ჩემი მეგობრების მიტოვება, დედაჩემის მეგობარმა ხელში ამიყვანა, შოკოლადებს მაძლევდა და მე უარი ვუთხარი. თბილისში ღამე ჩამოვედით და ჩემს მომავალ დეიდასთან მივედით. აქედან დაიწყო ჩემი ცხოვრება საქართველოში. აქ ჩემი ასაკის დეიდაშვილი დამხვდა, ვეკა, დღეს დასავით არის ჩემთვის. შემდეგ დედამ მუხიანში წამიყვანა და იქ დაიწყო ჩვენი თანაცხოვრება. დედაჩემი ძალიან კარგი ქალი იყო. ვფიქრობ, თავიდან ცოტა უჭირდა ჩემთან კონტაქტში შემოსვლა, არ იცოდა რაზე უნდა ესაუბრა, ჩვენ შორის სხვაობა ხომ ორმოცდაათი წელი იყო. თავიდან დედას ვერ ვეძახდი და ერთხელაც მითხრა, დედა უნდა დამიძახოო და მეც ნელა-ნელა დავიწყე და შევეგუე იმ ფაქტს, რომ ახლა ამ ოჯახში უნდა გავზრდილიყავი.

კარგი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდა დედასთან?

დედასთან კარგი ურთიერთობა მქონდა, თუმცა აზრთა სხვადასხვაობა მაინც ყოველთვის იყო, განსაკუთრებით მოზარდობაში - მეგობრებთან დარჩენა, სადმე წასვლა, რომ მინდოდა ხოლმე, არ მიშვებდა. ეშინოდა და გასაგებიცაა, საქართველოში ყველა მშობელს უნდა ეშინოდეს.

თავიდან დედას არ ეძახდი, მაგრამ ნათელი მოგონებები როდის გაჩნდა?

შეგუების პროცესში, პატარაობისას, ვცდიდი დედაჩემს, მაინტერესებდა როგორი ხასიათის იყო, როგორი იქნებოდა გაბრაზებული. ის კი, ძალიან თავშეკავებული ქალი იყო, ხელი არასდროს აუწევია. სკოლის პერიოდში ფეხით ძალიან ბევრს დავდიოდით ხოლმე ერთად, მუხიანიდან საბურთალოზე დავდიოდი სკოლაში და მახსოვს, პირველ კლასში დედაჩემი როგორ მაცილებდა ხოლმე დილაობით. ეს პერიოდი თბილად მახსოვს, მაგრამ დედაჩემის ეს გამოცდის პერიოდი ძალიან გამიგრძელდა და ერთი თვით მის დასთან სოფელში გამიშვა. ამხელა სიშორე არასდროს გვქონია, სულ ერთად ვიყავით. თუმცა, ძალიანაც კარგი ქნა, იმიტომ რომ იქ დასვენებისას, პირველად მომენატრა, თანაც ძალიან. ამ დროის განმავლობაში ალბათ სპეციალურად არ ჩამოდიოდა და ერთი თვის შემდეგ, როცა ჩამოვიდა, კამფეტები ჩამომიტანა, ავხტი, ჩავეხუტე, ჩავკოცნე. ეს იყო დედაშვილური სიყვარულის პირველი, ყველაზე ნამდვილი გამოვლინება. ამის შემდეგ სხვანაირი სითბო გამიჩნდა დედაჩემის მიმართ. სითბოს გაჩენა ხომ შეკვეთით არ ხდება, რაღაც, ბიძგი გჭირდება და ჩემთვის ეს იყო ბიძგი. დედაჩემის ხათრით, სტომატოლოგიური კოლეჯიც კი დავამთავრე.

შენი სურვილი არ იყო?

არა, მე ბავშვობაშივე ვხატავდი. პირველ კლასში ასეთი დავალება მოგვცეს, დაგვეხატა ვაშლები. მე დავხატე ორი ვაშლი ჩემი ჩრდილებით, შენახულიც მაქვს, სკოლაში წლობით ეკიდა. ახლაც ასე ვხატავ, თვალებს დავხუჭავ და წარმოვიდგენ, სად რა და როგორი ფერის უნდა იყოს ჩემი ნახატი. ალბათ ეს თანდაყოლი ნიჭია, იმიტომ რომ მასწავლებელთან არასდროს მივლია.



დედა თვითონ რა პროფესიის იყო, რას საქმიანობდა?

დედამ ორმოცდახუთი წელი თბილისის გამწვანებაში იმუშავა, აგრონომი იყო. მისი დაბალი შემოსავლით ვცხოვრობდით, იმიტომ რომ მაშინ, ისევე როგორც ახლა, ხელფასები ძალიან დაბალი იყო. მახსოვს დამატებითი შემოსავალი რომ გვქონოდა, თბილისიდან სოფლებში დავდიოდით და პურს ვყიდდით. მაშინ შვიდი წლის ვიყავი. დილის ხუთ საათზე ვდგებოდით, ყველაზე მძიმედ ზამთრები მახსოვს, ჩამტვრეული მინები მატარებელში და ჩვენ კი, ფეხით დავდიოდით და დაგვქონდა პური, ვყიდიდით ან ვცვლიდით ყველში, ლობიოში, მჭადის ფქვილში. დედაჩემი მარტოხელა დედა იყო და სხვა გზა არც გვქონია.

შენი პირველი სამსახური რა იყო?

სტომატოლოგიის განხრით კოლეჯის დამთავრების შემდეგ, დიპლომიც ავიღე. სხვათაშორის კარგად ვსწავლობდი ანატომიაფიზიოლოგიას, იმიტომ რომ ძალიან კარგი მასწავლებელი მყავდა, ლალი ახალაია. ჩემი მეგობარიც იყო, კოლეჯის მერე ვსეირნობდით ხოლმე და ერთადერთი თბილი მასწავლებელი იყო. მაშინ მე თხუთმეტი წლის ვიყავი, ის ოცდარვის, ყურადღებით მისმენდა, აინტერესებდა ჩემ შესახებ და მეც მსიამოვნებდა ამ ადამიანთან ურთიერთობა, მისი დამსახურებაა, რომ კარგად ვსწავლობდი ამ საგანს. უკვე დრო იყო მემუშავა და ჩემი პირველი სამსახური ჩვიდმეტი წლის ასაკში დავიწყე, რესტორანში მიმტანად. ლაღი ბავშვობა არ მქონია, არც არავინ მეგობრობდა ჩემთან.

ეთნიკური ნიშნით თუ გრძნობდი რაიმე განსაკუთრებულ დამოკიდებულებას გარშემომყოფთა მხრიდან?

სხვათაშორის, ბიჭებთან ცუდი ურთიერთობა არ მქონდა, ვმეგობრობდით, ჩემი ჩაცმულობის გამო გოგოებისგან უფრო ვგრძნობდი დისკრიმინაციას. არ მემეგობრებოდნენ, შეიძლება ქართულ-რუსული აქცენტიც მქონდა,

კარგად ვერ ვლაპარაკობდი, თან ასაკოვანი დედა მყავდა, ზოგი ბებიასაც ეძახდა, ბებიაშენი მოვიდაო წამომაძახებდნენ ხოლმე და მეც, რა თქმა უნდა, მწყინდა, მაგრამ ისეთი ჩაკეტილი და მშვიდი ვიყავი, თავის დაცვის საშუალება არასდროს მქონია. მხოლოდ ერთი გოგო, მზია, მემეგობრებოდა, სკოლის შემდეგ თბილ მილზე ვისხედით ხოლმე და ვსაუბრობდით.

რა იყო ხოლმე შენი თავშესაქცევი სკოლის მერე, რაც გაძლიერებდა, კარგ ხასიათზე გაყენებდა, გართობდა?

ძალიან მინდოდა მეგობრები მყოლოდა, მათ დანაკლისს აშკარად ვგრძნობდი. ეზოში ბავშვები კი ვთამაშობდით ხოლმე, მაგრამ იმ კლასელ გოგოსთან ოცნებებზე ვლაპარაკობდით და მეც მომწონდა მასთან საერთო ინტერესი და ღრმა ურთიერთობა რომ მქონდა. თუ ვინმე არასწორად მექცეოდა, ეს სკოლის მასწავლებლები იყვნენ, რუსული უკვე დავიწყებული მქონდა და როცა ერთხელ დავალებაში შეცდომა დავუშვი, მასწავლებელმა ამაყენა და მთელი კლასის თანდასწრე-

ბით რუსულად მითხრა, ტყემალაძე, რა დეგენერატი ხარო! რადგან შორს ვცხოვრობდი, დედაჩემი ბევრ საჭმელს მატანდა ხოლმე და ერთხელ რვეული გამიცხიმიანდა, მასწავლებელმა აიღო და მთელს კლასს ანახა, ნახეთ როგორი აქვს ეკასო, ძალიან შემრცხვა. აი, ეს იყო დისკრიმინაცია, ასე მოქცევა ბავშვებთან არ შეიძლება, საერთო ენის გამონახვა უნდა სცადო. ამიტომაც მიჭირდა სკოლაში სწავლა.

სკოლის პერიოდში ხატვა მიყვარდა, სახლში სულ ვხატავდი. ასევე, მქონდა ძველი მაგნიტაფონი, მაშინ ხომ კასეტები იყო, და ვისწავლე ფილტრების ადეკალონით გაწმენდა. აქედან დაიწყო ჩემი ჩხირკედელაობაც, თან სპირალიანი „პლიტები“ გვქონდა და რომ გაწყდებოდა, ბედნიერი შევაკეთებდი ხოლმე. ახლა ყველა მეძახის ხოლმე ონკანის ან სხვა რამის გასაკეთებლად, ყველაფერი შემიძლია, მეგობრები „ყველაფერშიკს“ მეძახიან.

ყველაზე რთული რა ტიპის სამუშაო გაგიკეთებია?

ელექტროობა მართლა არასდროს მისწავლია, მაგრამ სახლში მე თვითონ გამოვცვალე. ამ სახლში ყველაფერი ჩემი გაკეთებულია. ჩემს დეიდაშვილსაც მე გავუკარი შპალიერი და ასე.

რომელ თვისებებს გამოყოფდი, რომელიც, შენი აზრით, დედისგან გერგო?

სიკეთე, დედაჩემი ძალიან კეთილი ქალი იყო. კი არ იჯდა და მასწავლიდა სიკეთეს, საკუთარ მაგალითზე მაჩვენებდა. მთელი ბავშვობა დედაჩემის სამსახურში, გამწვანებაში, გავატარე. დედაჩემი ქუჩაში იყო და დიდუბეში „კანტორა“ ჰქონდათ. დღისით მასთან ერთად ვიყავი, დედაჩემის მუშებთან ერთად, ასაკოვანი ხალხი იყო და დედაჩემი სულ ეუბნებოდა, მოდი დაგასვენებ, ოღონდ ხელფასიდან არ გამოგაკლდება, არ ინერვიულოო. ერთხელ მახსოვს, ღამის სამ საათზე მშიერი მეზობლის გამო სხვა მეზობელი შეაწუხა, რომელიც პურის ქარხანაში მუშაობდა და პური გამოართვა, რადგან მაშინ პური არც ჩვენ გვქონდა. დედაჩემი ძალიან მეგობრული იყო. ნარდის და ბანქოს თამაში უყვარდა და დღემდე მიყვარს მეც. ისრაელში, პირველად, ჩამოვედი, 2012 წელს. ემიგრაციაში ხუთი წელი ვიცხოვრე, შემდეგ წავედი გერმანიაში ორი წელი, მერე ისევ საქართველოში დავბრუნდი, რადგან დედაჩემი ასაკში იყო და არ მინდოდა მარტო ყოფილიყო. დედა გარდაიცვალა ოთხმოცდათორმეტი წლის. დედაჩემმა დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში, არ ვიცი ახლა სად ვიქნებოდაი, ვისთან და როგორ. ბედნიერი ვარ, რომ დედაჩემის შვილი ვარ.

შემოქმედება

სტომატოლოგიური განათლების მიღების შემდეგ, სამხატვრო, ან მსგავს სასწავლებელში ხომ არ გისწავლია?

მასწავლებელი არასდროს მყოლია, არც სამხატვრო სასწავლებელში მივლია. ცოდნის გასაღრმავებლად ფერწერას ინტერნეტით ვეუფლებოდი. თვითნასწავლი ვარ, არამარტო ხატვაში, არამედ ზოგადად, ბევრ რამეში. დავჯექი, გავხსენი იუთუბი, დავძებნე როგორ იხატება ზეთით, მაგალითად, როცა ბუნებას ხატავ, პირველი რა უნდა გააკეთო, თუნდაც კონტური როგორ მოხაზო, რა რა ზომის უნდა იყოს, მერე დავიწყე ფერების სწავლაც, რომელ ფერზე რა მიდის, რა რას დაადო და ასეთ რაღაცებს ვსწავლობდი, წიგნებსაც ვკითხულობდი. ასე დავიწყე სწავლა და კიდევ უამრავი რამ მაქვს სასწავლი.

რამ გიბიძგა, რამ გააღვიძა შენში ხატვის სურვილი?

რაც ზდასრულ ცხოვრებაში შევედი და 17 წლიდან მუშაობაც დავიწყე, ეს ჩემი ნახატები და ფუნჯები დიდი ხნით, წლებით გადავდე გვერდზე. ქვეცნობიერი სულ იმას მეუბნებოდა, ხატე, როდის დაიწყებ ხატვასო და 31 წლიდან მართლაც დავიწყე . ისრაელში ცხოვრებისას, არაერთხელ მქონდა პერიოდი, როცა დილით

ვიღვიძებდი და ვერ ვხვდებოდი რისთვის ვცხოვრობდი საერთოდ. კაი წავედი სამსახურში, და რა მერე?! არ გამაჩნდა არანაირი საზრისი და ღერძი. უკვე 2015 წელს, ერთხელ სამსახურში ჩეხოვის „თოლიას“ ვუსმენდი. ვუსმენდი როგორ უნდა პატარა თოლიას რომ ძალიან მალე გაფრინდეს, ყოველი წუთი ენანება რომელსაც ფრენის გარეშე ატარებს, ცდილობს და ცდილობს და მიუხედავად იმისა, რომ თავიდან ვარდება, მაინც ბოლოს გაფრინდება. ორჯერ მოვუსმინე ამ წიგნს, სწორედ ეს წიგნი გახდა ჩემთვის ნაპერწკალი იმისა, რომ ყველაფერი დამეყარა და იმ საღამოსვე ვიყიდე მოლბერტი, გუაშები, ტილო და ამდენწლიანი პაუზის შემდეგ, მზის ჩასვლა დავხატე. ცოტა ხანში მეგობრები მესტუმრნენ და მოეწონათ. ნახატებში სამი სტილი შევიცვალე, დავხატე ორი შავ-თეთრი ნახატი, ერთი სპაგეტი იყო, მეორე კი, კვერცხი და „დაბადება“ ერქვა. მეორე თუ მესამე დღეს ისრაელში ჯგუფურ გამოფენაში მიმიწვიეს. ეს იყო ჩემი პირველი გამოფენა ისრაელში და შემდეგ ამავე გალერიამ, unity art, რამოდენიმე თვესა თუ ერთ წელიწადში, უკვე პერსონალური გამოფენის გასამართად დამიკავშირდნენ.

რამდენი ნამუშევარი გქონდა ამ დროისთვის და სად იყო ეს პერსონალური გამოფენა?

ისეთი დაუჯერებელი იყო ჩემთვის პირველი გამოფენა, ჩემი თავი ვიპოვე, ჩემი საყრდენი და ღერძი, აღვფრთოვანდი და ყოველდღე ვხატავდი, სადაც შემეძლო იქ ვხატავდი, არამარტო ტილოზე.

გამოფენა აქ, ისრაელში, თელავივში, ყველაზე ცნობილ უბანში იყო. დიდი ვიტრაჟები იყო და ჩემი ნახატები ვიტრაჟებთან მოლბერტებზე იდგა. ჩემი მაშინდელი კურატორი მეუბნება, ეკა ყველა იმიტომ შემოდის, რომ ვიტრაჟებში შენს ნახატებს ხედავსო, მახსოვს, ძალიან მესიამოვნა.

მსოფლმხედველობა

მე შენ ნახატებით გაგიცანი, რომლებიც ნამდვილად სულისშემძვრელი და ბევრისმთქმელია, სოციალური თემატიკის, რაც ძალიან ნატიფი ხერხითაა მოწოდებული. მითხარი რის თქმას ცდილობს ამ ნახატის პერსონაჟი?

იქიდან დავიწყებ, რომ 15 წლის ასაკიდან აქციებზე ვარ. ვფიქრობ, რომ ნებისმიერი ადამიანის, როგორც ქვეყნის მოქალაქის, ვალდებულებაა ქვეყანის უკეთესობისკენ შესაცვლელად მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. საქართველო ჩემთვის არის სახლი, სწორედ ამიტომ ვარ მთელი ცხოვრებაა აქციებზე.

ჩემს ნახატს რაც შეეხება, „გულისრევას“. მთელი ბავშვობა, უცნობი თუ ნაცნობი ყველა ჭკუას გვასწავლის, იმას კი ვერ ხვდებიან ადამიანები, რომ ადამიანები დამოუკიდებლები ვართ. „გათხოვდი, შვილები გააჩინე“, „ნუ დადიხარ ბიჭივით“, „თმა რატომ გაქვს მოკლე“, „რატომ გასუქდი“ - აი ეს ყველაფერი,

რასაც ვისმენ ზუსტადაა ასახული გულისრევაში და კოპლებიან კაბაში. ისე დავიღალე საზოგადოების ჭკუის სწავლებისგან. განა არ მომწონს ვინმე რამეს როცა მასწავლის, უბრალოდ სწავლას ხო გააჩნია, ეთიკის ნორმები ხომ უნდა იყოს დაცული. 39 წლის ვარ და მინდა მწვანედ მექნება თმა და მინდა წითლად.

ანუ არის რაღაც საზღვრები, რომლებიც ადამიანებმა უნდა დაიცვან და არ გადალახონ, ხომ ასეა?

იმის თქმა მინდა, რომ ძალიან პირად სივრცეში არ უნდა შეიჭრნენ. ეს გოგონა, ჩემი ავტოპორტრეტია, რომელსაც კოპლებიანი კაბა აცვია და კოპლებიან კაბაზე გული ერევა ხალხის ყველა უაზრო რეპლიკაზე.

საზოგადოება

შენი ემოგრაციაში 5-წლიანი ცხოვრების შემდეგ, თან ახლაც ისრაელში ხარ, გვითხარი, რა მსგავსება და განსხვავებაა აქაურ და იქაურ საზოგადოებას შორის?

ჩემი თანატოლები საქართველოში ძალიან ვართ დაყოფილები კატეგორიებად, არ აქვს მნიშვნელობა რეგიონზე გვაქვს საუბარი, თუ დედაქალაქში. ისრაელში ბევრი საქმიანი ხალხია, უფრო მეტი თავისუფლებაა. საქართველოში გერმანიიდან მწვანე თმითა და პირსინგით ჩამოვედი, ერთი შემხვდა და მკითხა უი,ზელიონკა გაქვს თავზე, მეორე შემხვდა, გადაიღებე, ბაყაყი ხომ არ ხარ. მესამე შემხვდა, პირსინგი რატომ გაქვს, ძროხა ხარ? პირდაპირ ასე მეუბნებოდნენ და გავგიჟდი. ისრაელში ქუჩაში უფრო უსაფრთხოდ დადიხარ, დაძაბული არ ხარ რომ ვიღაც მოგვარდება ან მოგაშტერდება შენი გარეგნობის გამო. ზოგადად ძალიან ღია და მეგობრული ხალხია და რაც უფრო ფერადი ხარ, მით უფრო საინტერესო ხარ მათთვის და ისრაელში უფრო დამოუკიდებელიც ხარ, როგორც სოციალურად, ისე ფინანსურად.

მაგრამ საქართველო მაინც გენატრება?

კი, თან ძალიან. მე ძალიან მიყვარს საქართველო. სად არ ვყოფილვარ და ასეთი სილამაზე არ მინახავს, ქართული ბუნების სილამაზე, აქ, ისრაელში, ძალიან მაკლია. მაგრამ როგორც კი წარმოვიდგენ იქ ცხოვრებას, მაშინვე შფოთვა და უარყოფა მეწყება. არ არსებობს არანაირი სტაბილურობა, რაც ძალიან სამწუხაროა. თან ვგრძნობ რომ ამ ქვეყანაში ვიკარგები, ვერ ვახერხებ რეალიზებას.

გამოფენა თბილისშიც ხომ გქონია?

კი, ეს იყო 2016 წელს, ჩემი პირველი პერსონალური გამოფენა საქართველში იყო „ფაბრიკაში“, შემდგომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ორივე სივრცე უსასყიდლოდ გადმომცეს და ორგანიზებაში ჩემი მეგობრები დამეხმარნენ. ჩემი მეგობრები ყოველთვის მიდგანან გვერდში და მათგან ყოველთვის ვგრძნობ მხარდაჭერას, ვგრძნობ რომ მარტო არ ვარ.

და ბოლოს, რას ეტყოდი „ქვიარის“ მკითხველს, ახალგაზრდა გოგონებს, ქვიარებს რეგიონებიდან, რომლებსაც არ მიუწვდებათ ხელი პრივილეგიებზე?

აუცილებლად აკეთეთ თქვენი საქმე, არ გაჩერდეთ და განვითარებას ყოველთვის შეძლებთ, თუნდაც ერთ პატარა ოთახში. ნუ გაუშვებთ ხელიდან თუნდაც ელემენტარულ შანსსა და შესაძლებლობას თქვენს საქმეში და ნუ შეუშინდებით სირთულეებს, ალბათ ეს არის ყველაზე მთავარი.

QUEER